საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სოფიო ბიწაძე

რელიგიური დღესასწაულები ხევში

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ეთნოლოგია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ეთნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ნინო მინდაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ამირან არაბული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2015

სარჩევი

ანოტაცია 4

Annotacion 7

შესავალი 10

I თავი 15

ხევის ისტორიული მიმოხილვა 15

II თავი 23

რელიგიური დღესასწაულები ხევში 23

2.1. ტრადიციული რიტუალები ხევში. გერგეტის წმ. სამება 23

2.2. ახალი წელი გერგეტში 30

2.3. გერგეტობა, სიყვარულის დღესასწაული 33

2.4. ფერისცვალება 35

2.5. მარიანობა 35

2.6. ათენგენობა/სპარსანგელოზობა 39

III თავი 46

სასოფლო დღესასწაულები ხევში 46

3.1. ათენგენის დღესასწაული სტეფანწმინდაში 46

3.2. ათენგენობა სნოში 48

3.3. აღდგომა სემხის სალოცავში 52

3.4. ელიაობა ხევში 57

3.5. ვაჩილობა თოთში 60

3.6. ივანობის დღესასწაული 62

3.7. ქუშენის წმ. გიორგის დღესასწაული 65

3.8. ღვთისმშობლის დღესასწაული სოფ. სიონში 67

3.9. გარბანის წმ. გიორგის დღესასწაული 73

3.11. არშის წმ. გიორგის დღესასწაული 80

3.12. ცდოს კვირეღვთისშვილის დღესასწაული 84

3.13. კვირეღვთისშვილის დღესასწაული სოფ. ფხელშეში 87

3.14. კვირეს დღესასწაული სტეფანწმინდაში 91

3.15. კვირესძლობა ქოსელში 95
3.16. ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაული 97
3.17. სოფ. კარკუჩას დღესასწაულები 104
3.18. ღვთისმშობლის დღესასწაული ახალციხეში 107
3.19. მამაწმინდის დღესასწაული ტყარშეტში 109
3.20. კავთის წმ. გიორგის დღესასწაული ფანშეტში 113
3.21. მთავარანგელოზობა ყანობში 116
3.22. ხურთისის დღესასწაულები 120
3.23. პეტრე-პავლობა: 123
IV თავი 126
ხევის ზოგიერთი საძმო - საგვარეულო დღესასწაული 126
4.1. ქუშაშვილთა ამაღლების დღესასწაული 126
4.2. ღვთისმშობლობა ხუციშვილებში 129
4.3. სემხის ყველაწმინდის დღესასწაული 132
დასკვნა 134
გამოყენებული ლიტერატურა: 141
დანართი 149

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი „რელიგიური დღესასწაულები ხევში“ შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. შესავალში წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ხევის ისტორიულ მიმოხილვას; წარმოდგენილია ხევის საზღვრები; საუკუნეების მანძილზე დარიალის ხეობის ისტორიული მნიშვნელობა.

მეორე თავი მოიცავს ექვს ქვეთავს და განხილულია სათემო დღესასწაულები. მიმოხილულია სადღესასწაულო რიტუალები; ხევის მთავარი სათემო სალოცავი გერგეტის წმ. სამება (2.1.). აღწერილია **ახალწლის** დღესასწაული, რომელიც გერგეტის სამებაში აღარ აღინიშნება, მაგრამ **ახალწლის ნიშში** იმართება და, მთხრობელთა თქმით, დაკავშირებულია მაცხოვრის წინადაცვეთასთან (2.2.). განხილულია გერგეტის სამების დღესასწაულების ისტორიული და სახეცვლილი ფორმები. **ფერისცვალების** უკვე გამქრალი საფერხულო ტრადიცია (2.3.). გამოვლენილია **მარიანობის** წეს - ჩვეულებებში აქტუალური **საღვთოს გადახდა** (2.4.). აღწერილია **გერგეტობის** დღესასწაული (2.5.). წარმოჩენილია **ათენგენის/ვარდობის** დღესასწაულთან დაკავშირებული სამეცნიერო მოსაზრებები. აღნიშნულია, რომ **ვარდობა** ხალხური სადღესასწაულო ციკლია, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ **წმ. ათინოგენმა** ჩაანაცვლა. ხევში დღემდე ხალხური კალენდრით გამოითვლება და **სპარსანგელოზის** სალოცავის ლეგენდასთანაა დაკავშირებული (2.6.).

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი შედგება 23 ქვეთავისაგან და ხევის სასოფლო დღესასწაულებია წარმოდგენილი. სტეფანწმინდის და სნოს მაგალითებით გამოვლენილია **ათენგენობის** სასოფლო დღეობად გარდასახვა (3.1,2.). წარმოჩენილია სემხის სალოცავის სააღდგომო ტრადიციები. გამოთქმულია მოსაზრება **სემხისა** და **სემღის** სალოცავების წარმომავლობის იგივეობის შესახებ, რომლებიც წმ. გიორგის უკავშირდება და **ხედენიშობად** იყო სახელდებული (3.3.). აღწერილია დღესასწაული **ელიაობა**; წმ. ილიას ნიშის **წითელ ეკლესიათან** კავშირი; **ღრუბელას** (ბერი) მოღვაწეობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ღრუბელა** წმ. ილიას, **ღრუბელთწინამძღვრის** ხალხური ეპითეტია (3.4.). პარალელები გავლებულია **ელიაობასა** და ოსური წამომავლობის **ვაჩილობასთან** (3.5.).

პოპულარული **ივანობის** დღეობა წარმოჩენილია წმ. იოანე ნათლისმცემლის სალოცავის დღესასწაულის მაგალითზე. გამოვლენილია მამლის შეწირვის და ქალთა ფერხულის შესრულების წესი (3.6.). განხილულია ქუშენის წმ. გიორგის საგვარეულო დღესასწაულის სასოფლო დღეობად ტრანსფომირება (3.7.). წარმოჩენილია სიონის ღვთისმშობლის დღესასწაულის კავშირი **ღვთაების**, **პირიღვთისას** თაყვანისცემასთან (3.8.). განხილულია **გარბანის წმ. გიორგის დღესასწაულზე** ხარის შეწირვა - დამორჩილების დაკარგული ტრადიცია და შედეგი - დღესასწაულის კამერულობა (3.9.). აღწერილია გაიბოტენში მთავარანგელოზობის აღნიშვნის ტრადიცია. შემოვლითი რიტუალი (3.10). წარმოჩენილია არშის გიორგობის სადღესასწაულო ტრადიცია (3.11.). ცდოს, ფხელშეს, სტეფანწმინდის, ქოსელის **კვირესძლობის** სადღესასწაულო მაგალითებით გამოვლენილია ხევში დღემდე აქტუალური კვირია - მაცხოვრის კულტი. ფხელშეს კვირეღვთისშვილის დღესასწაულზე XX ს-ის 30-იან წლებში დეკანოზი ქალის რიტუალური მსახურება და სამონასტრო ცხოვრებასთან კავშირი (3.12,13,14,15). განხილულია ხევსურული დღესასწაულები **ღალანგურობა** და **ხეთანობა**. გამოვლენილია **ღალანგურის** სიტყვა **ღალანგადან** (მირონის სუნელიდან) მომდინარეობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლუდის სიწმინდეს მისი საკმაზი **ღალანგა** განაპირობებდა, ხოლო **ღალანგური** მირონცხებულის აღმნიშვნელი და წმ. გიორგის ერთ - ერთი ეპითეტია (3.16.). აღწერილია სოფ. კარკუჩის სადღესასწაულო ციკლი. დღეობა **ყანანაზობის** პატრიარქალური ტრადიციები (3.17.). მოხსენიებულია **ღვთისმშობლობა** ახალციხეში. თვალმიდევნებულია ვაჟების მფარველი **კოპალას** და გოგონების შემწე **ელიას** სადღესასწაულო ტრადიციები (3.18.). მიმოხილულია ტყარშეტის მამაწმინდის სალოცავის რაჭული წარმომავლობა და ტერმინების **დიდი** და **პატარა აღების** მნიშვნელობა (3.19.). საარქივო მასალების საფუძველზე გამოვლენილია ფანშეტის კავთის წმ. გიორგის დღეობის ქართლური წარმომავლობა და ნათესაური კავშირი კავთისხევის თავ - კავთის წმ. გიორგის დღესასწაულთან (3.20.). აღნიშნულია ყანობში არყოვნის წმ. გიორგის დღესასწაულის გამქრალი ტრადიცია. დახასიათებულია დღეისათვის აქტუალური წმ. მთავარანგელოზთა დღესასწაული (3.21.). მიმოხილულია სადღესასწაულო ტრადიციები და გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება დღესასწაულ

ქაშეტობის - ქაშვეთთან შესაძლო კავიშრზე (3.22.). განხილულია პეტრე - პავლობის სადღესასწაულო რიტუალები: მოლოცვა, საღვთოს გადახდა (3.23.).

მეოთხე თავი ეთმობა ხევის საგვარეულო დღესასწაულებს: წარმოჩენილია ქუშაშვილების გვარის დღესასწაული (4.1.). აღწერილია ხუციშვილების დღესასწაული **ღვთისმშობლობა**. დღეობაზე გამოვლენილია ძველი ტრადიციების თანაარსებობა მოლოცვის და სადღეობო სუფრის ინოვაციურ ელემენტებთან (4.2.). აღწერილია გველეთის **სემხის ყველაწმინდის** დღესასწაული თანამედროვეობაში (4.3.). ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

Annotacion

Thesis for a Doctor's Degree "**Religious Holidays in Khevi**" consists of three parts: introduction, four chapters and conclusion. Aims and objectives of the thesis are given in the introduction.

The first chapter of the work is dedicated to the historical survey of **Khevi**; it shows boundaries of **Khevi** and the historical importance of **Dariali Gorge** throughout the centuries.

The second chapter consists of six sub-chapters and covers community holidays. It also outlines festive rituals and the most sacred place of **Khevi** community **Gergety Sameba** (**Gergety Holy Trinity**)(2.1.). It gives the description of New Year celebrations, which isn't marked any more in Gergety Sameba, but it is said that it was celebrated in the New Year tabernacle and according to the locals, was dedicated to the circumcision of the Savior (2.2). The work gives the historical and modern forms of **Gergety Sameba** Holidays, the lost tradition of performing special dance "**Perxuli**" during the Transfiguration (2.3.); it also reveals a tradition of making some special offerings while **Marianoba (Holy Mary)** celebration (2.4.) and gives the description of **Gergety holiday** (2.5.). The thesis also deals with the scientific considerations connected with **Athangeni/Vardoba** holiday. It is mentioned that **Vardoba**, was a cycle of communal holidays which after the introduction of Christianity has been substituted by **St. Atangeni**. Remarkably, Khevi dwellers up to now, calculate the day, according to local calendar and it is connected with the legend of **Sparsangelozy Chapel** (2.6.).

The third chapter of the doctoral thesis consists o 23 sub-chapters and covers the communal holidays of **Khevi**. **Stepantsminda** and **Sno** examples are given as the manifestation of the transformation of **Atangenoba** into a communal holiday (3.1,2.). There is also given the **Easter** traditions of **Semkhisa Chapel.** The supposition, that **Samkhisa** and **Samgisa Chapels** have the common origin, which were connected with St. George and was known as **Khedenishnoba**, is also considered here (3.3). The work covers the connection of **St Ilia Chapel** with **Tsiteli Eklesi (Red Church**); the thesis gives the description of **Elioba**; life of the

monk **Grubela**. A supposition is expressed here that **Grubela**, is the popular epithet of **St. Ilia**, the **Grubelt-tsinamdzgvari** (**Father of Clouds**) (3.4.). The work gives the parallels between **Eliaoba** and **Vachiloba** – holiday of **Ossetian** origin (3.5.). Popular **Ivanoba** holiday is shown on the example of the celebration of **St. John the Baptist** holiday; tradition of offering a rooster and the rule of performing women's **perkhuli** –a kind of dance is also covered (3.6.). The thesis observes the transformation of patrimonial St. George holiday into a communal one (3.7.). Is shown the link between **Sioni Holy Mary holiday** with the worshiping of **Gvtaeba**, **Pirigvtisa** (3.8.). Lost tradition of offering a bull at **St. George holiday** in **Gardabani** – and as a result - restricted local character of the holiday (3.9.). Tradition of marking **Gaiboteni Mtavarangelozi** is also described -is shown the ritual of walking around (3.10.); the work shows the tradition of the marking **Arshis Giorgoba** (3.11.); based on the examples of celebrations of **Kviresdzeloba Holiday** in **Khevi** and **Tsdo**, **Pkhelshe**, **Stepanethsminda** and **Koseli** is revealed the **Kviria** – **The Savior** cult which is still very strong in **Khevi.** Is shown the examples of women "decanus" performing the clerical rituals and connection of women with the monastic life in the 30th of the 20thcentury(3.12,13,14,15). There are discussed such **Khevsurian** holidays as **Galanguroba** and **Khenatoba**. Has been found the etymology of the word **Galanguri** (it comes from the word **Galanga** – one of the components of chrism). The thesis poses the consideration that the sacredness of beer was determined by its consisting component **Galanga**; as for **Galanguri** – it means anointed and is one of the epithets of St. George (3.16.). There is also given the holiday cycle in the village **Karkuchi**, patriarchal traditions of **Kazanaoba** celebration (3.17.). **Gvtismshobloba** in Akhaltshikhe is also mentioned in the work. We cover the traditions of celebrating the holidays of patron saints of boys **Kopala** and girls – **Elia** (3.18.). There is a brief review of **Racha** origin of **Tkharsheti Mamatsminda Chapel** and the meaning of the terms **didi da pataraageba** (receive small and big offerings) (3.19.). **Shida Kartli** (part of eastern Georgia) origin of **Pansheti Kavtis St. George** holiday and its links with **Kavtiskhevi Tav-Kavisi St. George** holiday was proved by the archive materials (3.20.). The lost tradition of celebrating **Arkhovnis** St. George is also mentioned. The thesis gives

the description of holiday of Archangels, which is still very actual (3.21.). The work gives the brief review of the holidays and traditions and expresses a supposition about a possible link between the holidays **Kashetoba** with **Kashveti** (3.22.). Survey of festive rituals connected with **Petre-Pavloba** (St. Peter and St. Paul) holidays covers such rituals as: praying, making offering (3.23.).

The forth chapter is dedicated to the holidays connected with the traditions of marking some definite family days in Khevi: as an example is given the celebration connected with **Kushashvili** family (4.1.). Is given the description of **Gvtismshobloba(**Holy Mary Day) as it was marked by the **Khutshishvili**. Coexistence of the old traditions and new ones was observed when studying this particular case (4.2.). **Gveleti Semkhis Kvelatsmindis** (the holiday of All Hollies) holiday is shown as it is celebrated today (4.3.). The last part of the thesis gives the summery of the conducted work.

შესავალი

ნაშრომის მიზანი:

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ - ერთი გამორჩეული კუთხის ხევის რელიგიური დღესასწაულები წარმოადგენს. კვლევის მიზანია ხევის სალოცავებში დღესასწაულების ისტორიული და თანამედროვე სახით წარმოჩენა, მოხევეთა ურყევი ტრადიციებისა და დროის ვითარებით სახეცვლილი წეს - ჩვეულებების გამოვლენა, საუკუნოვანი ტრადიციებისა და ინოვაციების შეთავსების, ურთიერთშეზრდის თავისებურებების წარმოჩენა, ხევის მდიდარი სულიერი კულტურის პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდერობის მომავალი თაობებისათვის შენახვა და დაცვა, ტურიზმის ჭრილში სამომავლო პერსპექტივის დასახვა.

საკითხის აქტუალობა:

რელიგიური დღესასწაულები კოლექტიური წარმოდგენებისა და კოლექტიურობის გამომხატველი რეალობაა. დღესასწაულები მოქმედების საშუალებებია, რომლებიც ერთიან ჯგუფებში წარმოიქმნებიან. მათი მოწოდებაა გააღვიძონ, მხარი დაუჭირონ და აღადგინონ ერთიანობის მენტალური მდგომარეობა. დღეობები, როგორც სოციალური მოვლენები, საზოგადოების წევრების სოციალიზაციას ემსახურება (Дюркгейм 1998:185).

რელიგიური დღესასწაულების ისტორიული მნიშვნელოვნება ხევის ერთიანობისა და მოხევეთა საზოგადოების სიმყარის შედეგია და შესაბამისად დღემდეა აქტუალური.

დღესასწაულები მოხევეების სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილია. „წარმართულ“ და, ამასთანავე, ქრისტიანულ შრეებს მოიცავს. უმეტესად ხევის რელიგიურ რიტუალებს ლიტურგიკული პრაქტიკიდან მომდინარე სიღრმისეულად ქრისტიანული დატვირთვა აქვს, თუმცა ყოფითობამ ხალხური ელფერი შესძინა. შინაარსობრივად მრავალფეროვანი დღესასწაულები სტრუქტურულად არქაული პლასტებით მდიდარია და დღემდე არაერთ კითხვას ბადებს. გლობალიზაციის პირობებში ზოგიერთი დღესასწაული სახეცვლილია, ზოგი თითქმის გამქრალი.

აქტუალურია ხევის რელიგიური დღესასწაულების სამომავლო პერსპექტივის დასახვა:

მნიშვნელოვანია გლობალიზაციის რთულ პირობებში მოხევეების შინაარსობრივად მდიდარი, სანახაობრივად მრავალფეროვანი დღეობების მკაფიოდ გამოხატული იდენტობის, ეთნოგრაფიული კუთხის თავისთავადობისა და უნიკალურობის წარმოჩენა.

რელიგიური დღესასწაულები მოხევეების სულიერი კულტურის ნაწილია. ამიტომ აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის საგანგებოდ შესწავლა, შენახვა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

აუცილებელია დღესასწაულების როგორც შემეცნებითი, აგრეთვე პრაგმატული კუთხით წარმოჩენა.

ოპტიმისტური პროგნოზია დღესასწაულების კულტურული ტურიზმის ჭრილში წარმოჩენა და ითვალისწინებს ტურისტების დაინტერესებას. მოხევეთა შემეცნებითი დღესასწაულების გაცნობას, მდიდარი კულინარიული ტრადიციების დემონსტრირებას. დღეობათა მრავალფეროვანი სანახაობრივი მხარის წინ წამოწევას. რეწვის, კულინარიული ნაწარმისა და ხელთნაკეთი ნივთების რეალიზაციას.

წყაროები:

ნაშრომის პირველწყარო 2013-2014 წლებში ხევში ჩვენს მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მონაცემები და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული უნიკალური მასალაა, რომელიც 1966-1967 წლებში ვერა ბარდაველიძის მიერ ხევში განხორციელებულ საექსპედიციო-საველე სამუშაოების შედეგებს წარმოაჩენს. ხევის ტრადიციული საკულტო ძეგლებისა და რელიგიური დღესასწაულების შესახებ ნაშრომის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მკვლევართა ის ნაშრომები, რომლებშიც ასახულია ხევის ისტორია და ეთნოგრაფია.

რელიგიური დღესასწაულების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სერგი მაკალათიას მონოგრაფიას „ხევი“, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს ხევის ისტორიას, ეთნოგრაფიას, დღესასწაულებისა და რელიგიური მსახურების წეს-ჩვეულებებს. მაკალათია, როგორც უშუალო მომსწრე 1930 - იანი წლების ხევის ტრადიციული ყოფისა, არაერთ მნიშვნელოვან და ჩვენთვის ფასეულ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას.

ფასდაუდებლად მივიჩნევთ, ვალერიან ითონიშვილის მიერ ხევის ისტორიისა და მოხევეთა ხატ - სალოცავებში ტრადიციული რელიგიური მსახურების და სადღესასწაულო

რიტუალების აღწერას. მეცნიერი წიგნში „ალექსანდრე ყაზბეგი“ არაერთ საინტერესო მასალას კრებს. საუკეთესო ორიენტირად „ხევის ტოპონიმიკას“ გვთავაზობს, ხოლო წიგნში „მოხევეების ყოფა-ცხოვრება“ სიღრმისეულად აღწერს ძველად ამა თუ იმ სადღესასწაულო ტრადიციას.

უმნიშვნელოვანესია ხევის ლიტერატურული მემატიანის ალ. ყაზბეგის მდიდარი ეთნოგრაფიული ცნობები მოხევეთა ტრადიციების შესახებ. მწერალი წარმოაჩენს მთიელთა ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს, რელიგიის საკითხებს კი დიდ ადგილს უთმობს მხატვრულ თხზულებებში.

მატიანედ ნაგულვებ ალექსი ოჩიაურის უნიკალურ ისტორიულ - ეთნოგრაფიულ მასალებს მთიელთა ცხოვრებისა და რელიგიური მსახურების შესწავლის საფუძვლად მივიჩნევთ. ფშავ - ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალების თავისებურებების გამოვლენა ხალხურ დღესასწაულებს ქრისტიანობის ნათელს ფენს, ხოლო ხევში მიგრაციის შედეგად გადმოტანილ სალოცავებს გარკვეულ ახსნას უძებნის.

საგულისხმო მასალებს ვაჟა-ფშაველას „ეთნოგრაფიულ წერილებში“ მივაკვლიეთ. მწერალი უშუალოდ ხევის სინამდვილეს არ შეხებია, მაგრამ მთიელთა ყოფის მისეული, ზუსტი აღწერილობები პარალელების გავლების საშუალებას გვაძლევდა.

კვლევის პროცესში ძველი და ახალი ტრადიციების შეპირისპირებამ „წარმართული“ და ქრისტიანული საწყისების გარკვევის აუცილებლობაზე მიგვითითა. მთიელთა „წარმართობის“ გახმაურებული საკითხი პაგანიზაციის უზუსტესი ფორმულით განმარტებული აქვს ზურაბ კიკნაძეს სამეცნიერო გამოკვლევაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი“.

ტრისტან მახაურის, ხვთისო მამისიმედაშვილისა და ზურაბ კიკნაძის ერთობლივ ნაშრომში „ჯვარ-ხატთა სადიდებლები“ მთიელთა საკულტო ტექსტების გახალხურებული ვარიანტებია წარმოდგენილი.

წმ. გიორგის სალოცავებთან დაკავშირებული ქადაგობის, დაკოჭვისა და ჯვარ - ხატის მსახურთა რიტუალური ფორმების ზუსტი აღწერილობებია მოცემული თინა ოჩიაურის სამეცნიერო გამოკვლევაში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“.

ჟუჟუნა ერიაშვილის მიერ შესწავლილი მთის უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები ეყრდნობა საქართველოს მთიანეთში ავტორის მიერ ველზე შეკრებილ და საარქივო ეთნოგრაფიულ მასალებს.

ხევის რელიგიური დღესასწაულების რიტუალთა თავისებურებებია განხილული ნინო მინდაძის წიგნში „ ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა“, სადაც წარმოჩენილია მოხევეთა მფარველი წმინდანების ფუნქციები და დანიშნულებები.

რიტუალურ ჭრილში ზოგიერთი დღესასწაულისა და წმინდანთა თაყვანისცემის ასპექტები წარმოჩენილია ირაკლი სურგულაძის სამეცნიერო კვლევაში „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“. ხევის ზოგიერთი რიტუალის სიმბოლიკას ეხება ნინო აბაკელია წიგნი „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“.

მთიელთა მიგრაციის ისტორიული პროცესის მსვლელობა ასახულია როლანდ თოფჩიშვილის სამეცნიერო კვლევაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში“. რელიგიური დღესასწაულების ზოგიერთი აღწერილობები ივანე ქავთარაძის დიალექტოლოგიური საჭიროებისათვის ჩაწერილ ტექსტებში ჩანს.

მოხევეთა უახლესი ისტორიისა და ყოფა - ცხოვრების უშუალო მომსწრეა ანდრია კობაიძე. იგი მოხეური ზეპირსიტყვიერების შემკრებია. ჩვენთვის საგულისხმო მასალებს „კალმისწვერას“ ფსევდონიმით აქვეყნებდა.

რელიგიურ დღესასწაულებთან გადაჯაჭვულ ზეპირსიტყვიერ სანიმუშო კრებულად ვთვლით ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის წიგნს „პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“, სადაც მოხეური ლექსებისა და ანდრეზების იშვიათი ნიმუშებია თავმოყრილი.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების პერიოდულ გამოცემებზე დართული დიმიტრი პაგირევის კატალოგი, სადაც XIX ს-ის ჟურნალ - გაზეთებში მდ. თერგის ხეობის ყოფისა და რელიგიური დღესასწაულების შესახებ ზოგიერთი საყურადღებო ცნობებია დაცული.

კვლევის მეთოდები:

იმის გასარკვევად თუ რა ფორმითაა დღეს მოხევეთა სალოცავებში შემორჩენილი ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნის წეს - ჩვეულებები, 2014-2015 წლის ზაფხულში

საველე მუშაობის პირობებში ამოცანად დავისახეთ ხევის სოფლებში ტრადიციული სალოცავების, დღესასწაულების და მათი თანმხლები წეს - ჩვეულებების შესწავლა.

ძიების დროს სამეცნიერო საკვლევ მეთოდად გიორგი ჩიტაიას მიერ შემუშავებულ კომპლექსურ - ინტენსიური კვლევის მეთოდს ვიყენებდით, რომელიც ეთნოგრაფიული მოვლენების კომპლექსურად აღწერის საშუალებას გვაძლევდა, ხოლო შედარებით - ისტორიულმა კვლევის მეთოდმა შესაძლებელი გახადა ეთნოგრაფიული მოვლენების ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში წარმოჩენა.

საველე პირობებში ძირითადად ინტერვიუებისა და დაკვირვების მეთოდებს დავეყრდენით. დავესწარით ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულს, შეძლებისდაგვარად შევაგროვეთ ცნობები სალოცავებზე, დღესასწაულებსა და რელიგიურ რიტუალებზე. მოვიპოვეთ ფოტო და ვიდეო მასალები.

I თავი

ხევის ისტორიული მიმოხილვა

თრუსოს, სნოს, თერგის (არაგვის) ხეობებად დაყოფილი ხევი კულტურულ - ეკონომიკურად აკავშირებდა სამხრეთ და ჩრდილო კავკასიას.

ხევს აღმოსავლეთით ესაზღვრება-ხევსურეთი, დასავლეთით - ცხინვალის რეგიონი, ჩრდილოეთით - ჩრდ. ოსეთი (ალანია) და ინგუშეთი, სამხრეთით - კავკასიონის მთავარი ქედი. ხევი უძველესი დროიდან იყო დასახლებული, რასაც კარგად მოწმობს სტეფანწმინდის არქეოლოგიური მასალა.

1877 წლიდან არქეოლოგ გ.დ. ფილიმონოვის, ხოლო მოგვიანებით უვაროვების, ფრ. ბაიერნისა და სხვათა მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა, კერძოდ კი გამოკვლევებმა ე.წ. ყაზბეგის განძის შესახებ გამოავლინა, რომ ყაზბეგის განძს კავშირი აქვს ჩრდილო - კავკასიის, ყობანის და მცირე აზიურ - ხეთურ კულტურასთან (მაკალათია 1934:28-31).

ამასთანავე, იგი მკვეთრად ადგილობრივი ხასიათისაა და პარალელებს ახალგორის, ბეშთაშენის, ბრილისა და ყანჩაეთის ძვ. წ. VI-V საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებთან პოულობს (წითლანაძე 1976:97).

არქეოლოგიური მონაპოვარი საქართველოს სახელმწიფო და ხელოვნების ისტორიის მუზეუმების საცავებში, ხოლო ნაწილი სანქტ - პეტერბურგის და მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმებში ინახება (წითლანაძე 2004:3).

ხევის პოლიტიკურ - ეკონომიკური მნიშვნელობა უშუალო კავშირშია დარიალის ხეობასთან, რომელზეც სამხედრო გზა გადის. დარიალის კარს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს (იბერიის) სამეფოსათვის.

დარიალის პირველი აღწერილობა სტრაბონს ეკუთვნის (სტრაბონი 1957:128-129). ლეონტი მროველი ამბობს: „არს: ზღუის: კარი: დარუბანდი: და: არაგუის: კარი: რომელ: არს: დარიალა“ (ქართლის ცხოვრება 1906:9). „აბო თბილელის წამებაში“ აღნიშნულია, რომ ნერსე ერისთავმა „განვლო კარი იგი ოვსეთისაი, რომელსა დარიალან ერქუმის“ (საბანისძე 2007:36). დარიალი ალანთა, ოსთა კარს ნიშნავს (მაკალათია 1934: 36).

დარიალს **ბახტრის** სახელწოდებითაც იცნობენ, მისგან მომდინარეა **ბახტრის ციხის** და ხევის პირველი ქრისტიანული სალოცავის ***ბახტრის წმ. გივარგის*** სახელწოდება. იგი წარმოადგენდა ქვა - კირით ნაგებ მასიურ კედელს და მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა (ბარდაველიძე 1966: 3-7).

დარიალის ხეობიდან საქართველოს უტევდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე მობინადრე - ალანები, ხაზარები და ყივჩაღები. დროდადრო საჭირო იყო ამ ხეობის ციხე - კოშკებით გამაგრება.

V საუკუნეში ოსების მიერ დარიალის ხეობის გადმოლახვას და ქვეყნის დარბევას წინ აღუდგა მეფე ვახტანგ გორგასალი. მემატიანე გვიამბობს: "ვახტანგმა განვლო კარი დარიალანისა. და შესავალსა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა ათექსუმეტისა" (ქართლის ცხოვრება 2008: 164). მეფემ დაიმორჩილა ოსები და ყივჩაღები, გაამაგრა დარიალის კარი, ააგო კოშკი და მიუჩინა მცველები: „აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინა მცველად მახლობელნი - იგი მთეულნი" (ქართლის ცხოვრება 2008:166).

ვინ იყვნენ **იგი მთეულნი**? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საისტორიო მწერლობაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ს. კაკაბაძეს ხევის ძველ მობინადრედ **წანარი** მიაჩნია. მკვლევარის შეხედულებით, ვახტანგ გორგასალმა საქართველოს საზღვარი გააფართოვა დარიალამდე, დაიპყრო იქ მოსახლე წანარები, ხოლო, მათი გაქართველების პროცესი X-XI საუკუნეებში დასრულდა (Какабадзе 1928:112). ამ აზრს მაკალათია საეჭვოდ მიიჩნევდა (მაკალათია 1934:39).

XIII ს-ში წანართა ყოფილი სამოსახლო მდ. თერგის სათავეებიდან დარიალამდე ატარებს ქართულ სახელწოდებას - ხევს. მოხევე პირველად საისტორიო წყაროებში თამარ მეფის დროს XII საუკუნეში მოიხსენიება. ხოლო მთიელი კრებითი სახელია. მთაში ამბოხება დაიწყო და თამარმა მოუწოდა "ყოველთა მთიულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა და სხვა" (ქართლის ცხოვრება 2008:515).

საქართველოში VI საუკუნიდან, სპარსელების გაბატონების შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა. ჩრდილოეთიდან საფრთხის შესუსტების გამო დარიალის გზამ პოლიტიკურ - სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა.

XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა საგარეო პოლიტიკის ეფექტურად წარმართვის მიზნით საუკუნეთა მანძილზე დახშული დარიალის ხეობა გახსნა და საფუძველი ჩაუყარა ქართველთა მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობას ჩრდილოკავკასიელებთან, კერძოდ, ოსებთან და ყივჩაღებთან (ქართლის ცხოვრება 2008: 319).

დავით აღმაშენებლის რეფორმა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მეფემ დარიალის ხეობით ქართლში ყივჩაღები გადმოასახლა. არ გამორიცხავენ, რომ ისინი ხევშიც დასახლდნენ.

ჩრდილოეთის მშვიდობიანი პოლიტიკა დავითის მემკვიდრეებმა მონღოლთა შემოსევამდე გააგრძელეს. მონღოლების შემოსევის შემდეგ დარიალის ხეობა კარგავს თავის მნიშვნელობას XVII-XVIII საუკუნეებამდე.

მოხევეთა სოციალური წყობის შესახებ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“ (XIV საუკუნე) საინტერესო ცნობებია დაცული. სამართლის ძეგლში ხევის ჩრდილოეთი საზღვარია მოხსენიებული: „წარვედით ტახტით ჩვენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს. და მუნით, მოვედით ხადა - ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი უნებურნი ხევისბერნი და ეროვანნი, და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა. და მივედით დარიელამდის“ (ძეგლის დადება 1988:35).

ძეგლში მოხსენიებული **უნებურნი ხევისბერნი** ნათელს ფენს, რომ ხევში თემური წყობა იყო განმტკიცებული. მოსახლეობა ხევებად იყოფოდა და თითოეულ ხევს თავისი ხევისბერი ჰყავდა. მართალია, ხევის მმართველად მეფეს ერისთავი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შინაურ წყობაში მეფის მოხელეები ვერ ერეოდნენ, რადგან ხევს ფაქტობრივად ხევისბერი და უმაღლესი ორგანო - სათემო საბჭო განაგებდა (მაკალათია 1934:42).

XVI საუკუნიდან ხევი არაგვის ერისთავებისაგან შევიწროვებულია, რასაც ქართლ - კახეთის სამეფოს დასუსტება განაპირობებდა. ერისთავები მოხევეთა დაპყრობასა და ყმებად გადაქცევას ცდილობდნენ. ამათგან, პირველად ნუგზარ ერისთავმა გაილაშქრა, ხოლო ე. წ. **სისხლის წვიმების დროს** ზურაბ არაგვის ერისთავმა დროებით ხევის დაპყრობა მოახერხა (კიკნაძე 2013:146).

არსებობს გადმოცემა, როგორ ცდილობდნენ არაგვის ერისთავები ხევის ხელში ჩაგდებას მოხევეების გადმობირებით. გავლენიან ისტორიულ ფიგურად გვევლინება შიოლა ღუდუშაური, რომლისთვისაც ერისთავს აზნაურობა უბოძებია:

“ამ ზამთარ, ღუდუშაურო,

შკამს იჯე ერისთვისასა.

ახლა რა დაგმართებია, -

მსახურსა ღგვიხარ ცხვისასა“ („პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“ 2014:14).

შიოლა ღუდუშაური ხევში ძლიერი გვარის წარმომადგენელი და სნოს მფლობელი იყო, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღუდუშაურთა გადმობირებას, რაც ხევის დამორჩილებას უდრიდა. გააზნაურებულმა შიოლამ მოსახლეობაზე ბატონობა დაიწყო და მათ საშინლად ბეგრავდა, რამაც თემი ააღელვა.

ღუდუშაური დასაჯეს. მოისყიდეს შიოლას დის ძმადნაფიცი, ხევსური მთრეხელი და ბატონი მოაკვლევინეს. ნასოფლარი მთრეხი, სოფ. ჯუთის მოპირდაპირედ მდებარეობს. მთრეხიდან მომდინარეა გვარი მთრეხელი (ითონიშვილი 1971:169).

საბედისწერო ამბავი სოფ. აჩხოტთან მოხდა. მოგვიანებით, ღუდუშაურებმა სათემო წესი დაარღვიეს და მთრეხელზე შური იძიეს (მაკალათია 1934:43-44).

ხევის ისტორიაში ხშირია ოსების, ლეკებისა და ქისტების თავდასხმის ეპიზოდები. ხალხურმა სიტყვიერებამ მტერზე გამარჯვებების აღსანიშნავი არაერთი გალექსილი თქმულება შემოინახა.

„ოსთა პირველი ახალშენები კავკასიის მთავარი ქედის პირაქეთა კალთებზე ჩნდება მონღოლთა შემოსევების შემდეგ XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეში დვალეთის ტერიტორიაზე, შემდეგ ხანებში კი მდ. დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის, ხადის და არაგვის ხეობებში“ (გვრიტიშვილი 1962:275).

XVII საუკუნის შემდგომ ოსები დასახლდნენ მდ. თერგის სათავეებში - თრუსოს ხეობაში, რომელიც მანამდე ჯერ ქართული მოდგმის წანარებით, ხოლო შემდეგ ასევე ქართველური წარმომავლობის დვალებით იყო დასახლებული. ვახუშტი ბაგრატიონი თრუსოს ხეობაში ოსებითა და დვალებით დასახლებულ რვა სოფელს მოიხსენიებდა (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:21).

დროთა განმავლობაში ოსებმა დვალთა ასიმილაცია მოახდინეს, სამოსახლო სივრცე გაიფართოვეს და ყასარას კლდეკარის ქვემოთ, ხევის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში ჩამოსახლდნენ. XIX საუკუნეში, ალ. ყაზბეგის თანამედროვე ხელოვნურად გაზრდილ თრუსოს ხეობად ითვლებოდა თერგის სათავეები კობის ზემოთ. XIX საუკუნეში ჩამოსახლებული ოსები მცირედი რაოდენობით ხევის ზოგიერთ სოფელშიც ცხოვრობდნენ (ითონიშვილი 2006:4-5).

XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთ - საქართველოს ურთიერთობამ დარიალის გზა გამოაცოცხლა და პოლიტიკური მნიშვნელობა შესძინა. ამ გზით მოგზაურობდნენ ელჩები, შემოდიოდა რუსეთის ჯარი და, შესაბამისად, მათი სამხედრო ბაზაც სწორედ აქ განთავსდა. ქვეყანა ხსნას იმპერიალისტურ რუსეთში ეძებდა.

1756 წელს არაგვის საერისთავო გაუქმდა და საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დაექვემდებარა. XVIII საუკუნეში ხევი ადმინისტრაციულად დაიყო ოთხ - ედოს (სტეფანწმინდის), სნოს, ფანშეტის და მნას სამოურავოდ. სამოურავოს გამგებლის დანიშნული მოურავი განაგებდა, რომელსაც სამართლის და ვაჭრობის საქმეებში მონაწილე ნაცვალი ემორჩილებოდა.

ყველაზე მეტად დაწინაურებული ჩანს მოურავი ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი. მის წინსვლას ხელი შეუწყო სამოურავოს მდებარეობამ, რომელიც ხევის მნიშვნელოვან ადგილებს მოიცავდა: დარიალის ხეობას, სოფლებს - სტეფანწმიდას, გერგეტს, ქობს (ამჟამად ნასოფლარი), ცდოს და გველეთს. მეფის წყალობით ჩოფიკაშვილის გამგებლობაში მნიშვნელოვანი სამოურავო მოექცა, რამაც სტეფანწმინდის მოურავი ეკონომიკურად დააწინაურა. ამავე დროს, მოხევე მაღალი წოდებისაკენ მისწრაფებასაც ამჟღავნებდა. მოგვიანებით მიზანს მემკვიდრემ - გაბრიელ ყაზბეგმა მიაღწია (მაკალათია 1934:48).

გაბრიელის შესახებ მატიანემ საინტერესო წერილები შემოინახა (მაკალათია 1934:50-51), სადაც ნათლად ჩანს გაბრიელის დიდი გავლენა. საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას ხეობის დარაჯი სჭირდებოდა, რომელიც იმპერიალისტურ მიზნებს მოემსახურებოდა. თავადობის მაძიებელი გაბრიელი შესაფერისი პიროვნება აღმოჩნდა. ის იმპერატორის ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებდა. სამხედრო გზაზე მის მხედრობას ატარებდა, უმასპინძლდებოდა და მათ უშიშროებაზე ზრუნავდა.

იმპერატორმა ერთგული გაბრიელი სათანადოდ დააფასა, ჯერ მაიორის, ხოლო შემდეგ გენერლის მუნდირით შემოსა. გაბრიელ ჩოფიკაშვილმა გვარი გამოიცვალა და საზოგადოებას ახალი გვარით (მამის სახელით) ყაზბეგით მოევლინა. „ჩოფიკაშვილის ეპონიმად (წინაპრად) ცნობილია ჩოფიკა, რომლის შთამომავლებად ითვლებოდნენ ყაზიბეგი, ლევანი, გუგუა და ზალია. ჩოფიკაშვილების გვარში გაჩნდა ერთიმეორის მონათესავე დანაყოფები ანუ განაყრები: ყაზბეგიანნი, ლევანენი, გუგუენი და ზალიენი“ (ითონიშვილი 2006:14).

გაბრიელ ყაზბეგის საპატივსაცემოდ სტეფანწმინდას, გაბრიელის საბრძანებელს, ყაზბეგი უწოდეს. მადლიერი გაბრიელი მზად იყო რუსეთის სამსახურისათვის.

საქართველოში რუსეთის სავაჭრო კაპიტალი შემოიჭრა. ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ - ეკონომიკური ძვრა მოხდა. ჩრდილოეთის თვითმპყრობელობა პირველად ხევ - მთიულეთით შემოვიდა, რასაც მალე ადგილობრივთა აჯანყებები მოჰყვა.

საქართველოს შემოსამტკიცებლად და ამიერკავკასიის დასაპყრობად რუსეთი სამხედრო გზის გაფართოებას მოითხოვდა, რათა არ შეფერხებულიყო რუსული ჯარების მიმოსვლა. 1801 წელს ქართლ - კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ დარიალის გზამ სამხედრო გზის წოდება მიიღო. მოხევე - მთიულებისათვის აუტანელი გახდა მუდმივად გზისა და ხიდების შეკეთება, თოვლის ხვეტა, ზვავისა და ღორღისაგან გაწმენდა. ეს იყო ურთულესი სამუშაო მცირე ანაზღაურებით, რასაც რუსი მოხელეების მკაცრი მოპყრობა ერთვოდა.

მთიელებმა დახმარებისათვის წერილობით მიმართეს მთავარმართებელ პავლე ციციანოვს, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ძალადობისა და მექრთამეობის ფაქტები. მიმართვას გამოხმაურება არ მოჰყვა. 1804 წელს ციციანოვმა ბაქოსკენ გაილაშქრა და მთიელთა ჯარი მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. გაბრაზებულმა მთავარმართებელმა მათი სათანადოდ დასჯა გადაწყვიტა (მაკალათია 1934:52).

პირველად მთიულები აჯანყდნენ. თავიანთ ფარგლებში მოქცეული სამხედრო გზა ანანურიდან კაიშაურამდე მთლიანად მოშალეს. კაიშაურში აჯანყებულებმა რუსები დაამარცხეს და აჯანყებისაკენ მოხევეებსაც მოუწოდეს (მაკალათია 1930:34-37).

რუსეთის იმპერიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გაბრიელ ყაზბეგის პოლიტიკურ პოზიციას. სამხედრო გზის სამხრეთი ნაწილი ჯვრის უღელტეხილამდე აჯანყებულებს ეკავათ, ჩრდილოეთი გაბრიელ ყაზბეგის წყალობით დარიალის ხეობამდე ნეიტრალიტეტს იცავდა. დარიალის ხეობაში თაგაურელმა ოსებმა დაიწყეს აჯანყება, რისი მომხრენიც იყვნენ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილებიც (მაკალათია 1934:53).

„თაგაურელ მებატონეთა შორის ყველაზე ძლიერი სოფ. ჩიმის მფლობელი დუდარუკო ახმეტი იყო. თერგის მთელ ხეობას, კავკავიდან დაწყებული დარიალამდის ეს მებატონე ფლობდა, რომელიც მას ციხე კოშკებით ჰქონდა გამაგრებული და სადაც მის ნებადაურთველად ფეხის შედგმა არავის შეეძლო. მთის ბატონი დუდარუკო რუსეთის საჩუქრებს და წყალობებს არ სჯერდებოდა და მოზდოკიდან მომავალ რუსეთის მხედრობასა და სავაჭრო ქარავნებსაც ძარცვავდა და არბევდა. ჩიმის მებატონე დუდარუკოს რუსეთის საწინააღმდეგო ფარული მიმოწერა ჰქონდა ახალციხის ფაშებთან და საქართველსო მთავრებთან და ბედის მაძიებელ ბატონიშვილებთან, რომლებიც კარგად გრძნობდნენ, რომ რუსეთის ბატონობის დასამხობად პირველყოვლისა საჭირო იყო თაგაურელი ოსების ამხედრება და მომხრობა“ (მაკალათია 1934:53).

გაბრიელი სტეფანწმიდაში მოქცეულ რუსის ჯარსა და მოხელეებს იცავდა. მეამბოხე მთიულებს აღიზიანებდათ ამგვარი დამოკიდებულება და სტეფანწმიდის აღება განიზრახეს. 1804 წლის 13 ივლისს მეამბოხეებმა ბძოლა დაიწყეს და ციხე აიღეს (მაკალათია 1934:57).

რუსეთის ჯარმა დამარცხება განიცადა ლომისასთან, რამაც აჯანყებულებს სტიმული მისცა. მთიელები რუსების წინააღმდეგ დაირაზმნენ. ამას დაერთო ვახტანგ ბატონიშვილის სტეფანწმინდაში ჩასვლა, რომელიც ქსნის ხეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მალე ერევნიდან მთავარმართებელი ციციანოვი გამოეშურა და მას რუსის ჯარი შეუერთდა (მაკალათია 1934:57).

გადამწყვეტი ბრძოლა 16 ოქტომბერს სიონის ციხესთან მოხდა, რომელსაც თავს აფარებდნენ ფარნაოზ ბატონიშვილი და მეამბოხეები. რუსეთის ჯარმა სიონის ციხე აიღო. 1804 წლის ოქტომბერში აჯანყებულებმა იარაღი დაყარეს და თვითმპყრობელობის ბატონობას დამორჩილდნენ.

ამგვარად, XIX საუკუნის დასაწყისში თავისუფლებისათვის მებრძოლი ხევი დამარცხდა და რუსეთის ბატონობას დამორჩილდა. მოიშალა თემური წყობილება, რამაც ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობა და გაძლიერება გამოიწვია.

ხევის ლიტერატურულმა მემატიანემ ალ. ყაზბეგმა თხზულებებში მოხევეთა ცხოვრების სოციალური პროცესები და თავდაცვითი ბრძოლა ასახა.

რუსეთი საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობას აწარმოებდა, რომელიც 1863 წელს დამთავრდა და მოძრაობა გაიხსნა. „უმოკლესი გზა, რომელიც მოზდოკიდან თბილისამდე იყო გაჭიმული, XIX საუკუნის დასაწყისში უმთავრესად სამხედრო - სტრატეგიულ როლს ასრულებდა. ამის გამო მას სამხედრო უწყება განაგებდა, რისთვისაც იწოდა საქართველოს სამხედრო გზად და თანდათანობით დავიწყებას მიეცა დასაწყისში შერქმეული სახელწოდება - **ალექსანდრეს გზა** (ითონიშვილი 2006:21).

1801 წელს საზეიმოდ გაიხსნა მლეთის ცნობილი აღმართი. ცერემონიალს გრიგოლ ორბელიანი ხელმძღვანელობდა. სამხედრო გზით რუსეთისა და ევროპის ქვეყნების სასწავლებლებში რჩეული ქართველები მიემგზავრებოდნენ. ეს გზა თერგდალეულებმა ქართული კულტურის უკვდავსაყოფად გაიარეს.

მოგვიანებით, ერთხელ კიდევ 1918 წლის 27 მაისიდან 15 ივლისამდე, დარიალის დასაცავად მოხევეებმა დიდი ბრძოლები გადაიტანეს, რომელიც ბოლშევიკების დამარცხებით დასრულდა. თუმცა ეს ფაქტი ისტორიაში ნაკლებადაა გახმაურებული (წიკლაური 2012:7-10).

სამხედრო გზა ქვეყნის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალია. ის დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ევროპისა და აზიის კვეთაზე მდებარეობს, კავკასიონის ქედზე გადის და თბილისს ვლადიკავკაზთან აკავშირებს.

II თავი

რელიგიური დღესასწაულები ხევში

2.1. ტრადიციული რიტუალები ხევში. გერგეტის წმ. სამება

ხევის სათემო დღესასწაულების განხილვამდე მართებულად მივიჩნევთ სალოცავის, მოხეურად **ხატის** და **ნიშის** რაობის განსაზღვრას.

სამლოცველო, **ხატი** ქვის მშრალი წყობით ნაგებ კომპლექსს წარმოადგენდა, სადაც სხვადასხვა ნაგებობები - სალუდე, საბერო (ადგილი, სადაც დეკანოზი განიწმინდებოდა), მეხატეთათვის განკუთვნილი ქოხები და ბეღელი იყო განთავსებული.

მთიელთა სალოცავს მოხევეებისათვის და გუდამაყრელ - მთიულებისათვის **ხატი**, ხოლო ხევსურეთში **ჯვარი** ეწოდა (ბარდაველიძე 1957:62). სიტყვა **ხატი** (eikone) ქრისტიანული წარმოშობისაა. „ხატი მოქმედებს იმ არსების ძალით, რომელსაც გამოხატავს. ხატში მისი არქეტიპი მყოფობს“..ის ჯვარის მნიშვნელობითაც იხმარება. გამოთქმაში - **ჯვარ - ხატი**, ჯვარი და ხატი სინონიმებია (კიკნაძე 2013:149).

„აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევში ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა და საეკლესიო ცხოვრება ვითარდებოდა“ (ითონიშვილი 2015:137). ხევში მთის წვერებზე აგებული, ჯიხვისა და ირმის რქებით შემკული **ხატები** შემორჩა. ისინი უძველეს ტაძრებთან ახლოს, ან მათ ტერიტორიაზეა აშენებული.

მონადირეები **ხატს** მოკლული ნადირის რქებს სწირავდნენ: „ჩამოხსნეს პავლიას ჯიხვი, რომელსაც მოსჭრეს რქები და ხატს ხვეწნითა და მუხლის მოყრით მიართვეს“ (ყაზბეგი 1985:767). სალოცავის რქებით შემკობა ბიბლიური ტრადიციის გამოძახილია (გამოსვლა 38:1,2).

მთაში **ხატის** შემადგენელი ნაწილი ნიშია, რომელიც ფიქალით მშრალად ნაგებ, ჯვრით გამშვენებულ, მცირე ზომის ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენს. ნიშს ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ადგილია, სადაც ლოცვა - რიტუალი სრულდება, მეორე მხრივ, სალოცავის შესაწირების ერთგვარი „საკურთხეველი“. ნიში - ნიშანთ ნაწილია

(სულხან-საბა 1993:595). ნიშს ტაძრის ნანგრევიდან ან მთავარი სალოცავიდან, **ხატიდან** მოტანილი ქვით აფუძნებენ.

საფიქრებელია, რომ ნიშები, სადაც შესაწირი ქადა, ღვინო და სანთელი მიაქვთ, მთიელთა ყოფაში **ზედაშის** არსებობას ადასტურებენ. **ზედაშე** შესაწირავია **ზედასადმი**, რაღაც ღვთაებრივი ძალისადმი (სურგულაძე 2003:75-76). „საქართველოში შემონახულია როგორც საოჯახო, ასევე, საგვარეულო და სასოფლო შეწირულების - ზედაშის გაღების, მიძღვნის, შეწირვის წესები“ (გუჯეჯიანი 2010:39).

ძველად მოხევე ნიშში შესაწირად მიტანილ ქადას პირველამოღებული კარაქისგან გაკეთებული ერბოთი აცხობდა. სწირავდა აგრეთვე ერთ ბოთლ ნათავედ არაყს. ხევში დღეს შესაწირი არაყი უფრო ხელმისაწვდომი ღვინით ჩანაცვლდა. ერთ ბოთლ ღვინოს აუცილებლად ტოვებენ ნიშთან. ქადას, მართალია, პირველამოღებული ერბოსგან აღარ ამზადებენ, მაგრამ ახლაც ქადას, მთლიანს ან ნახევარს, ნიშს სწირავენ, თუმცა მის გამოსაცხობად შინაური ერბოს ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში, ნაყიდ ერბოს იყენებენ.

ნიშის შესაწირები ტრადიციულ საზედაშე შესაწირებთან პარალელს პოულობს. „ზედაშედ XX ს-ის დასაწყისისთვის სვანეთში არაყი იწოდება“ (გუჯეჯიანი 2010:39).

ხევში არსებობდა საზედაშე ქვევრები. „ჭავჭავაძიანთ ორი ქვევრი დაფლული ყოფილა სამების ეკლესიის იატაკქვეშ, საკურთხევლის წინ. იქვე ყველას ურიგებდნენ ღვინოს, რაც ჭავჭავაძეებს ერთი კვირით ადრე მოჰქონდათ და ქვევრებში ასხამდნენ“ (ითონიშვილი 2015:209).

მიუხედავად ნიშის შესაწირებისა და ზედაშის გაღების შინაარსობრივი მსგავსებისა, სახელწოდება **ზედაშე** ხევში ვერ დავადასტურეთ, რაც შესაძლებელია ისტორიულ - ეთნოგრაფიულ კუთხეებში გავრცელებული სიტყვა ზედაშის მრავალფეროვნებით აიხსნას. ზედაშის სინონიმებია: ოხვამერი (სამეგრელო), დადაშა (საინგილო), სალოცვილი, სათაო, თვეული, ნათავარი (თოფურია 1985:61).

სავარაუდოდ, სიტყვა **ზედაში**ს მოხეური შესატყვისია **საღვთო**. შინაარსობრივად საღვთო, საღვთოს გადახდა გულისხმობდა ღმერთისთვის საკლავის დაკვლას, ქადის, ღვინის ან არყის და სანთლების შეწირვას. თუმცა, ზემოაღნიშნული მხოლოდ მოსაზრებაა და საფუძვლიან კვლევას საჭიროებს.

ხევის სათემო სალოცავები მთის წვერებზე იგებოდა და ძნელად მისადგომ ადგილებს წარმოადგენდა. მთაში ბევრია მიგრაციის შედეგად დაარსებული სალოცავები (თოფჩიშვილი 1984:5-8).

სალოცავისაკენ მიმავალ რთულ და დამღლელ გზაზე ნიშებია აგებული, სადაც მორწმუნეები დროდადრო ისვენებდნენ და ლოცულობდნენ. ისინი, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ადიოდნენ მთის წვერზე, დღესასწაულს მთავარ სალოცავში, ნიშთან აღნიშნავდნენ. მთაში ნიშების დაარსება თქმულებებსაც უკავშირდება.

ხალხურ სადღესასწაულო ციკლში სათემო, სასოფლო და საგვარეულო სალოცავები დასტურდება. მოხევეები სათემო დღესასწაულებს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. ისტორიულად რელიგიური დღესასწაულები არამარტო ხევის თემსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, არამედ ჩრდილოკავკასიელებსაც უყრიდა თავს.

დღესასწაულები ორ ძირითად რიტუალს მოიცავს: **მოლოცვას** და შესაწირის გაღებას, **საღვთოს გადახდას**. მთავარი რიტუალი საღვთო საკლავის დაკვლაა, რომელიც წარმართულ ტრადიციად არის მიჩნეული. რასაკვირველია, ქრისტიანობამ გააუქმა სისხლიანი მსხვერპლი, მაგრამ გარკვეული ლეგიტიმაცია დააწესა. საკლავის დაკვლისას მღვდელი წარმოთქვამდა ლოცვას (კურთხევანიდან). დღესასწაულზე ეკლესიის გალავანთან დაკლულ პირუტყვს გარკვეული ლეგიტიმურობა ახლდა და კურთხეული იყო (კიკნაძე 2013:137).

ხევში ახლა ეკლესია - მონასტრების ტერიტორიებზე საკლავის დაკვლა აკრძალულია, მაგრამ მოხევეები ტრადიციულ რიტუალებს დეკანოზის დახმარებით ასრულებენ. დეკანოზი გახალხურებული ფორმით, მაგრამ საეკლესიო პრაქტიკაში მივიწყებულ საღვთო საკლავის კურთხევის ლოცვის ტექსტს ზეპირად წარმოთქვამს.

დეკანოზს სოფელი აღდგომას ან ახალწელს გვარის მიხედვით მორიგეობით ირჩევდა. ახალ არჩეულ დეკანოზს ლუდის დუღება ევალებოდა. სალუდე ქერი მის გვარს უნდა გაეღო. არჩეული პირი სალოცავში მიჰყავდათ, უხუცესი აიაზმის წყალს ასხურებდა და დეკანოზობას მიულოცავდა. ლუდს ჩამოასხამდნენ, ყველას ყანწებს ჩამოურიგებდნენ, ახალ დეკანოზს დალოცავდნენ და ხატის საგანძურს ჩააბარებდნენ. დეკანოზს ერთი წლით

ირჩევდნენ. მას საერო ტანსაცმელი ეცვა. დეკანოზობა სალოცავის ბეგარად ითვლებოდა და ამიტომ, როგორც **ხატის მსახურებს**, გასამრჯელო არ ეძლეოდათ (მაკალათია 1934:13-14).

წოდება - დეკანოზი საეკლესიო იერარქიიდან მომდინარეა და ხუცესთ - უხცესს ნიშნავს (სულხან-საბა 1991:216). დეკანოზი სასულიერო პირია, რომელიც ისტორიული ვითარების გამო ეკლესიის წიაღს დაშორდა, მაგრამ საეკლესიო ტიტულს ინარჩუნებდა. ეკლესიის მსახურის მოვალეობები გახალხურდა. მართალია, დეკანოზი გარკვეულ ქრისტიანულ ვალდებულებებს აღასრულებდა - წმინდობდა, ლოცულობდა, მაგრამ არსებითად ფორმალური იერარქი იყო, რაზეც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: "მისი მღვდელმსახურება მარტივი იყო და უმთავრესად გამოიხატებოდა სრულიად ბუნდოვანი ფორმულების წარმოთქმაში, სადაც ქრისტიანული და წარმართული ცნებები ერთმანეთში შეუბრალებლად იყო არეული" (ვაჟა-ფშაველა 1937:12).

დეკანოზის ავტორიტეტის გამყარებას ხელი შეუწყო XIX საუკუნეში არსებულმა ისტორიულმა ვითარებამ. რუსი ბლაღოჩინები ბოროტად სარგებლობდნენ მღვდლების გაუნათლებლობით. საქმე იქამდეც მიუყვანიათ, რომ ძნელი გასარჩევი გამხდარა რომელ სარწმუნოებას ეკუთვნოდნენ მოხევეები. „კვირის - კვირობამდინ ზარის ხმას ვერ გაიგონებთ და ლოცვას ვერ მოისმენთ. ერთი მაშინ თუ ნახავთ მღვდლებს შემოსილს, როდესაც ფულის მისაღები წესი სრულდება სადმე" (ყაზბეგი 1950:24). ამ დროს მღვდლის ავტორიტეტი შელახულია და, ბუნებრივია, რომ უპირატესობით ტრადიციების დამცველი საერო პირი, დეკანოზი სარგებლობს, რომელმაც ეკლესიის მსახურის სახელწოდება - მოვალეობები შეითავსა და გახალხურდა.

დეკანოზი ფორმალურად დღემდე შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. იგი ჩვეულებრივი საერო პირია, რომელიც ეკლესიისგან დამოუკიდებლად რიტუალების შესრულებას ცდილობს. მათი მოვალეობები საღვთო საკლავის კურთხევით, ოჯახის ან გვარის დალოცვით და **სისხლით ნათლობის** შესრულებით შემოიფარგლება.

მოხევეთა მთავარი, სათემო სალოცავები **წვერის სპარსანგელოზი და გერგეტის წმ. სამებაა.** სამების ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ - ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია, სამების მთაზეა აგებული და ზემოდან **ხევის პატარძლად** სახელდებული

მყინვარწვერი დასცქერის. ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობა XIV საუკუნის 30 - იან წლებშია აშენებული (სძა 2004:446).

ალ. ყაზბეგის ცნობით, ეკლესია მოხატული იყო, მაგრამ მოგვიანებით „ბეჯითი“ ბლაღოჩინის დამსახურებით შეათეთრეს. გადმოცემით, ტაძრის გუმბათში **პირიღვთისა** იყო გამოსახული (ყაზბეგი 1950:28).

სამებას სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე ყოჩის თავი, ჩრდილოეთით კი უხუცესთა **საბჭეო** აქვს მიშენებული. დღეისათვის სამონასტრო კომპლექსში ეკლესია, სამრეკლო და გალავანი შედის. სამხრეთით მონასტერში მცხოვრები ბერებისათვის სენაკებია განთავსებული.

სამების ტაძრის სიწმინდეთაგან აღსანიშნავია ამინდის მფარველი, ჭედური ე.წ. **საავდრო** და **სადარო** ხატები. საავდროს იმიტომ ეძახიან, რომ მოხევეებს ჰქონდათ ტრადიცია გვალვაში ხატი გამოეტანათ და წყალში განებანათ, რათა წვიმა მოსულიყო და, პირიქით, ავდრის დროს **სადარო** ხატით ელოცათ.

გერგეტის სამების შესახებ რამდენიმე თქმულება არსებობს: ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები დავობდნენ, სად აეშენებინათ ტაძარი. მაშინ ერთ მცხეთელ ბერიკაცს უთქვამს: “მეფენო, ფურბერწი დაჰკალით და მისი სამგორველი (ბარძაყის ძვლის მრგვალი დაბოლოება, მენჯში რომ ჯდება) სოფლის ბოლოს დააგდეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, სამებაც იქ ააშენეთო“. თქმულების მიხედვით, ყორანმა ჯერ ანანურის თავზე დაისვენა და იქ სამების ნიში ააგეს, მერე ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრინდა, სადაც ჯვარი აღმართეს, შემდეგ კი გერგეტში სამების წვერზე ფრინველმა ძვალი გამოხრა და იქვე დააგდო (მაკალათია 1934:226-227).

მეორე თქმულებით, მეფეთა დავის მიზეზი გამხდარა, თუ ვის უნდა ჩაეყარა ტაძრის საძირკველი. ერთ კაცს უთქვამს: “წადით ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართული და იქიდან გამოიქეცით, ვინც სამებაზე პირველად ავა, საძირეც იმან გაჭრას“. ასეც მოქცეულან და ხურთისელი ბაჩხიძე დაწინაურებულა. სამების საფუძველი მას გაუთხრია. ტრადიციულად ყოველ ახალწელს გერგეტელები ბაჩხიძეს ამწყალობნებდნენ (მაკალათია 1934:227).

ტაძრის ასაგები ქვა ხარებს ყანობიდან და ხურთისიდან (სოფლებია) მოუზიდიათ. კალატოზებისთვის წყალი გერგეტის წყაროდან მეცხვარეს ამოჰქონდა. გერგეტში დღემდე მიუთითებენ **კალატოზის წყაროს**. ხალხური თქმულებით, მეცხვარეს სახე წმ. სამების სამრეკლოზე გამოუსახავს. გადმოცემით, მისი ფარა მთაზე უმწყემსოდ ძოვდა და ნადირი არ ერჩოდა. მოხევეები ახალწელს მეცხვარესაც ამწყალობნებდნენ (მაკალათია 1934:227).

„ივერიის ისტორია“ მოწმობს, რომ სამების მთაზე წმ. ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და ჯვარი აღმართა: „ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმინდამან ამან მოციქულმან, აწ არს მას ზედა ეკლესია დიდი მონასტერი წმინდისა მოციქულისა, პირველ - მოწამისა სტეფანესი“ (თეიმურაზ ბატონიშვილი 1848:143).

გერგეტის სამება როგორც უწინ, დღესაც მონასტერია. სამების ტაძარში ქართველთა უდიდესი რელიქვია წმ. ნინოს ჯვარი ინახებოდა. “გერგეთს ზეით არს კალთასა ზედა მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაც ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერ ნაშენი, შვენიერ ადგილს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:114).

„სამების აგება უკავშირდება ხევზე და ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალ გზაზე მონღოლთა ბატონობის შედეგად შესუსტებული გავლენის კვლავ აღდგენასა და გაძლიერებას. ამავე მიზნით მოხდა გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოს მთიანეთში „ძეგლის დადებაც“ “ (სძა 2004:446).

ტაძრის დაცვა თამარ მეფეს (1184-1207) და მეფე ბაგრატს (1360–1395) გერგეტელებისათვის მიუნდვიათ და სიგელი უბოძებიათ, რომელიც დეკანოზებს ჰქონდათ ჩაბარებული, შემდეგ თბილისში ინახებოდა, მ. სუჯაშვილის ოჯახში. ეს ისტორიული საბუთი სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობით მუზეუმშია დაცული:

1. **„ქ: ჩუენ:ღვთივ:გუირგუინოსანმან:**
2. **მეფეთა:მეფემან:ბაგრატ:ესე:მტკიცე: და:**
3. **უქცეველი:ბბა:და:სიგელი:ამისად:ნიშნად:**
4. **გიბოძეთ: თქუენ:გერგეტელთა:საყდარი: შვილთა:**
5. **წმინდისა:სამებისა:მოსამსახურეთა:**
6. **საყდრი:შვილობა:ასრე:და:ამა:პირსა:ზედა:და:**
7. **რომე: თუ ვისმე: თქუენი:განი:კაცი:**

8. შემოაკუდეს:სამ სისხლად:აზღუევინეთ:ამისთუის:

9. რომე:ძუელი:სიგელიცა:გქონდა:

10. და ჩუენთა:გუართაცა:დაემტკიცნეს:

11. ვნახენით:სიგელი:და:გავსინჯეთ:

12. და:დიდი:სისხლი:ეწერათქუენი:და

13. ჩუენცა:ახლად: დაგიმტკიცეთ:ასრე:

14. და:ამა:პირსა ზედან:რომე ვინცა

15. თქუენის ადგილისა:გერგეტელი:კაცი:

16. მოკლას:რა გუარი“

სიგელიდან ირკვევა, „რომ გერგეტელები სამების საყდრის შვილებად ყოფილან და მათ მართლაც დაკისრებული ჰქონიათ მეფისაგან სამების საყდრის სამსახური. ამის გამო გერგეტელის სისხლიც სამ სისხლად ყოფილა შეფასებული“ (მაკალათია 1934:228).

საყდრის შვილობის უფლებებით გერგეტელები XX საუკუნის 30-იან წლებამდე სარგებლობდნენ და ტაძარსაც მათი დეკანოზები განაგებდნენ. სამების ეზოში ხევის **საბჭეო** არსებობდა, სადაც თემის უხუცესები და ხევის ბერები სათემო საქმეებზე ბჭობდნენ. საბჭეოს შესახებ ალ. ყაზბეგს საინტერესო ცნობები ჩაურთავს თხზულებებში: „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „ხევისბერი გოჩა“.

ძველად ხევში სამების ბეგარა იყო დაწესებული. რადგან გერგეტელები სამების ტაძარს იცავდნენ, აღნიშნული სამსახურისთვის მოხევეები კომლზე (ოჯახზე) ერთ მათარა ქერს აძლევდნენ. შემოდგომაზე დეკანოზები სოფლებში ბეგარის ასაკრეფად დადიოდნენ. სამების ბეგარისთვის ქერს თითოეული ოჯახიდან კრებდნენ. ბუნებრივია, აღნიშნული ტრადიცია მოგვიანებით აღარ არსებობდა.

სოფ. გერგეტი მდ. ჩხერის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ხევის ერთ - ერთი ძველი დასახლებაა. აქ დღემდე არის შემორჩენლი XVII-XVIII სს-ის კოშკური და ბანიანი სახლები. გერგეტის სამება არამარტო ხევისა და მთიულეთის, ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანთა კულტურულ - რელიგიური ცენტრიც.

გერგეტში არსებობს უდაბნო **ნაბერალნი**, რომელსაც საძოვრად იყენებდნენ. აქ იდგა ქვის ჯვარი, რომელიც წმ. ანდრია პირველწოდებულს აღუმართავს (თეიმურაზ ბატონიშვილი 1848:143).

ნასოფლარ **ქობთან** არსებული ***კვირიკეს ნიში*** დღეს ქვების გროვადაა ქცეული. სოფლის დასავლეთით, სამების მთის დავაკებაზე ფიქალით ნაშენი **ნინოწმიდის** სალოცავია შემორჩენილი.

სოფლიდან დასავლეთით გერგეტის ტყეში ***ოხარეშის წმ. გიორგის*** მცირე ზომის ეკლესიაა. ***ოხარეში*** ამაღლების **ხატი** იყო, მაგრამ წმ. გიორგიდ ლოცულობდნენ.

2.2. ახალი წელი გერგეტში

გერგეტის სამებაში დღესასწაულს სამჯერ - **ახალწელს**, **მარიანობას** და **ფერისცვალებას** აღნიშნავდნენ. დღეისათვის ხსენებულ დღესასწაულებს **გერგეტობა** შეემატა.

14 იანვარს, ახალწელს დეკანოზებს **სამების საღვთოს** გადახდა ევალებოდათ. პურზე და სასმელზე თვითონ უნდა ეზრუნათ, საკლავისთვის კაცზე მანეთს აგროვებდნენ. გერგეტის ტყის მახლობლად, **სალუდე კართან**, გამოქვაბულში, სპილენძის დიდი ქვაბი ინახებოდა, რომელშიც საახალწლოდ ლუდს ხარშავდნენ. ლუდი მთელი სოფლისათვის იხარშებოდა და თანაბრად ნაწილდებოდა.

სადღესასწაულოდ დეკანოზები გერგეტელებს იწვევდნენ, მერე წილს ყრიდნენ. ყველა დეკანოზი წილხვდომილ ოჯახს სახლში მიიპატიჟებდა და უმასპინძლდებოდა.

ახალწელს ადამიანების დამწყალობნება (დალოცვა) პატივად ითვლებოდა. სამებაში საუკუნოვანი ტრადიცია არსებობდა მეფის მსახურის იასე ხეთაგურის მოხსენიებისა. თქმულების მიხედვით, იასეს მეფე ვახტანგ გორგასალმა სამი სოფელი: გარბანი, სიონი და თოთი უწყალობა. იასემ მეფეს საჩუქარზე უარი შებედა და სთხოვა - არაფერი მინდა, მხოლოდ ყოველ ახალ წელს ჩემი სახლის წინ წმიდა სამების ტაძრიდან გამობრძანებული დროშები ჩაატარონო (ჯანელიძე 1989:59).

ხეთაგურების ახალწლის (სამების) ნიში სტეფანწმინდაში ხეთაგურების უბანში, ნაეკლესიარზე მდებარეობს. „შენობა გეგმით ოთხკუთხაა, ნაგებია ფიქალით. გარედან

შეთეთრებულია კირით. ნიშს თავზე ადგას ქვის ჯვარი და აწყვია მთის ბროლის ქვები, **ბურბუხჭელები**“ (სძა 2004:431).

ახალწლის დღესასწაულს სამებაში ახლა აღარ აღნიშნავენ, თუმცა დღემდე გერგეტის სალოცავთაგან ***ახალწლის ნიში*** გამორჩეულია. სოფელში 14 იანვარს ძველით ახალ წელს განსაკუთრებულად დღესასწაულობენ, რადგან ზოგიერთი მთხრობელის თქმით უფლის წინადაცვეთის დღეა. ახალი წელი მაცხოვრის წინადაცვეთასთან არის გაიგივებული.

ზემო გერგეტში ***ახალწლის ნიში*** (ძველებური ბანიანი სახლი) დღემდეა მცირედი ცვლილებებით შემორჩენილი. ბოლო ორი წელია სახურავით გადაიხურა, რადგან ოჯახს ბანიდან წყალი ჩაუვიდა. ხუციშვილები სახლში დაახლოებით 50 წელია ცხოვრობენ. მანამდე ის ვინმე არაბულს ეკუთვნოდა. სალოცავს არაბულების გრძელ ბანსაც ეძახდნენ. სამებიდან გამობრძანებულ ხატებს სამების საბრძანისის ქვაზე დებდნენ, საბრალა არაბულის ბანის კუთხეში (ითონიშვილი 2015:198).

ახალწლის ნიშს ორი ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ საცხოვრებელია, ხოლო მეორე მხრივ რიტუალური დანიშნულებისაა და სალოცავს წარმოადგენს (იხ. დანართი №1). **სახლ - სალოცავის** სიწმიდეს სახურავის კუთხეში, მარცხენა მხარეს, გერგეტის სამებიდან ჩამოტანილი და კედელში ჩატანებული ოთხკუთხა ქვა განსაზღვრავს. ბანიანი სახლი მთის სალოცავების მსგავსად კირით თეთრადაა გადაღებილი.

ადრე ბანიან სახლთან მთელი გერგეტი იკრიბებოდა. სოფელში მცხოვრებ ახალ პატარძალს ტკბილ ქადას გააკეთებინებდნენ, რომლითაც უხუცესი მოხევეებს ახალ წელს ულოცავდა. ქადას დაჭრიდნენ და მისი მცირე ნაწილი ყველას უნდა რგებოდა.

საახალწლოდ სახლში ჯვრიანი პურის **ყორბეულის** შეგორება იცოდნენ (ითონიშვილი 2015:171). “მეკვლე ახალ წლის დილაზე რო შამაგიკვლევს, ყორბეული - საკვლევი უნდა შამააგორას შამასვლის უმალ და დაიძახას: ფეხი ჩემი, კოლი ანგელოზისა“ (ღუდუშაური 2011:96).

ტრადიციულად, უხუცესი სახლთან მოახლოებულ, დღეობაზე მისულ სტუმრებს ბანიდან კანფეტებს უყრიდა და ლოცავდა. ტკბილეულის ხელში ჩაგდების მიზნით თამაში

ყურწიწკნაი (ხუმრობით ერთმანეთს ყურებს აწიწკნიდნენ) იმართებოდა, რაც საერთო მხიარულებას იწვევდა. მეორე დილით, დიდი თუ პატარა, ფერხულში ჩაებმებოდა.

დღეისათვის დღესასწაულზე გერგეტის სამებიდან დაახლოებით თხუთმეტ-ოც ხატს ჩამოაბრძანებენ და ნიშთან დაასვენებენ, რასაც ფონად სიმღერები - მოხეური **დიდება** და **გერგეტულა** გასდევს.

გერგეტულას უმთავრესად სოფ. გერგეტში ასრულებენ, სახელწოდებაც აქედან მომდინარეა (ითონიშვილი 1960:263). „გერგეტულა, რომელიც ძალიან მუზიკალურის და დამშვიდებული ხმით დაიწყობა და თანდათან აუჩქარებენ“ (ყაზბეგი 1950:47).

სახლთან შეკრებილ სტუმრებს ბანიდან კანფეტებს უყრიან და ახალწელს ულოცავენ. ოჯახის პატარა წევრები, ხუთი - ექვსი წლის გოგონები, სტუმრებს ეგებებიან და **აქათკე, აქათკეს** (აქეთკენ) ძახილით სახლში იწვევენ.

ნიშის საკრალური ქვა სახურავთანაა ჩატანებული და ზედ რამდენიმე ჯვარია დასვენებული, ამიტომ კედელს კიბეს მიუდგამენ, კიბეზე ადიან და სანთლებს ქვასთან ანთებენ. მამაკაცები ქუდებს მოიხდიან, იქვე ღვინით სავსე **კოკოშაით** (ხის სასმისი) ან პატარა ყანწით დაილოცებიან და ერთმანეთს მშვიდობიანი წლის დადგომას უსურვებენ.

სადღესასწაულოდ დიასახლისი ქადას აცხობს. საფუვრიანი ცომით გამომცხვარი ქადის გული ერბო - შაქრიანია. ქადას ნიშთან ჯვრულად დაჭრიან, მერე დააქუცმაცებენ და ყველას უნაწილებენ. სტუმრად მისულებს ოჯახში ტრადიციულად ბევრი ტკბილეული მიაქვთ. მოლოცვის შემდეგ **სახლ - სალოცავის** ფართო აივანზე სუფრას შლიან, უფროსები და ახალგაზრდები ცალ - ცალკე სხდებიან და მოილხენენ. დიასახლისს სუფრასთან იხვის საცივი მიაქვს. მამაკაცები ღვინოს და არაყს სვამენ. სუფრის წევრები ხევის მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ფეხზე წამოდგებიან და ნიშთან დასვენებულ ხატებს **დიდების მღერით** კვლავ სამებაში გადააბრძანებენ. ხატებთან მიახლება მხოლოდ ფხიზელ მამაკაცებს შეუძლიათ. ეს წესი ხევში მკაცრადაა დაცული.

ახალწლის ნიში სამების ახალი წლის ძველი სადღესასწაულო ტრადიციის უტყუარი დასტურია. მართალია, სამებაში ის აღარ აღინიშნებოდა, რადგან საუფლო დღესასწაულთა ციკლით ჩანაცვლდა, მაგრამ ცხადია, გერგეტს ტრადიციის სახით შემორჩა. **დღემდე ბანიან**

სახლში საახალწლო თავშეყრა სიმბოლურად განასახიერებს ძველად გერგეტელთა, როგორც განსაკუთრებულ სტუმართა (სამების ყმათა), მასპინძლობის ტრადიციას.

2.3. გერგეტობა, სიყვარულის დღესასწაული

გერეგეტის წმ. სამებაში 34 წელია **სიყვარულის დღე** აღინიშნება, რომელიც 1980 წლის 16 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დააარსა.

გერგეტობას სამებაში სადღესასწაულო წირვა აღესრულება. ტაძრისაკენ მიმავალი გზა დილიდანვე ტრანსპორტითაა გადატვირთული. არსებობს საცალფეხო ბილიკი ფეხით ამსვლელებისათვის. თბილისის სხვადასხვა ტაძრებიდან ჩამოსული მგალობელთა გუნდები სამების აღმართს გალობით აივლიან.

2015 წელს გერგეტობის სადღესასწაულო წირვა მეუფე იეგუდიელმა (ტაბატაძე) აღავლინა. ხევში ტაძრის მოსალოცად ჩამოდიან: იმერეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, ვლადიკავკაზიდან, ევროპიდან და ამერიკიდან.

მორწმუნეები სამების ეკლესიას მოილოცავენ და სანთლებს ანთებენ. დღეობა სანახაობრივად მნიშვნელოვანია. გზად პილიგრიმებს შეხვდებით, რომლებიც ფეხშიშველი, ხატებით ხელში წმ. სამების ტაძრისაკენ მიემართებიან;

სამების მინდორზე მცირე ბაზრობა იმართება, სადაც ხელთნაკეთი ნივთების შეძენაა შესაძლებელი. გასაყიდად გამოაქვთ მოხეური თექა, ხის ნაკეთობები, სასმისები, სამკაულები და სათამაშოები. ზოგადად, დღესასწაული კულტურული ტურიზმის ჭრილში საინტერესოა.

სამების დიდ მინდორზე წელს დოღი არ გამართულა. ადგილობრივებისთვის ცხენი, რომლითაც უწინ მთიელები თავს იწონებდნენ, შემოსავლის წყარო გახდა და ტურისტებზე აქირავებენ. დღესასწაულზე ძირითადად ახალგაზრდები იკრიბებიან და მხიარულობენ. გალობენ, მღერიან მთის სატრფიალო ჟანრის სიმღერებს. ტაძრამდე ფეხით მიმავალი ადამიანები გზადაგზა ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ. ადგილობრივები ამბობენ - **გეწეოდეთ!** სტუმრის გამოცნობა ადვილია დალოცვით - შეგეწიოთ!

სტეფანწმინდაში, ბაღსა თუ სკვერში, ჯგუფ - ჯგუფად იკრიბებიან, სვამენ, მღერიან და მოილხენენ. საღამოს სამების მინდორზე ტურისტები კარვებს შლიან. ადგილობრივები ოჯახებში ბრუნდებიან.

გერგეტიდან გზა ბეთლემისაკენ მიდის. ბეთლემის მიდამოებში მიმოფანტული ლოდები და ცამდე აზიდული მყინვარწვერი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანებზე და, რა გასაკვირია, რომ ალპინისტებისათვის მიმზიდველი ადგილია.

მოხევეებს განსაკუთრებულად სწამთ **მყინვარის წმ. გივარგი** და **ბეთლემის ყოვლადწმიდა**. ბეთლემის კომპლექსი განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. გამოკვეთილია მოწითალო ანდეზიტის კლდეში (სძა 2004:445).

მემატიანე მოგვითხრობს, რომ „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი, ფრიად მაღალსა კლდესა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს. რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გადმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:115).

ძველად მყინვარის მიდამო წმიდა და ხელშეუხებელი იყო. მის კლდოვან კალთაზე ბეთლემის ბერების სავანე გახლდათ, რომლის ჯაჭვშებმული კარი სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობით მუზეუმშია დაცული.

ბეთლემის შესახებ არაერთი თქმულება არსებობს. ბეთლემის წინამძღვრი სტეფანე ბერი ყოფილა. ერისკაცობაში მას ღრუბელა რქმევია. ღრუბელა ხევში განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. მას ლამაზი ცოლიც ჰყოლია; ღრუბელასთვის ეს ლამაზი ცოლი ჩერქეზ ბატონს მოუტაცია და მდევრობის დროს ქალი ჭრილობისგან გარდაცვლილა. ღრუბელა ამდგარა და ბეთლემის მონასტერში ბერად აღკვეცილა, მაგრამ ერთ მწყემს ქალს თვალი დაუდგამს ღრუბელასთვის და მის მოხიბვლას ცდილობდა. ერთხელ ქალს ბერების აბანოში უბანავია და შეუბილწავს. ხატი გაჯავრებულა და ჭექა - ქუხილი ამტყდარა. ქალს თავი გამოქვაბულისათვის შეუფარებია. ღამე ქალს გამოქვაბულში შემოსულ ბერისთვის მოუკრავს თვალი და უცდუნებია. მეორე დილას მწყემს ქალს უნახავს, რომ ცდუნებული ბერი განდეგილი იყო და არა სტეფანე. დაუკივლია და ხრამში გადავარდნილა. იმ დღიდან ბეთლემის უდაბნოს ნიშნად ცოდვისა მყინვარწვერი დაეყუდა (მაკალათია 1934:241-242).

ბეთლემის ერთ - ერთი ლეგენდა როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“ (ჭავჭავაძე 1985:213).

XVIII საუკუნეში ბეთლემში **მღვდელი იოსებ მოხევე** მოღვაწეობდა. საქართველოს ეკლესიის კალენდარში იოსებ ხუცის, მოხევის, სასწაულთმოქმედის ხსენების დღედ 7/20 ოქტომბერია დადებული. წმიდა მამა 1763 წელს აღესრულა. იოსებ მოხევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მოღვაწეობის დროს წმინდანად შეირაცხა. საეკლესიო კალენდარში 1948 წლიდან მოიხსენიება (ეკლესიის კალენდარი 1948:56).

2.4. ფერისცვალება

ფერისცვალებაზე შედარებით მწირი ეთნოგრაფიული ცნობები გვაქვს შემონახული. გერგეტში დაგვიდასტურეს, რომ ფერისცვალებას ძველად, ხოლო მოგვიანებით **მარიანობას** აღნიშნავდნენ. დღესასწაულზე 19 აგვისტოს სამებაში ადიოდნენ და ლოცულობდნენ, სანთლებს ანთებდნენ, საღვთო საკლავს კლავდნენ და მოილხენდნენ.

ა. კობაიძემ ფერისცვალების დღესასწაულის საინტერესო, ემოციური ფრაგმენტი შემოგვინახა. ფერისცვალებას ფერხულს აბამდნენ: „გერგეტში ფერისცვალებას ჩაბმულიყო ფერხულში განსვენებული თეთრ - წვერა ალექსანდრე (მოჩხუბარიძე) და მღეროდა ლექსსა არაგველებისას“ (კობაიძე 2012:140).

19 აგვისტოს ყველა გერგეტელი სამებაში წირვა-ლოცვას ესწრება. ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. შეძლებისამებრ შეეწევიან მონასტერს. ამ დღისთვის დამახასიათებელი არ არის დიდი სუფრა, მაგრამ ცალკეულ ოჯახებში თუ **საღვთო საკლავს** კლავენ, სტუმრებს ეპატიჟებიან და მოილხენენ.

2.5. მარიანობა

28 აგვისტოს **მარიანობის** (მარიამობის), ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული იმართება. ძველად დღესასწაულზე სტეფანწმინდაში დიდი ბაზრობა იმართებოდა (ბარადაველიძე 1966:6).

საინტერესოდაა აღწერილი 1930 წელს ხევში **მარიანობის** აღნიშვნის ტრადიცია: „ღამის სათევად მლოცველებმა 27 აგვისტოდან დაიწყეს სამებაში ასვლა. მიუხედავად ავდრებისა, ბევრი მლოცავი მოვიდა, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან. აქ იყვნენ რუსები, ოსები, ბერძნები, სომხები, ქისტები და სხვა. ტაძრის ეზოში დეკანოზები ხალხს ამწყალობნებდნენ. დეკანოზთან მიდიოდნენ ქადითა და საკლავით. ცხვარსა თუ კურატს იქვე კლავდნენ. ქალები ტაძარს მუხლისკვერა უვლიდნენ, ზოგმა თეთრი დროშით ბავშვი

შემოატარა და ტაძარს ბამბის ძაფს არტყამდა და სხვა. დილით ცხრა საათზე დეკანოზებმა დროშები და ღვთისმშობლის ხატი გამოიტანეს, დაიძახეს „დიდება“ და ტაძარს სამჯერ შემოუარეს. შემდეგ მხვეწარმა სამების კარის წინ მუხლი მოიყარა და დეკანოზმა ისინი დალოცა“ (მაკალათია 1934:230-231).

გერგეტელი ფატი ბაზალი-სუჯაშვილი (83 წლის) **მარიანობის** წინასადღესასწაულო მზადების პროცესს აგვიწერს. გვიმხელს ქადის მომზადების წესს: „გამოვაცხობთ ქადასა ერბოთი, ფქვილით და ყველით. **ხატისთვის** ყველიანი ქადა ცხვება“. მერე მოხეურ **პივაის** ვამზადებთ: „სახლში ვაკეთებთ. შავ პურს დავწობთ (დავწვავთ) სკავრადაზე (ტაფაზე), მერმე სვე და შაქარი უნდა. 1 ვედრო (სათლი) წყალზე 1 ჯღი (ბღუჯა) სვე და 1 კგ. შაქარი. ოთხ-ხუთ დღეჩი კეთდება. ფუვილით სვე აფუვდების. ქერის სხო ლუდია, იმას ხევსურები აკეთებენ“.

მარიამობის სადღესასწაულო ტრადიციაში ბეთლემის ნიში დომინირებს, სადაც ახალშეძენილი ვაჟების მშობლებს საწირ - საკლავი მიჰქონდათ. ნიშთან დეკანოზი ვაჟებს ამწყალობნებდა. მოხევეებს სწამთ, რომ ბეთლემის მღვიმე წმ. გიორგის საბრძანისია (ქერაშვილი 2012:108). დღეობაზე საღვთო საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს სცხებენ.

ხევში და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ზოგიერთ სალოცავში **სისხლით ნათლობის** ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი (იხ. დანართი №2). საღვთო საკლავის სისხლით შუბლზე ჯვრის გამოსახვა გვიანდელი ქრისტიანული დანამატია. სისხლით განწმენდის რიტუალი ძველ ებრაულ წესს მოგვაგონებს. ძვ. აღთქმის მიხედვით, ღმერთმა, ეგვიპტიდან გამოსვლის წილად ებრაელებს ასწავლა, ყველას თითო საკლავი გამოერჩია ფარიდან, დაეკლა და მისი სისხლი წაეცხო“ (გაბური 2008:43).

სისხლით ნათლობის მაგალითებს ვხვდებით ბიბლიაში, ძვ. აღქმის წიგნებში: **გამოსვლა**, **ლევიანი**, **ნეშტთა**;

პირველი ნათლობა დაბადებიდან ერთ წლამდე ასაკში სრულდებოდა. ნათლობას რომელიმე დიდ დღეობაზე აღასრულებდნენ, ამ დროს **ხატის** დარბაზიდან **ჯვარ - ბორაყს**, ეკლესიის დროშას გამოაბრძანებდნენ. ნათლობა დროშის წინ სრულდებოდა, რომელიც **სახატე კოშკზე** იყო დაბრძანებული. მოსანათლი ბავშვი და საკლავი (სანათლავი) კოშკთან დაბრძანებულ დროშასთან მიჰყავდათ. დაკლული საკლავის სისხლით ბავშვს გულსა და

შუბლზე ჯვარს წასცხებდნენ. მთიელების რწმენით **სანათლავის** სისხლის წაცხებით მონათლულს გვერდში ანგელოზი ამოუდგებოდა (ბარდაველიძე 1957:126-127).

სისხლით განათვლა გულისხმობდა „საკლავის სისხლის წასმის საშუალებით ადამიანის განწმენდას, ორგანიზმიდან ავი სულის განდევნას და მისთვის მფარველი სულის მინიჭებას“ (ბარდაველიძე 1957:127). მაგრამ, აქ, არსებითად, პირველ ნათლობაზე ვსაუბრობთ, მთიელები კი სალოცავში პერიოდულად ინათლებიან, ერის ადამიანები დიდ დღესასწაულებზე წელიწადში ერთხელ, **ხატის მსახურები** რამდენჯერმე. პერიოდული ნათლობის მიზანი იყო განემტკიცებინა პირველი ნათლობით ადამიანსა და მფარველ სულს შორის დამყარებული კავშირი“ (ბარდაველიძე 1957:127).

მფარველი სული გარკვეულ კავშირშია სისხლთან, რომელიც სასიცოცხლო ძალად და ადამიანის ერთ - ერთ სულად იყო წარმოდგენილი. საფიქრებელია, რომ **სანათლავი** ყოველთვის ცხვარია ქრისტიანობაში მაცხოვრის ერთ - ერთი სიმბოლო, რომლის სისხლით მთაში ნათლობას აღასრულებდნენ. ძვ. აღთქმაში სისხლი, როგორც სიცოცხლე, ღმერთს ეკუთვნის (ალავერდაშვილი 2007:111).

მთიელთა სადღესასწაულო ნათლობის ტრადიცია ისტორიულ ჭრილში სხვაგვარად ვლინდება და გარკვეულ ახსნასაც პოულობს. გადმოცემით, ერეკლე მეფემ გუდანის ჯვარში მეფური პატრონობის და მფარველობის დასტურ ორმოცდაორი ხევსური ბავშვი მონათლა. ნათლობის ეს აუცილებელი პირობა ტრადიციად შემორჩა (კიკნაძე 2013:148).

მარიანობის დღესასწაულზე დამწყალობნებისა და საღვთო საკლავის დაკვლის შემდეგ **სიფროს** (სუფრას) შლიდნენ. მღეროდნენ **დიდებას** და **გერგეტულას.** წმ. სამების სადიდებლად:

„დიდია წმიდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო,

თავის ყმის გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსო“.

რასაც მოხეურ **სმურს** მიაყოლებდნენ:

„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამან,

ქალაქჩი სიონისამა დარეკამ ზარებისამან.

მცხეთაჩი სვეტიცხოველმა, გადმომცქერელმა მტკვრისამან,

ლომისას თორმეწამემა, პატრონმა არაგვისამან.

მა კობის წმ. გივარგიმ, პატრონმა დიდი მთისამან,

მა ბერმა წმ. სამებამ, პატრონმა ხმელეთისამან,

ივანე ნათლისმცემელმან, პატრონმა ბალღებისამან,

მა ბახტრის წმ. გივარგიმ, პატრონმა მგზავრებისამან“.

პირველ სასმისს მოჰყვებოდა მეორე, მეორეს - მესამე და იმართებოდა **სმურები**, ე.ი. ლექსად სიტყვის წარმოთქმა, რომელიც სუფრას „ალაზათიანებდა და სიცოცხლეს მატებდა“ (ყაზბეგი 1985:451).

ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, რომ სამების მინდორზე **ტაშ - ფანდურა**, **ფერხული** და **დალგუდალა** (მუსიკის ხმაზე უწესრიგო ცეკვა) სამი დღე გრძელდებოდა. იმართებოდა დოღი, რომელშიც ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

დღეისათვის, მარიამობის დღესასწაულზე მოხევეები წმ. სამების ტაძარში წირვა - ლოცვას ესწრებიან. წირვის დამთავრების შემდეგ ნაკურთხი სანთლები სამების მინდორზე აღმართულ **მარიანობის ნიშში** მიაქვთ და სწირავენ.

მარიამობის ნიში ან **ქალების ხატი** სამების მინდორზეა აღმართული. მას ღრმა, ერთიანი სასანთლე თახჩა აქვს და თავზე ხის ჯვარი ადგას. დიასახლისებს ქადა ნიშთან მიაქვთ და ჯვართან ჯვრულადვე ჭრიან. რადგან ქადა ძველებურად დეკანოზთან აღარ რჩება, ამიტომ ერთმანეთს უნაწილებენ. ნიშს ფულს სწირავენ. **მარიანობაზე**, როგორც ეკლესიაში ნიშშიც ქალები მანდილით წარდგებიან.

სადღესასწაულოდ ვინმეს თუ საღვთო საკლავი ყავს შეთქმული, ცხვარს დაკლავს. პირუტყვს მარჯვენა ყურს ანთებული სანთლით შეუტრუსავენ. მიუხედავად აკრძალვისა, ხშირად ეკლესიასთან, ან ნიშთან ახლოს კლავენ. გაუტყავებელ დაკლულ ცხვარს სახლში წაიღებენ და სადღესასწაულო სუფრას ოჯახში შლიან.

დღესასწაულზე სამებაში ოჯახში დაცულ ხატებს ააბრძანებენ, საღამოს ლოცვაზე აიტანენ, ეკლესიაში დაასვენებენ და წირვის დამთავრების მერე მამაკაცები სათითაოდ, დიდების მღერით კვლავ სახლში გადააბრძანებენ.

დღეისათვის მარიამობა სადღესასწაულო წირვა-ლოცვაზე დასწრებას გულისხმობს. მოხევეთათვის ტრადიციული **საღვთოს გადახდა** აქტუალურია. ოჯახში სადღესასწაულოდ გაშლილ სუფრასთან პირველად სოფლის დეკანოზს ან გვარის უფროსს მიიწვევენ.

მაგიდაზე მის წინ სანთელს აანთებენ. თამადა ტრადიციულ სადღეგრძელოებს წარმოთქვამს და სუფრასთან წესრიგს ამყარებს.

სასმელის ჩამოტარება ახალგაზრდა **ზეზამდგმურებს** (სასმელის მიმტანი) ევალებათ. ისინი დიდი ბოცებიდან დრეკადი მილით ასხამენ ღვინოს და სუფრასთან მარჯვედ ჩამოარიგებენ. მარიამობას ლუდს აღარ ხარშავენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქალაქში მიდის სამუშაოდ, რამდენიმე სოფელი, ძირითადად, დაცლილია, ამიტომ სტუმრად ჩასულებს კახური ღვინისა და ჭაჭის ყიდვა უადვილდებათ. ზოგჯერ და ისიც საოჯახოდ მოხეურ **პივაის** ამზადებენ.

სუფრაზე დიასახლისების მომზადებული ხაბიძგინები, მხლოვანი, ხაჭაპურები და ნამცხვრები, აგრეთვე თევზეული და სხვადასხვა ხორცით მომზადებული კერძები მიაქვთ, მაგრამ სადღესასწაულო სუფრის წამყვანი **საღვთო საკლავის ხორცის** ჩამოტარების პროცესია. ლანგრებზე მოთავსებული საღვთო საკლავის ხორცის მოზრდილი ნაჭრები სუფრასთან მიაქვთ და თითოეულს სთავაზობენ. ხორცზე უარის თქმა არ შეიძლება, რადგან მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ნაჭერი მაინც ყველას უნდა შეხვდეს.

მარიამობას ხშირად დოღი ეწყობა. თითქმის ყველა ოჯახში მოილხენენ. სტუმრებს ეპატიჟებიან. მღერიან და ცეკვავენ. მთიელებს უყვართ სიმღერა და „მრავალს იმათგანს ჩინებული ხმა და ყურთასმენა აქვთ“ (ყაზბეგი 1950: 46).

2.6. ათენგენობა/სპარსანგელოზობა

მდ. თერგისა და სნოს ხეობის შუა, მთაზე სათემო სალოცავი ***სპარსანგელოზია*** აღმართული. სალოცავამდე რთულად მისასვლელი გზა სტეფანწმინდიდან და სნოდან ადის. XX ს-ის 30-იან წლებში აღწერილი **ხატის კომპლექსი** ასე გამოიყურებოდა: „ხატი სიპი ქვით არის მშრალად ნაგები და შემკულია ჯიხვის რქებით. ხატის ნიშში აწყვია: ბეჭდები, საყურეები, ზანზალაკები და სხვა. იქვე, ოთახებად დაყოფილია ხატის გრძელი შენობა. წინათ ამ შენობაში დაცული ყოფილა ხატის დროშები, ჭურჭელი, სალუდე ქვაბები და ხატის საგანძური“ (მაკალათია 1934:251).

სალოცავში დაცული იყო სპარსანგელოზის ვერცხლის ფირფიტებით შემკული ყოჩი. ის მოგვიანებით სტეფანწმინდის ეკლესიაში ინახებოდა. ეკლესიიდან ყოჩი დაიკარგა და

მხოლოდ მისი საზურგე ჯვარი შემორჩა, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად სოფ. სნოს ეკლესიაში გადაინახეს.

„სპარსანგელოზის ჯვარი ვერცხლისაა...ორივე მხარეზე ჰკიდია თეთრი ლითონის სამკუთხა, დაფანჯრული საყურე. ჯვარი წინათ სპარსანგელოზის ყოჩზე ყოფილა მიმაგრებული, მაგრამ შემდეგში ყაზბეგლებსა და სნოელებს ყოჩის დაუფლებაზე დავა მოსვლიათ და ის გაუყვიათ: ყაზბეგელებს ყოჩი რგებიათ, სნოელებს კი მისი ჯვარი“ (მაკალათია 1934:252).

სპარსანგელოზის დღესასწაულს **ათენგენობასაც** უწოდებენ. **ათენგენობა** ხალხური სადღესასწაულო ციკლია. დღემდე აღინიშნება თუშეთში (ღამბაშიძე 2011:13), ფშავში (ღამბაშიძე 2011:13), ხევსურეთში (ოჩიაური 2005:106), მთიულეთ - გუდამაყარსა და რაჭაში (მაკალათია 1987:86-88). დღეისათვის აღარ აღინიშნება, მაგრამ ხალხური კალენდრით დასტურდება, რომ **ვარდობა** ქიზიყში მაისში, ხოლო პეტერე - პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს ზემო იმერეთში იმართებოდა (ეკლესიის კალენდარი 1948:67).

ათენგენობა მოძრავი დღესასწაულია, აღდგომიდან 98 - 100 დღეს, პეტრე - პავლობის მომდევნო დღეებიდან ერთი კვირის განმავლობაში იმართება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ათენგენობაზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: „შესაძლებელია, ის წარმომგდარი იყოს თემის მარადისობის მნიშვნელობით - ბერძნული ორი სიტყვისაგან - **ანათოს** - უკვდავი და **გენოს** - თემი, რასაც სალოცავის მნიშვნელობა და რიტუალიც მოწმობენ. ამასთანავე მიიჩნევდნენ, რომ დღესასწაული დაკავშირებული იყო ღვთაება **ათარ** - **ანთართან** ან **ანატორთან** “ (მაკალათია 1987:185).

ივ. ჯავახიშვილი **ანატორს** ბერძნული თემების ღვთაება **აპატურიას** შესატყვისად თვლიდა, რომლის განთქმული სამლოცველო შავი ზღვის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა (ჯავახიშვილი 2012:81-82).

ხევსურული ეთნოგრაფიული მასალით, ათენგენა **ჯვართ ენაზე** ვარდის დღეობას ეწოდებოდა (მაკალთია 1985:117). ხევსურეთში დღემდე ორი სახელწოდებით **ვარდობად** და **ათენგენად** აღინიშნება ზაფხულის, უფრო ზუსტად თიბვის დაწყების დიდი ზეიმი. იგივე მდგომარეობა გვაქვს ოსეთში და ინგუშეთში (კლარჯული მრავალთავი 1991:136).

ვარდობის ათენგენობად ჩანაცვლებას თარიღების დამთხვევის გარდა ხელი შეუწყო სიმბოლურმა ფაქტორმა. ადრექრისტიანულ ტრადიციაში წითელი ვარდი ქრისტესთვის ცეცხლზე დამწვარ წამებულთა სიმბოლოდ ითვლებოდა. ირაკლიოპოლის ეპისკოპოსი წმ. ათინოგენი IV საუკუნეში, 311 წელს ქრისტიანთა დევნისას, ქალაქ სებასტიაში აწამეს. ცნობილია სასწაულებითა და ეშმაკების განდევნის ნიჭით. წმიდანი ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებისთვის ცეცხლზე დაწვეს (კლარჯული მრავალთავი 1991:138).

„ათენგენობის პოპულარობა დაკავშირებული იყო გზების გახსნასთან. ამ დროს ბარში მცხოვრებთ საშუალება ეძლეოდათ მთაში დღესასწაულს დასწრებოდნენ. ცხადია, საყმოს წარმოდგენა არ ჰქონდა წმ. მღვდელმოწამე ათინოგენზე, მაგრამ ეს სახელი, ხალხური დღესასწაულის სახელწოდებად იქცა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ - ხატთა სისტემას შეეზარდა (კიკნაძე 2013:141).

ათენგენმა ნაწილობრივ დაიკავა ხალხური დღესასწაულების ადგილი, რომლებიც სათემო, სასოფლო თუ საგვარეულო დღეობათა სამლოცველოებში თიბვა - მკის დაწყების წინ იმართებოდა და ჩვენამდე სხვადასხვა სახით მოაღწია. მაგალითად, ხევსურეთში და ხევში, სადაც **ვარდობაზე** პირდაპირი მითითებები გვაქვს.

საინტერესოა, რომ ათენგენის დღესასწაულზე ემსახურებიან არა წმ. ათინოგენს, არამედ **ხატს**, რომლის სახელობის დღესასწაულიც იმართება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ამბობენ, წმ. მთავარანგელოზ მიქაელის ათენგენი, წმ. გიორგის ათენგენი და სხვ.

ჯვარ - ხატთა სადიდებლებში, ათენგენობა **ვარდის დღეობადაა** სახელდებული:

„დიდება ჰქონდეს შენ ვარდის დღეობას,

გაუმარჯოს რჯულსა საქრისტიანოსას,

მიეცი მადლი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესს,

გაჭირვებულს ხელი მოუმართე,

სნეული გეხვეწება, მოარჩინე და თავის ჯანზე დააყენე.

მგზავრსა და ცხვარ-მეცხვარეს ხელი მოუმართე.

ეგრე ვინმე წმინდა გულით გეხვეწებოდეს, იმასაც დეეხმარე,

შინ მშვიდობა მიეცი, მშვიდობის მგზავრობით ატარე, სნეულს ულხინე.

გაუმარჯვე ხარ-გუთანსა, ნახნავ-ნათესსა მიეცი მადლი და ბარაქა“

(სადიდებლები 1998:162).

სადიდებელში ხაზგასმულია მოსავლის ბარაქა, ნახნავ - ნათესი და თითქოს ცხადყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ აზრს, რომ **ათენგენობას**, **ვარდობის დღის** დღესასწაულს, მცირე აზიაში გავრცელებულ ადონის - აფროდიტეს კულტს უკავშირებენ, რომელიც მცენარეული სამყაროს გამოღვიძებასთან დაკავშირებულ დღესასწაულს გულისხმობდა (კლარჯული მრავალთავი 1991:134). მაგრამ, ათენგენის დღესასწაულს წარმართობასთან ნაკლები შეხება აქვს. „კლასიკურ წარმართობასთან საქართველოს მთიანეთის „წარმართობას“ შეხების საერთო წერტილი ვერ გამოეძებნება. ამ საზოგადოებაში არ დასტურდება წარმართობის არც ერთი ნიშანი“ (კიკნაძე 2013:141).

დღესასწაული სომხურ პრაქტიკაში **ვარდავარის** სახელით არის ცნობილი და გაბრწყინებულ ვარდს ნიშნავს. ქართულის მსგავსად, აღდგომიდან 98-ე დღეს არის დადებული, მაგრამ ფერისცვალების მნიშვნელობით“ (კლარჯული მრავალთავი 1991:136).

ქართულ **ვარდობას** სომხურ **ვარდავარს** უკავშირებენ და ქართულ ტრადიციაში მის შემოტანას სომეხ - ქართველთა სარწმუნოებრივი ერთიანობის ხანაში ვარაუდობენ, მაგრამ, **ვარდობისა** და **ვარდავარის** ეტიმოლოგიური და კალენდარული მსგავსების მიუხედავად, არცერთ ქართულ ძეგლში არ იხმარება ვარდავარი, **ვარდობას** ყველგან ცვლის **ათენგენობა** (კლარჯული მრავალთავი 1991:136).

საგულისხმოა, ქართულ - სომხურ თვეთა და დღესასწაულთა სახელწოდებებთან დაკავშირებული გამოკვლევა. სახელწოდების სომხურიდან ნასესხობა გამორიცხულია, რადგან უძველესი ქართული და სომხური თვეებისა და დღესასწაულების სახელები საშუალო სპარსული დღესასწაულების სახელწოდებიდან მომდინარეობენ. ეს ეხება ვარდობასაც, რომელსაც, **ობა** მაწარმოებელი ერთვის (კლარჯული მრავალთავი 1991:137).

ზემომოყვანილი მოსაზრების დამადასტურებელია, რომ ხევში ათენგენობა არა მხოლოდ **ვარდობად**, **სპარსანგელოზადაც** მოიხსენიება. სპარსანგელოზი იმიტომ დაერქვა, რომ სალოცავში სპას, ჯარს ლოცავდნენ (ქერაშვილი 2012:166). თუმცა კი, ზემოაღნიშნული მოსაზრება ლოგიკურია, მაგრამ ცხადია, რომ მოხევეთა მეტყველებაში **სპათ - ანგელოზის**

ნაცვლად **სპარს - ანგელოზია** დამკვიდრებული, რასაც ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ.

გამომდინარე ზემომოყვანილი მოსაზრებიდან ნათელია, მოხეური ლეგენდის თანახმად, რატომ შედის და მკვიდრდება ხევში სპარსეთიდან მოსული ანგელოზი.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სპარსელთაგან ტყვედ წაყვანილ ქართველთა შორის ერთ - ერთი მოხევის ქალი იყო. სნოში მცხოვრები მზეთუნახავი სეენჯა გოდერძიშვილი (სძა 2004:474). მტრის შემოსევისას ქალი მოიტაცეს და განჯის ციხეში გამოკეტეს. სხვა ვერსიით კი სპარსეთში გადაასხლეს, სადაც შვილი შეეძინა. ბავშვის აკვანთან მჯდარი დაღონებული დედა წვერისანგელოზის დღესასწაულზე ოცნებობდა. ამ დროს ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: ადექი, თაროდან გამოიღე ჩემი საყურე და გზას გაუდექი. დღე მე დაგმალავ და ღამე ჩემი შუქით გატარებ. იქვე ხარიც გაჩნდა, სპარსანგელოზი (რადგან სპარსეთში გამოეცხადა) ხარის რქაზე დაჯდა და ქალს წინ გაუძღვა.

“ხარებთან, როგორც წმიდა ცხოველებთან, დაკავშირებული იყო სხვადასხვა სასწაულჩენა, ამიტომ ისინი ხშირად სალოცავის დაარსების გადმოცემებში ფიგურირებენ“ (აბაკელია 1997:20).

პირველად ქალი სნოში შეჩერდა, მერე წვერისანგელოზში ავიდა. შესაწირის სახით საყურე ყოჩის ჯვარს შეაბა, ხარი შესწირა და სპარსანგელოზიც იქვე დაფრინდა. ამიტომ ხევის სალოცავს სპარსეთში გამოცხადებული ანგელოზის სახელი **სპარსანგელოზი** ეწოდა (მაკალათია 1934:252).

„ვარდობა - ათენგენობის დღესასწაულის აღნიშვნის პერიოდი მოციქულთა მარხვას ემთხვეოდა, ამავე თარიღზე უძველესი ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით შემდეგში მოციქულთა ზოგადი ხსენება დაწესდა, რომელსაც წინ უსწრებდა პეტრე - პავლობა და იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულები“ (კლარჯული მრავალთავი 1991:139).

აღსანიშნავია, რომ ხევში წმ. პეტრე - პავლეს დღესასწაულს 29/12 ივლისს ყუროსთან არსებულ ნიშში საგანგებოდ აღნიშნავდნენ (მაკალთია 1934:234).

სპარსანგელოზობას მთის წვერზე მოხევეები სალოცავად ღამისთევით ადიოდნენ, მიჰყავდათ საღვთო საკლავი, მიჰქონდათ ქადა, ე.წ. **გასტეხელი**. სიტყვა **გასატეხელი**

გამოთქმას **პურის გატეხვა** ეხმიანება. პურის განტეხვა ღვთის სერობის აღმნიშვნელიცაა (აბაკელია 1997:143).

დროთა განმავლობაში ცუდი გზის გამო მოხევეები ვეღარ ადიოდნენ მთის წვერზე და **ათენგენობას** ნიშთან დღესასწაულობდნენ. მლოცველები ნიშთან შეისვენებდნენ, ღამეს გაათევდნენ, შემდეგ მიემართებოდნენ მთის წვერზე აღმართულ სალოცავში. აქედან მომდინარეობს სახელწოდება **წვერის სპარსანგელოზი.**

ალ. ყაზბეგი სპარსანგელოზის ერთ-ერთ სალოცავზე წერს: „გორაზე აეშენებინათ უბრალო ჭაჭების გალავანი და შუაში პატარა ნიში წვერის სპარს-ანგელოზის სახელობაზედ. გალავნის იქიდან გამოჩნდა დროშები, რომელთაც მსუბუქი ნიავი აფრიალებდა. ვაკეზედ მოჩანდა მრავალი ხალხი სხვადასხვა ფერის ტანისამოსში. ერთს ადგილს შეყრილიყო ყმაწვილი ხალხი და გაემართა ტაშ-ფანდურა, მეორე ადგილს დაებათ ფერხული და ასე ატარებდნენ დროს. ზოგიერთებს მიჰყავდათ ნიშთან ბატკნები, იქ ჰკლამდნენ დეკანოზები, დაამწყალობნებდნენ, ღმერთს შეავედრებდნენ პატრონს და სისხლში ამოვლებულის თითით ჯვარს გაუკეთებდნენ შუბლზედ, მერე პატრონები დაავლებდნენ საკლავს ხელს და რბოლით ჩაათრევდნენ საარყე ქვაბთან, სადაც მლოცველთათვის საერთო სადილი მზადდებოდა (ყაზბეგი 1985:767).

სპარსანგელოზში ხეთაგურები, ფიცხელაურები, ჩოფიკაშვილები, ალიბეგაშვილები და გიგაურები **საღვთოს** საგანგებოდ იხდიდნენ. მოხევე ქალიშვილისა და შვილიშვილის თანხლებით სპარსანგელოზის სალოცავში საწირ-საკლავით ერთხელ მაინც უნდა ასულიყო და მოელოცა. ზოგჯერ ფეხშიშველი ადიოდნენ და თავზე ქვას იდებდნენ. შესაწირად სამკაულები მიჰქონდათ. გავრცელებული იყო შანის ტარების ტრადიცია. **შანა**, ერთგვარი ბეჭედი გარკვეული ხნით უნდა ეტარებინა მორწმუნეს, შემდეგ სალოცავისთვის შეეწირა (Гроссгейм 1878:229-230). შანა-სანდო ნიშანია (სულხან-საბა 1993:278).

სახატე შესაწირთა ტრადიცია კარგადაა ასახული მოთხრობაში „მოძღვარი“: “ხატში სხვადასხვა ფერად აჭრელებული ხალხი მიდიოდა და ზოგი ჯვარს იხსნიდა ყელიდან, ზოგი ბეჭედს იძრობდა თითიდან. ზოგი-ვერცხლის უღელს, რომელიც შეთქმისაებრ, მთელს წელიწადს ყელზედ ეტარებინა. სხვებს მიჰქონდათ თასები, აზარფეშები, შანები და სხვა ძვირფასი ნივთები თვლებით მოჭედილი“ (ყაზბეგი 1985:500).

დღესასწაული სხვადასხვა სანახაობით იყო დატვირთული. იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები: ფარიკაობა, დოღი, შეჯიბრი ქვის აწევაში და სხვ. ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს, რიტუალურ ცეკვებს: **ფერხისას**, **სამაია სამთაგანს**.

სალოცავებში ფერხულით და სიმღერით წასვლა იცოდნენ. **ფერხისა** „მრავალთ მობმით როკვაა“ (სულხან-საბა 1993:189). საქართველოში გავრცელებული რიტუალური ცეკვაა, რომელსაც მკვლევარები ბიბლიური სადღესასწაულო ცეკვების მემკვიდრედ მიიჩნევენ (გაბური 2008:65). ფერხისა „რიტუალური ცეკვა წარმოადგენს მიწასა და ზეცას შორის კავშირის, ჰარმონიის დამყარების საშუალებას“ (ალავერდაშვილი 2007:27).

ათენგენობა ღამისთევიანი დღესასწაულია და დღემდე სალოცავში ახალგაზრდები ღამისთევით მიდიან. მიჰყავთ საკლავი. დიასახლისები აცხობენ ქადას, რომელსაც შემდეგ სალოცავში ჭრიან და სტუმრებს უნაწილებენ. მოილხენენ და დოღს მართავენ.

ხევში ათენგენის ორი ძირითადი სალოცავია: სტეფანწმინდის ათენგენის ნიში და სოფ. სნოს ათენგენის ნიში ე.წ. **ნიშმინდორასთან**. რადგან დღეს ისინი სასოფლო სალოცავებია, ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით. ათენგენის დღესასწაულს ხევის სხვა სალოცავებშიც მართავენ. **ათენგენობა** სათემო დღესასწაული აღარ არის, მაგრამ დღემდე ხალხმრავლობით გამოირჩევა.

III თავი

სასოფლო დღესასწაულები ხევში

3.1. ათენგენის დღესასწაული სტეფანწმინდაში

სტეფანწმინდა ხევის „უკანასკნელი ქართული სოფელია და არის საჯდომი ქართველი აზნაურისა, რომელიც თვალყურს ადევნებს სასაზღვრო სოფლებს და მეფის მიერ მიღებული აქვს ყაზბეგის ტიტული“ (გიულდენშტედტი 1962:179).

ისტორიულმა ვითარებამ სტეფანწმინდაში არაერთი გვარის ადამიანს მოუყარა თავი, მაგრამ გამოირჩევა ძირძველი გვარები: ფიცხელაური, ჩოფიკაშვილი, ქუშაშვილი, გურასპაშვილი, მირიანაშვილი და სხვა.

ყაზბეგების კარის ეკლესია სტეფანწმინაში მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის ეზოში საგვარეულო სასაფლაოზეა აღმართული და დასავლეთ აფსიდის წარწერის თანახმად 1809 - 1814 წლებშია აგებული. მუზეუმის ეზოში ალ. ყაზბეგის ქვაში კვეთილი, მყინვარის ფორმის საფლავია. ეკლესიის სამხრეთ - დასავლეთით XIX საუკუნის სამრეკლო დგას. გამომდინარე მდებარეობიდან, ტაძარი პირველი მასპინძლობს ტურისტებს.

გერგეტლების მსგავსად სტეფანწმინდელებიც თავს სამების ყმებად თვლიან, რადგან სოფ. გერგეტი 1966 წლიდან დაბა ყაზბეგს (სტეფანწმინდას) შეუერთდა.

სტეფანწმინდაში ე.წ. ყანებში, (ადრე დიდი რაოდენობით ქერი მოჰყავდათ), გაშლილ მინდორზე, კირით გადაღებილი ქვა - ჯვარია აღმართული, რომელსაც ადგილობრივები ათენგენის ნიშს ეძახიან (იხ. დანართი №3).

ათენგენის/სპარსანგელოზის მთავარ სალოცავში გზის სიშორის გამო, ბუნებრივია, ყველა ვეღარ ადის. ამიტომ სტეფანწმინდელები დღესასწაულს ნიშთან მართავენ.

ამბობენ, სალოცავი იმიტომ დაარსდა, რომ ადრე წვერის სპარსანგელოზში ასვლისას ქალს აკვნით ბავში მიჰყავდა, აკვანი დაგორებია და სადაც გაჩერებულა, იმ ადგილზე ნიში დაუარესებიათ. თქმულება მოხეურ სინამდვილეს ასახავს. მთაში წასულ მამაკაცს ცოლი მიჰყვებოდა ხელში აკვნით, აკვანს ბაწრით ხის პალო ჰქონდა გამობმული, რომელსაც მთის ფერდობზე მიწაში ჩაურჭობდნენ ხოლმე. ყოფილა შემთხვევები აკვანის გადმოვარდნისა (კობაიძე 2012:125).

ათენგენის ნიში დაბა სტეფანწმინდიდან სამხრეთ - აღმოსავლეთით მდებარეობს. ის ოთხკუთხა ფორმის ქვისა და ფართომხრიანი ქვის ჯვრითაა გამშვენებული. ქვა - ჯვარს კვარცხლბეკთან, მიწის პირზე, სასანთლე თახჩა აქვს დატანებული. ნიშში თანამედროვე ნაკეთობის სამების ჭედური ხატია მოთავსებული. თახჩაში შეწირული ფული (თეთრები), კანფეტები, ლითონისა და მინის საარყე ჭიქები შეინიშნება. ნიში, ისევე როგორც სხვა მოხეური სალოცავები კირით თეთრადაა გადაღებილი, რომ მკაცრ კლიმატურ პირობებს გაუძლოს და შორიდან კარგად ჩანდეს.

ათენგენის დღესასწაული აღდგომიდან 98-100 დღეს იმართება. თარიღი წმ. ათინოგენის ხსენების კალენდარულ დღეს არ ემთხვევა, რადგან საეკლესიო კალენდარში ხსენებული წმინდანი 16/29 ივლისს მოიხსენიება, ხოლო ძველად დღესასწაული მოძრავი იყო (კიკნაძე 2013:140). მთიელთა ყოფაში დღესასწაულის აღნიშვნის ძველი ტრადიციაა შემონახული.

დღეობაზე სოფლის მცხოვრებნი ნიშთან მოსალოცად დილიდანვე გადიან. მიაქვთ სამი სანთელი, დიასახლისები სამ ქადას აცხობენ და სხვადასხა სადღესასწაულო კერძებს ამზადებენ. მლოცველები სანთლებს ნიშის თახჩაში ანთებენ, ერთი თავმომწვარი სანთელი კი სახლში მიაქვთ. სალოცავს ფულს, ტკბილეულს და სხვადასხვა ხატს სწირავენ.

სალოცავში სამი ქადა მიაქვთ. ერბო - ყველიან ქადებს საფუვრიანი ცომით აცხობენ და ზემოდან კვერცხს ან არაჟანს უსვამენ. ნიშში დიასახლისი მრგვალ ქადას გაჭრის და ნახევარს იქვე ტოვებს, მეორე ნახევარს კი ოჯახის წევრებს უნაწილებს.

საღვთო საკლავს ნიშთან ახლოს დეკანოზი დაკლავს. დასაწყისში ახალგაზრდა დეკანოზი საღვთო საკლავს საგანგებო ლოცვას წაუკითხავს, მარჯვენა ყურს ნიშში ანთებული სანთლით შეუტრუსავს და დაკლულს სალოცავთან ახლოს აღმართულ ძელზე ჩამოატყავებს. საღვთო საკლავს რომ დაკლავს, დეკანოზი ჭიქა ღვინით ოჯახს ან გვარს დალოცავს.

სადღესასწაულო სუფრას დიასახლისები ყანაში შლიან. მამაკაცები ღია ცის ქვეშ, ზედსადგარს ცეცხლს შეუნთებენ და ზედ შემოდგმულ დიდ ქვაბში საღვთო საკლავის ხორცს ხარშავენ. მოხარშული ხორცი, სუფრასთან ფართო სინებით მიაქვთ და ნათესავებსა და სტუმრებს უნაწილებენ. საუკეთესო ნაჭრებს გულ - ღვიძლს, თირკმელს და მაჯახალს

(ქვედა ყბა) მოზრდილ თეფშზე აწყობენ, სუფრაზე გვარის უფროსის წინ დგამენ და საგანგებოდ სთავაზობენ. საპატიო ძღვენთან სუფრასთან სანთელს ანთებენ. მოხევეს ისე არაფერი ეგემრიელება, როგორც საღვთო საკლავის ხორცი.

საკლავ - სასმელისათვის ოჯახები ფულს წინასწარ აგროვებენ. სასმელად არაყს ეტანებიან. მოხევე ქალები ხაბიძგინებს, მხლოვანს და ხაჭაპურებს ჯვრულად ჭრიან და სუფრაზე აწყობენ. მოწნული კალათებით ხილს ჩადგამენ და **წოროს** (ცირცელი) წითელი ნაყოფით ამკობენ. გაშლილ სუფრასთან მზის ჩაბრძანებამდე მოილხენენ. ჩაბრძანებამდე, რადგან ხევში არ იტყვიან მზე ჩავიდა და მზე ამოვიდაო. ამბობენ **მზე ჩაბზანდა** და **მზე ამობზანდა**.

დღესასწაულის მეორე დღეს მარჯვე დიასახლისები ხინკალს აკეთებენ, ყანაში მოზრდილ ქვაბს გაიტანენ, ზედსადგარზე შემოდგამენ და ხინკლებს მოხარშავენ. მოხარშულს ლანგრებზე ათავსებენ და ოჯახის წევრებსა და სტუმრებს სთავაზობენ. მეორე დღესაც მოილხენენ. არასადღესასწაულო დღეებში ათენგენის ნიშს ფულს და ტკბილეულს სწირავენ, რომელიც მოხევეთა რწმენით უპოვარებისათვის გაღებული მოწყალებაა.

3.2. ათენგენობა სნოში

სნო მდ. სნოსწყლის ხეობაში მდებარეობს. ისტორიულად არაგვის საერისთავოში შედიოდა. გადმოცემის თანახმად, მეფე ვახტანგ გორგასალმა ერთგულ მსახურს სნოს შვილი მოუნათლა. ბავშვს სახელად ღუდუშა დაარქვეს და საღუდუშაუროს ისტორიაც აქედან მომდინარეა.

ღუდუშაურები ისტორიულ წყაროებში VI საუკუნიდან იხსენიებიან. XVI-XVII სს-ში არაგვის ერისთავებს ღუდუშაურები ერთგულად ემსახურებოდნენ. განსაკუთრებით ხევის მოურავმა შიოლა ღუდუშაურმა გამოიჩინა თავი, რის გამოც ერისთავმა აზნაურობა უბოძა. სნოს ციხე XVI-XVII სს-ის მიჯნაზე შიოლა ღუდუშაურის დაკვეთით აშენდა (სძა 2004:472). მოხეურ ხალხურ სიტყვიერებაში ციხის საქებარი არაერთი ლექსია გამოთქმული.

სნოს სალოცავებია: 1. დარყის წმ. გიორგის კომპლექსი 2. კვირეღვთისშვილის ნიში 3. ნადარბაზევის ეკლესია 4. წვერის სპარსანგელოზი

სნოს მთავარი სალოცავი **ათენგენის** სახელს ატარებს და **ნიშმინდორასთან** შემაღლებულ კლდოვან გორაკზე დგას. ნიშამდე ფეხით ხის ხიდია გადასასვლელი. ათენგენის სალოცავი ოთხკუთხა ფორმის ქვის ნიშია და ჯვრით არის გამშვენებული.

ათენგენობას დღემდე განსაკუთრებულად აღნიშნავენ. დღესასწაული მოძრავია და ყოველ წელს აღდგომიდან 98-99 დღეს, აუცილებლად ორშაბათს აღინიშნება.

დღესასწაულზე, ორშაბათს, ნიშთან სნოში მცხოვრები ყველა გვარი მიდის მოსალოცად. მოლოცვას **დიდი ხუთშაბათიდან** ანუ პეტრე-პავლობის მარხვის შემდეგი კვირის ხუთშაბათიდან, ჯერ ხართიშვილები და ვარძუკაშვილები, მეორე დღეს კი ღუდუშაურები იწყებენ. სოფელში მცხოვრები სხვადასხვა გვარები ნიშთან მოსალოცად სათითაოდ მიდიან (იხ. დანართი № 4).

ორშაბათს ნიშმინდორასთან მთელი სოფელი იკრიბება. იწვევენ სტუმრებს. ამ დღეს კოხტად, მონდომებით ჩაცმული მოხევეები ერთმანეთს მოიკითხავენ. დილიდანვე ნიშში სანთლებს ანთებენ. სალოცავს ფულს სწირავენ. ყველა გვარს და ხშირად ცალკეულ ოჯახსაც მოჰყავთ ცხვარი ან ბატკანი და ტრადიციულად იკვლება საღვთო საკლავი. შერჩეულ საკლავს დეკანოზს მიუყვანენ, დეკანოზი ოჯახის წევრებს დალოცავს და ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა მამაკაცს დასაკლავი ცხვრის ყურს ანთებული სანთლის ალით შეატრუსინებს (იხ. დანართი №5).

სადღესასწაულოდ პირუტყვს მარჯვენა ყურს შეუტრუსავენ, ხოლო საკლავი თუ მიცვალებულისათვის არის განკუთვნილი მარცხენას. საღვთო საკლავთან ქალებს ახლოს არ უშვებენ. ცხვარს მარჯვენა მხარზე წამოაქცევენ და დაკლავენ (იხ. დანართი №6). თუ მიცვალებულისათვის არის განკუთვნილი მარცხენა მხარზე იციან წამოქცევა. საღვთო საკლავის სისხლით დეკანოზი მამაკაცებს შუბლზე ჯვარს გამოუსახავს. ტრადიცია დღემდე აქტუალურია, მაგრამ, ამ რიტუალს მოსახლეობა მღვდლის თანდასწრებით არ ასრულებს.

მღვდელი 3 - 4 საათისათვის მიდის ნიშმინდორასთან ნათლობის ჩასატარებლად და შესაბამისად ცდილობენ საღვთო საკლავის დაკვლის თანმხლები რიტუალი სასულიერო პირის მისვლამდე აღასრულონ. საკლავთან მამაკაცები თითო ჭიქა ღვინით დაილოცებიან.

ნიშმინდორასთან ცეცხლს გააჩაღებენ, ზედსადგარზე მოზრდილ ქვაბს შემოდგამენ და საღვთო საკლავის ხორცს ერთიანად ხარშავენ. ზოგიერთი ცხვრის თავს ნიშთან ტოვებს. მოხარშული ხორცის ყველა ნაწილი გარდა ბარკლისა, რომელსაც დეკანოზს უტოვებენ სუფრასთან მიაქვთ და ახლობლებს სთავაზობენ.

მოხევეები გამოარჩევენ ადამიანს, რომელიც სადღესასწაულოდ დაკლული საღვთო საკლავის ბეჭს სინათლეზე გახედავს და მომავალი წლის ამბებს წინასწარმეტყველებს. ამბობენ, რომ ის ბეჭზე მკითხავი კი არა **მცნობარია**.

ზემოაღნიშნული, მთაში გავრცელებული ტრადიციაა. ფშავში „ბეჭის მცნობარი აიღებდა ცხვრის მოხარშული ბეჭის ძვალს და მოყვებოდა, თუ რა ელოდა ამ ცხვრის პატრონს“ (ბოძაშვილი 1988:88).

საღვთო ხორცის მოხარშვამდე მინდორზე დარყის წმ. გიორგის ბარელიეფთან სუფრას შლიან ოჯახის წევრებისა და სტუმრებისათვის. დიასახლისებს სადღესასწაულოდ მომზადებული სხვადასხვა კერძი მიაქვთ. მამაკაცები სნოსწყალში ღვინით სავსე ბოცებს და საზამთროს აციებენ.

ზოგიერთი გვარი საღვთო საკლავს ნიშთან კლავს (ცხვარს), დაკლულის თავს იქვე ტოვებს და დანარჩენი მთლიანად სახლში მიაქვს. ეს იმ შემთხვევაში, თუ სადღესასწაულო სუფრა ოჯახში იშლება.

ადრე სნოში ნიშმინდორასთან ყველა საგვარეულო ერთად მოილხენდა, მაგრამ ბოლო დროს ერთობლივი ლხენის ტრადიციას თავს არიდებენ, ფრთხილობენ, რადგან ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე უბედური შემთხვევები მომხდარა.

ნიშში ოჯახის უფროსს ან გვარის გამგრძელებელს, დიასახლისის გამომცხვარი ერბო - ყველიანი ქადები მიაქვს, ზოგს სამი, ზოგიერთს - შვიდი (იხ. დანართი №6). რაოდენობას მნიშვნელობა ენიჭება. ქადას საფუვრიან ცომში აცხობენ, ქერქს (ცომს) ზემოდან კვერცხს ან არაჟანს უსვამენ. ქადის გულს ჩვეულებრივ ერბოთი (მარგარინითაც), ფქვილითა და ყველით აზავებენ. დაჭრისას ჯვრულად სერავენ და ერთმანეთს უნაწილებენ. ნახევარ ქადას სალოცავში ტოვებენ.

დღესასწაულზე მთელი სნო იკრიბება და ელოდებიან მღვდელს, რომელიც ყოველ წელს მდ. სნოსწყალში ნათლობის საიდუმლოს აღასრულებს. 2015 წელს ადგილობრივმა მღვდელმა ბევრი ბავშვი მონათლა.

ღრმაა მოხევეების რწმენა სალოცავებისადმი, თუმცა სანახაობრივად დღეისათვის ათენგენის დღესასწაული მწირია. მოლხენის დროს ძველებურად, არც მღერიან და, არც ცეკვავენ. საერთო ჟრიამულს სნოსწყალში ბავშვების ნათლობით გამოწვეული სიხარული იწვევს, როდესაც მღვდელი მოხევეთა ჯანმრთელ მომავალს ქრისტიანობის კარს უღებს (იხ. დანართი №7).

ათენგენობა ღამისთევიანი დღესასწაულია და წინა დღეს ახალგაზრდების ნაწილი სოფლის მთაზე მდებარე ***დარყის წმ. გიორგის*** სალოცავთან ათენებს. დარყის წმ. გიორგი გვიანდელი შუა საუკუნეების კომპლექსია (სძა 2004:472).

„სნოს მთავარი სალოცავებია დარყის წმიდა გივარგი, რაც ღუდუშაურებს და მათთან წილდებულ გელაშვილებს ეკუთვნის. სპარსანგელოზის ხატში დეკანოზობდნენ გოდერძიშვილები, ვინაიდან გადმოცემის მიხედვით ის სპარსეთიდან მოიტანა იქ ტყვედ ნამყოფმა სეენჯა გოდერძიშვილმა. ამიტომ ამ სალოცავში პირველ საკლავსაც გოდერძიშვილები კლავდნენ“ (ითონიშვილი 2015:227).

დარყის წმ. გიორგის შესახებ საინტერესო ცნობებს საარქივო მასალა გვაწვდის, სადაც მთხრობელი ლაზო ესტატეს ძე ღუდუშაური აღნიშნავს, რომ წმ. გიორგის დღეობა აღდგომიდან გამოითვლებოდა, მხოლოდ მერამდენე დღეზე ზუსტად არ იციან და გიორგობას კი ეძახიან. როგორც ჩანს, გიორგობას დარყის სალოცავში 23 აპრილს აღნიშნავდნენ. აღდგომიდან რამდენიმე დღე ზემოხსენებულ თარიღს უახლოვდება. XX ს - ის 60 - იანი წლების ცნობა კარგად ასახავს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გიორგობას 23 აპრილს (ძვ. სტ) დღესასწულობდნენ (ითონიშვილი 2012:161).

ათენგენობა წვერის სპარსანგელოზში კვირადღეს, ხოლო ორშაბათს ***დარყის წმ. გიორგის*** სალოცავში იმართებოდა. ***დარყის წმ. გიორგისა*** და ***სპარსანგელოზის*** **ხატები** მოპირდაპირე მთებზეა აგებული (ბარდაველიძე 1966:99). წმ. გიორგის ნიშთან სალოცავად ბავშვები მიჰყავდათ და კურატთან ერთად თეთრი დროშა მიჰქონდათ. ეს მაშინ, როცა დარყიდან ღამენათევნი ჩამოვიდოდნენ (ბარდაველიძე 1966:60).

სნოში კვირიას რამდენიმე სალოცავია შემორჩენილი. აღდგომის მეორე კვირას, კვირიას ნიშთან, ***კვირესძლობას*** იხდიდნენ და მლოცველი საწირ - საკლავით მიდიოდა. ქალი თუ ავად გახდებოდა, ხელში თეთრი დროშით და ანთებული სანთლით სოფელს შემოუვლიდა, ოჯახში შევიდოდა და ჯამით ფქვილს აჩუქებდნენ. შეწირული ფქვილით ქალი პატარა, პურებს, **ცხრილეულებს** გამოაცხობდა (მაკალათია 1934:248).

ცხრილეული, ცხრეული, ცხრაფურცელა პურებია, რომლებსაც აღდგომიდან მესამე კვირას, კვირესძლობას, **კვირეღვთისშვილის ხატში** აიტანდნენ, კვირიას შეევედრებოდნენ, ცხრილეულებს-ცხრა-ცხრა ცალს ბავშვებს გადმოუყრიდნენ. პატარებს რიტუალური პური ყანაში მიჰქონდათ დასაჭრელად. მოხევეთა რწმენით მომავალ წელს ბარაქიანი ჭირნახული ექნებოდათ (ღუდუშაური 2011:109).

ზემოაღნიშნული წეს - ჩვეულება აღარ არსებობს, მაგრამ კვირიას ნიშში სნოელები აღდგომიდან მესამე კვირას დილიდანვე გადიან სანთლების დასანთებად და მოსალოცად. მიაქვთ ერბო - ყველიანი ქადები, ერთი ბოთლი წითელი ან თეთრი ღვინო. ქადებს ნიშში დაჭრიან და ახლობლებს უნაწილებენ. ჭიქა ღვინით დაილოცებიან. ქალები ლოცვა - ვედრებით სალოცავს გარშემო სამჯერ შემოუვლიან.

კვირიას სწირავენ ფულს, ტკბილეულსა და ხატებს. ოჯახი თუ საღვთოს იხდის, მოიწვევენ სტუმრებს და ნიშთან ახლოს საღვთო საკლავს დაკლავენ. ძირითადად ცხვარს ან ხბოს დაკლავენ. მოწვეული სტუმრებისთვის სუფრას შლიან. გვარის უფროსს თამადად აირჩევენ და საპატიო ადგილზე დასვამენ. უფროსები და ახალგაზრდები ცალ - ცალკე დასხდებიან და მოილხენენ. ქალები ბავშვებს სუფრას ცალკე უშლიან. დიასახლისი მათთვის ცხვრის **გოგლომებსაც** აცხობს და სუფრასთან უნაწილებს. ლხენა საღამომდე გრძელდება.

რამდენიმე წელი სნოში წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერი ფუნქციონირებს. ტაძარი მოქმედია და მუდმივად აღესრულება მღვდელმსახურება.

3.3. აღდგომა სემხის სალოცავში

სემხის სალოცავი სტეფანწმინდიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით, ყოდნის (**ყოდანთ**) ვაკეზეა აშენებული.

სემხისა ყუროსწყლის გაღმა მდებარე კლდის მოგლეჯილ მასივზე დაშენებული ორფერდა გადახურვის მქონე მცირე ზომის ეკლესიაა, რომელიც ფიქალი და ბაზალტის ქვისგან თავდაპირველად მშრალად ნაგებ, ხოლო შემდეგ კარისა და ფანჯრის ღიობებში კირით გამაგრებულ სალოცავს წარმოადგენს (იხ. დანართი №8).

სალოცავი შემოღობილია. გარშემო გალავნის ნაშთები შეიმჩნევა. კლდის მასივზე გამოჭრილ საფეხურებს ტაძრის მცირე ზომის დარბაზისკენ მივყავართ. აღმოსავლეთ მხარეს, კედელთან ტრაპეზია მიდგმული და სანთლების დასანთებად თახჩაა დატანილი. ეზოში სადღესასწაულო სუფრისათვის დიდი ფარდულია გამართული.

სემხისა ფიცხელაურების და ხაიკაშვილების სალოცავია, მაგრამ, როგორც ხევში ამბობენ ხოლმე - სალოცავი ყველასია და დღესასწაულზე მთელი სოფელი იყრის თავს.

გადმოცემით, სემხისას საქონლის გამრავლებას ევედრებოდნენ. მისი დაარსების ისტორიას, სომეხს უკავშირებენ, ალბათ, სახელწოდების ჟღერადობიდან გამომდინარე.

სემხისა ხევსურული სალოცავის **სომხოს** მსგავსია და რაკი სომეხს დაემთხვა არსებობს ლეგენდა, თითქოს სალოცავი ხევსურეთში სომხეთიდან არის თეთრი მტრედის სახით მოფრენილი (ხორნაული 2014:258).

ხევის **სემხის** და ხევსურულ **სომხოს** სალოცავებს წმ. გიორგით ლოცულობენ. ამიტომ, ვეჭვობთ სალოცავების წარმომავლობის იგივეობას.

ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, ხევში სიტყვა **სემხის** წარმომავლობის ორი ვერსიაა გავრცელებული. პირველი ვერსიით **ქიშტური** (ვაინახური) სიტყვაა და **გვიშველე ღმერთოს** ნიშნავს (მთხრობელი მინდია გერონტის ძე არაბული, 32 წლის).

მეორეთი - ადრე არა სემხისა, არამედ **საღრისა** ერქვა. **საღრისას** სიტყვა - ეღირსას მნიშვნელობით გაიაზრებენ. გადმოცემით, სალოცავში ფალოსის ფორმის ქვა იდო, რომელსაც უშვილო ქალები შვილიერებას შესთხოვდნენ. მიდიოდნენ საკრალურ ქვასთან, კოცნიდნენ და ლოცულობდნენ შვილის ღირსნი რომ გამხდარიყვნენ (მთხრობელი - გურამ ვახტანგის ძე ქირიკაშვილი, 62 წლის).

ვ. ბარდაველიძის საარქივო მასალაში მოხსენიებულია **სემღის** ანუ ***ამღის წმ. გიორგი*** - ფიცხელაურებისა და ხაიკაშვილების სალოცავი (ბარდაველიძე 1966:97). **ამღა** უძველესი

სოფელია პირიქითა ხევსურეთში. ფიცხელაურები წარმომავლობით ხევსურები არიან და შესაძლებელია სალოცავი ხევში მათი გადმოტანილი იყოს.

მართებულად მიგვაჩნია, რომ სემ**ღ**ი ან მოხეური სემ**ხ**ი **ამღის წმ. გიორგის** სალოცავია. რადგან, ღ და ხ ერთი რიგის ბგერებს წარმოადგენენ, როგორც ჩანს, მოხდა მჟღერი ღ - ს ჩანაცვლება ხ - თანხმოვნით.

ვ. ბარდაველიძის საარქივო მასალის მიხედვით ***ხედენიშობა*** სემხისას დღეობაა. წმ. გიორგის ეს სალოცავი სტეფანწმინდის აღმოსავლეთით ხედენიშის ხეობაში მდებარეობს. ფიქალის ოთკუთხა შენობის მთავარი ფასადი დასავლეთითაა პირმიქცეული და კედელში სანთლების დასანთებად თახჩა აქვს გამოჭრილი (სძა 2004:431).

სტეფანწმინდის მკვიდრი გურამ ქუშაშვილი მოგვითხრობს, რომ ***ხედენიშობას*** ძველად 20 ივლისს აღნიშნავდნენ და წმ. გიორგით ლოცულობდნენ. ეს ტრადიცია დღეს მოხევეებს აღარ აქვთ, მაგრამ, როგორც ჩანს მნიშვნელოვან სალოცავს წარმოადგენდა, რადგან მაკალათია სტეფანწმინდაში ყუროსთან არსებულ ნიშს საყურადღებოდ მიიჩნევდა: „აქვეა ხედენიშის წმ. გივარგი“, სადაც 20 ივლისს (მკათათვეს) დიდი ხატობა იმართებოდა, რომელიც აღწერილი აქვს ალ. ყაზბეგს „მამის მკვლელში“.

ხედენიშზეა ნათქვამი:

„გაღმა თუშნი ცხენებს სჭედენ იძახიან გალობასა,

ბედრენაი შეესწრება ხედენიშთა ჯორობასა.“

ხალხური თქმულებით, ხედენიშში ღვინით წვიმდა თურმე და თეთრი პურით თოვდა. მაგარამ ერთ უგუნურ დედაკაცს ხედენიშობას ეს ადგილი წაუბილწინებია, ამაზე ხატი გაჯავრებულა და ის მიწაში ჩასულაო. ხალხს აქაურობა გადაუთხრია, მაგრამ ხატი ვერ უპოვნიათ. ბოლოს ხატს მიწიდან ამოუძახია: ნუ იღლებით რამდენსაც თოხს დაჰკრავთ, იმდენადაც მიწის სიღრმეში ჩავდივარო. ამ ნათხარს **გორაის ტბას** უწოდებენ და დღესაც უჩვენებენ. იგი დიდ ორმოს წარმოადგენს“ (მაკალათია 1934:243).

სემხის სალოცავი ხევში ერთადერთი არ არის. არსებობს გარბანის სემღის ნიში და სემღის ყველაწმინდის ტაძარი (მაკალათია 1934:247-248). ზემოაღნიშნულ სალოცავებში აღდგომას გამორჩეულად დღესასწაულობენ. მოხევეებისათვის აღდგომა ხვალინდელ

დღესთანაა გაიგივებული, ამიტომაც ამბობენ **„აღდგომაო, ხვალეო, ხატო, შეგვიწყალეო“** (კობაიძე 2012:70).

მოხეურმა ზეპირსიტყვიერებამ ერთი ლექსი შემოგვინახა: ცოლ - ქმარი ყოფილან. ქმარი ცოლს არ ენდობოდა და ეჭვიანობდა. ამიტომ, ქალმა ქმარს შეჰფიცა. ამ ლექსში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ პირველად ქალი აღდგომას იფიცებს:

„აღდგომამა, დიდმა დღემა,

შაწევნამა კრავლისამა,

იმ პურმა და იმ მარილმა,

იმ ღვინომა ვაზისამა

სახნისმა და საკვეთელმა

გაწევნამა ხარისამა,

ცხრათა ძმათა ჩემთა მზემა

და მეათე მამისამა,

შენს თავს არვინ მირჩევნია,

რა ქნას ფიცმა ქალისამა“ („პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“ 2014:81).

ხევში აღდგომის დღესასწაულის გამორჩეულად აღნიშვნა საეკლესიო პრაქტიკიდან მომდინარეა. დღესასწაულზე სალოცავში ქადის განაწილების ტრადიცია **დიდქადობად** იყო სახელდებული (მაკალათია 1934:229). **დიდქადობაში** ქადის ზომაც იგულისხმებოდა და მნიშვნელობაც. აღდგომა უდიდესი დღესასწაულია და ამ დღისთვის გამომცხვარი ქადა **დიდად** მოიხსენიებოდა.

სოფ. გერგეტში მცხოვრებ ფატი ბაზალს ბავშვობიდან ერთი სააღდგომო ჩვეულება დაამახსოვრდა. ბებია დიდ მარხვაში, ბანიან სახლში, ნაცრით სავსე ტომარას ჩამოკიდებდა და იმდენ ჩხირს შეურჭობდა, მარხვა რამდენ კვირასაც მოიცავდა. ყოველი კვირის თავზე ტომარას თითო ჩხირს აძრობდნენ და შესაბამისად ნაცარი ძირს იყრებოდა. ბავშვებს უხაროდათ ტომრის განლევა, მარხვის მიწურვას რომ მოასწავებდა და ხსნილში გემრიელი ქადის დაგემოვნებას მოუთმენლად ელოდდნენ. „ბებიაჩემი მკაცრი, მარხე, სუფთა იყო. გომარხვინებდა ბებია მასე“ (ფატი ბაზალი-სუჯაშვილისა, 83 წლის).

დღეისათვის, სააღდგომოდ სემხის სალოცავში მისული სოფლის მცხოვრებნი ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ. სალოცავს გარშემო სამჯერ შემოუვლიან ანთებული სანთლებით. დიასახლისის გამომცხვარ მოზრდილ ქადას სალოცავის ტრაპეზზე დებენ და ჯვრულად ჭრიან. მერე, დაჭრილ ქადას ერთმანეთს უნაწილებენ, დაილოცებიან და თან ერთ ჭიქა ღვინოს მიაყოლებენ. სალოცავში შესაწირად მიაქვთ, ქადა, სანთლები და ერთი ბოთლი წითელი ან თეთრი ღვინო. ნახევარ ქადას იქ ტოვებენ და ერთ ბოთლ ღვინოსაც.

სემხის ეზოში მოწყობილ ფარდულში დიასახლისები სუფრას შლიან. მამაკაცები დეკანოზის ან უხუცესის დახმარებით საღვთო საკლავს კლავენ. დეკანოზი საღვთო საკლავს ლოცვას წაუკითხავს, სემხის სალოცავში დანთებული სანთლის ალით ცხვარს ყურს შეუტრუსავს. საღვთო საკლავის სისხლით უხუცესი შუბლზე ჯვარს გამოუსახავს მამაკაცებს და დალოცავს. ხორცს იქვე სალოცავის ეზოში ხარშავენ და სუფრასთან ყველას ეპატიჟებიან. შედარებით ადრე ქვაბიდან გულ - ღვიძლსა და **მაჯახალს** ამოიღებენ, ლანგარზე მოათავსებენ და უხუცესს მიართმევენ, მის წინ ჩადგამენ. სუფრასთან დღემდე იერარქიულობაა დაცული. უფროსები და ახალგაზრდები ცალ - ცალკე სხდებიან. ქალები მოშორებით.

სადღესასწაულოდ დიასახლისები **ხაბიძგინებს**, ხაჭაპურებს და **მხლოვანს** აცხობენ და ჯვრულად დასერილებს სუფრაზე დებენ. ქადა აქ საფუვრიან ცომში მზადდება, ერბო - ყველიანი გულით. ქერქს ზემოდან კვერცხს უსვამენ. რადგან სალოცავის ქადას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მცირე ნაწილი მაინც ყველას უნდა შეხვდეს. სალოცავში დარჩენილ ნატეხ ქადებს სუფრას ამატებენ.

სადღესასწაულო სუფრას სხვადასხვა კერძებით ავსებენ. გამოირჩევა სოკოს კერძი - ჯიმლა. ხსენებული სოკო ყუროს მთის მიდამოებში მრავლდება. მოხევე დიასახლისები დიდ, მოწნულ კალათებს სოკოთი ავსებენ და კარგად დარჩეულსა და გასუფთავებულს ერბოში და ბევრ ხახვში შუშავენ. ადრე ამ სოკოთი ნამცხვარსაც ამზადებდნენ, რომელსაც **ჯიმლოვანაის შამაკრულაი** ერქვა (ითონიშვილი 2015:103).

დღეობაზე შემთვრალი ახალგაზრდები ცეკვავენ, მღერიან და მოილხენენ. განსაკუთრებით ბავშვები მხიარულობენ. ზოგიერთი სადღესასწაულო ეშხით ცხენსაც

გააჭენებს, რაც მერე დოღის დაწყების საბაბი ხდება და რასაც ხელს უწყობს სემხის სალოცავის მიმდებარე ლანდშაფტი.

3.4. ელიაობა ხევში

სტეფანწმინდის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა წმ. ელია/ილია წინასწარმეტყველის სახელობის მონასტერია. სამონასტრო კომპლექსში ეკლესია, სამრეკლო და სარეზიდენციო შენობა შედის. ეზოში ბერების სენაკებია განთავსებული (იხ. დანართი №9).

2000 წელს მონასტერი უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევითაა დაარსებული. წმ. ელიას მთავარი ტაძარი მოხატულია (მხატვარი ბერიკა კბილაშვილი). მონასტრის იღუმენია მამა ეგნატე (ჭიჭინაძე).

მონასტრის გალავნის გარეთ სტეფანწმინდის აღმოსავლეთ მხარეს, ფიქალი ქვისგან ნაგები ოთხკუთხა ფორმის ნიში დგას (იხ. დანართი №10). მთავარი ფასადი დასავლეთითაა პირმიქცეული და სასანთლე აქვს დატანილი. ნიშის თახჩაში წმ. ილია თეზბიტელის ქვის ხატია დასვენებული. ჩვენი წინაპრები წმ. ილიას დარ - ავდარს ევედრებოდნენ.

მამა ეგნატე იხსენებს, რომ ნიშზე დაახლოებით ერთ მეტრ სიმაღლეზე თხის თავის ქალები ეწყო, რომელიც მერე აიღეს. დღესასწაულზე დეკანოზები ნიშთან მოსალოცად მიდიოდნენ და თავიანთ რიტუალებს აღასრულებდნენ (საღვთოს გადახდა). სალოცავთან საღვთო საკლავს კლავდნენ და სისხლით მამაკაცებსა და ბავშვებს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდნენ. დიასახლისებს მრგვალი ერბო - ყველიანი ქადები მიჰქონდათ და ნიშის თახჩაში ჭრიდნენ, ხოლო ნაწილს იქვე ტოვებდნენ. ნიშის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიჭვნარში, ჯგუფ - ჯგუფად შეკრებილი მოხევეები სუფრას შლიდნენ და მოილხენდნენ.

დღეს, წმ. ილია თეზბიტელის ხსენების დღეს 2 (ახ. სტ) აგვისტოს სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსული მოხევეები წმ. ილიას ხატთან, ნიშში სანთლებს ანთებენ. ქალებს ქადა მიაქვთ, რომელსაც ჯვრულად ჭრიან და მიირთმევენ, მაგრამ გამომდინარე სამონასტრო ტიპიკონიდან საღვთო საკლავის დაკვლა მონასტრის ტერიტორიაზე აკრძალულია.

წმ. ელიას მონასტრისა და ელიას ნიშის მოპირდაპირედ, მთაზე, წმ. ნინოს ჯვარია აღმართული. მისკენ მიმავალ ბილიკს თუ გავუყვებით, რამდენიმე მეტრის შემაღლებაზე

დარბაზული ტაძრის ნაშალი გამოჩნდება. იგი მშრალად, ფიქალი ქვითაა ნაგები და გარშემო გალავნის ნაშთები შეიმჩნევა. აქვეა ქვის ნიში, რომელიც ეკლესიის თანადროული არ უნდა იყოს.

ამ, ე.წ. **წითელ ეკლესიასთან** დაკავშირებით, რამდენიმე გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთი გავრცელებული თქმულებით, წითელ ეკლესიას იმიტომ ეძახდნენ, რომ აქ ბერი სტეფანე (ფიცხელაური) მოღვაწეობდა, რომელმაც გმირობა გამოიჩინა და თარგმანის მკვიდრნი წარღვნისგან იხსნა (იხ. დანართი №11).

„სისხლის ეკლესიაა, აქ დიდი ცოდვა-ბრალი მომხდარა უწინ, მაშინ როცა თარგმანი ყუროდან წამოსულმა ლავამ დაიტანა“ (ბარდაველიძე 1966:97-98).

უხუცესმა ილო გიორგის ძე ფიცხელაურმა (93 წლის) სტეფანე ბერის მოღვაწეობა დაგვიდასტურა, რომელმაც ბეთლემის მონასტერში უთანხმოების გამო **წითელ ეკლესიას** შეაფარა თავი. სტეფანე **ღრუბელას** სახელწოდებითაც გვხვდება (მაკალათია 1934:24).

ერთ - ერთი გადმოცემით, **წითელი ეკლესია** იმიტომ დაერქვა, რომ წითელი ფერის ხავსი მოუკრავს და წითლად გამოიყურებოდა. თუმცა კი, დღეისათვის ეკლესიას მუქი ფერის ხავსი ფარავს, მაგრამ, როგორ გამოიყურებოდა, ამის წარმოდგენა შეუძლებელია ძლიერი დაზიანების გამო.

წითელ ეკლესიას ოსურ **წითის ეკლესიასაც** უკავშირებენ, სადაც დარ-ავდარს ლოცულობდნენ. არსებობს ფუნქციური მსგავსება **წითის ეკლესიასა** და ელიას სალოცავს შორის-ორივე შემთხვევაში ამინდს ევედრებოდნენ. ამიტომ, ვ. ბარდაველიძემ გამოთქვა მოსაზრება, ხომ არ იყო დაკავშირებული წითელი ეკლესია ელიასთან?

ჩვენში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ზოგიერთი წმინდანები უშუალო კავშირში არიან ამინდთან. ამინდის რიტუალები, მათი შეცვლის მიზნით იმართებოდა (ღუდუშაური 2008:140).

მოხევეები ამინდს წმ. ელია/ილია თეზბიტელს ევედრებოდნენ. ზოგადად ელიას დღესასწაული გავრცელებული იყო კავკასიის მთიანეთში (Тхостов 1868:12). ელიას თაყვანს სცემდნენ დვალები (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:114-115). ელია ებრაულად ნიშნავს „უფალი არს ღმერთი“ (ბოჭორიშვილი 2013:69).

ქართველებისათვის წმ. ელია თეზბიტელი გამორჩეული წმინდანია, საქართველოში წინასწარმეტყველის ტყავკაბა, თხის ტყავის ხალენია დაცული. „და ესეცა მეუწყა მამისაგან ჩემისა, ვითარმედ არს სხუაჲცა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგი ხალენი ელიაჲსი ამას ქალაქსა შინა და ხელითა ჩუენითა საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე ქვათასა უპოვნელად ვიდრე ჟამადმდე მისა“ (ქართლის ცხოვრება 2008:113).

ზემომოყვანილს, ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს „ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულისა მისს, სამოთხესსა თვისსა, სადაც არს კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ და ხალენი ელიასი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:102).

„წმინდა ილიას კულტში თავს იყრის ქართველთა და კავკასიელთა ყველა ღვთაება ელვა-ქუხილისა, როგორიცაა აფხაზთა აფი, ჩერქეზების შიბლე, ოსების უაცილა“. ელიას ზოომორფულ ატრიბუტად თხა მიიჩნევა (სურგულაძე 2003:274-279).

წითელი ეკლესია ელიას ნიშთან ტერიტორიულად ახლოსაა და ტრადიციულად ორივეს მოხევეები ამინდს ევედრებოდნენ. ცხადია, რომ თქმულებაში მოხსენიებული ღრუბელა - ელია წინასწარმეტყველის ხალხური სახელია. წმ. ილიას/ელიას ხალხური ეპითეტია **ღრუბელთწინამძღვარი** (სურგულაძე 2003:279).

„ღრუბელთწინაძღვარი ელიას შესახებ წარმოდგენებს საფუძვლად „დაბადებაში“ და „სახარებაში“ აღწერილი ილია წინასწარმეტყველის სახე დაედო“ (სურგულაძე 2003:279). მათეს სახარების მიხედვით, ელია იოანე ნათლისმცემლის სახით გამოცხადდა (მათე:11,14).

მოხეურ თქმულებაში ნათლად ჩანს ელიას, როგორც „სიტყვით ზეცის ჩამკეტის“, მახასიათებელი - ღრუბელამ თარგმანის მკვიდრნი წარღვნას გადაარჩინა.

წითელი ეკლესია ძველი სალოცავია, სადაც სტეფანე ბერის, **ღრუბელას** მოღვაწეობა ვლინდება. **ღრუბელა** წმ. ილიას **ღრუბელთწინამძღვრის** ხალხური ეპითეტი უნდა იყოს. წმ. ელიას ამინდის მფარველად მიიჩნევდნენ, სადღესასწაულოდ ეკლესიაში ადიოდნენ, სალოცავს პატივს მიაგებდნენ (რაც გამოიხატებოდა საკლავის დაკვლაში, სანთლების დანთებასა თუ ქადის შეწირვაში), წმიდანს თავს ავედრებდნენ და ძველად არსებული სოფლის - **თარგმანის** სადღესასწაულო ტრადიციას აგრძელებდნენ.

წითელი ეკლესია უმოქმედოა. დროდადრო მოხევეები სალოცავში ადიან, ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. ნიშის სასანთლეში დღემდე შეიმჩნევა სანთლის ნამწვავები და შეწირული ფული.

3.5. ვაჩილობა თოთში

სოფ. თოთი სიონის თემის საკრებულოში შედიოდა. XVII ს-იდან თოთი მიმდებარე ტერიტორიებითურთ ღუდუშაურთა გვარის კუთვნილება გახდა. ამავე საუკუნის დასაწყისში, მოსახლეობის შემცირების გამო არაგვის ერისთავთა მოურავმა შიოლა ღუდუშაურმა თოთში ჩამოასახლა ხულელიძეები, წიკლაურები, ავსაჯანიშვილები, სალბიევები, მირაქოვები. მოგვიანებით სოფელზე თავისი უფლებები სტეფანწმინდელებმა გაავრცელეს. სოფელში ოსებს თავისი სალოცავი **ვაჩილა** ჰქონდათ (ითონიშვილი 2015:193).

გადმოცემით, თოთის მთაზე ოსი შეიხიზნა, რომელსაც ვლადიკავკაზში (ძაუგს) ადამიანი მოუკლავს. კაცს ერქვა თოთი, სოფლის სახელიც აქედან მომდინარეა. შიოლა ღუდუშაურს მთაში დანთებული ცეცხლი დაუნახავს და კაცი გაუგზავნია. სნოს ბატონს ამბავი მიუვიდა, ვიღაცას მთაში თავი შეუფარებიაო. ამიტომ შიოლამ ერთი კომლი ღუდუშაურები ჯაბანეთს ჩაასახლა და ყმად ოსი დაუყენა. **ამანათმა** თოთმა ახალ სამკვიდროში სალოცავი ააგო. ხევში ვაჩილობის ისტორია აქედან იწყება.

ვაჩილას თხას სწირავდნენ, დაკლული საკლავის ხორცს შეჭამდნენ, თხის ტყავს ძელზე გაჭიმავდნენ და დღესასწაულზე თაყვანს სცემდნენ, სეტყვა რომ არ მოევლინა (სურგულაძე 2003:277). **უაც - ილაა** თხის სახელს ვაცს გვაგონებს. **ვაცალაი** დაკოდილი მამალი თხაა ექვსი თვიდან წლამდე ხნოვანებისა (ღუდუშაური 2011:39)

„ვაცილა ოსური სალოცავი იყო, ვაცილობას ანუ ვაჩილობას იხდიდნენ სალბიევები. თავის მხრივ ამ დღეობაში ხულელიძეების მდიდარი ოჯახიც მონაწილეობდა. ისინი ვაჩილობაზე სოფელს საჩუქრად აძლევდნენ ორ ჭედილას. ამ დღეობაზე მთელი სოფელი მოანწილეობდა და ხარჯსაც ყოველი ოჯახი ეწეოდა. თემის სტუმარსაც კომლობრივ ინაწილებდნენ და ქეიფს თითქმის ერთ კვირამდე აგრძელებდნენ“ (ითონიშვილი 2015:194).

ხევში ჯერ ***ლომისობის*** (მოძრავია და აღდგომიდან მეშვიდე კვირას მოდის), მერე ***მამაწმინდობას*** (18 ივლისს), შემდეგ კი ***ვაჩილობას*** დღესასწაულობენ (20 ივლისს).

ვაჩილობა 20 ივლისი (ძვ. სტ) წმ. ილია თეზბიტელის (20/2 აგვისტო) ხსენების თარიღს ემთხვევა.

მოხევეთა რწმენით, **ვაჩილა** კაცია. თოთელი ნათელა ხულელიძე სიზმარს გვიყვება: "ვაჩილა ვნახე. კაცი იყო ულამაზესი. **ბუხრის ქუდი** ეხურა თეთრი კარაკულისა, თეთრი ნაბადი ეცვა. ჩამანოსკილი კუდიანი ქალი მამდევდა უკან. საცა მაგის სალოცავია იქ ვნახე ვაჩილაი, ხელი გამამიწოდა".

ქალი ვაჩილას გამოცხადებას სალოცავში დიდხანს წაუსვლელობას აბრალებდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სოფ. სიონშია გათხოვილი დღესასწაულზე თოთში ვაჩილობას საგანგებოდ ავიდა და შესაწირი გასტეხელი (ქადა), სანთლები და საკლავი წაიმძღვარა.

თოთში მასშტაბურად აღარ იმართება **ვაჩილობის დღესასწაული**. სოფელი პრაქტიკულად დაცლილია. ადგილობრივები სადღესასწაულოდ სანთლებს და ქადებს სალოცავს აუცილებლად სწირავენ. დილით სალოცავში მიდიან და ნაკურთხ სანთლებს ნიშის თახჩაში ანთებენ. მოზრდილ ერბო - ყველიან ქადებს ნიშის თავზე აღმართულ ჯვართან ჯვრულად დაჭრიან და სათითაოდ ოჯახის წევრებს უნაწილებენ. ხაბიძგინებს უსაფუვრო ცომით აცხობენ და ერბოგავსილ ჯამებთან ერთად სალოცავში მიაქვთ. ნიშს ერთ ბოთლ ღვინოს ან არაყს სწირავენ. შესაწირად მიაქვთ ფული, სამკაული და ხატები.

ვინმეს თუ საღვთო აქვს შეთქმული, ვაჩილას უფრო ციკანს დაუკლავენ. საღვთო საკლავს სოფლის დეკანოზს მიუყვანენ, ის ლოცვას წაუკითხავს, ყურს შეუტრუსავს და დაკლავს. დაკლულ პირუტყვს იქვე ნიშთან ახლოს ჩამოატყავებენ. საღვთო საკლავის ერთ ბარკალს დეკანოზს უტოვებენ. დეკანოზი ახალგაზრდაა, რადგან საკლავის დაკვლას ძალა და ენერგია სჭირდება. დეკანოზი ლოცვის ტექსტს საიდუმლოდ, დაბალი ხმით წარმოთქვამს.

დიასახლისები სუფრას შლიან. ხორცი რომ მოიხარშება, სუფრასთან ყველანი ერთად დასხდებიან. დეკანოზთან უფროსები სხდებიან. თამადად გვარის უფროსს აირჩევენ. მის წინ მაგიდაზე კელაპტარს დაანთებენ და საღვთო საკლავის ხორცის გამორჩეულ ნაჭრებს ლანგრით წინ ჩაუდგამენ. სადღესასწაულო სუფრას განსაკუთრებულად არ ამკობენ, მაგრამ **წოროს** ულამაზესი ნაყოფი მოხევეთა სუფრის სილამაზეა. კენკრის წითელი ნაყოფით

ხილით სავსე ვაზებს ამკობენ და სუფრასთან მიაქვთ. ზოგადად, წოროს, ცირცელის ნაყოფს ხევში კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ იყენებენ, დიასახლისები მურაბას ხარშავენ და ზამთრისთვის ინახავენ.

სადღესასწაულოდ კარგ ამინდში სუფრას ბუნებაში, სალოცავთან ახლოს, ავდარში კი ოჯახში შლიან. სოფელში ვინმე თუ ავადმყოფობს და სასოფლო დღესასწაულს ვერ ესწრება დიასახლსიები ლანგარზე ყველანაირ კერძს დააწყობენ და სნეულს **პატივს** სახლში უგზავნიან. ამგვარად, მოხეური სადღესასწაულო ლხენა სადღეგრძელო - სადიდებლებით, სიმღერით და წყალობის გაღებით გამოირჩევა.

3.6. ივანობის დღესასწაული

წმ. იოანე ნათლისმცემლი მოხევეების გამორჩეული წმინდანია. მას ბავშვების (ხიზანთ) მფარველად მიიჩნევენ. ხევში დალოცვისას ამბობენ:

„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამან...

ივანე ნათლისმცემელმან, პატრონმა ბალღებისამან“

ადგილს, სადაც დღეს ნათლისმცემლის ძველი ნიშია, **ნახერეთად** მოიხსენიებენ (მაკალათია 1934:243). **ნახერეთი** ხევსურეთის **გუდანის ნახარელა ღვთისმშობლის** ჯვარს გვაგონებს. „ნახარელა ღვთისმშობელი ადგილის დედა არის. თამარ მეფე რო ყოფილა, იმას რო ციხე უკეთებია, იმის მუშას იქ ჰქონია ბინა. იმის ნაბინაურზე ჩამოსულა დედა ღვთისმშობელი“. ხევსურული ეთნოგრაფიული მასალიდან კარგად ჩანს, რომ **ნახარელა ღვთისმშობელი** ადგილის დედაა გუდანში (ბარდაველიძე 1966:32).

მოხეური **ნახერეთი** - **ნახარელას** მსგავსია, ადგილის დედაა, სადაც მერე წმ. იოვანე ნათლისმცემლის ნიში აუგიათ.

სოფ. სნოდან სტეფანწმინდაში გათხოვილი ფიქრია გოდერძის ასული გრიგოლაძე (42 წლის) სტეფანწმინდაში ნათლისმცემლის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციას გვიყვება: „12 სექტემბერს, იოანე ნათლისმცელის თავის კვეთის დღეს, სალოცავში გადიან ქალები, შესაწირად სანთლები და ქადები მიაქვთ. აბამენ ფერხულს და მღერიან: **„ნათლისმცემლის მამიდასა, ქვეშ გავუშლით ხალიჩასა“**...მერე ფერხულში ჩაებმებიან.

ფერხული სამყაროს წრებრუნვის იდეას გამოხატავს და წესრიგს, ნაყოფიერებას და კეთილდღეობას უკავშირდება (ალავერდაშვილი 2007:78). ჩვენთვის, თვითონ საფერხულო

სიმღერის შინაარსია მნიშვნელოვანი. ვინ არის ნათლისმცემლის მამიდა? **ადგილის დედა** - ღვთისმშობელი? რასაც, საეკლესიო გარდამოცემაც ადასტურებს, ცნობილია წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნათესაური კავშირი (ლუკა:1,36).

საფიქრებელია, რომ ორივე **ნახარელა** და **ნახერეთი** ადგილია, სადაც ხარება მოხდა (ლუკა:1,40-44). ვფიქრობთ, აქედან იღებს სათავეს რწმენა წმ. იოანე ნათლისმცემლის, **ხიზანთ მფარველად** მოაზრებისა: „ივანე ნათლისმცემელი ბავშვების სალოცავია. მთელი ხეობა აქ მოდიოდა. მირიანაშვილები უმასპინძლდებოდნენ არყით, ლუდით. უზარმაზარ სახლში სტუმრებს ათენებინებდნენ ღამეს. დღეობაში სამი წლის ხარი უნდა დაეკლათ“ (ბარდაველიძე 1966:13-14).

ნათლისმცემლის სალოცავი სტეფანწმინდიდან ხუთი კილომეტრით დაშორებულია და სამხედრო გზის მარჯვნივ მდებარეობს. გადმოცემით, ქვა, რომელზეც ნიში დგას, მდ. ყუროს მიჰქონდა, მირიანაშვილმა ამოიღო და გადაარჩინა. ამით მირონი იცხო და გვარი მირიანაშვილი აქედან წარმოიშვა. ამბობენ, ნათლისმცემელის ნიში ამ ქვაზეა აშენებული. ნიშის მახლობლად მირიანაშვილების საგვარეულო სასაფლაოა.

ერთ - ერთი გადმოცემა ნათლად მეტყველებს წმ. იოანე ნათლისმცემელზე, როგორც ქალების მფარველზე: ნათლისმცემლის ხატს ყმები ჰყავდა. ქისტებს ქალები გაუტაციათ. სამშვიდობოს რუსთან შეხვედრია მონადირე მოტაცებულ ქალებს და გაუთავისუფლებია. ქალების პატრონებმა მონადირეს უთხრეს - რა გიბოძოთო? მონადირემ უპასუხა - არაფერი მინდა, ქვაზე სადაც ჯიხვი დავდე, ნიში ააგეთო და ახლა იქ ნათლისმცემლის ნიშია.

„ღმერთო, წმინდაო ნათლისმცემელი, მოარჩინე ეს საცოდავი ბალღი, ეს ორი წელია, რომ შენმა ყოვილამ თავის ტკივილი დააჩემა და მასვენება აღარ მამცა, არცა მე და არცა შავბნელის ემის მამასა“ (მაკალათია 1934:246). ბავშვს ხელში აიყვანდნენ, ნათლისმცემლის წყაროსთან ხელპირს დაბანდნენ თან ამბობდნენ წამალია და ჩქარა მოგარჩენსო. შესაწირად მიჰქონდათ სამი პატარა ბროლის ქვა, სადაფის ღილი, შუშის სამი პატარა ჭურჭელი, რომელსაც წყლით აავსებდნენ და მიწაში ჩამარხავდნენ (ითონიშვილი 2015:214-215).

ნათლისმცემლის სალოცავში 12 სექტემბერს შესაწირად წითელი ფერის მამლები მიჰყავთ, რომელთაც ცოცხლად უშვებენ. მოსახლეობა იგონებს, რომ დღესასწაულზე

დეკანოზები დაკლული საკლავის სისხლით მლოცველებს შუბლზე ჯვარს სცხებდნენ და ახლაც მისდევენ ძველ ტრადიციას.

მოხევეებს სწამთ, რომ **ივანეს ხატი** წითელას შველოდა: „გვეხმარებოდა, ბავშვებისაა ეგა, ბავშვებს რო შახვდებაკე წითელაი, ქუნთრუშაი, მაშინ შევთხოვთ. გოდოგვირჩინა კიდეც“ (ფატი ბაზალი-სუჯაშვილი, 83 წლის).

ქვემოთ შევეხებით სტეფანწმინდაში, ქუშეთ უბანთან მდებარე ნათლისმცემლის კიდევ ერთ ნიშს, რომელიც ახლად დაარსებულ სალოცავს წარმოადგენს.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ნიში 1980 წლის ივლისში უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დააარსა. ნათლისმცემლის სალოცავში ძველი ტრადიციისამებრ 12 სექტემბერს, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს, ჯერ იქვე აშენებულ ახალ ეკლესიას მოილოცავენ, წინა დღეს ლოცვას ესწრებიან, ხოლო მეორე დილით, წირვის დამთავრების შემდეგ, მთელი სოფელი ***ივანობას*** სალოცავ ნიშში აღნიშნავს. ანთებენ სანთლებს, მიაქვთ ქადები. ოჯახებიდან გამოტანილ ხატებს იქვე ნიშთან დააბრძანებენ და მუხლს მოიყრიან. დიასახლისები ქადებს დატეხავენ, ნაწილს ნიშში ტოვებენ, ნაწილს მლოცველებს უნაწილებენ.

სადღესასწაულოდ საღვთო საკლავს აუცილებლად ხსნილში კლავენ, ძირითადად ცხვარს ან ხბოს. ხორცს დიდ ქვაბში ხარშავენ და მერე სტუმრებს და ახლობლებს უნაწილებენ. სუფრასთან საღვთო საკლავის ხორცის ჩამოტარება დიდი ლანგრებით იციან. უხუცესს განსაკუთრებულ ნაჭრებს სთავაზობენ. უხუცესი პირველად სალოცავის სადიდებოს ღვთის სახელით იტყვის და მამაკაცებიც თითო ჭიქა ღვინით მოხეური მადლმოსილი სიმარტივით დაილოცებიან: **„ხატო და ღმერთო, შეეწიე ყველა ქრისტიანს, ყველა მლოცავს, ხელი მოუმართე ყველა ადამიანს კარგ საქმეში!.“** ლოცვის უკიდურესად გახალხურებული ტექსტი ვახტანგ ქირიკაშვილის (მთამსვლელი) შვილმა ჩაგვაწერინა.

სადღესასწაულო სუფრას სალოცავთან ახლოს შლიან. დიასახლისები **გობში** (ხის ვარცლში) ფქვილს ჩაყრიან და **გუდნაობით** (ცომის ზელაში გართობა) ერთობიან, კარგად მოზელილ საფუვრიან ცომში მონაცვლეობით მხალს და ხან კარტოფილიან და ყველიან გულს ჩადებენ, თავს მოუკრავენ და მრგვალად ტაფაში აცხობენ. ბლომად გამომცხვარ ხაბიძგინებსა და მხლოვნებს ჯვრულად ჭრიან და სადღესასწაულო სუფრაზე აწყობენ.

სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის ცომის **გოგლომების** გამოცხობა იციან. **გოგლომა** ცომისგან გაკეთებული და გამომცხვარი ცხოველის ფიგურებია. **აგოგლომება** ცომით ძერწვაა.

დღესასწაულზე საღვთო საკლავის ხორცს მამაკაცები ხარშავენ, კარგად მოხარშულ **მაჯახალს** პირველად უხუცესს მიართმევენ, რომელიც თამადაა. უხუცესი ჯერ ორი სახარებისა და მესამედ სამების სადიდებელ სადღეგრძელოს წარმოთქვამს. ყველა მამაკაცი ფეხზე წამოდგება და სასმელს შესვამს. თანდათანობით ლხენის ეშხში შესული მოხევეები ზომიერების გრძნობას კარგავენ, მთელი წლის მანძილზე ოჯახის რჩენით გართულები დღესასწაულზე ერთიანად „გიჟდებიან“, სვამენ, ცეკვავენ და მხიარულობენ.

3.7. ქუშენის წმ. გიორგის დღესასწაული

სტეფანწმინდის ჩრდილოეთით მდ. ყუროს ნაპირზე ნასოფლარი სათარგმანო მდებარეობს. შუასაუკუნეებში სათარგმნო ხევის სათემო ცენტრი იყო. გადმოცემით, XIX-XX სს-ის მიჯნაზე ადიდებულ მდინარეს სოფელი მთლიანად წაულეკავს (სძა 2004:467). სოფლის მცხოვრებთა გვარებია: ჯამარჯაშვილი, ქუშაშვილი, ჩქარეული.

სათარგმნოს ***ქუშენის წმ. გიორგი*** დღეს სასოფლო სალოცავია. ამ ადგილზე ძველად ბაზილიკა მდგარა, რომელიც მერე დანგრეულა (ბარდაველიძე 1966:18).

წმ. გიორგის მცირე ზომის სალოცავი ფიქალი ქვითაა აშენებული. დასავლეთით პატარა, თაღოვანი კარი აქვს, მლოცველი დაჩოქილი რომ შევიდეს. სალოცავის ინტერიერი არქაულია. აღმოსავლეთით, მცირე ზომის სარკმელი აქვს გაჭრილი. აქვეა ტრაპეზის მსგავსი ხატთსაბრძანებელი და სასანთლე თახჩა. დღეისათვის ტრაპეზზე წმ. გიორგის ჭედური ხატია დაბრძანებული (დაზიანებულია) (იხ. დანართი №12).

ქუშენის წმ. გიორგის სალოცავში შუაში დაბალი, ბრტყელი ქვაა მოთავსებული, რომელიც მაგიდის ფუნქციას ასრულებს. მაგიდის ორივე მხარეს გრძელი ხის სკამებია გაწყობილი. როგორც ჩანს, ადრე ტრაპეზი ჯიხვის რქებით იმკობოდა, დღეს ისინი მოხევეებს საგანგებოდ დაუმალავთ, რომ არ მოიპარონ.

ქუშენის წმ. გიორგის სალოცავი შემოღობილია. ეზოში მცირე ზომის ფიქალი (ჭაჭის) ქვის ნიში დგას **ბურბუხჭელებით** (ბროლის ქვები) შემკობილი. ბურბუხჭალებით

მოხევეები სალოცავებს ხშირად ამკობენ. ეზოში სადროშეზე დღეს ეროვნული დროშაა აღმართული. შეიმჩნევა დაბალი გალავნის ნაშალი.

ქუშენის წმ. გიორგის დღესასწაული ყოველ 6 მაისს და 23 ნოემბერს (ახ. სტ) აღინიშნება. ჩვეული მოხეური წესით ლოცულობენ, ანთებენ სანთლებს, ერთ დიდ ქადას გაჭრიან. თუ რომელიმე გვარს საღვთო აქვს შეთქმული დაკლავენ. სოფლის მცხოვრებთა თქმით, დღეისათვის საღვთო საკლავის დაკვლა იკრძალება „ძველ ტრადიციებს გვიშლიან მღვდლებიო“, მაგრამ ადგილობრივები ტრადიციას არ ღალატობენ.

სადღესასწაულოდ ქუშენის სალოცავში დიდ ქვაბში ხინკლების მოხარშვა იციან. ეზოში ღია ცის ქვეშ ზედსადგარს შეშით ცეცხლს შეუნთებენ და უმწვანილოდ შეზავებულ, მთის ქონდრით შეკმაზულ, ხორციან ხინკლებს დიასახლისები ხარშავენ. საერთო სუფრისათვის ოჯახებიდან ფულს წინასწარ აგროვებენ და სადღესასწაულო ნამზადის გადანაწილება იციან. ორ თავ კერძს თუ ერთი ოჯახი მოამზადებს, ნაწილს სხვა და ა.შ. რა თქმა უნდა, დღესასწაულზე მთელი სოფელი იკრიბება.

სათარგმანოს ბოლოში, **სახარე გზასთან**, შემაღლებულ გორაკზე, ამაღლების ნიში დგას (იხ. დანართი №13). სალოცავი სოფ. კარკუჩიდან არის გადმოტანილი. ცხრა-ათი წლის წინ ახლგაზრდებმა ააგეს. ამაღლების **ხატი** სასოფლო სალოცავს წარმოადგენს.

სალოცავს აღმოსავლეთის მხრიდან სასანთლე აქვს დატანებული, სადაც სანთლის ნამწვავები, შეწირული ფული და სამკაული (საყურე) შევნიშნეთ. ამაღლებას მოხევეები ნიშთან მოსალოცად მიდიან, სანთლებს ანთებენ და ყველიან ქადებს ჭრიან. ერბო - ყველიანი ქადა ჯვრულად იჭრება ნიშის ჯვართან. თითო ნაჭერს ყველა იღებს, დაილოცება და ღვინოს დალევს.

ამაღლებას საღვთო საკლავს კლავენ. დეკანოზს მოიყვანენ, რომელიც წინა დღით მარხულობს. **ხატის მსახური** ლოცვას წაიკითხავს სალოცავში და სანთლებს დაანთებს. დეკანოზს შეთქმულ ცხვარს მიუყვანენ. ის საღვთო საკლავს ლოცვას წაუკითხავს, ნიშში დანთებული სანთლის ალით ყურს შეუტრუსავს და დაკლავს. დიასახლისებს, ზოგადად ქალებს საკლავთან არ უშვებენ და შესაბამისად ხორცის დამუშავება მამაკაცების პირდაპირი მოვალეობაა.

სადღესასწაულო სუფრას სალოცავთან შლიან. აცხობენ ხაჭაპურებს, ხაბიძგინებსა და მხლოვანს. სუფრასთან სხვადასხვა კერძები მიაქვთ. საღვთო საკლავის ხორცი რომ მოიხარშება ყველა ერთად დასხდებიან და მოილხენენ.

ერთი ჩვეულება აქვთ, ამაღლებას სალოცავთან ახლოს სადმე თუ სამკურნალო მცენარეებს წააწყდებიან, ქალები დაკრეფენ და სახლში წაიღებენ. მათი რწმენით, ამ დღეს შეგროვებული მცენარეები განსაკუთრებულ თვისებებს ატარებენ.

სათარგმნოში ძველით ახალი წლის მეექვსე დღეს წყალკურთხევას აღნიშნავენ. წინა დღეს, 18 იანვარს, სოფელში დიდ კოცონს ანთებენ. ექვსი ოჯახი თივას შეაგროვებს და ცეცხლს ააბურბულებს, რასაც მოხევეები **ამპარიას** ეძახიან. **ამპარიობა** ანუ ჭიაკოკონობა (თუმცა კი, ხევში ჭიაკოკონად არ მოიხსენიება) წყალკურთხევის წინა საღამოს იმართება. ყველა ოჯახიდან საგანგებოდ მომზადებულ სასმელ-საჭმელს კოცონთან გაიტანენ და მიცვალებულებს **შანდობას ეტყვიან**.

19 იანვარს, დილით, სოფლის წყაროდან **უმძრახი წყალი** (ხმის ამოუღებლად მიტანილი წყალი) მიცვალებულების საფლავზე მიაქვთ და ზედ ასხამენ. „საფლავს წყალს იმიტომ ვასხამთ, რომ მიცვალებულები დალევენ“ (ციცო როსტომის ასული ალიბეგაშვილი - ჯამარჯაშვილისა, 63 წლის).

წყაროს ნაკურთხი წყალი სახლშიც მიაქვთ და მიცვალებულებს **შანდობას** ეტყვიან: „ღმერთმა შაიწყალას ჩვენი მკვდრები“. ზოგადად, მიცვალებულებს წლისთავამდე ყოველ შაბათს თბილ პურთან ერთად სუფრასთან უმძრახ წყალზე ეუბნებიან შენდობას.

ძველ ტრადიციას დღეს მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლებიღა მისდევენ. ***ამპარიობას*** ყანობში 6 იანვარს (ახ. სტ) აღნიშნავდნენ (ითონიშვილი 2015:171). რიტუალი მსგავსი ფორმით თუშეთშიც გვხვდება (ითონიშვილი 2012:159-160).

3.8. ღვთისმშობლის დღესასწაული სოფ. სიონში

სიონი ხევის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. მთიულეთისაგან ადმინისტრაციულად ცალკე გამოყოფილ ხევს, თავიდანვე, სამხრეთით ადმინისტრაციული მოხელე განაგებდა. ძეგლისდების მიხედვით, XIV საუკუნეში ასეთი მოხელე „სიონის ერისთავი“ იყო. ხევის მმართველის ადგილსამყოფელიც სიონი უნდა ყოფილიყო. სიონის ერისთავი საქართველოს სამეფო კარს ემორჩილებოდა. XVII ს-ში

სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ხევზე არაგვის ერისთავთა უფლებების გავრცელების შემდეგაც, მათ კვლავ ძველის სახელით სიონის ერსთავებად იხსენიებდნენ (სძა 2004:469).

სიონის მთავარი სალოცავებია: 1. ათენგენის ნიში 2. კვირეს სალოცავი 4. სამების ნიში 5. წმ. გიორგის ეკლესია (XVIIIს) 5. სიონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

სიონის ღვთისმშობლის სახელობის თლილი ქვით ნაგები სამნავიანი ბაზილიკა სოფლის ჩრდილო - დასავლეთით ბორცვზეა აგებული და გალავნითაა შემოზღუდული.

სიონის კომპლექსში შემავალი ეკლესია, გალავანი და მაღალი, ხუთსართულიანი კოშკი IX-X სს-ისაა (იხ. დანართი №14). ტაძრის შესასვლელ კართან მარჯვენა მხარეს ქვის დასაჯდომებია გამართული და **ჯორის კალოდ** მოიხსენიებენ (ჯორი მოხეურ დიალექტში ჯვარია).

კალო სალოცავის ჭირნახულის გასალეწს წარმოადგენდა (მაკალათია 1984:244). სიონის სკამის საზურგეებზე ჯვრებია ამოკვეთილი და 12 ქვის სკამითაა გამართული. ეკლესიის ეზოში დგას IX-X სს-ის კოშკი.

ტაძარში დაცული იყო ორი ღირსშესანიშნავი ხატი: **ღვთაების ჯვარი** და **გარბანის წმ. გიორგის ხატი. ღვთაების ჯვარი** 1693 წელს ტაძრისთვის არაგვის ერისთავ ბაადურსა და მეუღლეს ქაიხოსრო ციციშვილის ქალიშვილს - თამარს შეუწირავთ. ცნობა მხედრული წარწერით ჯვარზე იყო დატანილი:

„ქ:.ეჰა:. დიდება, მადლობა და თაყვანის - ცემა პატიოსანსა და ღვთივ მშვენიერსა სახელსა შენსა, ერთ არსებასა, ერთ ხვთაებასა, სამებით დიდებულსა და ერთ არსებულთა ქებულო სახიერ და კაცთმოყვარეო, ღმერთო ჩვენო, რომელმან მოგვმადლე თაყვანისმცემლად ცხოველი ხატი შენი და დღითი დღედ და ღამით - ღამად აღვსთქვამთ და თაყვანისვცემთ უხრწნელსა ხატსა შენსა და ვსთხოვთ მოტევებასა ცოდვათა. ჩვენ მინდობილმან დასაფარველთა თქვენთა შევედრებულმან მონამან და სასოებელმან არაგვის ერისთავმან ბაადურ და თანამეცხედრემან ჩვენმან ფანასკერტელისა, ციციშვილის ქაიხოსროს ასულმან თამარ მოვაჭედინეთ ხატი ესე ღვთაებისა, შევამკევით, ვითარცა შვენოდა და შევწირეთ ხევს ჩვენს სამკვიდროსა საყდარსა სიონისა სულისა ჩვენისა საოხად, ცხოვრებასა შინა ჩვენთა სადღეგრძელოთ და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად. შეიწირე შენ,

იესო ქრისტეო, ღმერთო ჩვენო, ვითარცა მწულილი იგი ქვრივის და გვასმინე ხმა იგი ღვთივშვენიერი მოსვლასა მას შენსა დიდებითა, ვითარმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი პირველი სოფლისა და დაბადებისა და ღირს მყავ ხილვად ნათლისა პირისა შენისასა. ქკსა ტპა=(381)=1693წ."

ღვთაების ჯვარი გრიგოლ ორბელიანმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილში აღწერა: „ვიხილე ჯვარი ვერცხლით შეჭედილი...ჯვარცმის თავსა და ბოლოსა არს გამოსახული ფრინველი ლომისა თავითა, რომელთა ფერხში უჭირავსთ წიგნი. მარჯულ და მარცხნივ იესოსა არს გამოსახული ხარი და წმიდა გიორგი ვგონებ ესე ნიშნავდეს ოთხთა მახარობელთა, თუმცა უმეტეს ემზგავსების დანაშთომს კერპთმსახურებისასა, რომლისგანცა არს სრულად გამოსულან მთის ხალხნი" (სულხან-საბა 2013:106).

ს. მაკალათიას მონოგრაფიაში „ხევი" ღვთაების ჯვარის ფოტოა დაცული. XX ს-ის 30-იანი წლების შემდეგ ღვთაების ჯვარი დაკარგულია.

ღვთაების ხატში **პირიღვთისა** (მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი) მოიაზრება. ღვთაების ხატის სახელობა ჩვენში არც ისე ხშირია (გედევანიშვილი 2014:43). სიონში ღვთაების ჯვარის არსებობა ხევში ღვთაების გამორჩეულად თაყვანისცემაზე მეტყველებს. ღვთაება/პირიღვთისა მოხეურ სმურში დამოწმებულია სიტყვებით **„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა..."**

გადმოცემით ჯვარი, რომელზეც ღვთაება იყო გამოსახული დაფრინავდა. ამიტომ, სადღესასწაულოდ სიონის ეკლესიიდან არ გამოჰქონდათ (მაკალათია 1934:217).

მოხეური ანდრეზის მიხედვით, **ღვთაების ხატი** სოფელ სიონიდან მარტყოფში გაფრინდა და ანგელოზის სახით სისოურსა და ცოფურს გამოეცხადა. ზემოაღნიშნული გვარები მოგვიანებით მარტყოფში დასახლდნენ. მარტმყოფელ ბერებს ხატი შეუმკიათ, ოქროს ძეწკვი შეუბამთ და მის საბძანისად თბილისის სიონის ტაძარი აუგიათ. საბოლოოდ, ხატი სიონშიც არ გაჩერდა, გაფრინდა და მარტყოფში დაიდო ბინა.

ხატის საბრძანისად მარტყოფის არჩევა, ახსნას ცნობილ ისტორიულ გადმოცემაში ჰპოვებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ცამეტ ასურელ მამასთან დაახლოებულმა მოსწავლემ წმ. ანტონ მარტმყოფელმა შემოაბრძანა და

რის გამოც მარტყოფის ღვთაების სახელობის მონასტერია აშენებული (ალექსიძე 2011:48). შემთხვევითი არ არის, რომ მოხეური თქმულებით სიონის ხატი ბინას მარტყოფში იდებს.

ღვთაების (მაცხოვრის) ჯვარს მიეწერება ორი წმიდა ადგილის გაჩენა: მარტყოფში ღვთაების ეკლესიისა და თბილისში - სიონის ტაძრის აშენება (კიკნაძე 1996:55). თუმცა კი, ზემოაღნიშნული მოსაზრება ეხმიანება მოხეურ ანდრეზს, მაგრამ ამავე დროს ისტორიულ უზუსტობასაც შეიცავს. მარტყოფის ღვთაების ტაძრის დაარსებაში სიონის ღვთაების ჯვარს არ უნდა ჰქონდეს კავშირი, რადგან 1693 წელს შეუწირავთ, იმ დროს როცა ღვთაების ტაძარი VI საუკუნეში წმ. ანტონ მარტმყოფელის მიერაა დაარსებული.

სიონში არსებულ სამების ტყეში, გერგეტის წმ. სამების საბრძანის ნიშში ხის მოჭრა იკრძალებოდა და 28 აგვისტოს სამების დღესასწაული იმართებოდა, რომელიც გერგეტის სამების ***მარიანობის*** დღესასწაულს უკავშირდებოდა.

ცხადია, გარკვეული კავშირი არსებობს სიონის **ღვთაების ჯვარსა** და გერგეტის სამების **პირიღვთისაში**. გერგეტის სამებაში, **პირიღვთისა** იყო გამოსახული და ***მარიანობის*** დღესასწაული იმართებოდა, სიონში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, პირიქით, **ღვთაების ჯვარია** დასვენებული. ორივე, **პირიღვთისა** და **ღვთაება** ხელთუქმნელი ხატის სახეები და **მწყემსი კეთილის** იკონოგრაფიული ვარიანტებია. ამიტომ, დღესასწაულზე სალოცავში მწყემსები მიდიოდნენ და ცხვრის ნადირისაგან მფარველობას შესთხოვდნენ (მაკალათია 1934:217).

სალოცავში მხვეწარი (მლოცველი) საწირ - საკლავით მიდიოდა. დეკანოზთან მისვლისა და დალოცვის უფლება მცირეწლოვან და უმანკო ქალებს ჰქონდათ.

დღეს ღვთისმშობლის ტაძრის გარდა, სიონში 7-8 წელია მოქმედებს ტყეში აშენებული ეკლესია, სადაც მღვდელი პეტრე (კაკუბავა) მოღვაწეობს.

სიონელთა მთავარ სასოფლო დღესასწაულად ღვთისმშობლობა ითვლება. სოფლის მცხოვრებთა გვარებია: დავითაშვილი, ღუდუშაური, წამალაიძე, კობაიძე, სისაური, არჯინაშვილი და სხვ. ისინი დღესასწაულზე ერთად იკრიბებიან.

21 სექტემბერს მიდიან ეკლესიაში, ანთებენ სანთლებს, ჭრიან ქადას. ხატში გასატანი ქადა ერბოთი და ყველით მზადდება. ერბოს ადრე ყველა სახლში ამზადებდა. დღემდე თუ

საქონელს რძე **ღალიანი** (ცხიმიანი) აქვს, სახლში ამზადებენ. თუმცა კი, ბოლო დროს მზადნაყიდ ერბოსაც იყენებენ.

ქადის მოსამზადებლად ფქვილით სავსე ჯამში ჩაყრიან ერთ ჩაის კოვზ სოდას, ორ კვერცხს მთლიანად ჩაახლიან და მარილს გემოვნებით უმატებენ. მიღებულ მასას კარგად მოზელენ მაწონში ან დოში, შესაძლებელია შრატი, სველი გამოიყენონ. ქადის გულისთვის ერთ ჩაის ჭიქა ერბოს გაადნობენ, დაუმატებენ ყველს (რომელსაც ცოტა სისველე უნდა ქონდეს და მაგარი უნდა იყოს), ფქვილს და ხელით კარგად მოფშვნეტენ. მომზადებულ ქადის გულს და ცომს ხის გრძელ დაფაზე გუნდებად განათავსებენ და მრგვალი ხაჭაპურის სახით, დიდ ტაფაში აცხობენ. ქადის ზომა იმერულ ხაჭაპურზე ოდნავ დიდია. სალოცავ ქადას ზევიდან არაფერს უსვამენ.

მოხევეები სალოცავში გასატანად ამზადებენ მხლოვანსა და ხაბიძგინას. მხლოვანი მხლისგულიანი ნამცხვარია. განსხვავებით ქადისაგან საფუვრიანი ცომით მზადდება. ჯერ **ხიმხალს** დაკრეფენ: ჭინჭარს, თათაბას, ერბოანას, წვრილმხალას, ღოლოს, ჭრიჭინას (ფოთლები უჭრიჭინებს), კარგად გარეცხავენ და დაჭრიან. შემდეგ მხალში აურევენ ყველს და ერბოს (ცხიმად შეიძლება გამოიყენონ კარაქი, ზეთი ან ღორის ქონი), ყველს კარგად გადაურევენ, შესაძლებელია ზეთში მოშუშონ. მიღებულ მასას ცომის გუნდებში განათავსებენ და მრგვალად, ხაჭაპურის სახით აცხობენ. მხლოვანი იმდენად გემრიელია, რომ ჭამის დროს მოხევეები ერთმანეთს აქილიკებენ: „დახედეღა, დახედე, მთელ მხლოვან ერთხალ დასცა პირი და მთორის (მთვარის) ნალევივით დაადგაო“ (ღუდუშაური 2011:64).

ხაბიძგინისათვის მოხარშავენ კარტოფილს **(კარტოხას)**, შეურევენ ყველს და მარილით კარგად შეაზავებენ. ხაბიძგინას ცხიმს არ უკეთებენ, ჩვეულებრივ საფუვრიან ცომში ამზადებენ და რადგან **ერბოჩი** საჭმელია, სუფრასთან ერბოიანი ჯამით მიაქვთ. სადღესასწაულო სუფრისათვის აგრეთვე ხაჭაპურების გამოცხობა იციან. ხაჭაპური მოხევეთა მეტყველებაში **ხაჭო - პურად** არის სახელდებული.

დღესასწაულზე საღვთო საკლავს კლავენ. ფულს თითოეული ოჯახი აგროვებს. დაახლოებით 30 ლარს (მარტოხელა ნაკლებ თანხას გაიღებს).

საღვთოს ხარშავენ, რადგან შეწვა იკრძალება. დღესასწაულზე თევზსაც კი არ წვავენ. საღვთოს თავი, გულ - ღვიძლი და ფილტვი ცალკე იხარშება. საგანგებოდ მოხარშულ

ხორცის ამ ნაწილებს ლანგარზე დააწყობენ და სუფრასთან უხუცესის წინ დგამენ. უხუცესი ამავე დროს თამადაა და სუფრაზე მის წინ სანთელს ანთებენ.

ხევში „საუფროსო ტაბლაზე ზეზამდგმურებს (სასმელის მიმტან-მომტანი) საკლავის თავი, დუმა, ღვიძლი, მკერდი, ბეჭი, სამგორველი და ქვედა ყბა (მაჯახალი) მიჰქონდათ (ალავერდაშვილი 2007:110).

„ჭირი იქნებოდა თუ ლხინი, თავ-დუმის, ღვიძლის, მკერდის, ბეჭის, სამგორველის და მაჯახალის მიუტანლობა არ შეიძლებოდა. ღვიძლის მიტანა იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელმა სტუმარი ღვიძლი ძმასავით მიიღო“ (ითონიშვილი 1960:257).

ღვთისმშობლობას ლუდს აღარ ხარშავენ. ლუდი ხევში უფრო აღდგომისთვის იხარშება და სოფელში ერთ ოჯახზე თითო სათლით ჩამორიგდება. „ლუდის დუღება მიღებული იყო მხოლოდ სააღდგომოდ“ (ითონიშვილი 2015:187).

ძველი თაობის წარმომადგენლებს არ მოსწონთ, რომ „გაბრიყვდა ხალხი და დღესასწაულზე სალოცავში ნაყიდი ლუდი მიაქვთ“.

„ლუდის დუღება ხევში ისე ინტენსიურად არ ხდებოდა, როგორც თუნდაც ფშავ-ხევსურეთში, მაგრამ ეს ტრადიცია მეტ-ნაკლებად ხევშიაც არსებობდა“ (ითონიშვილი 2015:126).

სალოცავში მიაქვთ სამი სანთელი, ქადა და ერთი ბოთლი ღვინო, რომელსაც დეკანოზს მიართმევენ. ის მლოცველებს დალოცავს. სამი სანთლიდან, ერთს იქვე ანთებენ, ხოლო ორი თავმომწვარი სანთელი სახლში მიაქვთ. ქადას გაჭრიან და ნახევარს სახლში წაიღებენ. ნალოც ქადას ყველას გაუნაწილებენ. სალოცავში დარჩენილი ქადის ნარჩენები სადღესასწაულო სუფრაზე გადანაწილდება. ნაშუადღევს დაწყებული ლხენა ხევში გვიანობამდე გრძელდება. დღესასწაულს ალამაზებენ ბავშვები.

ამგვარად, **ღვთისმშობლობა** სიონის მთავარი სასოფლო დღესასწაულია. სოფელში ღალანგურის წმ. გიორგისაც დღესასწაულობენ, ოდიშვილების საგვარეულო სალოცავს და ათენგენს - საღუდუშაუროს **ხატს**.

ღალანგურის სალოცავში ოდიშვილები დეკანოზობენ. სალოცავი ახალციხიდანაა გადმოტანილი და ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში სიონის კოშკთანაა აგებული.

დღეისათვის ეკლესიასთან საკლავს აღარ კლავენ. სადღესასწაულოდ ოჯახები ქერის არაყს ხდიან, რომელიც **ჟიპიტაურად** არის სახელდებული.

სიონელები გიორგობას გარბანში აღნიშნავენ და რადგან სიონის ტაძარი გარბანის წმ. გიორგის ხატის საბრძანისი იყო, სადღესასწაულოდ ხატს ეკლესიიდან გამოაბრძანებდნენ და გარბანში გადაასვენებდნენ.

ადრე გარბანის წმ. გიორგის სალოცავში ნამზადით გადიოდნენ. გიორგობის დღესასწაული გაზაფხულისაც იცოდნენ და სთვლისაც (23 ნოემბერს). დღეს ეს ტრადიცია აღარ არსებობს, მაგრამ სადღესასწაულოდ მონათესავე გვარები ერთმანეთს მეზობელი სოფლიდან ხშირად ეპატიჟებიან.

3.9. გარბანის წმ. გიორგის დღესასწაული

გარბანი მდ. თერგისა და ტერხენის შესართავთან მდებარეობს და სიონის საკრებულოს მიეკუთვნება. საისტორიო წყაროებში პირველად XV საუკუნეში მოიხსენიება. არსებობს ძველი და ქვემო გარბანი. ძველი გარბანი ნასახლარებს წარმოადგენს, ქვემოში მცხოვრებნი კი მოგვიანებით თერგის პირას დასახლებულან. IX-X საუკუნეებში გარბანზე გავლენას კახეთის ქორეპისკოპოსები ავრცელებდნენ (სძა 2004:442).

გარბანის სალოცავებია: 1. კვირეღვთისშვილის ხატი 2. წმ. მთავარანგელოზთა ხატი 3. მინდვრის წმ. გიორგის ხატი 4. ციხემცავი ანგელოზი. 5. წვერის (სემღის) წმ. გიორგის ხატი 6. წმ. გიორგის ეკლესია

IX-X ს-ის **ოქროს ბერი წმ. გიორგის** ეკლესია სოფლის სამხრეთ - აღმოსავლეთით დგას (დოლიძე 1958:36). გადმოცემით, მეფე ვახტანგ გორგასალმა დაარსა.

XX ს-ის 70-იან წლებში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებმა ეკლესიაში წარწერები გამოავლინა. ერთ - ერთი წარწერის მიხედვით იკითხება ***წმინდის გიორგის უქრუა*** (ოქრო). ეკლესიის სახელი ***ოქროს ბერი წმ. გიორგი*** აქედან მომდინარეობს. ტაძრის ეზოში დიდი რაოდენობით საგანძური იყო გადანახული (ივერია 1893:83) .

გარბანის წმ. გიორგი მოხევეთა სათემო სალოცავს წარმოადგენდა, სადაც ხევის ყველა სათემო საქმე წყდებოდა (დოლიძე 1958:30). დღეს სასოფლო სალოცავია.

„გივარგობის წინა კვირას იცოდნენ ღამისთევა. ერთი კვირის თავზე ხატებს გამოაბრძანებდნენ ხარს ყიდულობდნენ შეგროვილი ფულით და კლავდნენ წმიდა

გივარგის ეკლესიის გალავანში. იქვე კლავდნენ მხვეწარის მიერ მოყვანილ მოზვრებს და ყოჩებს, უმთავრესად ამ დღეობისათვის წინასწარ დასულდგმულებულ ზვარაკებს. საკლავების დაკვლა და დღეობის ორგანიზაცია ევალებოდათ მნათეს მასპინძლებს, რომლებიც მორიგეობით დეკანოზობდნენ“ (ითონიშვილი 2015:190).

XX ს-ის 80-იან წლებში გარბანის წმ. გიორგის სალოცავში დღესასწაულს წელიწადში ორჯერ, აღდგომიდან მეორე და მესამე კვირას აღნიშნავენ. ტაძრიდან წმ. გიორგის ვერცხლით მოჭედილ ხატს გამოაბრძანებდნენ. ხუთ წელიწადში ერთხელ საერთო ხარჯით კურატს ყიდულობდნენ. კურატი დაუკოდავ ხარს აღნიშნავს. კურო - ხარია გამოუყვერავი (სულხან-საბა 1993:399). **სახატე კურატი** საუკეთესო შესაწირს წარმოადგენდა.

გარბანის ეკლესიიდან გამობრძანებულ წმ. გიორგის ხატს სიონის ტყესთან შესაწირ კურატს მიაგებებდნენ, მუხლს მოიყრიდნენ და პირუტყვს გაუშვებდნენ. მოხევეთა რწმენით, ხარი ტაძარში მივიდოდა (მაკალათია 1934:218).

მსგავსი წარმოდგენა ჰქონდათ სამეგრელოშიც, სწამდათ, რომ 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) წმ. გიორგი ხარს იპარავდა და ჩუმად ილორის ეკლესიის გალავანში მიჰყავდა (აბაკელია 1997:19).

დღესასწაულზე ხარის ხატთან შეგებება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ თქმულებას უკავშირდება. ხორასნელთაგან შვიდიათასი ქართველის დატყვევების შემდეგ, წმ. გიორგის ხატს, რომელიც ხორასნელებმა გაიტაცეს, მტრისთვის მრავალი განსაცდელი მოუვლენია. სულთანმა მკითხავს მოუხმო და აღმოჩნდა, რომ უბედურების მიზეზი საქართველოდან წამოღებული ხატი იყო. სულთნის ბრძანებით, ხატი ანთებულ საკირეში ჩააგდეს, საიდანაც ოდნავ შეტრუსული ამოფრინდა და იქვე მოვლენილი თეთრი ხარის რქაზე დაბძანდა. ხარი მაშინ დაიძრა ადგილიდან, როცა შვიდიათასი ტყვე ქართველი გაათავისუფლეს. გზაზე ყველგან, სადაც შეისვენა სალოცავი ნიში ააგეს.

ერთ - ერთი მოსაზრებით, გარბანის წმ. გიორგის დღესასწაულის წეს - ჩვეულებები ზემომოყვანილ ლეგენდას ეხმიანება, მისი სიმბოლური გამოხატულებაა: „დღესასწაულის დაწყებისას, გარბანის წმ. გიორგის ხატს სიონის ტყესთან გამოაბრძანებენ, ხარს მიაგებებენ-

ეს იმ ხარის განსახიერებაა, საკირეთიდან ამოფრენილ ხატს, რომ მოევლინა..ხარი გარბანის ეკლესიისაკენ იქცევს პირს და იქ მივა - ეს იმის გამოხატულებაა, რომ შვიდი ათასი ქართველი ტყვე სამშობლოში დაბრუნდა“...შვიდი დასტური შვიდიათასი ქართველის განსახიერებაა“ (ჯანელიძე 1989:61).

ხარი „რელიგიური ცერემონიების ჩატარების წესებში ცოცხლობს“. წმიდა ხარები წმ. გიორგისთან ფიგურირებენ (აბაკელია 1997:18).

გარბანის წმ. გიორგის დღესასწაულზე დეკანოზი მოხევეებს ხარ - გუთანთან ამწყალობნებდა: **„დიდებულო გარბანის წმ. გივარგივ, შენ გაუმარჯვე ამათ ხარ - გუთანს, მოლაშქრე -მონადირესო, შინ მშვიდობა მიეცი, კარგს გამარჯვება. ამათ ქალ ქენ ვაჟის დედაო“.** ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, კურატს დაკლავდნენ და სადღესასწაულოდ სოფელში დიდ სუფრას შლიდნენ (მაკალათია 1934:219).

6 მაისს დღესასწაულზე ეკლესიის ეზოში მთელი სოფელი შეკრებილა. ყურადღებას იქცევდა დეკანოზი - ფიდო ხეთაგური. იგი ეკლესიისაგან ოდნავ მოშორებით ნიშში იდგა, რომელიც წმ. გიორგის ხატებით და დროშებით დაემშვენებინათ. დეკანოზს და შესაწირ ხარს შვიდი **დასტური** მიუახლოვდა (დასტური ხუცესის თანაშემწეა. ყოველ ახალ წელს ირჩევდნენ. ხუცესს დამხმარედ ორი დასტური სჭირდებოდა).

ერთ - ერთმა დასტურმა დეკანოზს სანთელი აუნთო. დეკანოზმა დასტურს სანთელი გამოართვა და პირუტყვს ყური შეუტრუსა. ზოგადად, მთაში დღესასწაულზე ორ დასტურს ირჩევენ (მაკალათია 1984:243). ხევში შვიდი დასტურია დაშვებული. როგორც ცნობილია, შვიდი საკრალური რიცხვია.

ყურის შეტრუსვის შემდეგ **ხარის დამორჩილება** დაიწყეს: „დასტურს ხელთ თოკის აბმა უჭირავს. ის მარჯვედ და აზრიანად ახვევს თოკს ხარს. როდესაც დასტურები თოკს მოჭიმავენ, ხარი ისე აღმოჩნდება გათანგულ - გათოკილი, რომ ძალა აღარ ყოფნის თავი გაითავისუფლოს და ფეხზე დგომა შეძლოს. ხარი წაიქცევა. დასტურები ფეხზე აწვებიან და თოკით უფრო ძალუმად აბამენ, თოკს ისე უჭერენ, რომ ხარს საძრაობა არ ჰქონდეს. მერმე დიდი ხანჯლით ყელს გამოღადრავენ. დეკანოზი საჯაროდ ამწყალობებს შემწირველ სოფელს“ (ჯანელიძე 1989:62).

დღესასწაულზე **ხარის დამორჩილების** რიტუალს სანახაობითი სახე ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში გაუფერულდა, გაღარიბდა. **ხარის დამორჩილება** თამაშსა და პირუტყვთან შებმის სპორტულ ინტერესში გამოიხატებოდა. გარბანის დღესასწაულზე ნაკლები გამომსახველობით, მაგრამ ხართან მოასპარეზეების წინარე სახე ირეკლებოდა (ჯანელიძე 1989:62-63).

გარბანის ეკლესიის გალავანში ექსპედიციის წევრებმა ხარიც ვნახეთ, მოასპარეზენიც, მაგრამ ხართან შებმა-თამაში არ შემდგარა. უამისოდ გათოკეს ხარის და წააქციეს (ჯანელიძე 1989:62).

ხარის დამორჩილება, ხალხური სპორტის გავრცელებული სახეობაა. წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში - შუმერების, ხეთების, ქალდეველებისა და ძველი საბრძნეთის რწმენა - წარმოდგენებში გვხვდება (ჭანტურიშვილი 1988:34-35).

ხარების ფალავნობის ქართული ტრადიცია რელიგიურ სანახაობას წარმოადგენდა. დღეისათვის სახეცვლილი ფორმით, მხოლოდ ტაო - კლარჯეთში, ართვინის ვილაიეთის მთიანეთშია შემორჩენილი (კალანდია 2014:36-42).

გარბანის წმ. გიორგის დღესასწაულზე ეკლესიის გალავნის გარეთ, შემაღლებულ ადგილზე, შედარებით ახალგაზრდა დეკანოზი საკლავს (ცხვარს) კლავდა და მაღლიდან ძირს გადმოისვრიდა. დაკლულის ბეჭს სალოცავში ტოვებდნენ, დანარჩენი სახლში მიჰქონდათ. ამ დღეს მოხევეები ხარის ხორცს დიდ ქვაბებში ხარშავდნენ და მთელ სოფელს უნაწილებდნენ.

დღესასწაულის აღნიშვნის წეს - ჩვეულებებში წმ. გიორგისადმი პატივის მიგება ვლინდება, რაც ხარისა და წმიდანის სიმბოლურ ერთიანობაზე მეტყველებს და ეხმიანება მოხეურ ლეგენდას სათემო სალოცავის სპარსანგელოზის შესახებ, რომლის თანახმადაც, ხევში ანგელოზი სპარსეთიდან ხარის რქაზე დაბრძანებული შემოვიდა. ამიტომ, გარბანის წმ. გიორგის ხარი, როგორც წმიდა ცხოველი ხევის თემს ეწირება.

გარბანში კვირეღვთისშვილის, მთავარანგელოზის (**თარანგელოზის**), მინდვრის წმ. გიორგის, ციხემცავი ანგელოზისა და წვერის სემღის წმ. გიორგის ხატები არსებობს. გარბანის სემღის სალოცავში ათენგენობას აღნიშნავენ. პატარძალსა და ახალშობილებს ლოცავენ (სძა 2004:443).

ბერი წმ. გიორგის ეკლესიაში სადღესასწაულოდ გარბანში მცხოვრები ყველა გვარი მიდის. დილიდანვე სანთლებს ანთებენ, ეკლესიას გარშემო უვლიან და ლოცულობენ. დიასახლისებს წინა დღით გამომცხვარი ერბო - ყველიანი ქადები მიაქვთ, ზოგს სამი ცალი, ზოგს კი შვიდი. ქადებს ოჯახის ახალგაზრდა ვაჟებს მიაბარებენ და ისინიც ეკლესიაში ჯვრულად დაჭრიან. დანაწევრებულ ნაწილებს ოჯახის წევრებს უნაწილებენ. მამაკაცები საღვთო საკლავს ეკლესიისგან მოშორებით კლავენ.

დეკანოზი საღვთო საკლავს ლოცვას წაუკითხავს, ყურს შეუტრუსავს იქვე ჭიქა ღვინით ოჯახის წევრებს დალოცავს. საღვთო საკლავის (ცხვრის) თავს ხელუხლებელს ტოვებენ.

საღვთო საკლავის ხორცს მოზრდილ ნაჭრებად აკუწავენ, დიდ ქვაბში ჩაყრიან და კარგად მოხარშავენ. მოხარშულ გულ - ღვიძლს, თირკმელს და **მაჯახალს** ცალკე, დიდ ლანგარზე მოათავსებენ და სადღესასწაულო სუფრასთან დეკანოზის, ან გვარის უფროსის წინ ჩადგამენ. საღვთო საკლავის ხორცს ფართო ლანგრებზე დააწყობენ და სუფრასთან ჩამოატარებენ.

დიასახლისები ხორცის მოხარშვამდე სუფრის გაშლას იწყებენ. გამოაცხობენ ბლომად ხაბიძგინებსა და მხლოვანს, ხაჭაპურებს, ნამცხვრებს. მთავარი სასმელი ღვინოა, მაგრამ ხშირად მას არაყი და ლუდი ემატება. დიდი სასმისები, ყანწები მოხევეთა პურობის მთავარი მოტივია. სადღესასწაულო სუფრას ოჯახში შლიან და სტუმრებს ეპატიჟებიან.

დღესასწაულზე ხარი, როგორც საღვთო შესაწირი, აღარ ფიგურირებს. მხოლოდ სოფელში მცხოვრები ცალკეული გვარები შეძლებისამებრ ოჯახში მოილხენენ. აქ გვარების შეამხანაგებაც იციან.

ერთიანობის სიმბოლო, გარბანის წმ. გიორგის საღვთოდ შესაწირი ხარი, დღეს ისტორიის ნაწილად რჩება. ჩაკეტილ სივრცეში აღნიშნული დღეობები კი, სამწუხაროდ, ძველებურად სანახაობითი აღარ არის.

„დღეობებთან ერთად გარბანში არსებობდა მნათეობის წესიც. აქ იყო ორი მნათე - ერთი გელაძეების გვარის, ხოლო მეორე დანარჩენი გვარებისა (გუჯარაიძე, ქუქიშვილი, ხეთაგური, ქოჯური). ორივე მნათეს ხატის ყანები ჰქონდათ წმ. გიორგის სახელზე. გელაძეების ხატის ყანები ცალკე იყო, ხოლო დანარჩენი გვარებისა ერთად. როგორც ხევის

სხვა სოფლებში აქაც მნათეობა არჩევითი იყო. გელაძეების ირჩევნდნენ ორ მნათეს. ორივე მნათეს სულ 4 სამხდო უნდა გადაეხადა (ახალი წელი, აღდგომა, სთვლის გივარგობა, დიდი ხუთშაბათი)“ (ითონიშვილი 2015:191).

3.10. მთავარანგელოზობა გაიბოტენში

სოფ. გაიბოტენი სიონის თემის საკრებულოა. ქართულ საისტორიო წყაროებში (გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთი) XV საუკუნიდან მოიხსენიება. „გაიბოტენი სამეფო საკუთრება იყო, მაგრამ მისი მოსახლეობის ნაწილიგერგეტის საყდრის ყმად ითვლებოდა. სოფელში მთავარანგელოზობას დღესასწაულობენ. XVII საუკუნიდან, არაგვის ერისთავთა მომძლავრების შემდეგ, სოფელზე წილი ამ ფეოდალებმაც დაიდეს. საკუთარი მეურნეობის სამართავად თავიანთი მოხელეები (ჩქარეულები) დანიშნეს“ (სძა 2004:441).

გაიბოტენის სალოცავებია: 1. კვირეცხოვლის ეკლესია (გვიანი შუა საუკუნეები). 2. კვირეღვთიშვილის ნიში. 3. მთავარანგელოზის (ვაჟების) ხატი. 4. ნიშთანა (ქვის ჯვარი), ზვავისაგან დამცველი ხატი. დღეობა იმართებოდა ზამთარში ხუთშაბათ დღეს.

მთავარანგელოზის სალოცავი სოფლის განაპირას დგას. ფიქალი ქვით მშრალად არის ნაგები. სალოცავს დღემდე შემორჩა ქვის ჯვარი ადამიანის გამოსახულებით და ყოჩის ქანდაკება.

წმ. მთავარანგელოზებს გაიბოტენში ბავშვების, უფრო კი, ვაჟების მფარველად მიიჩნევენ. ასეთივეა კახური ტრადიცია. ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, რომ სოფ. ანაგის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიაში, როგორც ვაჟების მფარველი ანგელოზისა, ბერად ანუ **კურეტად შაყენების** საკრალური წესი ჰქონდათ (აბაკელია 1997:22). **ბერად შაყენება** 15 წლის ასაკამდე იყო დასაშვები (ითონიშვილი 2015:214).

ბავშვებისადმი განსაკუთრებული მფარველობის ზემოაღნიშნულ ფაქტს მოხეური ზეპირსიტყვიერებაც ადასტურებს:

„თარანგელოზის სახეო, გუშინდილაზედ გნახეო,

ხელში გეჭირა ყმაწვილი, კარქათ ვერ დაგინახეო“ (კობაიძე 2012:88).

დღეისათვის დღესასწაულს, მთავარანგელოზთა ხსენების დღეს, 8 ნოემბერს (ახ. სტ) და ყველიერში აღნიშნავენ. დღესასწაულზე მოხევეები სალოცავში მიდიან და

სანთლებს ანთებენ. დიასახლისები აცხობენ ქადებს. ოჯახის ახალგაზრდა ვაჟებს ქადა სალოცავში მიაქვთ და იქვე ნიშთან ჭრიან. ნახევარს ტოვებენ, მეორე ნახევარს ოჯახის წევრები ინაწილებენ. თუ სტუმარი შეესწროთ ქადას აუცილებლად სთავაზობენ. ქადის დაჭრის შემდეგ, თითო ჭიქით დაილოცებიან. ერთი ბოთლი ღვინო სალოცავში ყველა გვარს მიაქვს.

დიასახლისები ქადის ცომისთვის **მახუხს** იყენებენ. თუმცა კი, დღეისათვის ნაყიდ საფირმო საფუარსაც. მახუხი ცომის ასაფუებელი სიმინდის ფქვილის მჟავე ფაფაა. **მახუხი** ასაფუებლადაც გამოიყენება და ერბოთი ფაფადაც ხარშავენ. საღვთო საკლავი შეთქმული თუ აქვთ, დეკანოზს დააკვლევინებენ, ხარშავენ და ოჯახში დიდ სუფრას შლიან. იწვევენ სტუმრებს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შემონახული შემოვლითი რიტუალები. ხევის სინამდვილეში დღემდე ცოცხალია კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი. ყველა შემოვლითი რიტუალი ხასიათდება: კარდაკარ სიარულით, მომლოცველთა ჯგუფების შეკრებით, ძღვენ - შესაწირებით, რიტუალური ტრაპეზით და შემოვლის ლექს - სიმღერებით (ლომთათიძე 2013:169). ზემოაღნიშნულიდან, გაიბოტენში ლექს - სიმღერების გარდა ყველა წეს - ჩვეულებაა შემორჩენილი.

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი არქაულია. „კარდაკარ მოსაირულენი ყველა ოჯახს ხდიდნენ დღესასწაულის მონაწილედ და შეიძლება, ამოწმებდნენ კიდეც მათ მზადყოფნასა და გულუხვობას, რომ მერე დამსახურებისაებრ მიეძღოთ მათთვის“ (ლომთათიძე 2013:170).

ყველიერის ხუთშაბათს მთავარანგელოზის სალოცავში დაცულ თუნუქგადაკრულ ხის ჯვარს გამოაბრძანებენ, ახალგაზრდები ჯვრით ხელში კარდაკარ დადიან და ოჯახებს ლოცავენ. თან კალათები და ჯამები მიაქვთ, ყველა ოჯახთან ჩერდებიან, ლოცავენ და ყველის, კვერცხისა თუ ფულის სახით გარკვეულ შემოწირულობას იღებენ. ჩამოვლითი რიტუალის დამთავრების შემდეგ ჯვარს კვლავ სალოცავში აბრუნებენ. მის წინ მუხლს მოიყრიან, სანთლებს დაანთებენ და ღვინით დაილოცებიან. შეგროვილი თანხითა და სურსათით სოფელში სუფრას შლიან და მოილხენენ.

გაიბოტენში ყველიერის ხუთშაბათი თანმხლები კარდაკარ ჩამოვლის რიტუალით სახალისო და ცოცხალი დღესასწაულია და გაჯერებულია ქრისტიანული პლასტებით.

ხევში **წმ. მთავარანგელოზთა** ხსენება ტრადიციულია. მდ. ბროლისწყაროს გავლით, დარიალში, უკვე რამდენიმე წელია მთავარანგელოზთა სახელობის დიდი კომპლექსი შენდება, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მაგრამ მთავარი ტაძარი და მამათა მონასტერი მოქმედია (იხ. დანართი №15).

წმ. მთავარანგელოზთა სახელობის კომპლექსის მთავარი ტაძარი მონუმენტური, მოქმედი ეკლესიაა ხევის ტერიტორიაზე, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ადამიანი მოილოცავს. ეკლესია მოხატული არ არის, მაგრამ ინტერიერში შესვლისთანავე დიდი ზომის, ძვირფასი ლუსკუმით გამშვენებული **წმ. მთავარანგელოზთა** ხატი გვეგებება.

დარიალის კომპლექსთან ორ ნაბიჯში ოსეთის საზღვარი მდებარეობს. საზღვრის იქით, ხევის პირველი ქრისტიანული სალოცავი და დღეს ნანგრევებად ქცეული ***ბახტრის წმ. გივარგი*** დგას.

3.11. არშის წმ. გიორგის დღესასწაული

სოფ. არშა სიონის თემის საკრებულოს ეკუთვნოდა. მემატიანე მოგვითხრობს: "ციხე არშისა თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალსა კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე და შეუვალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა" (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:114).

ციხე XVI-XVII საუკუნეების ძეგლია. XVIII საუკუნის შუა წლებამდე მას არაგვის ერისთავები ფლობდნენ. არშას **ხევის ციხესაც** უწოდებდნენ. ბუნებრივ სიმაგრეს გალავანი არ აქვს (სმა 2004:438).

ცნობილია, არშის რკინის კლიტე, რომელიც ქართველთა ლაშქარს განჯის აღების შემდეგ, ვინმე ღურმა ბაზალის წყალობით განჯიდან წამოუღია და არშის ციხისთვის შეუბამს.

„არშას ბაზალი ღურმაი,

ეფხი ფრჩხილებზე დგებაო,

გაჯას მაღყტყლიჯნა კლიტენი,-

ჩვენს არშას მოუხდებაო.“

არშა 1623 წელს მოიხსენიება. შაჰ - აბასის წინააღმდეგ აჯანყებულმა გიორგი სააკაძემ ამ ციხეში გამოკეტა მოსისხლე-ანდუყაფარ ამილახვარი. სპარსულ წყაროებში არშის ციხეს **ყარაყალხანის** სახელწოდებით იხსენიებენ (სძა 2004:438).

არშა/არში, მონღოლურად მჟავე წყალია, რომელსაც მოხევეები **ვეძას** უწოდებენ. „ვეძისი, ვეძა - მომჟავო წყაროა ბუნებით“ (სულხან-საბა 1991:262). არშის ციხის სიახლოვეს **ვეძაის** და **მუნჯაის** წყარო ამოედინება და ციხემაც შესაძლებელია სახელწოდება აქედან მიიღო.

XIX საუკუნის დასაწყისში მოქმედი ციხის კომპლექსში ***წმ. გივარგის*** სალოცავი იყო ჩართული (ქავთარაძე 1985:123).

ციხის სამხრეთ დასავლეთ მონაკვეთში IX-X სს-ის თლილი ქვით ნაგები ეკლესია დგას, რომელიც დღეისათვის მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. მის ტერიტორიაზე წმ. გიორგის სალოცავია, რომელიც ოთხწახნაგა მასიურ ნაგებობას წარმოადგენს და მშრალად, ფიქალი ქვით არის ნაგები. სალოცავის მთავარი ფასადი ჩრდილოეთითაა პირმიქცეული. კედელში თახჩა აქვს დატანებული. ნაგებობის სამხრეთ აღმოსავლეთით კლდის პირას სამრეკლოა, ქვების ორ გროვაზე რკინის ჯოხია გადებული და დიდი ზარი აქვს ჩამოკიდებული (სძა 2004:438).

არშის წმ. გიორგის ნიში ადრე ჯიხვის რქებით იყო შემკული. აქ წმ. გიორგის ვერცხლის ჯვარი ესვენა: „ჯვარი ხისაა და ვერცხლით არის შემოსილი, 54/42 სანტ. ჯვრის თავზე და გულზე გამოსახულია მხედარი, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს და მისი ცხენის ქვეშ წაქცეული მამაკაცია გამოსახული. ჯვრის შუატანის ორ მრგვალ როზეტში შვილდოსანი მხედარია გამოსახული“ (მაკალათია 1934:220).

არშელები სალოცავში გიორგობას, ახალწელსა და აღდგომას დღესასწაულობდნენ. იხდიდნენ საღვთოს, რაც არშის წმ. გიორგის მამულის მოიჯარადეებს: ბაზალს, სულიაურსა და გოგბაიძეს ევალებოდათ. ის გვარები კი, რომლებიც **ხატის სათიბით** სარგებლობდნენ საღვთოს მორიგეობით იხდიდნენ.

XX ს-ის 60-70-იან წლებში სოფელში აღნიშნავდნენ ***მარიანობის*** დღესასწაულს. მარიამობას 28 აგვისტოს, ჭირისუფალი დილიდანვე ეპატიჟებოდა ნათესავებს, მოკეთეებს,

მეზობლებს. სუფრა, **სიფრო** დილიდანვე იდგმებოდა **საუზმოზე**. დილის სუფრაზე პური, ყველი, ხაბიძგინები, ქადა-ნაზუქი, ხაჭაპური, არაყი, კაპარი (სიმინდის ფქვილის მომჟავო - მოტკბო გემოს სასმელი) და ღვინო მიჰქონდათ.

სადილისათვის კლავდნენ საკლავს, ხარშავდნენ ხორცს და ფლავს აკეთებდნენ. ხორცი, რომ მოიხარშებოდა სტუმრად მოწვეული ადამიანები მღვდლის თანხლებით გაემართებოდნენ მიცვალებულის სასაფლაოსაკენ. ჭირისუფალს და მის ახლობლებს თან მიჰქონდათ ნამცხვრები, ქვაბით - ხორცის ნახარში. საფლავის ქვასთან გაშლიდნენ სასმელ - საჭმელს და მღვდელს აკურთხებინებდნენ. ავდრიან დღეს სტუმრები სასაფლაოზე არ გადიოდნენ და ნაკურთხ საჭმელს სახლში შეექცეოდნენ. მღვდელს ატანდნენ **პატივს** ე.ი. ძღვენს (ბარდაველიძე 1966:34-35).

საზოგადოდ, ხევში მიცვალებულის სუფრას შვიდჯერ შლიდნენ. ესენია: თავი ანუ **ხიშტაი** (ქელეხი), თხუთმეტი (მეთხუთმეტე დღეს), ორმოცი, **ხალარჯობა**, მარიანობა, ქრისტეს შობა, წლისთავი. საფლავზე ორმოცსა და წლისთავზე გადიოდნენ, მაგრამ არშის შემთხვევაში **მარიანობაზეც**.

საეკლესიო სწავლებით მარიამობასა და ქრისტეს შობას, რა თქმა უნდა, არ არის მიღებული მიცვალებულის სუფრა, რადგან საუფლო დღესასწაულებია. დღეისათვის აღნიშნული რელიგიური რიტუალები საეკლესიო ჩარჩოებშია მოქცეული და მოხევეებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მარიამობა დღესასწაულია და არა მიცვალებულთა მოხსენიების დღე.

ხალარჯობას აღდგომის მე-7 კვირას შაბას აღნიშნავდნენ. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად საღვთო საკლავს კლავდნენ. ხალარჯობას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც აღნიშნავდნენ, მაგრამ განსაკუთრებულად ფშავში: „ხალარჯობა იწყებოდა აღდგომიდან შვიდი კვირის შემდეგ და გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში. ამ დღეებში ყველა მიცვალებულის პატრონი ვალდებული იყო გამოეცხო ქადა - პურები და მისულიყო მიცვალებულის საფლავზე. ახალი მიცვალებულის პატრონი კი აუცილებლად იხდიდა ხარჯს“ (ბოძაშვილი 1988:83-84).

მიცვალებულთა მოსახსენიებლად **შიოობის** აღნიშვნაც იცოდნენ. **შიოობა** ყველიერის ხუთშაბათია ე.ი. **ხორციელი შაბათის** მეხუთე დღე. ჭირისუფალი ამ დღეს

მოხარშავდა ბრინჯის ან სიმინდის ფქვილის ფაფას, ან ყველის ხინკალს, შეწვავდნენ ხაბიძგინებს და **კუტაპებს** (ერბოში შემწვარი წაგრძელებული ხაჭაპური).

მიცვალებულს სანთელს თეფშზე დასხმულ საჭმელზე აუნთებდნენ და შუამდე დაწვავდნენ. ვიდრე სანთელი ენთო მოხევეებს სწამდათ, რომ მიცვალებულის სული დაჩოქილი იყო და, რომ ძლიერ არ შეწუხებულიყო, ამიტომ სანთელს ნახევრამდე წვავდნენ. განსაკუთრებულად იხსენიებდნენ უმოწყალოებს (მოხეურად - გარდაცვლილი რომელსაც მომხსენიებელი არ დარჩა). შიოობაზე სტუმრებს არ ეპატიჟებოდნენ და მხოლოდ ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ.

არსებობს გადმოცემა, რომ „ყოფილა ვინმე შიო, რომელსაც უქადაგია: ძმას ძმის ცოლი არ ეკუთვნისო, ამაზე მისთვის თავი მოუკვეთიათ და თავს მაინც დაუძახია: "არ ეკუთვნისო". კარგად ჩანს, შიოს ფშავლები პატივს სცემდნენ, როგორც უაღრესად მაღალი ზნეობის ადამიანს (ბოძაშვილი 1988:77).

დღეისათვის არშაში გიორგობას აღნიშნავენ. კვირეცხოვლობასაც დღესასწაულობენ, აღდგომიდან მესამე კვირას და მეზობელი სოფლის - გაიბოტენის სალოცავში მიდიან.

გიორგობას 6 მაისს და 23 ნოემბერს (ახ. სტ.) დღესასწაულობენ. დილით სალოცავში სოფელში მცხოვრები ყველა გვარი მიდის მოსალოცად. ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ. სადღესასწაულოდ გამომცხვარ ყველიან ქადას ნიშთან ორად გატეხავენ, ერმანეთს უნაწილებენ და შეექცევიან. სალოცავთან ერთი ბოთლი ღვინო მიაქვთ, მამაკაცები თითო ჭიქა ღვინით დაილოცებიან. დარჩენილ სასმელს იქვე ტოვებენ.

დღესასწაულზე დეკანოზი არ ყავთ. ქადის ნახევარი და სასმელი სალოცავში რჩება და „თავის გზას პოულობს". ნიშს ხატებს და ფულს სწირავენ. **ხატში** ადრე თოთელებს 16 თუნგი არაყი და 8 ბატკანი უნდა მიეყვანათ (ითონიშვილი 2015:193).

არშის წმ. გიორგის ცხვარს ან ხბოს სწირავენ და მფარველობას შესთხოვენ. სადღესასწაულო საკლავის ყიდვა დიდ თანხასთან არის დაკავშირებული და ამიტომ არშელები ოჯახებად, გვარებად ერთიანდებიან და საღვთოს ერთობლივად იხდიან. დაკლული საღვთო საკლავის ხორცს ასო-ასო აკაფავენ და მთლიანად, გარდა თავისა, სახლში მიაქვთ მოსახარშად.

ხორცს დიდ ქვაბში ხარშავენ, ლანგარზე აწყობენ და სუფრასთან მამაკაცები ჩამოატარებენ. სადღესასწაულო სუფრასთან მსუბუქ კერძებს ქალები, ხოლო ხორცეულს და სასმელს მამაკაცები ჩამოატარებენ. მოხევეთა სუფრას ახალგაზრდა **ზეზამდგმურები** ემსახურებიან.

სადღესასწაულოდ მოიყვანენ ბეჭზე მცნობარს, ხელში მოხარშული ბეჭის ძვალს დააკავებინებენ. მცნობარი სინათლეზე გახედავს ძვალს და ორიოდე საიმედო სიტყვას იტყვის.

გაშლილ სუფრასთან, პირამდე გავსებულ, **გაწიმწიმებულ** სასმისებს მონაცვლეობით სვამენ და მოილხენენ. უმთავრესი ადგილი სუფრასთან გვარის უფროსს უკავია. ის უხუცესია და სუფრის წევრების განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს.

სადღეგრძელოს ჯერ გვარის უხუცესი წამოთქვამს და მერე სასმისს ახალგაზრდებს გადაულოცავს. შეზარხოშებულ მოხევეებს ცეკვა და სიმღერა უყვართ. **დალგუდალურ**, არეულ - დარეულ ცეკვებს დღესასწაულზე დოლ-გარმონის თანხლებით განსაკუთრებული ეშხით ასრულებენ. დოლ-გარმონზე დამკვრელი ხევში ძვირად ფასობს. სიმღერებიდან მოხეურ **დიდებას** ასრულებენ, რომელიც უფრო მეტად, უფროსი თაობაშია პოპულარული.

3.12. ცდოს კვირეღვთისშვილის დღესასწაული

ცდო დარიალის ხეობაში მდ. თერგის გაღმა, მაღალი მთის კლდოვან მასივზეა დაფუძნებული. დღეისათვის აქ ძველი, ბანიანი სახლების ნაშთები და საკულტო ნაგებობებია შემორჩენილი. ცდოში სულ შვიდი ოჯახი სახლობს, მაგრამ სოფელს სიცოცხლისუნარიანობა არ დაუკარგავს. ზაფხულში ხევის სიძველითა და სილამაზით გამორჩეული ადგილის ხშირი სტუმრები ტურისტები არიან. ცდო განსაკუთრებულად იზიდავდა ხელოვან ადამიანებს. აქ არის გადაღებული გოდერძი ჩოხელის ფილმი „სამოთხის გვრიტები“.

ცდოს მთავარი სალოცავებია: 1. კვირეს ხატი 2. ჟამის ხატი 3. წმ.გიორგის ხატი

სოფელში ძირითადად ორი გვარი ცხოვრობს - წიკლაურები და ზაგაშვილები. XX ს-ის 30-იან წლებში ს. მაკალათიას მიერ აღწერილი სოფლის სტრუქტურა და 1966 წლის საექსპედიციო მასალები ცდოში **კვირეღვთისშვილის** სალოცავის, **ხატის** არსებობას ადასტურებს.

გადმოცემით, **კვირეის ყოჩს** ჩვენი წინაპრები თვალის სისაღეს, ცხვრის გამრავლებას და ნაყოფიერებას ევედრებოდნენ.

მთაში **კვირიას** მორიგე ღმერთის მერე მეორე ადგილი უჭირავს. **კვირე/კვირიას ხმელთმოურავსაც** ეძახიან. კვირია მორიგეს კარზეა და სამწერლო აქვს გამართული. ხმელეთზე ყველა საქმეს კვირია განაგებს და სანამ კვირიას არ შეეკითხებიან, ანგელოზები ვერაფერს გააკეთებენო. მორიგესა და კვირიას ერთად იხსენიებდნენ და კარგად ყოფნას, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ (მაკალათია 1984:230).

პირველი შეგრძნება, რაც ცდოს ნახვისას გვიჩნდება, მისი მკაფიო საკრალურობაა. მთაზე კოხტად შეფენილი საცხოვრებელი სახლების ზევით, ქვის საფეხურებით მიმავალ შემაღლებაზე, კოშკის მსგავსი შენობის ნანგრევია შემორჩენილი. კოშკისავე ჩრდილოეთის კედელზე დგას **კვირეის ყოჩი** (იხ. დანართი №16). ანდეზიტის ქვაში ნაქანდაკები ყოჩი მდ. თერგს გადასცქერის და სტეფანწმინდისკენაა პირმიქცეული. დიდრქიანი ხავსმოდებული სიძველის ნაშთი ადგილს არქაულ იერს მატებს.

სალოცავში ჯვრით გამშვენებული ნიშია, სადაც მლოცველები სანთლებს ანთებენ, აქვე ღვთისმშობლის ჭედური ხატი დევს, ძველი ვერცხლის სასმისები და სხვადასხვა ფორმის ზარ - ზანზალაკები.

ადგილობრივთა ცნობით, **კვირეის ყოჩი** ძველად ოქროსი ყოფილა. საინტერესოა, რომ ხევის სალოცავებში ხშირია ოქროს ხსენების ტრადიცია. სტეფანწმინდაში დღემდე არის შემორჩენილი აღდგომის ნიში, რომელსაც **ოქროს ბურთუსოვანი** ეწოდება, არსებობს აგრეთვე **ოქროს ბერი წმ. გიორგის** სალოცავი. ხევში „იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:116). მთხრობელთა მონაყოლზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დევდორაკთან ოქროს საბადო არსებობდა. შესაძლებელია, **ოქროს ბურთუსოვანსა** და **ოქროს ყოჩის** გადმოცემაში ოქროს სიმბოლურ - საკრალური გააზრება ჭარბობდეს. ცდოს კოშკის ნანგრევში მოჩანს მაგიდა და გრძელი სკამები, სადაც სადღესასწაულო სუფრას შლიან.

ჯიმშერ გიორგის ძე წიკლაური გვიყვება, რომ ძველად კვირეს დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. აღდგომის მესამე კვირას გვარში ყველაზე უფროსი

ქალი ქადას აცხობდა, სალოცავში აჰქონდა, ჭრიდა და მხვეწარს (მლოცველს) უნაწილებდა. ქადა ყველას უნდა შეხვედროდა, ამიტომ დაჭრიდნენ და ანაწილებდნენ.

დღეობაზე ანთებდნენ სანთლებს, კლავდნენ საღვთო საკლავს, რასაც სადღესასწაულო სუფრა მოყვებოდა. სადღესასწაულო განწყობას სოფლის მკვიდრნი სტუმრების დიდი ნაკადის წყალობით ხშირად ორი კვირის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. გადმოცემით, ძველად სალოცავის კომლექსში ეკლესია არსებობდა.

კვირეღვთისშვილს - **კვირესძლობადაც** მოიხსენიებენ. კვირესძლობა ხანდახან აღდგომიდან მეორე კვირას აღინიშნება. დღესასწაულს ჩვენი წინაპრები განსაზღვრულ დროს, აღდგომიდან მესამე კვირას აღნიშნავდნენ. დღეისათვის ხევში კვირესძლობას თუ ერთ სოფელში აღდგომის პირველ კვირას დღესასწაულობენ, მეორეში-მეორე კვირას და ა.შ.

აღდგომიდან მესამე კვირას, კვირესძლობას, ცდოელები ტრადიციულად ნიშთან მიდიან, სანთლებს ანთებენ, ქადას ჯვრულად ჭრიან, მიირთმევენ, საღვთო საკლავს დაკლავენ და ლოცულობენ. სალოცავში მისატანი ქადა ერბო - ყველით არის შეზავებული და საფუვრიანი ცომით მზადდება.

საღვთო საკლავს ღია ცის ქვეშ სასოფლო - საჯალაბო ქვაბში ხარშავენ. დაკლული ცხვრის თავს შემაღლებული ადგილიდან დააგორებენ და იქვე ტოვებენ.

სადღესასწაულო სუფრას კვირეის სალოცავთან მოწყობილ დიდ მაგიდაზე შლიან. დიასახლისებმა დღეობისთვის სუფრაზე სხვადასხვა ტკბილეულისა და ნამცხვრების მიტანა იციან.

ლუდს დღეისათვის აღარ ხარშავენ. უფრო მეტად არაყსა და ღვინოს სვამენ. სალოცავს ხშირად ხატებს, სანთლებსა და პატარა ზომის ზარებს წირავენ. ზოგს სასმელი ფიალები მიაქვს და იქვე ტოვებს.

კვირეის ყოჩს სადღესასწაულოდ ალამაზებენ და ამკობენ. ანდეზიტის ქვის ყოჩს ზედ მიმაგრებული რქა თუ დაუძველდება, ჯიხვის ახალ რქას მიუმაგრებენ და საყურედ ვერცხლის ზარს ჰკიდებენ.

3.13. კვირეღვთისშვილის დღესასწაული სოფ. ფხელშეში

ფხელშე მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ი. გიულდენშტედტი ფხელშეს ხევსურთსოფელს უწოდებს (გიულდენშტედტი 1964:63).

ფხელშეს სალოცავებია: 1. ეკლესია (IX-Xსს.) 2. კვირეღვთისშვილის (ქალთა ხატი)

ფხელშეში კვირეღვთისშვილის დღესასწაულს აღნიშნავენ. მას ქალთა ხატს, **დაყაჭულს** ეძახიან. ამაღლების დღესასწაულზე სალოცავში ქალები გადიოდნენ. ხატს ჯანმრთელობას, ვაჟიანობას, ოჯახის სიკეთესა და ბედნიერებას შესთხოვდნენ.

კვირეღვთისშვილის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული: **კვირა/კვირიაი**, კვირა დღის სახელწოდებიდან მომდინარეა: „შეიძლება **კვირია** კვირისაგან იყოს წარმომდგარი, იმიტომ, რომ იმ ღვთაებას, რომელსაც შემდეგ ეს სიტყვა საკუთარ სახელად გადაექცა, შვიდეულში სწორედ ეს დღე ჰქონდა მიკუთვნებული. ჩვენ ვიცით, რომ კვირას მეგრულად **ჟაშხა**, ჭანურად **ბჟაჩხა** და სვანურად **მიჟლადეღ**, ანუ **მზის დღე** ჰქვია. მაშასადამე, თუ მართლაც ამ ღვთაებამ ზემოაღნიშნულ მიზეზის გამო მიიღო **კვირიას** სახელი, მაშინ იგი ჩვენ უნდა მზის ღვთაებად ვიცნათ, მაგრამ მზის სქესის გამო ეს საეჭვოა“ (ჯავახიშვილი 2012:76).

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებითვე -“შეიძლება აგრეთვე **კვირია** ძველს მცირე აზიის საბერძნეთში გავცელებული სახელის **კვრიასაგან** იყოს წარმომდგარი, რომელიც **უფალსა** ნიშნავდა და სხვადასხვა ღვთაების შესახებ იხმარებოდა“ (ჯავახიშვილი 2012:76).

კვირიაკე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განიმარტება **საუფლოდ მზისა** (სულხან-საბა 1991:370). ს. მაკალათია კვირიას, მთის წარმართული პანთეონის ღვთაებად მოიხსენებს (მაკალათია1984:230)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში დადასტურებულ **კვირაე/კვირიას** ეპითეტებსა და ფუნქციებს განსხვავებული ახსნა მოუძებნა ანდრო ლეკიაშვილმა, მისი აზრით, ტერმინი **კვირია** მაცხოვრის ხალხური ეპითეტია (ლეკიაშვილი 1985:264).

ზემომოყვანილს, ადასტურებს როზეტა გუჯეჯიანი და აღნიშნავს, რომ კვირიად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები მაცხოვარს იხსენიებენ (გუჯეჯიანი 2012:81).

კვირია „ქრისტეა, მხოლოდშობილი ძე, რომელსაც მამის მარჯვენით უკავია ადგილი, მეტაფორულად კარავი აქვს გაშლილი..აშკარაა, რომ სახელი კვირია სხვა არაფერია, თუ არა ბერძნული კჯირიოს „უფალი“, რომელიც ქრისტეს სახელად არის დამკვიდრებული ქრისტიანულ მწერლობასა და სალიტურგიო პრაქტიკაში“ (კიკნაძე 2013:155).

ფხელშეში XX ს-ის 30-იან წლებამდე **კვირიას** ე.წ. ქალთა დღესასწაული იყო შემონახული, რომლის თავისებურებას პატრიარქალურ ხევში სალოცავში დეკანოზი ქალის არსებობა განაპირობებდა.

კვირესძლის, ქალთა ხატი სოფლიდან სამხრეთით კლდეზეა ნაგები. მშენებლობისას გამოყენებულია ფიქალი ქვის მშრალი წყობა. სალოცავი ორი სხვადასხვა დონეზე მდგარი, ნაგებობისაგან შედგება. ორივე დანგრეულია. მთლიანობაში ნაგებობა გარედან ოთხკუთხა ფორმისაა, მაგრამ ძნელი სათქმელია ეკლესია იყო თუ არა. შიგნით აღმოსავლეთ კედელი მომრგვალებული აქვს და მის მთელ სიგრძეზე ქვის სკამები არის გაწყობილი. სალოცავს ბაზალტის ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და კლდეს ეკრის. გალავნის შიგნით იყო ხატის სათიბი (სძა 2004:482).

სალოცავში ინახებოდა ნაირგვარი მძივები, ღილები, საყურეები, ბეჭდები და ზანზალაკები. კვირიას დღესასწაული ამაღლებას იმართებოდა და მას მხოლოდ ქალები იხდიდნენ (მაკალათია 1934:213).

სალოცავის ნიშში არის ე.წ. **ქალების ხატი**, რომელიც „წარმოადგენს დედოფალას, რომლის სიგრძე დაახლოებით 54 სმ-ია. დედოფალა შემოსილია თეთრი ტანისამოსით და პირისახეზე მიკრული აქვს ლითონის პატარა ხატი, რომელზეც ქრისტეს სახე არის გამოხატული“ (მაკალათია 1934:213).

ფხელშეში ყოველ გვარს თავისი ქალების ხატი ჰქონდა, სადაც ბავშვები მიჰყავდათ შესავედრებლად (ითონიშვილი 2015:180).

ამაღლების დღესასწაულზე დეკანოზი ქალი თეთრ ტანსაცმელში იმოსებოდა და ქალებს ამწყალობნებდა. დეკანოზად ქალს ერთი წლით ირჩევდნენ. ის უნდა ყოფილიყო გაუთხოვარი და უმანკო. ქალები სალოცავში შესაწირით და სანთლით მიდიოდნენ.

დეკანოზი მხვეწარს (მლოცველებს) შესაწირს გამოართმევდა, სანთლებს დაანთებდა და ლოცულობდა. სოფელში ვინმე თუ ავადმყოფობდა, კვირიას **დედოფალას** შეუთქვამდა, სოფელს კარდაკარ ჩამოუვლიდა და ყველა შეეწეოდა. ზოგი მძივს, ფულს, ქსოვილის ნაჭრებსა თუ სამკაულებს ჩუქნიდა. მოხევე ქალი ფიცრისაგან ან ხის ნაჭრისაგან ადამიანის სახეს გამოჭრიდა, ტანისამოსით შეამკობდა და შეწირული მძივებით დაამშვენებდა. ხელთნაკეთი დედოფლები სალოცავში მიჰქონდათ და სალოცავის ნიშში ტოვებდნენ. დამწყალობნების შემდეგ ქალები სალოცავ ნიშთან სუფრას შლიდნენ, დასხდებოდნენ და დროს მხიარულად ატარებდნენ (მაკალათია 1934:214).

ზემოაღნიშნულიდან, ნათლად ჩანს, რომ ხევში დეკანოზ ქალს ყველა სადეკანოზო ვალდებულება ჰქონდა შეთავსებული. ის ემსახურებოდა **კვირეს ხატს**, რომლის ნივთიერი გამოხატულება **ღვთაების ხატით** შემკული დედოფალა იყო. მაგრამ დღესასწაულზე საღვთო საკლავი არ იკვლებოდა.

ქართულ სინამდვილეში ქალების სალოცავის არსებობა უცხო არ არის. სვანეთში, ლახამულაში **ბარბოლის** ქალთა სალოცავს, **ახალკვირის** სახელით მოიხსენიებენ (ბარდაველიძე 2006:20).

სვანეთისაგან განსხვავებით, ხევში **ბარბალობა** და წმ. ბარაბრეს თაყვანისცემა არ დასტურდება, მაგრამ შესაძლებელია, მსგავსი შინაარსიით ყოფილიყო დატვირთული კვირეღვთისშვილის დღესასწაული.

საფიქრებელია, რომ ძველად ბარბარეს კულტი ხევშიც ყოფილიყო გავცელებული, რაზეც საფერხულო სიმღერა **აბარბარე - ბარბარე** მიგვითითებს. ბარბარე მიემსგავსებოდა **მუმლი მუხას** (ყაზბეგი 1950:47).

ფერხულის თავისებურებებზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ითონიშვილი: **აბარბარე - ბარბარეს** ფერხულში სულ ცამეტი ახალგაზრდა ბიჭი მონაწილეობდა. როგორც ქვედა, ისე ზედა წრეში ექვს - ექვსი ბიჭი დგებოდა, ხოლო მეცამეტე წრეში მეკოდის ადგილს იკავებდა და ქვედა რიგში მდგომთ ლუდით უმასპინძლდებოდა. რიტმულობის დაცვა ქვედა რიგში მდგომთ მართებდათ. თუნდაც ერთი არასწორი ნაბიჯის გადადგმითაც კი მოსალოდნელი იყო მათ მხრებზე მდგომი რომელიმე მონაწილის ჩამოვარდნა და **აბარბარე - ბარბარეს** დაშლა. რიტუალის დამთავრებისთანავე ისმოდა სიმღერა:

„აბარბარე - ბარბარე! ნუ გომოგყრით მალ - მალე,

თუ გამაყრა არ გინდათ, ლუდი მოსვით მალ - მალე“ (ითონიშვილი 2006:270-271).

ზემოაღნიშნულ, საფერხულო სიმღერაში აშკარაა ბარბარეს კულტის პლასტები, რაც სიმღერის ტექსტით დასტურდება. ეს საფერხულო სიმღერა მოხეურ სინამდვილეს ბევრად დიდხანს შემორჩა, ხოლო ამავე სახელწოდების წრიული ფერხული დაიკარგა.

ფერხულ აბარბარეს მოწყობა მხოლოდ ღია ცის ქვეშ იყო შესაძლებელი, რადგან მოხეურ სახლებში ორი კაცის ვერტიკალურად გამართვა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ასრულებდნენ ქორწილშიც და **ხატშიც** (ითონიშვილი 1960:264-266).

„ფერხული ყოველ დღესასწაულზე იცოდნენ. ბევრი ფერხული და ცეკვა-თამაში იყო. ფერხული ერთმანეთზე გაბმულია, ქამარზე დარჭობილი ხელებით. 15 კაცზე მეტიც იყო ფერხულში. ფერხული წრესავითაა“ (ალავერდაშვილი 2007:58).

ბარბალე, როგორც **კვირია**, ფუნქციურად ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ: აბარბარე - ბარბარე საწესო ცეკვაა, რომლის დანიშნულებას ასტრალური რელიგიისადმი სამსახური წარმოადგენდა და ერთ - ერთი მნათობის მზის ქალ - ღვთაება ბარბარესაგან, დახმარების მიზნით სრულდებოდა (ითონიშვილი 1960:334).

დღესასწაულის თავისებურებად, როგორც აღვნიშნეთ, დეკანოზი ქალის არსებობა ითვლებოდა. შესაძლებელია, საქმე დღესასწაულის პაგანიზაციასთან გვაქვს. ამავე დროს, ცხადია, რომ საქართველოს თითქმის ყველა ეთნოგრაფიულ კუთხში ქალთა სალოცავები და ქალი - ქადაგების არსებობა დასტურდება.

ხატის ქალები საქართველოში გავრცელებული თემაა. მაგალითად, ფშავში ისინი ღელეს აქიმ - დედოფალს ჰყავდა. თამარის ხატი ძლიერ სალოცავად ითვლებოდა, სნეულთა მფარველად მიიჩნევდნენ და ქალები ლოცულობდნენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარ ღელის სალოცავი დედათა მონასტერი იყო (მინდაძე 2008:82).

საფიქრებელია, რომ ფხელშეს კვირეს სალოცავში დეკანოზი ქალი ძველად აქ არსებული სამონასტრო ცხოვრების და ქალთა რიტუალური მსახურების ტრადიციული, მაგრამ სახეცვლილი ფორმა იყო.

ფხელშეში სამონასტრო ცხოვრების არსებობა არაა გამორიცხული, რადგან სოფელში IX-X ს-ის ეკლესიაა შემორჩენილი (სძა 2004:482).

საგულისხმოდ მივიჩნევთ თავად კვირეს ხატის უცნაურ ნივთიერ სახეს და ვფიქრობთ, მას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს **პირიღვთისას ხატის** ისტორიასთან. ამ აზრს, ისიც გვიმყარებს, რომ კვირეღვთისშვილის ხატს საუფლო დღესასწაულთა შორის გამორჩეული, **ამაღლება** უკავშირდება.

ხევში საველე მუშაობის დროს, სამწუხაროდ, სოფ. ფხელშე ვერ მოვინახულეთ და შესაბამისად, არ ვიცით, როგორ აღნიშნავენ დღეს ზემომოყვანილ დღესასწაულს.

3.14. კვირეს დღესასწაული სტეფანწმინდაში

სტეფანწმინდიდან დარიალის მიმართულებით, ნათლისმცემლის ნიშის ჩრდილო - აღმოსავლეთით **კვირიეს** კლდეში გამოკვეთილი ეკლესიის ნანგრევია. პატარა შესასვლელი კარი აქვს და შიგნით გაჯით არის შელესილი. ადრე მოხატული იყო. კედლის მხატვრობა დღეს უკვე წაშლილია, აქა - იქ მხოლოდ წმინდანების სახის ნაწილები მოჩანს. სარკმლის თაროზე **ხატში** შესაწირად მიტანილი სადაფის და შუშის ღილები, მძივები, ვერცხლის ფულები, გახვრეტილი ქვები აწყვია.

საინტერესოა სალოცავის დანიშნულება: "როცა ბავშვი სახადს მოიხდის, პირველად აქ ალოცებენ საკლავით და ღამის თევით. სახადისაგან თუ ბავშვს თვალი ასტკივდებოდა ან მას თვალზე თეთრი გადაეკვროდა, მაშინ ნათლისმცემლის ხატს წითელ მამალს შეუთქვამდნენ და მამალს კვირიას ეკლესიაში აიყვანდნენ" (მაკალათია 1934:244).

ხალხური მედიცინის მონაცემებით, **კვირიას** თვალის სისაღეს შესთხოვდნენ და სახადიანთა მფარველად მიიჩნევდნენ (მინდაძე 2013:238).

კვირიეს სალოცავში დეკანოზი მამალს დაკლავდა, მლოცველს შანას შეხსნიდა და სალოცავის ნიშში შედებდა. შესაწირი უნიშნო ცხვარი მიჰყავდათ და თეთრი ან წითელი დროშა მიჰქონდათ. სალოცავში დროშის ნაცვლად ხელთნაკეთი დედოფლები მიჰქონდათ (მაკალათია 1934:244).

მოხევეთა რწმენით, სალოცავი უფროს ვაჟს ამიზეზებს და ამიტომ მას **ბერადაც შეაყენებდნენ**. ამის გამო სამ წლამდე თმას არ აჭრიდნენ. ***ივანობის დღესასწაულზე*** ბერად შეყენებული ვაჟი სალოცავში მიჰყავდათ, ხელში კელაპტარს დააჭერინებდნენ და სალოცავს შეეხვეწებოდნენ: **„თავის სწორი კელაპტარი, თავის სწორი არკამელი, ბერად იყვის სამი წელი შენს ალმანზეო (ოჯახი, მემკვიდრეობა)"** (ღუდუშაური 2011:5).

ბერად შაყენების წესი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დამოწმებულია კახეთში. უშვილო ცოლ - ქმარი, ან ისინი, ვისაც შვილები უჩნდებოდათ, მაგრამ ეღუპებოდათ, ან ხშირად უხდებოდათ ავად, ადგილობრივ ეკლესიას თავის პირმშოს შეუთქვამდნენ. გადარჩენის მიზნით **კურეტად**, **ბერად შეაყენებდნენ**. ბერად შეყენებულ ბავშვებს თმას უზრდიდნენ, თეთრი სამოსელით მოსავდნენ და გარკვეული ვადით ეკლესიაში ტოვებდნენ.

ბერები, **კურეტები** ეკლესიას ემსახურებოდნენ. დათქმული ვადის გასვლის მერე თმას აჭრიდნენ და თეთრ სამოსელთან ერთად ეკლესიაში ტოვებდნენ. იცოდნენ აგრეთვე თეთრ ქსოვილში გახვეული მონეტის ხელზე შებმა, რომელსაც გარკვეული ხანი ატარებდა ბავშვი და შემდეგ ეკლესიაში ტოვებდა. მოხეური რიტუალის სახელწოდება ქართლში გავრცელებულ **ბერად დაყენებას** მიემსგავსება (აბაკელია 1997:23-26).

ხევსურეთში ვაჟიშვილის ჯვარში „მიბარება“ აუცილებელი წესი იყო და ძირითადად დიდ დღეობებზე ასრულებდნენ.

„ბავშვის ჯვარში „მიბარების“ („მისამბარეოს“) წესსაც დაახლოებით ერთი წლის ასაკის ბავშვის მიმართ ასრულებდნენ..ასაკი მერყეობდა ერთიდან სამ წლამდე. „მიბარება“ ჯვარში ვაჟისაც იცოდნენ და ქალისაც, თუმცა სათემო სალოცავებში მხოლოდ ვაჟებს აბარებდნენ, ქალებს კი - ხახმატის ჯვარში“ (ერიაშვილი 1982:61).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **კურეტად** ან **ბერად დაყენება** წარმოადგენდნენ შესაწირ წეს - ჩვეულებებს და ინიციალური სიმბოლიკის ნიშნებს ატარებდნენ. ტერმინ კურატით შეთქმულ ბავშვებს ფაქტობრივად ათანაბრებდნენ სამსხვერპლო ცხოველებთან, რაც გულისხმობდა მსხვერპლშეწირვას. ბავშვი/კურეტი განიხილებოდა მსხვერპლად და მსხვერპლშეწირვის შემდეგ განახლებული, გამოჯანმრთელებული ოჯახს უბრუნდებოდა (აბაკელია 1997:26).

ქრისტიანული თვალსაზრისით ბერობა სიკვდილთან არის გაიგივებული, რადგან ბერი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის კვდება. მოხეურ სალოცავში ვაჟის **ბერად დაყენება**, საეკლესიო - სადღესასწაულო პრაქტიკაში უსისხლო მსხვერპლის გამოხატულებაა.

კვირიას სალოცავთან მხოლოდ მოხუცებსა და პატარა გოგონებს უშვებდნენ. სალოცავში მთელი ხევი მიდიოდა და დღესასწაული სამი დღე გრძელდებოდა.

დღესასწაულზე ქალები თეთრი ტანსაცმლით იმოსებოდნენ. ზოგიერთი, თავზე დიდ ქვას დაიდებდა და ფეხშიშველი სალოცავისაკენ მიდიოდა (მაკალათია 1934:244).

ზოგი ყელზე მავთულზე ასხმულ ფიქალის (ჭაჭის) სამ ქვას ჩამოიკიდებდა. სალოცავს ქალები სამჯერ მუხლისკვერა (მუხლებზე მდგომი) შემოუვლიდნენ, ხელში ანთებული სანთლებით. საღამოს ყველა სახლში ბრუნდებოდა. ღამე ვარსკვალავის გადანაცვლებისას ქალები მიწას დაეწაფებოდნენ, თაყვანს სცემდნენ და სალოცავ ტექსტს წარმოთქვამდნენ: **„ვაი შენ, დიდებულო და მადლიანო უფალო, ცაჩი ვარსკვლავებთან ანგელოზები დაფრინავენ, იმათ უხარიათ, რომ დღეს ბედნიერი დღეა“.**

თუკი მოულოდნელად ჩირგვებთან მოჟღურტულე ფრინველებს დაინახავდნენ, შეშინებულები წამოიძახებდნენ: **„ბეჩაო ჩემო თავო, ჩვენი მკვდარნი შფოთავენ, შენდობას ელიან“.** მერე, „ამოიღებდნენ ხურჯინიდან რამდენიმე პურს ხახვიანს და მარილ გაცხებულს და სამარხო საჭმელზე მკვდრების სახელებს მოიგონებდნენ.

გათენებისთანავე, ვაკე ადგილზე შეიკრიბებოდნენ და ფერხისას მართავდნენ. ერთი არჩეული მოხუცი კაცი განზე გადგებოდა და იტყოდა, აბა, მოდით ხალხო, მოდით ფერხისა გავაბათო. ფერხულის შესრულების დროს ერთ მხარეს ქალები, ხოლო მეორე მხარეს მამაკაცები მჭიდროდ და გადაბმულად დადგებოდნენ. უხუცესი ქალებიდან ერთ - ერთს, ყველაზე ლაზათიანს ამოირჩევდა, რომელიც შუა ფერხულში ჩადგებოდა. მას ხელში უშველებელი გრძელი ჯოხი ეჭირა და თავზე ქუდი ეხურა“ (მაკალათია 1934:245).

საგულისხმოა, რომ თამაშში ქალის ფიგურა დომინირებს, რომელიც, თავის მხრივ, მამაკაცს (დათუას) განასახიერებს.

ფერხულს ახლდა შესაბამისი ტექსტი, სადაც ვინმე დათუას აქილიკებენ - **„არალე, ჩვენო დათუა, ცოლი შეირთეო!**“..ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დათუა ქალებიდან ერთ - ერთს ამოირჩევდა, ვითომდა ცოლად ირთავდა.

„არალე, ჩვენო დათუაო, ჩვენო დათუა, აზნაური როგორია ჩვენო დათუაო?.

არალე, ჩვენო დათუაო, ბეჩავი გლეხი როგორია, ჩვენო დათუაო!

არალე, ჩვენო დათუაო, ხეზე როგორ გახოლ?

არალე, ჩვენო დათუაო, მიწაზე გამოგორდიო!

არალე, ჩვენო დათუა, ცოლი შაირთე ჩქარაო!“ (მაკალათია 1934:245).

ადრე კვირეს კარი ყაზბეგებს ეკუთვნოდათ. როგორც ჩანს, მერე ეს მიწა მოხევეებმა თავიანთ მწყემსს, წარმომავლობით გორისციხელ - დავითა (იმედას ძე) ავსაჯანიშვილს გაწეული სამუშაოს გასამრჯელოდ მისცეს (ითონიშვილი 1971:78).

ფერხულში ჩაბმული მოხევეები ზემოაღნიშნულ დავითას ანუ დათუას აქილიკებენ. დათუა ხან აზნაურივით გაიჭიმებოდა, ხანაც ბეჩავ გლეხს განასახიერებდა ან მიწაზე გაგორდებოდა და ამგვარად, თეატრალიზებულად, ხალხის გამხიარულებას ცდილობდა.

ზოგადად, საქილიკო თამაშები მოხეური დღესასწაულების შემადგენელი ნაწილი და ერთგვარი მახასიათებელია, რაც თავის მხრივ, მოხეურ ზეპირსიტყვიერებაში კარგად არის ასახული:

„ყაზბეგჩი ვიყავ სტუმრადა,

თავი ავიგდე ხუმრადა,

ქილიკი ხალხი ყოფილა,

ყველა გამიხდა ძმურადა.“

გართობა იქამდე გრძელდებოდა, სანამ არ დაიღლებოდნენ. დეკანოზი მლოცველებს ამწყალობნებდა. ბოლოს კი საერთო პურობა იმართებოდა (მაკალათია 1934:246).

ხევის ტოპონიმიკაში ბევრია კვირიას კოშკ - სალოცავები, აგრეთვე ამავე სახელწოდების სახნავ - სათიბები (ითონიშვილი 1971:15-91). ისინი ფუნქციურად სხვადასხვა დანიშნულებისაა და სხვადასხვა სახელწოდებას ატარებენ.

კვირია აგრარული სალოცავია და ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ სახნავს, სათესსა და ტყეს უკავშირდება. ვინმეს თუ თვალი ასტკივდებოდა, კვირიას თვალის სისაღეს შესთხოვდა და ყელზე ფიქალის ტარებას შეუთქვამდა. როცა ადამიანი განიკურნებოდა, დეკანოზი შეხვეწილს დაამწყალობნებდა, ქვას შეხსნიდა და მას კვირიას ნიშში შედებდა. ხევში **კვირეღვთისშვილი** ქალებისა და ბავშვების მფარველად მიიჩნეოდა, მას გამრავლებას და ნაყოფიერებას შესთხოვდნენ.

დღეისათვის **კვირიეს სალოცავი** მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და მიუვალია. დღემდე მოხევეები კვირეღვთისშვილის ძველ და საპატიო სალოცავს აღდგომიდან მესამე კვირას სანთლებს, ქადებს და საღვთო საკლავს სწირავენ.

აღდგომიდან მესამე კვირას **კვირიეს** სალოცავში მიდიან. ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. მიაქვთ ერბო - ყველიანი ქადები, დაჭრიან და ყველას უნაწილებენ. ვინმეს თუ საღვთოს გადახდა უნდა კვირიას სალოცავთან საღვთო საკლავი მიჰყავს. დეკანოზი საღვთო საკლავს ანთებული სანთლის ალით მარჯვენა ყურს შეუტრუსავს, მარჯვენა მხარზე წამოაქცევს და დაკლავს. მერე იქვე ჩამოატყავებს. ხორცს ასო-ასო აკუწავენ და დიდ ქვაბში მთლიანად მოხარშავენ. მამაკაცები ღვინით სავსე **კოკოშაით** დაილოცებიან. დიასახლისები და ახალი პატარძლები სუფრის გაშლას შეუდგებიან.

სუფრაზე სადღესასწაულოდ მომზადებულ კერძებს, მხლოვანს, ხაბიძგინებს და ხაჭაპურებს დააწყობენ. დეკანოზის წინ სასანთლე შანდალს ჩადგამენ და სანთელს დაანთებენ. მოხარშულ ხორცს ლანგრებით ჩამოატარებენ. სასმელებიდან ღვინოს და არაყს სვამენ. სუფრასთან დამსხდარი მოხევეები შეღამებამდე მოილხენენ.

3.15. კვირესძლობა ქოსელში

სოფ. ქოსელი ხევის მთის ფერდობზეა შეფენილი მერცხლის ბუდესავით. აქ დღემდე მხოლოდ ფიცხელაურები ცხოვრობენ და ხევსურობით ამაყობენ. ამბობენ, რომ ქოსელი ხევისბერი გოჩას სამკვიდროა (ითონიშვილი 2015:147).

„ქოსელ ახალციხეში დადსტურდა სახატე მამულებით სარგებლობისა და მნათეობის ორგანიზაციის წესი. ერთი სოფლის, ან ორივე სოფლის საერთო დღესასწაულზე მასპინძლობდა ის, ვინც ხატს ყანას მოხნავდა. მასპინძლის მოვალეობაში შედიოდა ერთი ჭედილა და არაყი“ (ითონიშვილი 2015:230).

დაახლოებით 40 წლის წინ ქოსელში 32 ოჯახი სახლობდა. დღეს ქოსელს ერთი კაცი ვახტანგ არჩილის ძე ფიცხელაური დარაჯობს.

ერთდროულად, სოფლის მეპატრონეც და დეკანოზიც ვახტანგ ფიცხელაურია. თუმცა მორიდებით აღნიშნავს, რომ მისი დეკანოზობა აუცილებლობით გამოწვეული ვალდებულებაა და ხევის ეპისკოპოსს წმიდა ადამიანად მოიხსენიებს.

დეკანოზი დილა - საღამოს ლოცულობს და სახარებას კითხულობს. დღესასწაულზე სალოცავში გასვლის წინ მარხულობს, წმინდობს. სალოცავი ქადის და პურის ცხობის ხელოვნებას თვითონ დაეუფლა. ხევში სალოცავს არ ივიწყებენ და მიტოვებულ ქოსელს სადღესასწაულოდ ქალაქში მცხოვრებნიც აკითხავენ.

ქოსელში კვირესძლობას აღდგომიდან მესამე კვირას და პეტრე - პავლობას 12 ივლისს აღნიშნავენ. კვირესძლობა მოძრავი დღესასწაულია. ამ დღეს, სალოცავში გასატან ქადას დეკანოზი აცხობს, რომლის ქერქი, როგორც თვითონ გვიყვება ფხვიერი უნდა იყოს, გული კი ერბო - ყველიანი. სალოცავ ნიშში საღვთო საკლავი - ცხვარი ან ხბო იკვლება და მერე, სტუმრად ჩამოსულებს უნაწილდება.

დღეობაზე კვირია - მაცხოვრისათვის ბევრი სანთელი **შაიწირება**. დღესასწაულზე კარკუჩელები ამოდიან და დეკანოზთან ერთად მოილხენენ. სალოცავს ფულს და რქებს სწირავენ.

პეტრე - პავლობას (12 ივლისს) სოფელში დაცულ სიწმინდეებს გამოაბრძანებენ და ხატში ლოცვა - ვედრებით აიტანენ. ხატებს სალოცავის ნიშთან დაასვენებენ. საფუვრიან ცომში მომზადებულ ქადას ჯვრულად დასერავენ და ყველას უნაწილებენ. თუ შეთქმული ყავთ საღვთო საკლავი დაკლავენ. დეკანოზი ლოცვას წაიკითხავს. საღვთო საკლავს ყურს შეუტრუსავს, მლოცველ - შემწირველებს ერთად დალოცავს და დაკლავს.

საღვთოს ხორცს იქვე სალოცავში დიდ ქვაბში მოხარშავენ. გაშლილ სუფრასთან სინებით ჩამოატარებენ, ხოლო გამორჩეულ ნაჭრებს, მათ შორის გულ - ღვიძლს დეკანოზის წინ ჩადგამენ და სალოცავში დანთებულ ერთ - ერთ სანთელს ჩაურჭობენ.

დეკანოზი სოფლის წამყვანი ფიგურაა. ის ლოცავს სუფრასთან მსხდომ ადამიანებს და სადღეგრძელოებს წარმოთქვამს. განსაკუთრებულად მოიხსენიებენ გარდაცლილ დეკანოზს გიორგი ფიცხელაურს (შვიდი წელია რაც გარდაიცვალა). მოლხენისას მღერიან **დიდებას** და ცეკვავენ.

პეტრე - პავლობას კარკუჩელებთან ერთად დღესასწაულობენ. ეს სოფლები გამომდინარე სიახლოვიდან ერთობლივად აღნიშნავენ დღესასწაულებს და ერთმანეთს ეპატიჟებიან.

ქოსელში წელს სოფლის სიწმინდეებს გოჩა ფიცხელაურის ოჯახი პატრონობს, მხოლოდ ზაფხულობით, დასასვენებლად ჩადიან. ეზოში შესულებს წმ. გიორგის (რუსული ტიპის) ხის მოჭედილი ხატი და **ხატის სადროშე ჯვარი** შემოგვაგებეს. ქოსელის სალოცავი დროშის ჯვარი ვერცხლისაა და ზედ წმ. გიორგია გამოსახული, სიდიდით სულ ერთი

მტკაველია. ჯვარის ზურგზე გარკვევით იკითხება მხედრული წარწერა: **„ალავერდის წმიდა გიორგის შევწირე გლახა ქოსელმა ცისკაროვმა. ჩუꙋꙋთ=1469 წ“.**

3.16. ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაული

სოფ. ართხმოს (დღეისათვის აღარ არსებობს) და ახალციხის შუა მაღალ მთაზე, **ღალანგურის წმ. გიორგის სალოცავია** აღმართული. ართხმოს ხეობა სოფ. ახალციხესთან მდებარეობს. საისტორიო წყაროებში პირველად XV ს-ში მოიხსენიება. აქ ხევსურეთიდან გადმოსახლებული არაბულები, წიკლაურები და ნაროზაულები ცხოვრობდნენ (ითონიშვილი 1971:42).

ართხმოს ძირძველი მოსახლეობის შესახებ არაფერია ცნობილი, სავარაუდებელია, რომ ხევსურთა ხევში მიგრაციის დროს აქ ადგილობრივი მოხევეები ცხოვრობდნენ, რადგან, გარდა ხევსურთა **ღალანგურის წმ. გიორგის** სალოცავისა, ართხმოში **ხეთანის სალოცავი** არსებობდა.

ხევში ხევსურთა მიგრაცია XVIII საუკუნეში მეფე ერეკლე II ნებართვით მოხდა (ჯაფარიძე 2001:89). გამორიცხული არ არის აგრეთვე ამანათის, **შაყრილ - შაკედლებულთა** ისტორიული პროცესი. **ამანათობა** სუსტი გვარის ძლიერის მფარველობაში შესვლას გულისხმობდა (ქერაშვილი 2012:203).

ჩანს, ხევსურებს ბატონი ჰყავდათ, რომელსაც ართხმოელნი ლუდით ამარაგებდნენ. მოხეურ **სათემო ლექსში** ცალკეული თემის დახასიათებისას ართხმოელებზე აღნიშნავენ:

„არც ართხმოელაი გახლავარ, ლუდნი ვადუღო მთაზედა.

უზიდო კობიაშვილსა, ბატონ დავისო თავზედა“ (კობაიძე 2012:72).

მოგვიანებით, XX ს-ის 30-იან წლებში, ღალანგურის წმ. გიორგის სალოცავში ხევსურები პირველობდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხევის ხევსურები გარკვეული უფლებებით სარგებლობდნენ.

ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული: „ძუელებს უთქმია, რო ზაით, სუ წვერზე, არის ღალანგურის წმიდა გივარგი, ქვით არის გამაყვანილი. კაცი მხრივ (ხევსურებისგნით გამიგონია) მდგარა, ამან ამას მიაწოდა ქვა, იმან - ამას, ასულა თავჩი და ეგრე აუგია კოშკი. ვერა ვართ ჩვენ მამსწურებლნი, როდისაა აგებული, ლოცვით ჩვენც ვლოცულობთ. ღალანგურობას ღამის

თეებით ავდივართ, ხატებს გამააბზანებენ დეკანოზები. საკლავებს ჰხოცენ, კურეტებსა. კაი ლუდებსა და სასმელებს აიტანენკე, მღერიან ძველებურად, რაიც ვინმე იცის და ახლურად (ქავთარაძე 1985:130).

„ხევის ხევსურები“ სამომავლო, საფუძვლიანი კვლევის საგანია. ამჯერად ხევსურული დღესასწაულის თავისებურებებს განვიხილავთ.

ღალანგურის წმ. გიორგი ხევსურთა სალოცავია. არხოტის თემში სალოცავის (ჯვარის) მამულების ხვნის დაწყების ჟამს ხუცესი ღალანგურის წმ. გიორგის ხატს საგანგებოდ ლოცავდა: **“ამ სეფე - სასანთლეზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ღალანგურ წმიდაო გიორგიო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიხმარი ეს სეფე - სანთელი, ნათელ - ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“** (ოჩიაური 1988:7). დღესასწაული ათენგენობადაც მოიხსენიება (ღამბაშიძე 2011:8-14).

ღალანგარი/ღალანგა - მირონის სუნელია (სულხან-საბა 1993:246). საფიქრებელია, რომ სალოცავის სახელწოდება მირონცხებაზე მიგვითითებს.

მირონცხება შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგანია და სათავეს ძველი აღთქმიდან იღებს (გამოსვლა:29,7). საქართველოში მირონის ხარშვის უძველესი ტრადიცია არსებობდა (ჯაფარიძე 1996:133). მირონის მოხარშვისას სხვადასხვა კომპონენტები გამოიყენებოდა. ნედლეული სხვა ქვეყნებიდან შემოდიოდა.

ჩვენამდე მოღწეულ XVII საუკუნის კურთხევანში (A450,246v-250v) სამწუხაროდ, **მირონის წამალთა** მხოლოდ ბერძნული სახელებია აღნუსხული. ძეგლში ქართული სახელწოდებები არ შემონახულა. მხედველობაში მისაღებია, რომ დროთა განმავლობაში მირონის სუნელთა დასახელებები იცვლებოდა. დღეისათვის მირონს გამარტივებული წესით ხარშავენ. გამოიყენება: წყალი, ზეთი, ღვინო, სურნელოვანი ნივთიერებები და სხვ.

ღალანგა/galangal, Zingiberaceae - ე.წ. **რქიან ფესვია** (128). კოჭას ოჯახის მცენარეთა ჯგუფს განეკუთვნება. სხვადასხვა ქვეყნებში მოიხსენიებენ, როგორც ლურჯ ჯინჯერს. აზიური მცენარე დღემდე სამკურნალო და კულინარიული მიზნებისათვის გამოიყენება, შეიცავს ეთერულ ზეთს, რომლის მთავარ კომპონენტს მძაფრი არომატი აქვს. კოჭას მრავალფეროვან სახეობას ბოტანიკური ლექსიკონი გვთავაზობს (მაყაშვილი 1991:41-77).

ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაულს აღდგომიდან 101-ე დღეს, აუცილებლად სამშაბათს აღნიშნავენ. საინტერესოა, რომ მეორე წელს, იმავე დღესა და რიცხვში **ხეთანობას** დღესასწაულობენ. დღეს მოხევეები დღესასწაულთა ამგვარ მონაცვლეობას ვერ ხსნიან. გადმოცემით, ხეთანის ძირითადი სალოცავი სოფ. ართხმოში იყო. კარკუჩაში მისი ნიშია გადმოტანილი.

XX ს-ის 30-იან წლებში ღალანაგურის წმ. გიორგის სალოცავში მოხევეები და ხევსურები თავს ერთად იყრიდნენ, სადაც ხევსურები პირველობდნენ და მათი ხუცესების მიერ ხდებოდა მლოცველთა დამწყალობნება. დღესასწაულზე ტრადიციული ხევსურული **დაკოჭვის** და **ქადაგად დაცემის** წეს - ჩვეულებები იკვეთება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული წმ. გიორგის სალოცავებთან (კეკელიძე 1945:145-146).

სერგი მაკალათიამ დღესასწაულზე ნახა **ხატით დაკოჭვის** წესი და აღწერა: „ქალს **მავნე** აწუხებდა თურმე, მოსვენებას არ აძლევდა და ავადაც ხდიდა, ამიტომ საჭირო იყო ავადმყოფის **დაკოჭვა ან გალახვა**. ხუცესი თავის დასტურებით შეუდგა დაკოჭვის წესის შესრულებას. სამკოჭაო ქალის წინ ხევსურმა ცხვარი მიიყვანა და იქვე მუხლი მოიყარა. ქალს თავზე ხელსახოცი გადააფარეს და ზედ თეთრი აბაზიანები დააყარეს. ხუცესმა დროშა დააჟღარუნა და დაკოჭვას შეუდგა. ის ევედრებოდა ღალანგურის წმ. გიორგის, ქალისათვის ეშველა, მავნე სულებისაგან გაეთავისუფლებინა. შემდეგ ხუცესმა საკლავს ყელი გამოჭრა, ქალმა მას ხელი შეუშვირა და მისი სისხლით ხელი დაიბანა. ხუცესმა ქალს შუბლზე სისხლით ჯვარი გამოუსახა და დროშების ჟღარუნით მას გარშემო სამჯერ შემოუარეს. ამით დაკოჭვაც გათავდა“ (მაკალათია 1934:249).

ერთი შეხედვით, დაკოჭვა წარმართული ელემენტების შემცველი რიტუალია, მაგრამ, ამავე დროს, პაგანიზაციის გამოვლენაა. „პაგანიზაცია არის ქერქი, რომლის შიგნით ჩვენ შეგვიძლია ქრისტიანული შინაარსი დავინახოთ“ (კიკნაძე 2013:138).

დავუბრუნდეთ დაკოჭვას. „ხევსურულად კოჭი ქუსლს ეწოდება. **კოჭთ მოკიდება** ნიშნავს ქუსლით მიწაზე დადგომას, დაბჯენას“ (ოჩიაური 1954:131). **კოჭთ მოკიდებასთან** სიახლოვეს ამჟღავნებს ხონისჭალაში (ხევსურეთი) არსებული ტოპონიმი **კოჭსაკიდები** (ხორნაული 2014:200). ხევში კოჭს წისქვილის ქვასაც უწოდებენ, ბროლის ქვას, რაშიც ფეხი ტრიალებს (ბარდაველიძე 1966:99).

დასაკოჭად მიყვანილს ხევსურეთში **სამკოჭაოს** ეძახდნენ. ის აუცილებლად სუფთა, დაბანილი უნდა ყოფილიყო. მედროშე ხელოსანი სალოცავში დროშას ააბრძანებდა, რომელსაც ჯვარ - ზარი ჰქონდა შებმული. დასაკოჭთან მივიდოდა და **სამკოჭაოს** თავზე ხელსახოცს, ე.წ. **სამკადრეოს** გადააფარებდა. დროშის ტარს მარჯვენა ფეხზე დაიდგამდა და ადამიანის თავთან გადახრით დაიჭერდა. მედროშე დროშის ზარს აჟღარუნებდა, ხუცესი კი ხუცობას შეუდგებოდა (ოჩიაური 1988:153).

ხუცესი დასაკოჭს **ხატს** შეახვეწებდა (შეავედრებდა). საკლავს დაკლავდა. დასაკოჭი სისხლს ხელს **მიუჭერდა** (მიუშვერდა), რასაც ხევსურები **მუჭათ სანათლავს** ეძახდნენ და ხუცესი შუბლზე თითით ჯვარს გამოუსახავდა. ბოლოს სამკადრეო ქსოვილს მოხსნიდა. დაკოჭილი პიჯვარს გადაისახავდა. მედროშე ხელოსანი სამკადრეო ხელსახოცით ტუჩებს მოიწმენდდა და დროშის ჯვარს დიდი მოწიწებით აკოცებდა (ოჩიაური 1988:153-154).

დღესასწაულზე დაკოჭვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დროშას. არსებობდა საბრძოლო, შუბიანი და ჯვარ - ზანზალაკიანი, იგივე ჯვარ - ბორაყიანი დროშა. **ბავრაყი სამღ(რ)დელო, ეკლესიის, საყდრის დროშაა** (სულხან-საბა 1991:91). ცხადია, როდესაც დაკოჭვისას მედროშე ბორაყს, **სამღრდელო დროშას** აჟღარუნებდა ე.ი. საეკლესიო წესს აღასრულებდა, რასაც ნათლობის (**მუჭათ ნათლობის**) ზემოაღნიშნული ჩვეულება მოჰყვებოდა. ნათლობა კი მირონცხებასთან უშუალო კავშირშია.

ჩვენი მოკრძალებული მოსაზრებაა, რომ **კოჭა, დაკოჭვა, სამკოჭაო და კოჭობი** საერთო წარმომავლობისაა და მირონცხებასთან კავშირზე მეტყველებენ. **კოჭა**, **ღალანგა** მირონის სუნელია, **დაკოჭვა** მისგან მომდინარეა, რომელშიც, ჩვენი მოსაზრებით, სალოცავში შემონახული მირონცხების საიდუმლოა ასახული.

მირონის თემა მთის სინამდვილეში გავრცელებული მოტივია (მაკალთია 1984:255). „ხმალას ხევსურული ანდრეზი იმ დროის ხსოვნას ინახავს, როცა ხევსურეთის ჯვარ - ხატებში მირონი გამოიყენებოდა“ (კიკნაძე 2013:139). მირონის ხედ ხეთუფალა, ალვის ხე მოიხსენიება (მაყაშვილი 1991:58). ალვა ხევსურეთში დროშის ტანია (ტარი). ჯვართ - ენის **ალვის ტანი** და **ბორაყ-ალვისტანი-დროშაა** (ოჩიაური 1954:129).

კოჭობი წმინდა ჭურჭელია (კიკნაძე 1985:112-113). სავარაუდებელია, რომ კოჭობი მირონისთვის გამოიყენებოდა, შემდეგ ლუდის სასმისად გარდაისახა. ლოცვაში კოჭობი ბარძიმად მოიხსენიება. ჭიქა - ბარზიმი ჯვართ ენაზე თას - განძია.

„თასთ უნდა ჭიქა - ბარზიმზე, სეფეზე, სასანთლესთანა“ (ოჩიაური 1954:132-133). **სეფე - სეფეკვერი** საეკლესიო **სეფისკვერიდან** მომდინარეა.

კოჭობის, იგივე ბარძიმის, სიწმინდე მისი შიგთავსით - მაცხოვრის სისხლითა და ხორცითაა განპირობებული.

არსებობს ბარძიმის მართალია გვიანი პერიოდის, მაგრამ საყურადღებო განმარტება: “ბარძიმი იყო ძველადვე მსახურებასა შინა საღმრთოსა სახმარი, რომელსა შინა ცხოვართა, ვაცთა და სხვათა სისხლსა მას შინა შთაასხმიდიან და აპკურებდიან და შეწირვიდიან განსაწმენდელად ცოდვათა. ხოლო უკანასკნელ, ოდეს იყო მრავალღმერთობა, ამავე სახით ქმნილისა ჭურჭლითა ოდეს იქმნებოდა კრება ღვთაებათა და შემდგომთა მათთა, შთამოარიგებდიან საზოგადოდ ნექტარსა სასმელსა, რომელსა უწოდდენ უკვდავებისა სასმელად და ღმერთ სასმელად სახელსდებდინ“ (კალმასობა 1991:550-551).

„ხუმარსწავლაში“ საყურადღებოა ბარძიმით ჩამოსარიგებელი, უკვდავების სასმელი. გვეჩვენება, რომ ეს სასმელი - ლუდია. ლუდის ჩამორიგება მთის რელიგიური რიტუალის შემადგენელია. ბუნებრივია, კოჭობის სიწმინდეს ლუდი განსაზღვრავს.

იყო თუ არა კოჭობი მირონის ჭურჭელი, რომელმაც დროთა განმავლობაში წმ. სასმისის, ბარძიმის ფუნქცია შეითავსა, ამ ეტაპზე გურკვეველია. საყურადღებოდ მიგვაჩნია ლუდის დამზადების მნიშვნელოვანი დეტალი. ლუდის დამზადების პროცესში საკაზმავ მასალად იყენებენ სვეს (სვიას): „ძველი მსოფლიოს ქვეყნები უსვიო ლუდს აწარმოებდნენ...ასეთსავე ლუდს ხმარობდნენ სამხრეთ კავკასიის მცხოვრებნიც: ურარტელები, ქართველები, სომხები..“ (ნადირაძე 2010:40).

მთაში ლუდი უმთავრეს სასმელს წარმოადგენს და დღესასწაულებისათვის დიდი რაოდენობით იხარშებოდა, საფიქრებელია, რომ ისტორიულად ჩაკეტილ ხევსურეთში, თავდაპირველად ძველი შუამდინარეთისა და ეგვიპტის მსგავსად, ლუდის შესაზავებლად სვიის მაგივრად სხვა კომპონენტს იყენებდნენ, ან სვიასთან ერთად სხვა ნედლეულს. მით უფრო, რომ ხევსურეთში სვიის ნაკლებობა აშკარაა (ნადირაძე 2010:77-78).

“სვე უნდა მოიტანონ კახეთიდან ან კავკავიდან იმდენი, რამდენიც დასტურს თავის წილად წლითი - წლობამდინ ეყოფა“ (ოჩიაური 1988:25). ამასთანავე, აღარ დავობენ, რომ სვიანი ლუდი დასავლეთის ტიპიური პროდუქტია (ნადირაძე 2010:42).

ოსებში ლუდი იმდენად წმინდა სასმელია, რომ დღესასწაულზე ყოველ ახალ წელს ხუცესის გამორჩევის დროს, **ხატის მსახური** რჩეულს თავზე ლუდს ასხამს და ამით, ერთგვარ ხელდასხმას აღასრულებს (Переваленко 1853:39).

ლუდი გამორჩეული სასმელია, მაგრამ ცხადია, მთის სალოცავებში არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ჟიპიტაური და **სახატე ვენახებიდან** შეწირული ღვინო.

შესაძლებელია, რომ ძველი ტრადიციით საქართველოში ლუდის შესაკმაზად სვიის ნაცვლად კოჭას იყენებდნენ. და თუ **კოჭა, ღალანგა** მირონის სუნელია, ნათელია, რომ ლუდის სიწმინდეს მისი მთავარი საკმაზი მირონის სუნელი განსაზღვრავდა.

დაკოჭვის რიტუალში საინტერესო დეტალია დამიზეზებული პირისათვის თავზე ფულის დაყრა. თეთრი აბაზიანების თავზე დაყრის წესი რიტუალის გვიანდელი დანამატი უნდა იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ კოჭობი ძველად იმკობოდა საგანგებოდ ჯაჭვზე ასხმული ვერცხლის მონეტებით **(შიბებით)**, ფულებით, ჯვრებით და სავარაუდოდ სწორედ კოჭობიდან ხდებოდა მირონცხებაც, გასაგებია, რომ კოჭობის მთავარი ფუნქციის (როგორც მირონის ჭურჭლის) დაკარგვის შემდეგ, შესაძლოა რიტუალს ფულის თავზე დაყრის წესი შემორჩა.

ღალანგურობის დღესასწაულზე ქადაგად დაცემა იცოდნენ, რასაც ხევსურულად **აიძრახა** ერქვა. მოხეური დიალექტით **უმძრახი** - უტყვია (ქავთარაძე 1985:16).

„ქადაგობისას ქალი ქადაგი გაშეშდებოდა, პირქვე დაემხობოდა და დადუმდებოდა, როგორც მომაკვდავი. ქადაგს ხალხი მოეხვეოდა და თანაგრძნობით შესთხოვდა ღალანგურის წმ. გიორგის, ქალისთვის ეშველა, გაეთავისუფლებინა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ქადაგი მშვიდდებოდა და გონს მოდიოდა“ (მაკალათია 1934:249).

ხევსურეთში და სხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებში ქადაგი ქალი მეტყველებს, ხევში **უმძრახია,** დუმს. ქადაგი **ჯვართ-ენის** საგანგებო ტერმინებს იყენებდა (ოჩიაური 1954:129-132). ხევში ქადაგი **ჯვართ ენის** ტერმინებს არ იყენებს და შესაძლებელია დავიწყებული

აქვს, რადგან ღალანაგურის წმ. გიორგი ხევსურული სალოცავია, მაგრამ ხევში დამკვიდრებული.

წმ. გიორგის დღესასწაულის მონაცვლეობით **ხეთანობის** დღესასწაულს აღნიშნავენ. ხეთანა ახალციხესა და ართხმოს შორის მდებარე ადგილია. ხეთანა ფშავში გოგოლაურთის მთავარმოწამის, წმ. გიორგის ერთ - ერთი ეპითეტია. რომელზეც პირველად ალ. ოჩიაურმა გაამახვილა ყურადღება და ლოცვის ტექსტს განმარტებაც დაურთო: „შენამც იდიდები, მთავარმოწამევ, მასთალას სვეტის ანგელოზო (მასთალას სვეტის ანგელოზი ნიშნავს იმას, რომ ის პირველად ციდან სვეტად ჩამოვიდა მასთალას), ხეთანას მოლაიბეო (ხეთანა აქვე მასთალასთან ახლოს, მდებარეობს და თურმე აქ მოისვენა ერთ დროს მთავარმოწამემ, წამოწვა, წამოილაიბა (ლაიბი-ლეიბია), ჯვართანის გორს მოყარაულეო“ (ოჩიაური 1991:18).

წმ. გიორგის ზემომოყვანილი ეპითეტები, ხთიშვილის „წარმართული“ ბუნების შესახებ მეტყველებდა, მაგრამ: ჯვარ - ხატთა სადიდებლებსა და სალოცავ-სავედრებლებში ხთიშვილი - წმინდანი ან ანგელოზია და ხალხური ეპითეტებითა და ფსევდონიმებითაა გასაიდუმლოებული (მახაური 2013:194).

რადგან, ხევში ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაულის მონაცვლეობით ხეთანობა აღნიშვნა იმაზე მიგვითითებს, რომ ხევში ხეთანის წმ. გიორგის სალოცავში, ღალანგურის წმ. გიორგიმ **წამოილაიბა**...ადგილობრივ დღესასწაულს ხევსურეთიდან გადმოტანილი წმ. გიორგის დღესასწაული შეეამხანაგა.

ამგვარად, ხევში ***ღალანგურის წმ. გიორგისა*** და ***ხეთანის წმ. გიორგის*** დღესასწაულს აღდგომიდან 101 დღეს მონაცვლეობით აღნიშნავენ. დღესასწაულების შემადგენელი წეს - ჩვეულებები წმ. გიორგის სალოცავებთან დაკავშირებული დაკოჭვა და ქადაგად დაცემა იყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შესაძლებელია **დაკოჭვა** მირონცხების ტრადიციაზე მეტყველებს, რაც გვაფიქრებს, რომ ხევსურულ სალოცავს სახელწოდების სახით შემორჩა. ჩვენ დრომდე ხევსურთა მეტყველებაში ბიბლიური და შუასაკუნეებში გავრცელებული სიტყვები დასტურდება (მინდაძე 1987:178). სავარაუდოდ, **ღალანგური** მირონცხებულის აღმნიშვნელი და წმ. გიორგის ერთ - ერთი ხევსურული ეპითეტია.

საგულიხმოა, რომ ხევში ხევსურეთიდან გადმოტანილ სალოცავთა შორის არხოტის თემის სალოცავი ღალანგური დომინირებს და არა სხვა დიდი სალოცავები, როგორიცაა: გუდანი, ხახმატი, რადგან ცხადია, სალოცავის მფარველი წმ. გიორგი უცვლელი დარჩა.

ღალანგურობას ახალგაზრდები მთაზე, მთავარ სალოცავში ღამისთევით კარვებით (ადრე ნაბდებით იცოდნენ წასვლა) მიდიან. მიჰყავთ საღვთო საკლავი (ცხვარი) და მიაქვთ დიასახლისების მომზადებული სალოცავის ერბო - ყველიანი ქადა და სხვადასხვა სადღესასწაულო კერძი. დიასახლისები ხაბიძგინებსა და ხაჭაპურებსაც აცხობენ და მთაში ამსვლელებს ატანენ.

ხატში ასულები სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ, ღვინით დაილოცებიან ქადებს სალოცავის ნიშთან ჯვრულად დაჭრიან და ერთ ნაჭერს აუცილებლად შეჭამენ. სალოცავს სანთლებს, ხურდა ფულს და რქებს წირავენ. შეთქმულ საღვთო საკლავს წმ. გიორგის უკლავენ. იქვე ჩამოატყავებენ, აკუწავენ და დიდ ქვაბში ერთიანად ხარშავენ. ღამე სუფრას კარვებთან გაშლიან, დასხდებიან და მოილხენენ. ლუდს დღეს ვინ ხარშავს ხევში, ნაყიდი ლუდით კმაყოფილდებიან. მეორე დილით ხატს ისევ საგანგებოდ მოილოცავენ და უთენია სოფელში ბრუნდებიან. ეს ძველი ტრადიცია იმაზე მეტყველებს, რომ ადრე ღალანგურის წმ. გიორგის სალოცავში ეკლესია იდგა, რომელშიც მორწმუნეები ღალანგურობას ღამისთევით ლოცულობდნენ და განთიადზე, წირვის დამთავრების შემდეგ, სახლებში ბრუნდებოდნენ.

სოფელში მეორე დღეს დიდი სუფრა იშლება. მოხეური ნამზადი მრავალფეროვანია. თამადობს უხუცესი და მასზეა დამოკიდებული სუფრის წესრიგი. დოღი აღარ იმართება, მაგრამ ვისაც ცხენი ჰყავს ღალანგურობას აუცილებლად გააჭენებს. მოლხენა დაღამებამდე გძელდება და სადღეგრძელოები, სასმისები (ჭიქა, ყანწი თუ ჯიხვი) ერთმანეთს ცვლიან.

ახალგაზრდული შემართება, ტრადიციულობა და ერთად ყოფნის მოთხოვნილება ღალანგურის წმ. გიორგის დღესასწაულის დღევანდელი სინამდვილეა.

3.17. სოფ. კარკუჩას დღესასწაულები

კარკუჩა სნოს საკრებულოა. სოფელში წმ. გიორგის სამი ნიში დგას - **ნადარბასევის**, **ღალანგურის** და **ყანანაზის**. აქ ძირითადად ორი გვარი სახლობს: ყამარაულები და მარსაგიშვილები. „მარსაგიშვილები ქიშტის მადგმისები ვართკე“ (დეზდემონა ნიკოლოზის

ასული მარსაგიშვილი, 67 წლის). დღეისათვის 18 ოჯახი ცხოვრობს. სოფელში სკოლა არაა და ბავშვები სტეფანწმინდის გიმნაზიაში დადიან.

ყანანაზის წმ. გიორგის კომპლექსი ე.წ. **ნადარბაზევთანაა** აშენებული. **ნადარბაზევი** მთებით გარშემორტყმული დავაკებაა მდ. სნოსწყალთან. დარბაზი ხატის შენობა იყო, სადაც განძ-ჭურჭელი ინახებოდა და რელიგიური დღესასწაული სრულდებოდა (ითონიშვილი 1971:162). დარბაზი სპარსულში კარს ნიშნავდა (ჯავახიშვილი 1984:180). არსებობს გადმოცემა, რომ ნადარბაზევში ვახტანგ გორგასალი საომრად გამზადებულ მთიელებს უყრიდა თავს.

ყანანაზის სალოცავი კომპლექსი დაბალი გალავნითაა მოზღუდული. კომპლექსის ტერიტორიაზე მკაცრად იკრძალება ქალების შესვლა, ამიტომ მისი დაწვრილებით აღწერა გაგვიჭირდა. ყანანაზი ყამარაულების ნასოფლარია. ყამარაულები წმ. გიორგის ხატს ჯარ - ლაშქარის წინამძღოლად თვლიდნენ და ლოცულობდნენ: **„გაუმარჯოს ყანანაზის წმ. გივარგისაო, ჯარჩი და ლაშქარჩი მოარულსაო“** (ითონიშვილი 2015:235). დღეს აქ არავინ აღარ სახლობს.

წმ. გიორგის სალოცავში კარკუჩელები დღესასწაულს 6 მაისს და 23 ნოემბერს აღნიშნავენ. მამაკაცები დილიდანვე გადიან სალოცავში სანთლების დასანთებად და მოსალოცად. სალოცავთან მისულები ქუდს იხდიან და პირჯვარს იწერენ. მიაქვთ ცოტა სასმელი და ნიშთან დაილოცებიან. სალოცავში შესაწირად მიაქვთ სანთლები, ერთი ბოთლი ღვინო და სამი ქადა. დეკანოზი საღვთო საკლავს ლოცვას წაუკითხავს, მარჯვენა ყურს შეუტრუსავს, გვერდზე წამოაქცევს და აუცილებლად გალავანთან კლავს. პირუტყვის თავს დააგორებს. ხორცს მთლიანად, სალოცავთან მოწყობილ ფარდულში ხარშავენ.

სოფელში დეკანოზს მარტო ყამარაულთა გვარიდან გამოარჩევენ და სავალდებულო არ არის, რომ უხუცესი იყოს. ადგილობრივთა ცნობით: “დეკანოზი შაიძლება ახალგაზრდა იყოს, რადგან სადღაა სოფელჩი მოხუცი“ (რიმა ალექსანდრეს ასული მარსაგიშვილი, 66 წლის).

გიორგობას დიასახლისები ყველიან ქადებს აცხობენ და მამაკაცებს სალოცავში ატანენ. ყველს ებოს ურევენ და საფუვრიან ცომს გულად უდებენ. ტაფაზე დადებამდე ზევიდან კვერცხს უსვამენ. ამიტომ, მოხეური სალოცავი ქადა გვერდებმზიანია.

გიორგობისთვის დიდ სუფრას რომელიმე ოჯახში შლიან. ხაბიძგინები და მხლოვანი სადღესასწაულო სუფრის შემადგენელი ნაწილია. ამბობენ, დღესასწაულზე სტუმრად თუ მოხვდები მარსაგიშვილთა ქალების გამომცხვარი ნამცხვრის გემო არ დაგავიწყდებაო.

სუფრასთან მოხეური იერარქიაა დაცულია. თავში გვარის უფროსი ზის, მის სიახლოვეს მამაკაცები, ხოლო მოშორებით ქალების სხდებიან. ლხენის დროს კარკუჩელები მღერიან და ცეკვავენ. რა თქმა უნდა, ხალხური სიმღერებიდან პირველად **„კარკუჩით ჩამაიყვანეს“** ახსენდებათ, რასაც **დიდება** აგვირგვინებს. დილით დაწყებული სმა დაღამებამდე გასტანს ხოლმე.

კვირესძლობიდან მეექვსე-მეშვიდე კვირაზე მოდიოდა **ამაღლება** (კარკუჩელთა დღეობა). მერე **ღალანგურობა** და ერთობლივად დღესასწაულობდნენ კარკუჩელები, ქოსლელები, ახალციხელები და ართხმოვლები. ღალანგურობას მოსდევდა მარიამობა, რომელსაც ახალციხის ეკლესიაში ქოსლელები და ახალციხელები ერთად აღნიშნავდნენ და საკლავს ეკლესიის ეზოში ნიშთან კლავდნენ (ითონიშვილი 2015:229).

კარკუჩაში სოფლის ბოლოში ***ხვედის წმ. გიორგის*** სალოცავი ნიშია, სადაც ადრე ეკლესია ყოფილა. დღესასწაულს აღდგომის სწორზე სამშაბათ დღეს მართავენ. მიდიან ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ, ქადებს დაჭრიან და ღვინით ან არყით დაილოცებიან. საღვთო საკლავს წმ. გიორგის შეწირავენ და შემწეობას შესთხოვენ.

კარკუჩაში დღეისათვის ძირითადად მარსაგიშვილები ცხოვრობენ. წარმომავლობით **ქიშტები** პირველ იანვარს და 28 ივლისს **ბოჯლოგინობას** დღესასწაულობენ. ბოჯლოგინა ხის მოჭრელებულ საბეჭდავს ერქვა, რომლითაც სალოცავის შესაწირ პურს აჭრელებდნენ (ითონიშვილი 2015:236).

ნადარბაზევის ბოლოს **დეკიანში**, **პირიმზის ფუძის ანგელოზის** ხატია. მთიულური სალოცავი ვალიკო და გოგი მარსაგიშვილებმა დააფუძნეს. საგანგებოდ მღვდელი მოიყვანეს და აკურთხებინეს. პირიმზის დღესასწაულს მარიამობის მერე, პირველ შაბათს აღნიშნავენ.

დღეისათვის კარკუჩაში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც მოქმედებს, სადაც სოფ. აჩხოტიდან მღვდელი მოდის და წირავს. სოფელში ყამარაულთა გვარის ერთადერთი ოჯახი სახლობს, რომლებიც კარკუჩას მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ.

3.18. ღვთისმშობლის დღესასწაული ახალციხეში

ახალციხე მდ. სნოსწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ისტორიულად სნოს თემის საკრებულოა, რომელიც არაგვის საერისთავოში შედიოდა და არაგვის ერისთავის ყმა მარტია ღუდუშაური (მოურავი) ფლობდა.

ახალციხის სალოცავი ხატებია კვირეღვთისშვილის (კვირესძლობის) ნიში, ღალანგურის წმ. გიორგი, კოპალე (ვაჟების), ელია (გოგონების) (სძა 2004:438).

ახალციხესა და ქოსელში სახატო დღესასწაულებს ერთობლივად აღნიშნავდნენ (ითონიშვილი 2015:229). აქ უწინ **კვირეღვთისშვილის/კვირესძლობი**ს, **კოპალესა** და **ელიას** ნიშები არსებობდა. მათ დღემდე მიუთითებენ ადგილობრივები. **კოპალა** ვაჟების სალოცავი იყო და ხევსურეთიდან გადმოუტანიათ. **კოპალასა** და **ელიას** ხატები ახალციხის ეკლესიაში ინახებოდა (ითონიშვილი 2015:230).

კოპალა ხევსურთა ძველი სალოცავის სახელია, რომელსაც მოგვიანებით წმ. გიორგიდ ლოცულობდნენ. მაგრამ როგორც ჩანს, წმ. გიორგის კულტი უფრო ადრეულია ვიდრე **კოპალა**, რომელიც ზეწოდებაა და სავარაუდოდ **კომბლიანს**, **ლახტიანს** ნიშნავს. არსებობს აშკარა მითითება, რომ **კოპალას** უკან წმ. გიორგის სახელი იმალება. ფშავში უძილაურთის კოპალის ხატის საკულტო ნივთზე წარწერა აღმოჩნდა: **„შემოგწირამ წმიდა გიორგისთვინ კოპალისთვინ“** (კიკნაძე 2013:153).

ახალციხეში მიაჩნდათ, რომ **კოპალა** ვაჟებს მფარველობდა, **ელია** - გოგონებს. ამიტომ, დღესასწაულზე ბავშვები შესაბამის სალოცავებში გაჰყავდათ და ავედრებდნენ.

სოფელში მთიულური წარმომავლობის გვარები - ბუჩუკურები და ფადიაურები ცხოვრობენ. სოფლის განაპირას, ტირიფების ხეივნისა და ტბის ახლოს IX-X სს-ის სამნავიანი ბაზილიკა დგას. ღვთისმშობლის ეკლესიის შემოღობილ ეზოში ბუჩუკურთა საგვარეულო საძვალე და ძველი ქვა - ჯვარებია აღმართული (იხ. დანართი №17). დღეს ტაძარი მოქმედია და წირვა - ლოცვა მუდმივად აღესრულება.

ათენგენობის წინა დღეს მოდიოდა შადამაგობა. შადამგს ეძახდნენ ხეთანასკენ მიმავალ გზის პირს, რომელის ახლციხესთანაა. მისი ძველი სახელია კლდის ფეჯაი. არსებობს გადომეცემა, რომ „ქერაშვილებს რძლად ჰყოლიათ ხევსური ქალი სოფელ ჩირდილიდან. როდესაც ხევსური ხუცესები ჯუთიდან ართხმოსკენ დროშებით

გამოემართებოდნენ და ახალციხეს გაუვლიდნენ, ქერეთ რძალი თავს ვალდებულად თვლლიდა პატივი ეცა ხევსურებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ნაწმინდარ დეკანოზებს სახლში არ შეესვლებოდათ, ქერეთ რძალი მათ პურმარილს დაახვედრებდა სოფლის ნაპირზე - ე.წ. კლდის ფეჯაზე“ (ითონიშვილი 2015:229). ტრადიციულად ასე უხვდებოდნენ ხევსურებს ქერაშვილები. ამიტომ ამ დღეობას შადამაგობა შეარქვეს.

ტაძრის მოპირდაპირედ მთაზე სალოცავი ნიში დგას. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის ვისი სახელობისაა. ნიშთან რკინის ჯვარი აღუმართავთ. საარქივო მასალები ახალციხეში ძველი ბაზილიკის და სალოცავი ნიშის არსებობას ადასტურებენ, რომლის სახელწოდება იმ დროისთვისაც გაურკვეველი რჩებოდა. ტრადიციულად ასე უხვდებოდნენ ხევსურებს ქერაშვილები.

საინტერესოა სტეფანწმინდელ ფიქრია (გოდერძის ასული) გრიგოლაძესთან მოპოვებული ცნობები. ახალციხეში აღდგომიდან მეთორმეტე - მეცამეტე დღეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან მთაზე მდგომი ნიშისაკენ რიტუალური სვლა ეწყობოდა. ეკლესიიდან დეკანოზი გამოაბრძანებდა ზარებს, დროშებს, რომლებზეც თავსაფრები იყო წამოცმული და მთელი სოფელი ნიშამდე დიდ მანძილს გაივლიდა.

ჩვენი მთხრობელი ამ დროისათვის დაახლოებით 7-8 წლის იყო და XX ს-ის 80-იანი წლების შთამბეჭდავი სანახაობა ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში: „უცებ დაიძახებდნენ, ამწყალობნებენ, ამწყალობნებენო და ყველა ვიჩოქებდით. დეკანოზები ლოცულობდნენ, ყველა სალოცავს მოიხსენიებდნენ. ამ დღეს ბავშვებს დაკლული საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს გამოგვისახავდნენ“.

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე 27 აგვისტოს ეკლესიაში ახალციხელები ლოცვას ესწრებიან და ოჯახებში დაცულ სიწმიდეებს - ხატებს მიაბრძანებენ, რომელთაც მერე კვლავ მოპატრონე ოჯახში გადაბრძანებენ. მეორე დღისთვის მორწმუნეები საზიარებლად ემზადებიან. ზიარების შემდეგ 28 აგვისტოს, წირვის დასრულებისას ხატებს ეკლესიიდან მამაკაცები გამოასვენებენ და მოპატრონე ოჯახში სადაც ამავე დროს სადღესასწაულო სუფრა იშლება საპატიო ადგილზე დაასვენებენ, რასაც ფონად საეკლესიო საგალობლები გასდევს. საღვთო საკლავს დღეს ეკლესიის ეზოში არ კლავენ, ზოგჯერ სახლში იკვლება ან ეკლესიიდან მოშორებით.

დიასახლისები აცხობენ ქადებს, მაგრამ ეკლესიაში არ მიაქვთ და სადღესასწაულოდ ოჯახში გაშლილ ტაბლაზე აწყობენ. ეპატიჟებიან სტუმრებს. გვარის უხუცესი სუფრას თამადობს და წესრიგს ამყარებს. მის წინ ტაბლაზე კელაპტარს ანთებენ და საპატიოდ მიართმევენ დიდ თეფშზე დაწყობილ გულ - ღვიძლს.

საღვთო საკლავის ხორცს მთლიანად ხარშავენ და სუფრასთან დიდი ლანგრებით ჩამოატარებენ. ძროხა თითქმის ყველა მოხევის ოჯახს ჰყავს და ამიტომ ყველიანი ხაჭაპურების ნაკლებობა სადღესასწაულო სუფრასთან არ იგრძნობა. აცხობენ ხაბიძგინებსა და მხლოვანს. მხლოვანი **ხიმხალით** თუ არა ჭარხლის ფოთლითაც მზადდება. პატარძლები მათ ჯვრულად დაჭრიან და სუფრაზე დააწყობენ.

სუფრასთან დასხდომის პროცესში გარკვეულ იერარქიულობას იცავენ. უფროსები და ახალგაზრდები ცალ-ცალკე სხდებიან, ქალები მოშორებით და საღამომდე მოილხენენ. დოლ-გარმონი მოხევეთა დღეობის წამყვანი მუსიკალური ინსტრუმენტებია. რამდენიმე წლის წინ სადღესასწაულოდ ტაძარში დოლ - გარმონითა და ოდნავ ზღვარსგადასული მხიარულებით შედიოდნენ. თანდათანობით, ზემოაღნიშნული ჩვეულება საეკლესიო ჩარჩოებში მოექცა. დღესასწაულის მეორე დღეს ხინკლებს ხარშავენ და ზედ არაყს აყოლებენ.

ძველი სიწმიდეები ხატები, დროშები და სხვა, რომელიც ცალკეულ ოჯახებში იყო დაცული, მსურველებმა ეკლესიას შესწირეს და ეს ტრადიცია უკვე ფეხს იდგამს ხევში, მაგრამ არის ისეთი სიწმიდეები, რომლებიც საგვარეულო რელიქვიას წარმოადგენენ და ამიტომ დღესასწაულზე ეკლესიაში მიაბრძანებენ, რათა მათზე მადლი გადავიდეს და ეს მადლი შემდეგ ოჯახებში შეიტანონ. სიწმიდეებს ოჯახში ერთი წლით ტოვებენ და შემდეგ წელს მოპატრონე ოჯახში გადააბრძანებენ.

3.19. მამაწმინდის დღესასწაული ტყარშეტში

სოფ. ტყარშეტი გორისციხის თემის საკრებულოს მიეკუთვნება და მდ. თერგის მარცხენა მხარეს მდებარეობს.

„სოფლის ჩრდილო - დასავლეთით განვითარებული შუა საუკუნეების მამაწმინდის სახელობის დარბაზული ეკლესია დგას. ეზოში, ეკლესიის წინ, პატარა შემაღლებაზე

მოწყობილ ქვის ბაზისზე დგას ჯვრისგამოსახულებიანი მოზრდილი ქვა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი მამაწმინდის ხატს უწოდებენ“ (სძა 2004:477).

ტყარშეტის სალოცავებია: 1. კვირიას ეკლესია 2. მამაწმინდის ეკლესია 3. წმ. გიორგის ეკლესია (VIII-IXსს).

მამაწმინდის ეკლესიის წინ, პატარა შემაღლებაზე, ქვა - ჯვარი დგას, რომელსაც ადგილობრივები მამაწმინდის **ხატს** უწოდებენ. აქვე სიპი ქვით გადახურულ ორმოში სალოცავის (ხატის) განძი ინახება (მაკალთია 1934:212).

მამაწმინდის დღეობა 18 ივლისს იმართება (ქერაშვილი 2012:30). დღეობაზე ხატთან ბავშვები მიჰყავთ დასალოცად (სძა 2004:277-478). გამოსაკვლევია თვითონ სახელწოდება **მამაწმინდა.** შესაძლებელია ის უკავშირდებოდეს წმ. მამას, არაა გამორიცხული სამების ერთ - ერთ ჰიპოსტასთან კავშირი.

XXს-ის 30-იანი წლების აღწერილობებში საინტერესო ცნობები მოგვეპოვება: თერგის ნაპირას, ბუნებრივ კლდეზე, თლილი ქვით ნაგებ ოთხკუთხა ფორმის სარკმლებიან კოშკს, შესასვლელი ერთ მხარეს ჰქონდა, მისი საფეხურები კლდეზე ამოეჭრათ და ძნელად მისადგომ ადგილს წარმოადგენდა: „ძველ დროს კოშკში ინახებოდა მამაწმინდის ხატები, ჯვრები, ხატისათვის შესაწირი შანები“ (მაკალათია 1934:208).

მამაწმინდის კოშკში დეკანოზები განწმენდის მიზნით ადიოდნენ და ერთი კვირით რჩებოდნენ. დღესასწაულზე დეკანოზი ხატებს და ჯვრებს გამოაბრძანებდა. მლოცველები დეკანოზს სამლოცველოში საწირ-საკლავით ეახლებოდნენ, რომელიც მათ ამწყალობნებდა (ლოცავდა). მლოცველს მიჰქონდა **გასტეხელი** (ქადა), ორი სანთელი, არაყი და საკლავი.

„დეკანოზი საწირს ართმევს, სანთლებს აანთებს და დაილოცება. შემდეგ ქადას შუაზე გაჭრის და ნახევარს პატრონს უკანვე მისცემს. თუ **გასტეხელი** ბავშვისაა, მას დეკანოზი მთლიანად იტოვებდა. ამასთანავე, დეკანოზი საკლავსაც დაკლავს, მის სისხლს ბავშვს შუბლზე ჯვრულად წასცხებს და არყით დაილოცება“ (მაკალათია 1934:210).

დამწყალობნების შემდეგ დეკანოზი დიდებას წარმოთქვამდა:

„დიდება ღმერთსა და მოწყალესა,

დიდება ჰქონდეს სამებას ერთარსებას,

დიდება ჰქონდეს ბეთლემის ყოვლადწმიდასა,

დიდება ჰქონდეს მყინვარის წმიდა გიორგის,

დიდება ჰქონდეს ნინოწმიდასა,

დიდება ჰქონდეს ნათლისმცემელს,

დიდება ჰქონდეს კვირეღვთისშვილსა,

დიდება ჰქონდეს ოხარეშის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს ბახტრის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს სემხის ნათლისმცემელსა,

დიდება ჰქონდეს ქუშეთ წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს სპარსანგელოზსა, სპარსეთით მობრძანებულსა.

დიდება ჰქონდეს ახალციხის ყოვლადწმიდას,

დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს არშის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს ღალანგურის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს ზემო სოფლის ყოვლადწმიდას,

დიდება ჰქონდეს გარბნის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს გორისციხის მამაწმიდასა.

დიდება ჰქონდეს კობის წმ. გიორგის,

დიდება ჰქონდეს ლომისა მთავარმოწამესა,

დიდება ჰქონდეს ღუდას ყოვლადწმიდას,

დიდება ჰქონდეს დუშეთის სამებასა,

დიდება ჰქონდეს ქალაქის ღმრთისმშობელსა“.

დიდების მღერით დეკანოზები მოხევეთა თანხლებით მამაწმინდის სალოცავში მიემართებოდნენ. გზად ნიშებთან ისვენებდნენ. სალოცავში ორი სოფელი - გორისციხე და ფხელშე იყრიდა თავს, მოგვიანებით მხოლოდ დეკანოზები და მსახურები ადიოდნენ. მამაწმინდა ხევში სასწაულთმოქმედ სალოცავად მიაჩნდათ, მას გვალვისა და სტიქიური უბედუ

რების დროს ეევედრებოდნენ (მაკალათია 1934:212). ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ***ოქროს მამაწმინდას*** დეკანოზები განსაცდელის ჟამს გამოაბრძანებდნენ და მოდავე - მოპასუხეებში მშვიდობას ამყარებდნენ (კობაიძე 2012:151-152).

ვ. ბარდაველიძე სალოცავს ტყარშეტის მამაწმინდად მოიხსენიებს, რაც სოფ. გორისციხისა და ტყარშეტის ტერიტორიული სიახლოვითაა განპირობებული (მიმდებარე სოფლებია). ამ სოფლებისათვის მამაწმინდა საერთო სალოცავს წარმოადგენს. გორისციხე ტყარშეტის მთის კალთის ძირშია.

გორისციხის მამაწმინდის ხატ - სალოცავები საარქივო მასალებშია ჩამოთვლილი და სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება. ესენია: ***რუხის ციხემცავი*** და ***წვერის მამაწმინდა.*** თავდაპირველად სალოცავად წვერის მამაწმინდაში ადიოდნენ, რომელიც შემდეგ ციხემცავ მამაწმინდას ჩაუნაცვლებია. ორივე სალოცავში ერთიდაიგივე დეკანოზი ამწყალობნებდა (ბარდაველიძე 1966:846).

XIX ს-ის 90-იან წლებში ქოლერა გამძვინვარდა. მთა რთულ წელიწადს ჯანსაღი წყლითა და ჰაერის წყალობით გადაურჩა. იმ წელს სოფლებმა: გორისციხემ, ფხელშემ და ტყარშეტმა საღვთო საკლავისთვის ფული შეკრიბეს, იყიდეს სასმელი, წინ დეკანოზი ს. გუგუტაშვილი გაიძღოლეს და მაღალი მთის წვერზე (მამაწმინდის წვერზე) ავიდნენ, სადაც ყინულიან კლდეში ძველებური ხატი ***ოქროს მამა-წმინდა*** ჰქონდათ დამალული.

ოქროს მამა-წმინდის საბრძანებელს რომ მიუახლოვდნენ, დეკანოზი განწმენდის მიზნით ყინულიან წყალში ჩავიდა, ტანსაცმლიანად განიბანა, რომ ხატს უსუფთაობა არ სწყენოდა. საღვთო გადაიხადეს და შინ დაბრუნდნენ. ასევე მოქცეულან სოფ. გარბანში, სადაც წმ. გიორგის ეკლესიასთან საღვთო ხარი დაკლეს. გადმოცემით, მღვდელი ზ. კობაიძე ძალად მისულა პარაკლისის გადასახდელად. იმ წელს სტეფანწმინდაშიც შეკრიბეს ფული ხარისთვის, შემოსეს მღვდელი ბარნაბოვი. ხარს რქებზე სანთლები მიუამაგრეს და სოფელს სამჯერ შემოუარეს ვედრებით“ (კობაიძე 2012:222).

საინტერესოა თავად სალოცავის დაარსების ისტორია. ტყარშეტელი მაისურაძეები წარმომავლობით რაჭველები არიან და მამაწმინდის სალოცავი ტყარშეტში რაჭიდან, სოფ. წედისიდან ყოფილა გადმოტანილი. დღემდე ***მამაწმინდის დღესასწაულზე*** 18 ივლისს რაჭველები ტყარშეტში ნიშის მოსალოცად ჩამოდიან.

მამაწმინდის სალოცავში აღდგომას გამორჩეულად აღნიშნავენ. დილით სალოცავში სანთლების დასანთებად მიდიან. სანთლებს აკურთხებინებენ. უთენია გამომცხვარ, ერბო - ყველიან ქადას დატეხავენ და ერთმანეთს უნაწილებენ. სააღდგომოდ **დიდ** და **პატარა აღებას** იხდიან.

დიდი მარხვის წინა ღამეს, ყველიერის კვირას, აღებას ეძახდნენ. ზოგჯერ მას დაურწყებადაც მოიხსენიებენ. ამ დღეს მორწმუნეები მარხვის წინ ბოლოჯერ იღებენ რძის ნაწარმს (ღამბაშიძე 2011:39).

დიდ აღებას დიასახლისები ხორციან კერძებს ამზადებენ. ხარშავენ ხინკლებს, აცხობენ ხორცოვანებს. საფუვრიან ცომში გატარებულ და ქონდრით შეზავებულ ხორცს ჩადებენ და აცხობენ ხაბიძგინის მსგავსად. კაპარსაც აყენებენ. ამ, სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ სასმელს, მომჟავო-მოტკბო გემო დაჰკრავს და სასიამოვნო დასალევია. დიდ აღებას სალოცავში იხმევენ ღვინოს იხმევენ.

ყველიერის კვირაში სალოცავში მიდიან, სანთლებს ანთებენ და ფულს წირავენ. **პატარა აღებას** დიასახლისები სახლში ხაჭაპურებს, ყველის ხინკლებსა და ერბო - ყველიან ქადებს აცხობენ. ნამზადი სალოცავში მიაქვთ ერთ ბოთლ სასმელთან ერთად. ქადის გაჭრისას ერთი ჭიქა ღვინით დაილოცებიან და იქვე სუფრას შლიან. სუფრასთან ღვინოს და არაყს სვამენ. სალოცავს ხატებს სწირავენ. ხშირად სხვადასხვა თიხის ფიალებიც მიაქვთ და იქვე ტოვებენ. პატარა აღების დროს უფრო ქალები და ბავშვები იკრიბებიან სალოცავში.

დიდმარხვის დამთავრების მერე ***მამაწმინდის დღესასწაული*** მოდის და რაჭიდან სალოცავის მოსალოცად ჩამოსულ სტუმრებს მოუთმელნლად ელოდებიან. რაჭველები საგანგებოდ ემზადებიან და სღვთოს გადახდა იციან. კლავენ საკლავს. ასო-ასო აკაფულ ხორცს ერთიანად ხარშავენ და სტუმრებს სუფრასთან სათითაოდ ჩამოურიგებენ.

ტყარშეტში დღესასწაულს უშუალოდ არ დავსწრებივართ და ამიტომ ვეყრდნობით მონათხრობს. მთხრობელი - ტყარშეტიდან სოფ. გერგეტში გათხოვილი - ფიქრია (გიორგის ასული) მაისურაძე-სუჯაშვილი, 39 წლის.

3.20. კავთის წმ. გიორგის დღესასწაული ფანშეტში

სოფ. ფანშეტი სიონის თემის საკრებულოს ეკუთვნის, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ხევის ძველი დასახლებაა. ფანშეტის ჩრდილოეთით ძველი ნასოფლარია

შემორჩენილი. ძველ ფანშეტს წმიდა ადგილად თვლიან და სასოფლო დღეობებს მართავენ. გადმოცემით, ამ ადგილას ცხოვრობდნენ გერგეთის წმ. სამების ეკლესიის ამშენებელი კალატოზები, რომლებიც აქედან გაყვანილი სახარმარხილე გზით (მარხილში შებმული ხარებით) ტაძრის ასაშენებლად ქვას ეზიდებოდნენ. ქვის კარიერი ფანშეტ - გერგეტის საძოვრების საზღვარზე მდებარეობს.

სოფლის შედარებით ძველი დასახლება ორი საგვარეულო კოშკის ჩონიაშვილებისა და სამქანაშვილების ირგვლივ იყო გაშენებული. სოფელში ცხოვრობენ აგრეთვე საბაურები, ფშავლები - ცაბაურნი (ითონიშვილი 2015:195).

ფანშეტის ჩრდილოეთით კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულების კომპლექსია, რომელსაც ადგილობრივები **ცოდვილთ ქოხებს** ეძახიან. გადმოცემით, აქ ბეთლემის სავანის ბერები იზამთრებდნენ (სძა 2004:481).

ფანშეტის სალოცავებია:1. კავთის წმ. გიორგი 2. ყველაწმინდის ხატი

ფანშეტში ***კავთის წმ. გიორგის*** დღესასწაულობენ. სალოცავი ფანშეტიდან სამხრეთ - დასავლეთით მაღალ მთაზე მდებარეობს.

წმ. გიორგის სალოცავი ფიქალი და რიყის ქვისგან მშრალი წყობითაა აშენებული. დასავლეთით ნაგებობას ღრმულიანი ოთხკუთხა ფორმის ქვა აქვს დატანილი. ღრმულში აწყვია ფული და სანთლები. ქვებში ჩამაგრებულია სწორმხრიანი ქვის ჯვარი და დროშა. ნიშის ჩრდილო - დასავლეთ მხარეს საუფროსო მდებარეობს და ოვალური ფორმის მიჯრით დაწყობილ დასაჯდომ ქვებს წარმოადგენს, რომელთა შუაში ქვისავე მაგიდაა გაკეთებული.

ფანშეტის ***კავთის წმ. გიორგის*** სალოცავი სოფ. კავთისხევიდან გადმოუტანიათ. საარქივო ჩანაწერში ნიკოლოზ გრიგოლის ძე სამქანაშვილი (91 წლის) ყვება სალოცავის დაარსების შესახებ: „ძირად ცალქალამანიძეები ვართ და სამქანაშვილად ვეწერებით. სამქანაშვილები წმ. გიორგის ხატს ვილოცავთ კავთისხევში. იქიდან არის წამოსული ჩვენი წინაპარი-გაბრიელ ცალქალამანიძე. გაბრიელს ძმა ჰყოლია ავადმყოფი, ომიანობის დროს დაჭრილა, მოკვდა და მღვდელი რომ მოვიდა დასალოცად, ამ დროს საცეცხლური საკაცეზე მოხვდა და მიცვალებულს სახეზე შაყრია. დედაკაცები ტირიან მღვდელმა გიორგი

მოკლაო. გაბრიელო მთვრალი იყო, ამოიღო დამბაჩა და მღვდელი მოკლა. მერე ცოლით და შვილით სიონში გამოიქცა“ (ბარდაველიძე 1966:157).

ამგვარად, ირკვევა, რომ ფანშეტის ***კავთის წმ. გიორგის*** სალოცავი ხევში ქართლიდან, სოფ. კავთისხევიდანაა გადმოტანილი.

დღემდე, კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში 6-7 ივნისს დღესასწაულობენ ***თავკავთის წმ. გიორგის*** დღეობას. დღესასწაულს **კავთობას** ეძახიან, რადგან კავთის ხეობაში და მდ. კავთურას დასახლებაში აღინიშნება. კავთისხევში ამ დღეს ***თავ-კავთის წმ. გიორგის*** ეკლესიაში სანთლების დასანთებად და მოსალოცად მთელი სოფელი მიდის. ოჯახში კლავენ საკლავს და სტუმრებს ეპატიჟებიან. დღეობის ტრადიციული ფორმები ხევის კავთის დღესასწაულს წააგავს, მხოლოდ ხევისაგან განსხვავებით, ქართლში არც დეკანოზი და არც გვარის უფროსი არ ფიგურირებს. საკლავს (ცხვარს) უფრო სახლში კლავენ. ტერმინი საღვთო არ გამოიყენება. ხორცისგან სხვადასხვა კერძებს, ამზადებენ (7 ივნისს კავთობის დღესასწაულს, სოფ. კავთისხევში, **კოტნიხევის უბანში**, ბონდო იოსების ძე ნაცვლიშვილის ოჯახში დავესწარით).

ფანშეტში წმ. გიორგის დღესასწაულს ლომისობის მეორე კვირის ბოლოს აღნიშნავენ. (ითონიშვილი 2015:196). სოფლის მცხოვრებნი სალოცავში წინა დღეს სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ. მეორე დღეს, დიასახლისებს ერბო - ყველიანი ქადა მიაქვთ და სალოცავთან ჭრიან. ქადის დაჭრის დროს სასმელს სვამენ. სალოცავში სამი სანთელი, ერთი ბოთლი არაყი ან ღვინო აუცილებლად უნდა მიიტანონ. დღესასწაულზე თუ შეთქმული აქვთ კლავენ საღვთო საკლავს.

დეკანოზი პირუტყვის დაკვლის წინ ლოცვას კითხულობს, სალოცავის ნიშთან ანთებული სანთლით მარჯვენა ყურს შეუტრუსავს, მარჯვენა მხარზე გულაღმა წამოაქცევს, ოჯახის წევრებს (შემწირველებს) დალოცავს და დაკლავს.

პირუტყვის თავს იქვე სალოცავში ტოვებენ. საღვთო საკლავის ხორცს საგანგებოდ მხოლოდ მისთვის გამოყოფილ ქვაბში ხარშავენ და სადღესასწაულო სუფრასთან ლანგრებით ჩამოატარებენ. საღვთოს ხორცი იხარშება, მისგან სხვა კერძი არ მზადდება.

სუფრასთან სანთელს დეკანოზის ან გვარის უფროსის წინ ანთებენ. დიასახლისები სხვადსხვაგვარ კერძებს ამზადებენ. აცხობენ მხლოვანსა და ხაბიძგინებს, რომელთაც მერე

ჯვრულად ჭრიან და სუფრაზე აწყობენ. თუ სალოცავ ნიშში ქადაა მთავარი ნამცხვარი, სუფრასთან მას ხაბიძგინა - მხლოვანი ცვლის და ყველა სოფელში სხვადასხვანაირად მზადდება. სადღესასწაულო სუფრის კულინარიული მრავალფეროვნება ოჯახის, გვარის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

საქეიფოდ შუადღისპირს დამსხდარი ფანშეტლები საღამომდე მოილხენენ. მღერიან, ცეკვავენ და ქილიკობენ.

3.21. მთავარანგელოზობა ყანობში

ყანობი მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. სოფლის სახელწოდება სიტყვა ყანიდან მომდინარეა და ნაყანარს ნიშნავს. საისტორიო წყაროებში 1398 წლიდან მოიხსენიება და სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო. მოგვიანებით, იგი არაგვის საერისთავოში შედიოდა. ყანობში მწვერვალი **ქაბარჯინა** მდებარეობს, სადაც ძველი სოფლის ნამოსახლარია შემორჩენილი (ითონიშვილი 2015:171).

სოფელში მცხოვრებთა გვარებია: ვარდიშვილი, ტატიშვილი, კურკუმელი, ითონიშვილი, კობიაშვილი და სხვ.

მოხეური ზეპირსიტყვიერება ყანობლებს თითქოს ძუნწებად ახასიათებს:

„ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო,

ყანობლები შიშობენო,

შუადღეჩი კარებს ჰკეტენ,

სტუმარს შინ არ უშობენო.“

ლექსი ყველა ყანობელის მახასიათებელი არა არის, რასაც სოფლის ტრადიციული დღესასწაულები და გულუხვობა ადასტურებს. გადმოცემით, ადრე აქ ერთი გვარი ცხოვრობდა, რომლებიც სიძუნწით გამოირჩეოდნენ და ლექსიც სწორედ მათზე ყოფილა გამოთქმული (იორამ ივანეს ძე ღუდუშაური, 83 წლის).

„სოფელ ყანობის მთავარი სალოცავები იყო:

1. თარანგელოზის (მთავარანგელოზის) ხატი მთა ქაბარჯინას ძირას;

2. არყოვნის წმიდა გიორგი, მდებარე ჯევაის წყალგაღმა;

3. კვირე (კვრეღვთიშვილი) გოგორეთ (კურკუბულების) სახლთან ახლოს მდებარე გორაკზე, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქვის მშრალი წყობით აშენებული მცირე ზომის

ეკლესიის ნანგრევი. სოფლის მთავარი დღეობებიც ამ სალოცავში სრულდებოდა, მაგრამ სანთლების დანთება და ლოცვა - ვედრება საეკლესიო კალენდრით ცნობილ ყოველ დღეობაზე აღინიშნებოდა“ (ითონიშვილი 2015:171).

მთავარანგელოზობა ყანობის სასოფლო დღესასწაულია. საეკლესიო კალენდრით 21/8 ნოემბერსაა დადებული. 8 ნოემბერს მთავარანგელოზთა ეკლესიაში სადღესასწაულო წირვა აღესრულება. მაგრამ ყანობლები მთავარანგელოზობას ზაფხულშიც აღნიშნავენ. სოფელში დიდი და პატარა მთავარანგელოზობა იმართება.

პატარა მთავარანგელოზობას 13 ივლისს, ხოლო დიდ მთავარანგელოზობას სოფლის განაპირას მდებარე მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში 26 ივლისს აღნიშნავენ. ამ დღეს კობიდან მამა ილარიონი მიდის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიაში სადღესასწაულო წირვის ჩასატარებლად.

წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია ყანობის ჩრდილო - აღმოსავლეთით დგას და XIX ს-ის 60-იან წლებში მღვდელ ითონიშვილის დაკვეთითაა აშენებული (სძა 2004:486). გუმბათიანი ტაძარი ბევრჯერ არის გადაკეთებული. დღეისათვის მოხატულია (იხ. დანართი №18).

ეკლესიაში უწინ დიდი სიმდიდრე ინახებოდა. როგორც ადგილობრივები ყვებიან კომუნისტების დროს მოსახლეობა შიშობდა განძის დაკარგვას და სანდო კაცს ჩააბარეს. სამწუხაროდ, განძი **სანდო** მეპატრონემ დაკარგა.

პატარა მთავარანგელოზობას (13 ივლისს) სოფელში მცხოვრებნი სალოცავ ნიშთან მიდიან. მიაქვთ ნაკურთხი სანთლები, ქადა და ერთი ბოთლი ღვინო. ნიშთან **კოკოშაით** (ხის სასმისია) ღვინოს დალევენ და მთავარანგელოზთა სახელზე დაილოცებიან. მოხევეებს ლოცვები ნაკლებად აქვთ დასწავლილი და გულიდან წამოსულ სიტყვებს წარმოთქვამენ. დიასახლისები ქადას ჭრიან და მლოცველებს უნაწილებენ. ქადის ერთ ნაჭერს ერთ ჭიქა ღვინოს აყოლებენ. თუ ვინმეს საღვთო საკლავი აქვს შეთქმული დეკანოზს მიუყვანენ.

დეკანოზი პირუტყვს, ძირითადად ცხვარს, ლოცვებს წაუკითხავს, მარჯვენა ყურს შეუტრუსავს და დაკლავს. დაკლულს სალოცავთან ჩამოატყავებს და ხორცს იქვე გამართულ ზედსადგარზე დიდი ქვაბით შემოდგამენ. ცხვრის თავს ნიშთან ტოვებენ, ხოლო მოხარშულ საღვთოს ხორცს სინებზე გადმოიღებენ და სუფრასთან ჩამოატარებენ.

სადღესასწაულო სუფრას პატარძლები შლიან. აცხობენ ხაჭაპურებსა და მხლოვანს. მერე ყველა ერთად დასხდება და მოილხენენ.

დღეობაზე მოჭარბებულად სვამენ და მერე ერთმანეთში ქილიკობენ. ბავშვები განსაკუთრებულად ერთობიან, კოჭაობენ (იხ. დანართი №19).

საკლავის დაკვლის დროს დეკანოზი ცხვრის კოჭებს განაცალკევებს და გასუფთავებულს პატარებს სათამაშოდ გადმოუყრის. თამაშის ეს სახეობა ხევის ზოგიერთ სოფელში დღემდეა შემორჩენილი.

კოჭაობისას დიდი მნიშვნელობა თავად **კოჭს** ენიჭება. გამოარჩევენ თხის, ჯიხვის, ცხვრისა და ღორის კოჭს. თითოეულს თავისი სახელი აქვს - თხის (ცხვრის) კოჭს-თხუსი ეწოდება, ჯიხვისას - ტანა, ღორის კოჭს - დაგრეხილი თხუსი.

კოჭის ამოღრუტნულ მხარეს **ჭურს** უწოდებენ, ამოვსებულს-**ფერი** ჰქვია. თამაშის დროს ფეხზე მდგომ კოჭს ზევიდან ამოვსებულს **ზეჭური**, ხოლო სწორთავიანს-**ზეფერი** ჰქვია. ბავშვები კოჭებს ერთ ხაზზე დაამწკრივებენ და თითით აგდებენ, **უწკიპურტებენ**, ამას **წკეპასაც** ეძახიან. წკეპისას თუ სულ ჭური დადგა მოგებულია მოთამაშე და თუ ორი ჭური და ერთი ფერი, მაშინ განმეორებით წკეპავენ, რომ ჭური დადგეს. არსებობს ძვირფასი კოჭები, მაგალითად ფსიტის კოჭი, რომელიც **აყრაჩია კარგი**.

კოჭაობის რამდენიმე სახეობა არსებობს: ოსმალო, კოტალი და სხვა. „გამწკრივებულ კოჭებს გარკვეული მანძილიდან ესვრიან თხუსს და რომელი მოთამაშეც გაიტანს კოჭს განსაზღვრულ მანძილზე, კოჭები იმისია“ (ღუდუშაური 2011:68). ამგვარად, მოხევე ბავშვებს მთავარანგელოზობას გასართობი თამაში დღესასწაულის ნაწილად გაუხდიათ.

დიდ მთავარანგელოზობას 26 ივლისს ეკლესიაში წირვას ხევის ეპისკოპოსი ან კობიდან მოსული მღვდელი აღავლენს. სადღესასწაულო წირვა-ლოცვას ყანობლები აუცილებლად ესწრებიან. წირვის დამთავრების შემდეგ, რომელიმე ოჯახს თუ საღვთო საკლავი აქვს შეთქმული დაკლავს. დაახლოებით ოცი წლის წინ საკლავი ეკლესიასთან იკვლებოდა, ახლა კი აკრძალულია და მოხევეები ცდილობენ ტრადიციული რიტუალი სადმე ეკლესიისაგან მოშორებით ან მთავარანგელოზთა ნიშთან აღასრულონ. დაკვლის რიტუალს ახალგაზრდა დეკანოზი აღასრულებს. პირუტყვს საგანგებო ლოცვის კითხვით ჯერ მარჯვენა ყურს შეუტრუსავს დეკანოზი, მერე დაკლავს.

დიდ მთავარანგელოზობას სოფელში დიდი სადღესასწაულო სუფრა იშლება. ამ დღისთვის სხვადასხვა კერძს ამზადებენ. სვამენ ღვინოს, არაყსა და საფირმო ლუდს. სადღესასწაულო სუფრა ადრე უფრო სადად და ჯანსაღად გამოიყურებოდა. სადაც, ძირითადად საღვთოს მოხარშული ხორცი, მოხარშული თევზი (კალმახი) და ნადუღი ლუდი დომინირებდა. დღეისათვის, მოხევეთა სუფრას საზოგადოდ გავრცელებული, ეგზოტიკური სალათები შეერია, მაგრამ დღემდე სადღესასწაულო სუფრის განუყოფელი ნაწილი საღვთო საკლავის ხორცი, ხინკალი, ხაბიძგინა და მხლოვანია.

ყანობლები აღდგომასაც გამორჩეულად დღესასწაულობენ. ჯერ სააღდგომო წირვა - ლოცვას ესწრებიან. წირვის შემდეგ, ნაკურთხ სანთლებს სოფელში მინდვრიან ქედზე აგებულ სალოცავში წაიღებენ და ანთებენ. სალოცავში მიაქვთ აგრეთვე ქადა და ერთი ბოთლი ღვინო. აღდგომას სალოცავში მხოლოდ ციკანი იკვლება, იშვიათად ცხვარი. საღვთო საკლავს ანთებული სანთლით მარჯვენა ყურს კარგად შეუტრუსავენ, დაკლავენ, დააგორებენ და სადაც გაჩერდება იმ ადგილზე სუფრას შლიან და მოილხენენ.

დიასახლისებს სალოცავში წითლად შეღებილი კვერცხები და ერბო - ყველიანი ქადები მიაქვთ. ნიშთან ქადებს დატეხავენ და ახლობლებს უნაწილებენ. სააღდგომოდ ტკბილ ქადას აცხობენ, რომელსაც ყველის ნაცვლად შაქარს ან თაფლს უმატებენ.

ლუდს ადრე მთელი სოფლისათვის დიდ ქვაბში ადუღებდნენ. დღეისათვის ყანობში სიმბოლურად მხოლოდ თუჯის ორი სალუდე ქვაბი შემორჩა. სოფელი ნელნელა იცლება და, ბუნებრივია, სალუდე ქერის მოყვანის კულტურა მოიშალა.

სუფრას დარბაისელი უხუცესი ამშვენებს. თამადა ერთმანეთის მიყოლებით ჯერ ღვთის სადიდებელს, მერე ორი სახარების სადღეგრძელოს, მესამედ - სამების სადიდებელს იტყვის. მოხევეებს უმოწყალოების სადღეგრძელო არ გამორჩებათ. მოჭარბებულად სვამენ არაყს და ღვინოს. შეზარხოშებულები ცეკვავენ და მღერიან. შუადღით დაწყებული ლხენა მთელი ღამე გრძელდება.

ყანობში ***არყოვნის წმ. გიორგის*** დღესასწაულობენ. სალოცავი სოფლის სამხრეთით მდებარე გორაკზე დგას. ოთხკუთხა სვეტის მსგავსი მასიური ნაგებობა ფიქალის მშრალი წყობითა არის ნაგები. ნიშს თავზე ქვის ჯვარი ადგას და შეთეთრებულია. ამავე სახელობის ნიში სოფლის შუაშიც დგას და ოთხკუთხა ფორმა აქვს. ნიშის კედელის თახჩაში ლითონის

ხატი ასვენია, რომელზეც მხედარია გამოსახული ჯვრით ხელში და მზის შვიდი გამოსახულება გარშემოუყვება. მათ შორის წარწერაა ***არყოვნის წმ. გიორგი.*** ყანობლებს დღეისათვის არყონის სალოცავი მივიწყებული აქვთ.

23 აპრილს გაზაფხულის გიორგობას ყანობის სალოცავიდან ხატს გამოაბრძანებდნენ და ხურთისში მიაბრძანებდნენ. ბოლოს ისევ ყანობში მობრუნდებოდნენ.

ხურთისელი მლოცველები ყანობისაკენ გამოემართებოდნენ და მათ შესაწირად გამზადებულ კურატს მიაგებებდნენ, რომელსაც ყელზე ზარი ჰქონდა შებმული. ხატს კობში მიაბრძანებდნენ. კობელები მლოცველებს უმასპინძლდებოდნენ, ხოლო ყანობში დაბრუნებულები **კვირიეს** კურატს სწირავდნენ და მოილხენდნენ (ითონიშვილი 2015:172).

3.22. ხურთისის დღესასწაულები

სოფ. ხურთისი (ჭეჟე) მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. XV ს-ში გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში მოიხსენიება. გადმოცემით, სოფლის სახელწოდება მოხევე ხურთიდან მომდინარეობს, რომელიც აქ დამკვიდრებულა. სოფელში შემოღობილი ნაკვეთი **საწყევარაი** არსებობს, ადგილი, სადაც დამნაშავეებს რისხავდნენ.

სოფლის ჩრდილოეთით მომცრო კლდოვან ბაქანზე გვიანი შუა საუკუნეების ციხის ეკლესია დგას. ნაგებობა ტლანქად დამუშავებული ქვითაა აშენებული. შენობის გადახურვა ჩანგრეულია. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ეკლესია XVIII ს-ის ციხე-სახლის კომპლექსში იყო ჩართული.

„ხურთისის მოსახლეობა ხევის ყველა დღეობას მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ასრულებდა, მაგრამ საკუთრივ ხურთისის გამორჩეული დღეობები იყო გივარგობა, კვირესძლობა და პეტრე-პავლობა“ (ითონიშვილი 2015:176).

სოფლის სალოცავებია: 1. კვირესძლის ხატი 2. ნათლისმცემლის ხატი 3. პეტრე - პავლეს ახალი ხატი 4. პეტრე - პავლეს ძველი ხატი 5. ქაშეტა

სოფლის ჩრდილოეთით კლდის ძირში კვირეძლის სალოცავი დგას. ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა ფიქალითა და მოწითალო ფერის ქვით არის ნაშენი. მთავარი ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს. ამავე კედელშია მოწყობილი ღრმა თახჩა. ზემო წყობაში ჯოხი ჩაუმაგრებიათ და ზედ ზარები ჩამოუკიდებიათ.

კვირესძლის დღესასწაულს ხურთისში ყველა გვარი აღნიშნავს. აღდგომიდან მესამე კვირას სალოცავში ღამისთევით მიდიან და **ხატს** ბავშვებსა და ქალებს ავედრებენ.

დღესასწაულზე წინა დღეს სალოცავში ღამისსათევად კარვები მიაქვთ. კვირესძლის სალოცავს მოილოცავენ და სანთლებს ანთებენ. შუაღამეს ცეცხლს გააჩაღებენ და გარშემო ჩამომსხდრები მოილხენენ. დალევენ და დიასახლისების მომზადებულ სასმელ - საჭმელს დააგემოვნებენ.

მეორე დღეს, დილიდან სალოცავის, ნიშის სასანთლე თახჩაში სანთლებს ანთებენ. სალოცავს გარშემო სამჯერ შემოუვლიან. ქადას დატეხავენ, ერთმანეთს სათითაოდ გაუნაწილებენ, ჭიქა ღვინით დაილოცებიან და ხატს შემწეობას სთხოვენ.

ბავშვი თუ ავადაა, ოჯახის წევრებს სალოცავში ქადა-გასტეხელი და ერთი ბოთლი სასმელი აუცილებლად მიაქვთ. თითო ჭიქა სასმელით იქვე, ნიშთან დაილოცებიან და მერე საღვთოსაც დაკლავენ. პირუტყვს ფეხებს შეუკრავენ, თავს მოაჭრიან და შემაღლებული ადგილიდან აგორებენ.

დეკანოზი პირუტყვს დაკვლის წინ ლოცვას უკითხავს, ანთებული სანთლით ყურს ან შუბლს შეუტრუსავს, ცხვარს მარჯვენა გვერდზე წამოაქცევს და დაკლავს. დეკანოზს ოჯახის წევრები ეხმარებიან. დეკანოზი პირველად საღვთო საკლავის სისხლს თავის დამხმარეებს გამოუსახავს ჯვრულად, შემდეგ კი დანარჩენ მამაკაცებს, ბოლოს ახალგაზრდა ვაჟებს. ქალებს საღვთო საკლავთან ახლოს არ უშვებენ, ისინი ამ დროს სადღესასწაულო სუფრის გაწყობით არიან გართულნი.

სალოცავის საყანე მიწას ადრე მორიგეობით ამუშავებდნენ. ყანის დამუშავება, ქერის მოყვანა და ამ ქერით ლუდის მოდუღება მოხევეებს დიდ ჯაფად უჯდებოდათ. დღეისათვის ეს ტრადიცია აღარ არსებობს. ბუნებრივია, ლუდის დუღება დიდი შრომისა და ცოდნის ნაყოფი იყო. დღეს მარტივია ქარხნული, მზა ლუდის ყიდვა.

სოფელში არსებობს წმ. პეტრე-პავლესა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სალოცავები, სადაც 29 ივნისს პეტრე-პავლობას და 12 სექტემბერს **ივანობას** აღნიშნავენ.

პეტრე-პავლობა ხურთისის მთავარი დღეობა იყო (ითონიშვილი 2015:177). 29 (ძვ. სტ) ივნისს პეტრე - პავლობას ხურთისში სალოცავ ნიშთან მიდიან. მიაქვთ ნაკურთხი სანთლები და ნიშის თახჩაში ანთებენ.

დღეობაზე სამი სანთელი ყველამ უნდა დაანთოს. დიასახლისებს სამი ქადა მიაქვთ. ერბო-ყველიან, მრგვალ ქადებს ნიშის თავზე აღმართულ ჯვართან ჭრიან და ერთმანეთს სათითაოდ უნაწილებენ.

ნიშთან მისული მამაკაცები გაჩერდებიან, ქუდს მოიხდიან, სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ. მერე ჭიქა ღვინით დაილოცებიან.

ოჯახს თუ საკლავი აქვს შეთქმული, დაკლავს და სტუმრებს ეპატიჟებიან. პირუტყვს დეკანოზს მიუყვანენ, რომელიც ლოცვას წაიკითხავს და მერე დამხმარე ახალგაზრდებთან ერთად დაკლავს. თუ კარგი ამინდია, სუფრას სალოცავთან შლიან.

დიასახლისები ხაჭაპურებს, ხაბიძგინებს და მხლოვანს აცხობენ, დაჭრიან და სუფრასთან მიაქვთ. საგანგებოდ ამ დღისთვის სხვადასხვა კერძს ამზადებენ და სუფრას ამრავლფეროვნებენ. სუფრაზე ხილის მიტანაც იციან. ხორცი რომ მოიხარშება, ყველა ერთად დასხდება და მოილხენს.

სუფრის თავში გვარის უფროსს დასვამენ, რომელიც თამადაა. მის წინ შანდალში სანთელს ანთებენ. თამადა ყველა სადღეგრძელოს სადიდებლით ამთავრებს და სავსე სასმისს, **კოკოშაის** ან ყანწს ახალგაზრდებს გადაულოცავს.

ხანშიშესული მოხევეები სუფრასთან **დიდებას** შემოსძახებენ. ახალგაზრდები დოლ-გარმონის თანხლებით ცეკვავენ და მხიარულობენ. ოჯახის გადახდილ საღვთოს უხუცესები საქებარს ეტყვიან და პეტრე -პავლეს ოჯახის წევრთა შემწეობას შესთხოვენ.

წმ. იოანე ნათლისმცემლის სალოცავი სამხრეთ - აღმოსავლეთით ტყეთანაშია (ადგილია) ნაგები. „ხატი ოთხკუთხა ფორმის ვიწრო და მაღალი ყრუ მასივია. დგას ლოდზე. ნაშენია რიყის ქვითა და ფიქალით. მთავარი ფასადი სამრეთ-აღმოსავლეთით აქვს. ნაგებობას თავზე ადევს ქვის ჯვარი. შეთეთრებულია“ (სიკძა 2004:489). სალოცავს ბავშვებსა და ქალებს ავედრებენ.

12 სექტემბერს სალოცავში სანთლებს ანთებენ, ერბო - ყველიან დიდი ზომის ქადას გაჭრიან და ანთებულ სანთელს ჩაურჭობენ. ხატში მიყვანილ წითელ მამალს ცოცხლად უშვებენ სალოცავის მახლობლად. დიასახლისებს ქადა და ერთი ბოთლი ღვინო მიაქვთ. სადღესასწაულოდ სუფრას შლიან. ამ დღისთვის ხაჭაპურებს, ხაბიძგინებსა და მხლოვანს

ამზადებენ. მერე, სალოცავთან დასხდებიან და მოილხენენ. შესაწირად ხატები და სანთლები მიაქვთ.

ნათლისმცემლის ჩრდილო-აღმოსავლეთით სალოცავი **ქაშეტა** მდებარეობს. „ქაშეთის ხატი ანუ ბალღების ხატი“ (ითონიშვილი 2015:176).

ქაშეტა დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბორცვზე. ხატი ოთხკუთხა პროზმის მსგავსი ყრუ ნაგებობაა. ნაშენია რიყის ქვით (სძა 2004: 489).

დღეობას (თარიღი ზუსტად არაა ცნობილი) გაზაფხულზე კვირადღეს აღნიშნავენ. ქაშეტას სალოცავი კლდეზე დიდი ქვებისაგან მშრალადაა ნაგები და სამხრეთ - დასავლეთ კუთხე მომრგვალებული აქვს. სამხრეთის კედელში შიგნიდან, მიწის პირზე ოთხკუთხედი თახჩა აქვს დატანებული, რომლის თავზე ორი თეთრი დროშაა დარჭობილი. ხატს ირგვლივ ახალგაზრდა ვერხვის ტყე არტყია (ბარდაველიძე 1966:105).

სავარაუდებელია, რომ **ქაშეტა** - ქაშვეთის დამახინჯებული ფორმაა. ამ აზრს ისიც გვიმყარებს, რომ მთხრობელთა მონაყოლზე დაყრდნობით, სალოცავი წმ. გიორგის უკავშირდება და შესაბამისად იქნებ ქაშვეთის ცნობილ ლეგენდასაც. საფიქრებელია, რომ სოფელში ადგილი **საწყევარაი** არსებობს, სადაც ადრე დამნაშავეებს რისხავდნენ. წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მან დაწყევლა, შერისხა ცილისმწამებელი.

ასურელი მამების ხევთან კავშირი გამორიცხული არ უნდა იყოს, რადგან მთაში გავრცელებულია აგრეთვე **შიოობა**. შიო კი წმინდანია (ბოძაშვილი 1988:77). **შიოობა** წმ. შიო მღვიმელიდან მომდინარეა. და თუ მსჯელობის ამ რგოლს ზემოხსენებულ წმინდანსაც დავუკავშირებთ, ხევში ცამეტ ასურელი მამის თაყვანისცემის კვალს მივაგნებთ.

3.23. პეტრე-პავლობა:

სტეფანწმინდის ყუროს ნიში გამორჩეულია, მოხევეები აქ პეტრე - პავლობას აღნიშნავენ. სალოცავი ერთდროულად საგვარეულოც არის და სასოფლოც.

ადრე, ყოველ წელს, მორიგე გვარის წარმომადგენელი სოფელს დაივლიდა და ბეგარად თითო პინა ქერს აგროვებდა. მოგროვებული ქერით ლუდს ხარშავდნენ, ფულით კურატს ყიდულობდნენ, რომელსაც დღესასწაულზე სალოცავს წირავდნენ. ხორცი მთელ სოფელს უნაწილდებოდა. „ვინც ქერის ბეგარას არ აიღებდა და კურატს თავისი საფასურით

შეიძენდა, სოფელი ერთი წლით ყოველგვარი სასოფლო ბეგარისაგან ათავისუფლებდა“ (მაკალათია 1934:243).

დღეისათვის, პეტრე - პავლობის ნიშში გვარები სათითაოდ მიდიან მოსალოცად და საღვთო საკლავსაც მორიგეობით კლავენ. სადღესასწაულოდ ერთი გვარის ოჯახები ფულს წინასწარ კრებენ. დაახლოებით 30-50 ლარს.

დილით სალოცავში მისული მოხევე მამაკაცები ქუდს იხდიან, ზოგიერთი იჩოქებს და სალოცავს შემწეობას სთხოვს. ქალები მანდილს იფარებენ და ქადებით ხელში ნიშთან მიდიან მოსალოცად. ნიშს გარშემო სამჯერ შემოუვლიან და ლოცულობენ. ყველაზე მეტად ე.წ. გასაიდუმლოებული ლოცვები უყვართ, რომელიც მეტწილად სხვა არაფერია თუ არა გულიდან ამოხეთქილი სიტყვები.

პეტრე - პავლობას დღესაც ძველი სტილით 29 ივნისს (ვარდობისთვეს) აღნიშნავენ. ნიშის თახჩაში ეკლესიაში წინასწარ ნაკურთხ სანთლებს ანთებენ და ხურდა ფულს წირავენ. დიასახლისებს სალოცავში ერბო - ყველიანი ქადა მიაქვთ, რომელსაც ჯვრულად სერავენ და ოჯახის წევრებსა და მოგვარეებს უნაწილებენ. საღვთოდ, ძირითადად ცხვარი იკვლება. დეკანოზი საღვთო საკლავის დაკვლამდე ლოცვას კითხულობს, მერე პირუტყვს შუბლს ან ყურს შეუტრუსავს და დაკლავს. ბოლოს იქვე აღმართულ ხის ძელზე თვითონვე გაატყავებს. ქალებს საკლავთან ახლოს არ უშვებენ. მამაკაცები ჭიქა ღვინით საღვთო შესაწირთან დაილოცებიან. მერე დეკანოზს შუბლს მიუშვერენ და ისიც ლოცვის წარმოთქმით დაკლული საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს გამოუსახავს.

ცხვრის ერთ ბარკალს დეკანოზს უტოვებენ, ხოლო დანარჩენი ნაწილი გარდა თავისა, მთლიანად იხარშება. დაკლული პირუტყვის თავს იქვე ნიშთან ტოვებენ. ამასობაში მოხევე პატარძლები ყუროს მთის ძირში სალოცავთან სადღესასწაულო სუფრას აწყობენ და ერთმანეთს მის გალამაზებაში ეჯიბრებიან.

სალოცავში მიტანილი ერთი ბოთლი ღვინო ნიშის შესაწირია. სადღესასწაულო სუფრისათვის კი ღვინო დიდი ბოცებით მიაქვთ. სვამენ არაყს და ნაყიდ ლუდს. ქალები ამ დღისათვის საგანგებოდ აცხობენ ხაბიძგინებსა და მხლოვანს. მხოლოდ, ხაბიძგინები აქ ერბოთი აღარ მიაქვთ, რადგან გულს გამარტივებულად უკეთებენ, კარტოფილისა და ყველის ნაზავს ცხიმში ერთდროულად შუშავენ.

სადღესასწაულოდ გაშლილ სუფრასთან დასხდებიან და მოილხენენ. თუ ვინმე დაგვიანებით მოვა, შემოსწრებული სუფრაზე კანფეტებს და შოკოლადებს შემოყრის. საერთო ლხენას ყოველთვის **გორის უხუცესი** (გვარის უხუცესი) უძღვება. დღეობაზე ის თამადაა და პატივცემული ადამიანი.

ადრე თუ სალოცავებს ფულს, სამკაულებს და სხვა ნივთებს სწირავდნენ. დღეისათვის ხშირად მიაქვთ ხატები, ძირითადად იმ წმინდანისა, რომლის სახელობის სალოცავშიც მიდიან, მაგრამ ღვთისმშობლის ხატი ყველა სალოცავში მიაქვთ და იქვე ტოვებენ. უფროსი თაობაში დღემდე შემორჩენილია მოხეური **დიდების** შესრულების ხელოვნება. ამიტომ, პეტრე - პავლეს დღესასწაულზე სუფრასთან ხანშესული **„ჰოი, დიდებაო ღმერთსა“** კვლავაც გაისმის.

IV თავი

ხევის ზოგიერთი საძმო - საგვარეულო დღესასწაული

4.1. ქუშაშვილთა ამაღლების დღესასწაული

დაბა სტეფანწმინდაში, ე.წ. ქუშეთ (ქუშაშვილების) უბანში, ძველი, ბანიანი სახლის ნაშთები, გურასპაშვილთა ნაქოხარები და ამაღლების საგვარეულო ნიში დგას.

ამაღლების ნიში ერთი შეხედვით შეუმჩნეველ ადგილზე, ფიქალი ქვით ნაგები სახლის ღობე - გალავანზეა აღმართული. სალოცავი ოთკუთხა ქვაზე მოთავსებულ ბაცი მწვანე ფერის ჯვარს წარმოადგენს.

გადმოცემით, სადაც ქუშეთ ნიშია ადრე ციხე მდგარა. მოხევეები საგუშაგო კოშს ციხეს ეძახიან. ხევის ტრადიციულ სალოცავებში რამდენიმე ნაგებობაა გაერთიანებული. მათ შორის მთავარი - სალოცავის ნიში ან კოშკია (მაკალათია 1984:239).

მოხეური თქმულებით, ქუშაშვილები ზედგენიძეები იყვნენ. ერთ-ერთი ზედგენიძე სტეფანწმინდას დასახლებულა, გამრავლებულა კიდეც, მერე კი გერგეთელ ჩიბაშვილთან ჩხუბი მოსვლია. ჩიბაშვილებმა ზედგენიძეები ერთიანად ამოწყვიტეს. მხოლოდ ფეხმძიმე ქალი გადარჩა, წარმომავლობით ქისტი, ჯარიახიდან, რომელიც ტრაგედიის დროს მამის სახლში იმყოფებოდა მოსალოგინებლად. ახალშობილ ზედგენიძეთა შთამომავალს დედის ძმებმა ქართული გვარი ქუშტიევად გადაუკეთეს. მოგვიანებით, ქუშტიევი სტეფანწმინდაში მამის სახლს დაუბრუნდა და გვარი ქუშაშვილად გადაიკეთა. ამგვარად, ქუშაშვილები ზედგენიძეთა შთამომავლებად იწოდებიან. ქუშაშვილების გვარი იმდენად გაძლიერდა, რომ სტეფანწმინდაში გადმოსახლებულ ჩოფიკაშვილებს **ხატში** წილი მისცეს, ამაღლების დღესასწაულს ერთად აღნიშნავდნენ და სალოცავიც ერთი ჰქონდათ. ისტორიულად ქუშაშვილთა ძირითადი **ხატი** სათარგმნოს ქუშენის წმ. გიორგია.

ქუშეთ უბნის საგვარეულო სალოცავი კი რამდენიმე წელია ამაღლების სახელზე აკურთხეს (იხ. დანართი №20). ხევში ყოველ ახალ დაარსებულ ნიშს მღვდელი აკურთხებს.

ქუშაშვილები ყოველ წელს ამაღლების საღვთოს იხდიან. საკლავის და სასმელის ფულს ერთობლივად აგროვებენ, ხოლო დანარჩენ ნამზადს მორიგე ოჯახი იღებს თავის თავზე. წინა წელს დათქვამენ, თუ ვინ იქნება შემდეგ წელს მორიგე.

დღესასწაულზე დღევანდელი ტრადიციის მიხედვით ეკლესიაში მიდიან და წირვას ესწრებიან. სადღესასწაულო წირვის შემდეგ, ამაღლების ნიშთან, რომელიც ოდნავ მოშორებულია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას (ტაძარი ხუთი წლის წინ ბიზნესმენ სოსო ქუშაშვილს აუშენებია-ს.ბ.), ხატებს მიაბრძანებენ, ნიშთან დაასვენებენ, მათ წინაშე მუხლს მოიყრიან და ლოცულობენ.

სალოცავში ქალები თავზე მანდილს იფარებენ, მამაკაცები ქუდს იხდიან. ამაღლების ნიშთან საღვთო საკლავს, ცხვარს ჯერ მარჯვენა ყურს შეუტრუსავენ, მარჯვენა მხარზე წამოაგორებენ და დაკლავენ. ნიშში თითოეული სამ სანთელს ანთებს და რაოდენობრიობას ყურადღებას აქცევენ. რიცხვი სამი ხევში განსაკუთრებით წმიდაა. დიასახლისები ნალოც ერბო - ყველიან ქადას დატეხავენ და ოჯახის წევრებს უნაწილებენ. ქადის ნაჭერს მამაკაცები ცოტა ღვინოს აყოლებენ და ყველას ლოცავენ.

ქადა ძველი ტრადიციის მსგავსად საგვარეულოსა და სოფლის სამყოფი აღარ გააქვთ, მაგრამ სიმბოლურად სამ ქადას მაინც აცხობენ. დაკლული საღვთო საკლავის ხორცს ერთიანად (მათ შორის თავსაც), დიდ, საჯალაბო ქვაბში ხარშავენ და სადღესასწაულო სუფრასთან დიდი ლანგრებით ჩამოატარებენ. საღვთო საკლავის ხორცი მშრალად იხარშება და მისგან სხვა კერძის მომზადება არ შეიძლება. დიასახლისები სადღესასწაულო სუფრას დღეისათვის უკვე საყოველთაო ქართული კერძებით აწყობენ. დღეობაზე ბლომად ხაბიძგინებს, მხლოვანს და ხაჭაპურებს აცხობენ.

სადღესასწაულო სუფრას **მორიგე ოჯახში** შლიან. გვარის უფროსს სუფრის თავში სვამენ და მის წინ სუფრაზე დიდ კელაპტარს ანთებენ. გვარის უფროსი თამადაცაა და პირველად ღვთის სადიდებელს ამბობს, რასაც შემდგომი ტრადიციული სადღეგრძელოები მიჰყვება.

სუფრას მორიგე ოჯახის ახალგაზრდები ემსახურებიან. ხევში მათ ზეზამდგმურებს უწოდებენ. ისინი სუფრასთან სასმელებს ანაწილებენ. დღესასწაულზე სვამენ არაყსა და ღვინოს და სასმისებს ერთმანეთში ცვლიან. ჯიხვი, ყანწი და **კოკოშაი** განსხვავებული

სასმისებია. სადღეგრძელოებიდან გამორჩეულად სამების სადიდებელი უყვართ, რომელსაც მღერით ამბობენ:

„დიდია წმიდა სამება,

ცისკიდურამდე ელავსო,

თავის ყმის გამჯავრებელსა

ნაბადივითა სთელავსო“.

გარდა ქუშაშვილებისა დღესასწაულს უერთდებიან **ქალდისწულნი** (დისშვილები) და მათი ოჯახები. ეპატიჟებიან სტუმრებს. საერთო ჟრიამულსა და ლხენას ცეკვა და სიმღერა ალამაზებს. მეორე დღეს ყველა ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულს ხევში ხინკლაობით ასრულებენ.

ბევრი საგვარეულო სალოცავი დროთა განმავლობაში სასოფლო სალოცავად გადაიქცა. ასე მაგალითად, ქუშაშვილებს ჰქონდათ აგრეთვე ნათლისმცემლის საგვარეულო სალოცავი, რომელიც დღეს სტეფანწმინდის სასოფლო სალოცავია.

გურამ ნიკოლოზის ძე ქუშაშვილი გვიყვება, რომ დღემდე **ივანობის**, დღესასწაულზე საღვთო საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარს გამოვისახავთო, რაზეც რძალი საყვედურობს - **არ შაიძლებაო**. ცხადია, ძველ ჩვეულებას უფროსები არ ღალატობენ.

უხუცესებს მიაჩნიათ, რომ სალოცავში დღესასწაულის აღნიშვნა მეტად აახლოვებს და აერთიანებს მოხევეებს და იხსენებს: „ყუროს მთასთან ურმებით იდგა მთელი ხევი. მაიხარშებოდა სალოცავში საკლავი და ყველას უნდა ყოფნოდა. ლოთობა კი სირცხვილი იყო“. დღესასწაულზე ერთმანეთისადმი ზრუნვის გამოხატულებას საკვების განაწილება წარმოადგენდა. დღეს კი, როგორც მოხევე მოხუცები ამბობენ, სამწუხაროა, რომ „თავის ჯიბაისთვის იბრძვის სულყველა. ეგეთი ომი არ შაიძლება. საქართველო ეგრე იქნება რომ დაცოტავდება“.

ქუშაშვილების უბანში **სახლთანგელოზის სალოცავიც** ყოფილა. აქ დღემდეა ორსართულიანი სახლის ნანგრევები შემორჩენილი, რომლებიც ერთმანეთში გამავალი გვირაბებით უკავშირდებოდნენ. სწორედ ამ სახლების ქვეშ ჰქონდათ **სახლთანგელოზის სალოცავი**, რომელიც გურამ ქუშაშვილს (73 წლის) ბავშვობიდან ახსოვს.

მოხევეთა რწმენით სახლს ანგელოზი ჰყავდა. სახლთანგელოზის დღედ ხუთშაბათი ითვლებოდა. ოჯახის გაყრის, გაყოფის შემთხვევაში, საგანგებო რიტუალს ასრულებდნენ: საკლავს კლავდნენ, უფროსი ქალი სანთლებს აანთებდა, ქადას გამოაცხობდა და იტყოდა - **სახლთანგელოზო გამამყეო**. ამბობდნენ: **სახლთანგელოზი გადმაიპატიჟაო**. მოხევეებს ახალ სახლებში **სახლთანგელოზი** ძველი სახლებიდან ჰყავთ გადმოპატიჟებული.

სახლთანგელოზი ადგილის დედაა და ღვთისმშობლის სახელით ლოცულობდნენ. ფშავში ადგილის დედაში სათემო სალოცავის ნიშიც არსებობდა (ბოძაშვილი 1988:72). ამავე დღესასწაულს კახეთში ხუთშაბათს აღნიშნავდნენ, ხოლო თუშეთში ამ დღეს ხინკლაობას ეძახიან (ღამბაშიძე 1985:62). დღეისათვის, ხევში სახლთანგელოზის ნიში მივიწყებულია.

სტეფანწმინდაში ყანების ზევით, სათარგმნომდე, შემოღობილ ეზოში მცირე ზომის სალოცავი გვხვდება. ადგილობრივები **ლომისად** მოიხსენიებენ. იგი ახლად დაარსებულია და ჯერ არ უკურთხებიათ. ნიში კარის ეკლესიის ასოციაციას ქმნის. ვინმე, ბურდულს აუშენებია და ხევში ახალმოსახლე მთიულური გვარის ***ლომისის წმ. გიორგის*** სალოცავია.

4.2. ღვთისმშობლობა ხუციშვილებში

სოფ. გერგეტის სალოცავი წმ. სამებაა და გერგეტობაც აქ უდიდეს დღესასწაულად ითვლება. გერგეტში ცხოვრობენ: წიკლაურები, ჩიბაშვილები, ხუციშვილები, სუჯაშვილები და არაბულები.

ზემო გერგეტში ხუციშვილები, სალოცავ ნიშში 21 სექტემბერს ღვთისმშობლის შობას დღესასწაულობენ. **ხატობას** დიასახლისი უთენია აცხობს ქადას. ერბო - ყველით და საფუვრიანი ცომით გამომცხვარი ქადები ადრე სამებაში აჰქონდათ. დეკანოზი გაჭრიდა, ნახევარს იტოვებდა, ნახევარი კი უკან უნდა წამოეღოთ. ბუნებრივია, ძველი ტრადიცია მოიშალა.

საგვარეულო სალოცავში ხუციშვილები დღემდე ყველა ტრადიციულ წეს - ჩვეულებას აღასრულებენ. ზემო გერგეტის ღვთისმშობლის სალოცავი 1981 წელს ააშენეს ტაძრის ნანგრევებზე. ნიშის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა გივი დავითის ძე ხუციშვილმა.

ოთხკუთხა, ჯვრით გამშვენებული ნიში, კირითაა შეთეთრებული და სასანთლე აქვს დატანებული (იხ. დანართი №21). სალოცავის ეზოში ხუციშვილების საგვარეულო სასაფლაოა.

გეწეოდეთ! - ასეთი მილოცვით ხვდებიან დილით ხუციშვილები ერთმანეთს, ზემო გერგეტში გოჩა (ალექსის ძე) ხუციშვილის სახლში. შეკრებილი ნათესავები საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ადიან, სადაც დიდ ოთახში საპატიო ადგილზე ხატები აქვთ დაბრძანებული. მამაკაცები ხატებთან სათითაოდ მიდიან, დაილოცებიან და პირჯვარს გამოისახავენ. სახლში სულ ოცამდე ხატია დასვენებული. მათ შორის სიძველის ნიშანი არ შეგვინიშნავს. ოჯახში დასვენებული აქვთ შედარებით ძველი (საუკუნის) ჭედური ჯვარცმა და ბერძნული ტიპის ივერიის ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და სხვა წმინდანთა ხატები.

დღესასწაულზე უპირატესი უფლებებით მამაკაცები სარგებლობენ. სახლში ერთი წლით დაბრძანებულ ხატებთან ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ. ხატების ოთახში გაშლილ სუფრასთან **გორის უხუცესის** წინ კელაპტარს ანთებენ და მერე ერთობლივად **პურს გატეხენ**. უხუცესი იმ ოჯახს დალოცავს, სადაც ხატებმა მომავალი ერთი წლით უნდა დაივანონ.

მოგვიანებით ხსენებული სიწმიდეები ნინო ხუციშვილის სახლში გადაასვენეს. ნინო ერთადერთი შვილია, მის მშობლებს ვაჟი არ ჰყავდათ, ამიტომ ქალმა ტრადიცია გაარძელა. მართალია ნინო გათხოვილია, მაგრამ მამისეულ სახლში ერთი წლით ხატების პატრონობას ითავსებს. ფაქტობრივად, თავის თავზე იღებს მამაკაცის მოვალეობას და ამის გამო მოხევეების დიდი მოწონება და შექება დაიმსახურა.

ნინოს ოჯახი ხუციშვილების **გორის უფროსმა** ნოშრევან ხუციშვილმა დალოცა. დალოცვის შემდეგ, სათითაოდ ყველა მამაკაცი, ერთ ხატს აიღებს და **დიდების გალობით** (ტექსტი იწყება სიტყვებით - **„ჰოი, დიდებაო ღმერთსა“**) გარეთ გამოაბრძანებს, მათ წინ გვარის უფროსი მიუძღვება ხელში ჯვარცმით.

ტრადიციულად, დღესასწაულებზე პირველ რიგში ჯვარ - სალოცავების **სადიდებო** სრულდებოდა. სადიდებო იმ **ხატს** მიეძღვნებოდა, რომლის სახელზეც იმართებოდა დღეობა (ითონიშვილი 1960:264-266).

ოჯახში დაბრძანებულ ხატებს სალოცავისაკენ წააბრძანებენ. გზადაგზა შეისვენებენ და ლოცულობენ. ერთ - ერთი შესვენების დროს ოჯახის უფროსმა თქვა: ახლა ჩვენი პატრიარქის კურთხევა შევასრულოთო და დაიწყო ღვთისმშობლის ტროპარის კითხვა - **„მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა“.** როგორც ჩანს, ეს სადღესასწაულო წესი ახლა იდგამს ფეხს, რადგან ტექსტის კითხვისას ბევრ შეცდომებს უშვებდნენ.

სალოცავში მისულები დაიჩოქებენ, ხატებს ნიშთან დაასვენებენ, ლოცულობენ, სანთლებს ანთებენ. ოჯახის უფროსი ქალი ჯრულად ჭრის ქადას, რომელიც, როგორც ახასიათებს - **ჩიხაია**, შეუხედავი, რადგან ოდნავ მიმწვარა, მაგრამ გემრიელი.

მანდილოსანი სალოცავში ქადას დაჭრის და მლოცველებს თვითონვე უნაწილებს. ნიშთან, ისევე როგორც ეკლესიაში ქალები მანდილით წარდგებიან, მამაკაცები ქუდს იხდიან.

დღესასწაულზე სტუმრებისა და ოჯახის წევრებისათვის საგანგებო სუფრა იშლება. უამინდობის გამო, ხუციშვილებმა სუფრა არა ტრადიციულად ბუნებაში სალოცავთან ახლოს, არამედ, სოფელში აშენებულ და სოფლის პირობების კვალობაზე კომფორტულად მოწყობილ დარბაზში გაშალეს. სუფრასთან მოხევეები არაყს ჭარბად სვამენ. ხევში განსაკუთრებულად კახური ჭაჭა ფასობს. დღეისათვის, დღესასწაულზე ლუდს აღარ ხარშავენ. მოხეურ ლუდს, უფრო საოჯახოდ ამზადებენ. სადღეობო სასმელს ყიდულობენ.

თამადა, გვარის უფროსი, პირველ სადღეგრძელოდ უფლის სადიდებელს იტყვის. შემდეგ ორი სახარების სადღეგრძელოს, რაც სამწუხაროდ ვერ გვიპასუხეს, რატომ?.. სახარება კარგ ამბავს (ბერძ.) ნიშნავს და შესაძლებელია, ორი სახარება ძველ და ახალ აღთქმას გულისხმობდეს, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

მესამე სადღეგრძელო გერგეტის წმ. სამების სადიდებელია. დანარჩენები ქართული სუფრის ტრადიციული სადღეგრძელოებია. ხევში განსხვავებული სიფაქიზით და გამორჩეულად, დიდი მოწიწებით სვამენ უწმიდესისა და უნეტარესის სადღეგრძელოს.

ხევის მშვიდობის სადღეგრძელოს რომ შესვამენ, ოჯახის მამაკაცები სუფრიდან წამოდგებიან და კვლავ, ღვთისმშობლის სალოცავისაკენ მიდიან, სადაც, რამდენიმე ხნის

წინ ხატები გადაასვენეს და სიწმინდეებს ერთი წლის ვადით **მოპატრონე** ოჯახში გადააბრძანებენ.

ხევში კაცის დათრობა შეურაცხმყოფელი იყო და დიდ სირცხვილად ითვლებოდა. სადღესასწაულო სუფრიდან წამოდგომის ტრადიცია მოხევე მამაკაცების სიფხიზლის გამოხატულებაა. ბუნებრივია, სადღესასწაულო სუფრიდან სალოცავში მისული მამაკაცი მთვრალი არ უნდა იყოს, რადგან მას კვლავ სიწმიდეებთან, ხატებთან მისვლა უწევს. სუფრასთან დარჩენილი მოხევეები ლხენას შეღამებამდე აგრძელებენ.

სოფ. გერგეტში არსებობს წიკლაურების - ამაღლების სალოცავი, ჩიბაშვილების - **კვირიკეს ნიში** (კვირიედ იხსენიებენ). ჩქარეულები დღესასწაულს ხუციშვილებთან ერთად იხდიან, რადგან სალოცავის გაყოფის ტრადიცია ხევში დღემდეა შემორჩენილი.

გერგეტშივეა ***კარის ყველაწმიდის სალოცავი***, რომელიც დაინგრა და მის ადგილზე შემდეგ ნიში ააშენეს.

4.3. სემხის ყველაწმინდის დღესასწაული

სოფ. გველეთი დარიალის ხეობაში მდებარეობს. „გერგეთს ქვეით, ჩრდილოთკენ, დასავლეთიდამ. ერთვის ქევი გელათისა, ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი. ხოლო აწ უწოდებენ გველეთს“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1991:115).

მონღოლთა შემოსევების დროს, 1301 წელს, გველეთის ციხეს თავი მეფე დავით VIII შეაფარა. მაგრამ ბოლოს, იძულებული გახდა ციხე მონღოლთა ხელშეწყობით გამეფებული ძმისთვის - ვახტანგისათვის დაეთმო.

გველეთის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული, XVII-XVIII სს-ში სოფელში ინგუშები ჩამოსახლდნენ. მოგვიანებით, ისინი რუსეთის ხელისუფლებამ გადაასახლა. სოფელში სულ ხუთი ოჯახი (კომლი) დარჩა.

გველეთის ჩრდილოეთით დარიალის ციხე დგას. დასავლეთით, გორაკზე **ყველადწმინდის** ბაზილიკა. ტაძარი XIII - XIVსს-ით თარიღდება. ეკლესიის ინტერიერი მოხატული ყოფილა: „ეს პატარა ბაზილიკა ქვიტკირითაა ნაგები, მისი ფართი 3/6 მეტრია. ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ნიაღვარს ჩამოურეცხია. მოჩანს მხოლოდ ჯვარცმა, წმ. გიორგი და რამდენიმე წმინდანი“ (მაკალათია 1934:248). კედლის მხატვრობა ტაძრის თანადროულია და დღეისათვის სტეფანწმინდის მხარეთმოცოდნეობის მუზეუმში ინახება.

გველეთში გარდა ყველაწმინდის ეკლესიისა, არსებობს სემღის სალოცავი. სემღი გველეთში მოსახლე ზაგაშვილების სალოცავი იყო და საღვთოსაც სწორედ ეს გვარი იხდიდა და ციხემცავი მამაწმინდა.

დღეისათვის გველეთში სულ ორიოდე ოჯახი სახლობს. აღდგომის დღესასწაულზე სოფელში მცხოვრები ოჯახები ერთად იხდიან საღვთოს. ერთად ყიდულობენ საღვთო საკლავს და სასმელს.

აღდგომას, დილით სალოცავში მიდიან და ეკლესიაში წინასწარ ნაკურთხ სანთლებს ანთებენ. სალოცავს ლოცვით სამჯერ შემოუვლიან. ლიტანიობის დასასრულს, ერბო - ყველიან მოზრდილ ქადას ნიშის ჯვართან ჭრიან და ერთმანეთს უნაწილებენ. სალოცავში მიაქვთ წითელი კვერცხები, ტკბილი ქადები და ღვინო.

სააღდგომოდ ბატკანს კლავენ. ლოცვას წაიკითხავენ, ყურს შეუტრუსავენ და დაკლავენ. მამაკაცები საღვთო საკლავთან პირჯვარს გადაისახავენ და ჭიქა ღვინით დაილოცებიან.

დიასახლისები სადღესასწაულო სუფრას შლიან. სააღდგომოდ ყველიან ხაჭაპურებს და ხაბიძგინებს აცხობენ. სუფრაზე მოზრდილი ჯამით თაფლს ჩადგამენ. გვარის უფროსი ღვთის სადიდებელს იტყვის და ყველა სუფრას შემოუსხდება. მამაკაცები და ქალები ცალ - ცალკე სხდებიან. დღესასწაულზე ეპატიჟებიან სტუმრებს. მოლხენა მთელი დღე გრძელდება. სემხის სალოცავს სანთლებს, ფულს და ხატებს წირავენ.

დასკვნა

ხევის ხატ-სალოცავები, მათთან დაკავშირებული დღესასწაულებით, ისტორიით, წეს - ჩვეულებებით, კულინარიული ტრადიციებით მოხევეთა რელიგიური აზროვნების ნაყოფი და ისტორიულად დაკანონებული ფენომენია.

დღესასწაულები განსაზღვრული დღეებია, რომელიც საზოგადოებას კარნახობს შეაჩეროს ყოველგვარი საქმე, გაიხსენოს და აღნიშნოს რაიმე განსაკუთრებული მოვლენა (Дюркгейм 1998:185).

ხევის შინაარსობრივად მდიდარი, პრეზენტაციული დღესასწაულები მრავალმხრივ წარმოჩინდებიან. თითოეული მათგანი კონკრეტულ ქრისტიანულ სალოცავს და რომელიმე წმინდანს უკავშირდება, ერთდროულად არქაულ პლასტებსა და ღრმად ქრისტიანულ შრეებს მოიცავს.

რელიგიური დღესასწაულების ტრადიციულობას, უპირველესად ყოვლისა, მათი მნიშვნელობა განსაზღვრავს, რადგან ტრადიციების შენახვა, მიღება ან უარყოფა მისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარეა (Дюркгейм 1998:186).

მოხევეები სათემო დღესასწაულებს გამორჩეულად აღნიშნავდნენ. გლობალიზაციამ დღევანდელ ტრადიციებს მეტი კამერულობა შესძინა, რაც უმთავრესად ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა. დღეისათვის გაცილებით დიდი სივრცე სასოფლო და საძმო - საგვარეულო დღესასწაულებს ეთმობა.

მოხეური ხალხური სადღესასწაულო ციკლი:

მოხეური სადღესასწაულო ციკლი დროის ერთი მთლიანი დაფაა. დღეებად, კვირებად, თვეებად და წლებად დაყოფილი დრო დღესასწაულების და რიტუალების პერიოდულობას შეესაბამება და მოხევეთა ცხოვრების რიტმს გამოხატავს. დღეობათა უმთავრესი ფუნქცია ცხოვრების რიტმის მოწესრიგებაა.

ზოგიერთი დღესასწაული დღემდე ძველი სტილით გამოითვლება. გამოიყოფა მოძრავი და უძრავი დღესასწაულები. ყველა მოძრავი დღესასწაული აღდგომიდან გამოითვლება.

კვირეღვთისშვილობა/კვირესძლობა მოხეური ხალხური კალენდრით აღდგომიდან მეორე ან მესამე კვირას მოდის. **კვირია - მაცხოვარს** ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის მომტანად მიიჩნევენ. სადღესასწაულო ტრადიციის წამყვანი რიტუალები სალოცავის

მოლოცვა და საღვთოს გადახდაა. **კვირიეს ხატები** ხევში გავრცელებულია. დღეობაზე ბავშვის **ბერად შეყენების** წესი გვიანობამდე იყო დაცული.

კვირესძლობის დღესასწაულს ***პეტრე - პავლობა*** მოსდევს, რომელიც 29 ივნისს (ძვ. სტ) **ხატში**, ხოლო 12 ივლისს (ახ. სტ.) ხევის ყველა მოქმედ ეკლესიაში აღინიშნება.

პეტრე - პავლობის მერე ხევში მამაწმინდის (18 ივლისი) დღეობა იმართება. ***მამაწმინდა*** რაჭიდან გადმოტანილი სალოცავია, რომელსაც მოხევეები და რაჭველები ერთობლივად მოილოცავენ. დღესასწაულს საეკლესიო ტერმინები ***დიდი*** *და* ***პატარა აღება*** *უკავშირდება.*

აღდგომიდან 98-99 დღეს ხევში ***ათენგენობას*** სნოს და სტეფანწმინდის ათენგენის ნიშებთან დღესასწაულობენ. ათენგენობა წმ. ათინოგენის ხსენების კალენდარულ თარიღს (29 ივლისს) არ ემთხვევა. მოხევეთა ყოფაში დღესასწაულის აღნიშვნის ხალხური ტრადიციაა შემონახული. დღესასწაული სამი სახელწოდებით მოიხსენიება: **ათენგენობა**, **ვარდობა** და **სპარსანგელოზობა**. **ათენგენობა** ერთიანობის მოხეური ტრადიციაა.

ელიაობა 2 აგვისტოს (ახ. სტ) იმართება. დღესასწაულს სტეფანწმინდაში ელიას მთაზე მდებარე მონასტერში აღნიშნავენ და იქვე არსებულ ნიშსაც მოილოცავენ. ძველებურად არც საღვთო საკლავს კლავენ და არც სალოცავ ქადას ჭრიან, მაგრამ გამორჩეულ წმინდანს სანთლების დანთებით და ლოცვით პატივს მიაგებენ.

საუფლო დღესასწაულებიდან ერთ-ერთი ***ფერისცვალების*** (19 აგვისტო) აღნიშვნის ტრადიცია სახეცვლილია და მოხევეების წირვა-ლოცვაზე დასწრებით აღინიშნება. ზოგჯერ შესაძლებელია ცალკეულმა ოჯახმა საღვთო გადაიხადოს.

ფერისცვალებას ***მარიამობა*** მოსდევს. 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, გერგეტის წმ. სამების ტაძარში გამორჩეულად აღნიშნავენ. სადღესასწაულო წირვა-ლოცვის შემდეგ სამების მინდორზე ცალკეულ გვარებს თუ ოჯახებს საღვთო საკლავი მიჰყავთ, ხოლო იქვე მდგომ მარიამობის ნიშს, ქალების ხატს, სანთელს, ქადას, საზედაშე ღვინოს ან არაყს სწირავენ.

საშემოდგომო დღესასწაულებიდან 12 სექტემბერს მოხევეები ***ივანობას,*** წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს აღნიშნავენ და ბავშვების მფარველად მიიჩნევენ. მისი სახელობის ზოგიერთ სალოცავში დღემდეა დაცული წითელი მამლის შეწირვის ტრადიცია და ქალთა ფერხული.

21 სექტემბერს ***ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს*** საგვარეულო სალოცავებში აღნიშნავენ, სადაც საღვთოს გადახდის წეს - ჩვეულებები ერთგვარი კონსერვატიულობით ხასიათდება. დღეობაზე მამაკაცის, **გვარის უხუცესის,** წამყვანი ფიგურა მკვეთრად იკვეთება.

ხევში ***მთავარანგელოზობა*** 8 ნოემბერს (ახ. სტ) იმართება. გარდა ამისა, ზაფხულში ყანობის სასოფლო ხატში დიდი და პატარა ***თარანგელოზობა*** აღინიშნება. ზოგადად, წმ. მთავარანგელოზთა კულტი ხევში გავრცელებულია და ბავშვების, ვაჟების მფარველად მიიჩნევენ. გამორჩეულია დარიალის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი, რომელიც ჩრდ. ოსეთის საზღვართან მდებარეობს და დღეისათვის მოქმედია.

ახალი სტილით 6 მაისს და 23 ნოემბერს ***გიორგობას*** ხევის ყველა საგვარეულო სალოცავსა და მოქმედ ეკლესიაში აღნიშნავენ. გამორჩეულია დარყის (სნო) და არყოვნის (ყანობი) წმ. გიორგის სალოცავები, სადაც 23 აპრილს (ძვ. სტ), გაზაფხულის გიორგობას სანთლების დანთებით, საზედაშე ღვინის ან არყის შეწირვით აღნიშნავენ.

განსხვავებულია **ხევის ხევსურთა** სალოცავი ღალანგურის წმ. გიორგი, რომელსაც აღდგომიდან 101 დღეს, ხეთანობის მონაცვლეობით დღესასწაულობენ. ხოლო XX ს-ის 80-იან წლებამდე გარბანის წმ. გიორგის სალოცავში სიმბოლურად დატვირთული ხარის დამორჩილების სადღესასწაულო რიტუალი იყო შემონახული.

ზამთრის მკაცრ კლიმატურ პირობებში ხატ-სალოცავები დუმს, ვიდრე ახალ წლამდე. ძველით ახალწელს სამებაში აღარ აღნიშნავენ, თუმცა კი დღეობის ტრადიციული ფორმები სოფ. გერგეტმა უცვლელად შემოინახა. ***ახალწლის ნიშში*** მცირედი ცვლილებებით დღემდე აღინიშნება მაცხოვრის წინადაცვეთის დღე, 14 იანვარი. დღესასწაული ისტორიულ ჭრილში მოხევე დეკანოზების მიერ გერგეტელთა დალოცვის მნიშვნელოვნებას წარმოაჩენს. გერგეტელები, სამების საყდრისშვილები, გამორჩეულ სტუმრებად ითვლებოდნენ. დღემდე ბანიანი სახლი-სალოცავი თავის წიაღში წმიდა სამების ისტორიულ დარაჯებს მასპინძლობს.

18-19 იანვარს ხევის ზოგიერთ სოფელში (სათარგმნო) წყალკურთხევა აღინიშნება. ხსენებული დღესასწაული ყანობში 6-7 (ახ. სტ) იანვარს იმართებოდა. წყალკურთხევას მიცვალებულებთან დაკავშირებული რიტუალი ***ამპარიობა*** უკავშირდება.

შედარებით ვიწრო სივრცეში აღინიშნება სხვადასხვა კუთხიდან გადმოტანილი დღეობები: ოსური ***ვაჩილობა*** და ვაინახური ***ბოჯლოგინობა*** (ითონიშვილი 2015:193).

ახალწლის, უფლის წინადაცვეთის ხსენებით დაწყებული ხევის სადღესასწაულო ციკლი აღდგომით სრულდება.

მოხევეთა თითქმის ყველა სოფელს ერთი სალოცავი და მასთან დაკავშირებული დღესასწაული გამოარჩევს, რომლებიც ისტორიულ ჭრილში გვარების გამთლიანება - გაერთიანებას ემსახურებოდნენ. დღევანდელ ყოფაში ლხენის ერთობლივი ტრადიცია ნაწილობრივ მოშლილია კონფლიქტებისგან თავის არიდების მიზნით.

კამერულად, ტრადიციულობის დაცვით იმართება საგვარეულო დღესასწაულები. დღემდე აუცილებლობას წარმოადგენს საგვარეულო საღვთოს გადახდა. ყოველ წელს გვარში შემავალი თითოეული ოჯახი გარკვეულ თანხას გაიღებს საერთო საგვარეულო ხარჯისათვის. აქტუალურია ცნება **მორიგე გვარი**.

დღესასწაულებთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალები:

რელიგიური დღესასწაულები რამდენიმე საკრალურ რიტუალს მოიცავს: მოლოცვას, საღვთოს გადახდას და სისხლით ნათლობას.

რიტუალი საზოგადოების ჩამოყალიბების მექანიზმს უზრუნველყოფს. სადღესასწაულო წეს-ჩვეულებათა თანმიმდევრობით შესრულებით საზოგადოების წევრები საერთო ობიექტს სცემენ თაყვანს და გამოცდილებას უზიარებენ, რაც მათ შორის ემოციურ ურთიერთობას აყალიბებს. დღესასწაულებს თუ რიტუალებს უმთავრესად სოციალური ფუნქცია გააჩნიათ და ხელს უწყობენ რელიგიური შეხედულებების გზით საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის პროცესს.

მოხევეთა დღესასწაულების მთავარი რიტუალი - ხატის მოლოცვა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას წარმოადგენს. სადღესასწაულოდ ჯერ მოქმედ ეკლესიას მოილოცავენ, შემდეგ ხატს. მოლოცვა ნივთიერ შესაწირებს მოიცავს: სანთელს, ქადას, ფულს და სხვ.

საღვთოს გადახდის ტრადიცია რელიგიური აზროვნების ნაყოფია. საკლავის დაკვლის მსხვერპლშეწირვასთან გაიგივება კი საეკლესიო სწავლების არასწორი ინტერპრეტაცია. მართალია, ქრისტიანობამ სისხლიანი მსხვერპლშეწირვა უარყო, მაგრამ ეკლესიამ საკლავის ლეგიტიმაცია დაუშვა (კიკნაძე 2013:137). დღემდე ლეგიტიმურობის უტყუარი ნიშანი საღვთო საკლავის დაკვლის წინ წაკითხული ლოცვაა. მიუხედავად სადეკანოზო ვალდებულებების ფორმალურობისა, საკლავის კურთხევის ძველი საეკლესიო ტრადიცია

აქტუალობას არ კარგავს. ამასთანავე, მთაში ხალხმრავლობით გამორჩეული რელიგიური დღესასწაულები და მთიელთა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია შესაბამის მზადყოფნას მოითხოვს და საკვები პროდუქტებით, ხორცით მომარაგებას ითვალისწინებს.

სისხლით ნათლობის არქაული რიტუალი გვიანი ქრისტიანული დანამატია. ნათლობა საზოგადოებაში სოციალიზაციის პირველ ეტაპს გულისხმობს (Этциони 2015:4). საღვთო საკლავის სისხლით შუბლზე ჯვრის გამოსახვა აშკარა მითითებაა, მლოცველს სწამდეს ჯვარი, ქრისტიანთა უმთავრესი თაყვანისცემის საგანი.

დღეისათვის სისხლით ნათლობის ტრადიციას, პარალელურად მიმდინარე საყოველთაო ნათლობის ფონზე, რომელსაც მღვდელი აღასრულებს, საკრალური დატვირთვა არ გააჩნია და მხოლოდ არქაული რიტუალის ფორმალური გადმონაშთია.

მართალია, რელიგიური დღესასწაულების გარეგნულად გამოხატული „წარმართობა“ წინააღმდეგობრივია, მაგრამ ტრადიციულ მოხევეს სალოცავის მოლოცვა, ქადის დაჭრა და საღვთოს გადახდა აუცილებლობად მიაჩნია.

დღესასწაულების სანახაობრივი მხარე:

თანამედროვეობაში დღესასწაულები სანახაობრივად ნაკლებადაა დატვირთული. გამოიყოფა სამი მიმართულება: სასიმღერო ხელოვნება, ხალხური სპორტის სახეობები და საბავშვო თამაში.

სასიმღერო ხელოვნება ტრადიციული საჯვარხატო (დიდება, გერგეტულა) და საერო (სატრფიალო ჟანრი) სიმღერებით შემოიფარგლება. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან უპირატესობა დოლ-გარმონსა და ფანდურს ენიჭება.

სადღესასწაულო ხალხური სპორტის გავრცელებული სახეებია დოღი და ჭიდაობა. საბავშვო თამაშებიდან დღემდეა შემორჩენილი ***კოჭაობა.***

კულინარიული ტრადიციები:

დღესასწაულებზე წამყვანია ხატისათვის განკუთვნილი სუფრის კულინარიული ტრადიციები. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა სალოცავში, ხატში გასატან შესაწირებს ენიჭება. მთავარი დატვირთვა აქვს ქადას.

სადღესასწაულო სუფრა დღეისათვის გამრავალფეროვნებულია, თუმცა უმთავრესი კომპონენტი **საღვთო საკლავის** მოხარშული ხორცია. ხაჭაპურები, მხლოვანი და ხაბიძგინა

დღემდე მოხევეთა სუფრის განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებული პოპულარობით ოსური ხაბიძგინა სარგებლობს.

ხევში ქერის მოყვანის კულტურა მოშლილია, შესაბამისად, ლუდის ხარშვის ტრადიცია აღარ არსებობს. დღეს მოხევეებისთვის კახური ღვინო და არაყი იაფი და ხელმისაწვდომია. მიღებულია საოჯახოდ მომზადებული ლუდი და **კაპარი.**

გენდერული ბალანსი რელიგიურ დღესასწაულთა ციკლში:

პატრიარქალურ ხევში დღესასწაულებზე მამაკაცის როლი გამოიკვეთებოდა.

დღეისათვის ზოგიერთი აკრძალვის გარდა (ქალის საღვთო საკლავთან მიახლოება) გენდერული ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია. თუ მამაკაცის მოვალეობას საღვთო საკლავის დაკვლა და სუფრის ხელძღვანელობა წარმოადგენს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქალს. სალოცავში მისატან რიტუალურ ქადას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დიასახლისი აცხობს და უფროსი ქალი ჭრის.

მოხევეთა ყოფაში ქალის განსაკუთრებული როლის საგულისხმო მაგალითი ფხელშეს კვირეღვთისშვილის სალოცავში XX ს-ის 30-იან წლებამდე სალოცავის მსახური დეკანოზი ქალია.

სამომავლო პერსპექტივები:

მოხევეთა საინტერესო და მრავალფეროვანი რელიგიური დღესასწაულები ღრმა შემეცნებითი ღირებულებისაა. ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების წესსა და თანამედროვე ფორმებზე მეტყველებენ და კულტურული ტურიზმის ჭრილში სამომავლო განვითარების პერსპექტივებს გვკარნახობენ.

კულტურული ტურიზმი დღეს ტურიზმის ერთ - ერთი პოპულარული სახეა და მის განვითარებას საქართველოში საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს. ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ღირსშესანიშნაობანი, რომლითაც მდიდარია ხევი, ჯერ კიდევ ცოცხალი ხალხური ტრადიციები და უნიკალური ხალხური ხელოვნება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტურისტების დაინტერესება მოხევეთა სულიერი და მატერიალური კულტურით, რაც გულისხმობს: ტრადიციული წეს - ჩვეულებების, რიტუალებისა და ჯვარ - ხატებთან დაკავშირებული დღესასწაულების გაცნობას.

გასართობი, სანახაობრივი ფონის წინ წამოწევას, ფოლკლორისა და მდიდარი კულინარიული ტრადიციების დემონსტრირებას.

ხევის ზოგიერთი რელიგიური დღესასწაულები, რიტუალები და წეს - ჩვეულებები დღემდე „წარმართობის“ საბურველშია გახვეული, გახალხურებულია. ამავდროულად, დღესასწაულებთან დაკავშირებული რიტუალები სიღრმისეულად ქრისტიანულია, რასაც კვლევის პროცესში ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ.

რიტუალების შესრულებას მოხევეთა ტრადიციულობა განაპირობებს, ხოლო დღესასწაულთა სიცოცხლისუნარიანობა კუთხის ერთიანობისკენ მისწრაფებითა და ხელოვნური დანათესავების სურვილითაა განპირობებული.

ზოგიერთი წეს - ჩვეულება ფორმალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ დღემდე რელიგიური დღესასწაულების მთავარი ძარღვი - ღმერთის განდიდება და ლოცვით პატივის მიგება მოხევეთა ქცევაში მყარია.

საგვარეულო, სასოფლო თუ სათემო დღეობებში ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ.

დღესასწაულებისა და რიტუალების საშუალებით წარსული გამოცდილების აღდგენაა შესაძლებელი. სადღესასწაულო რიტუალები ხელს უწყობენ წარსული ცოდნის შენახვას საზოგადოების მეხსიერებაში.

მიუხედავად ხევის რელიგიური დღესასწაულების სხვა კუთხის დღესასწაულებთან საერთო მსგავსებისა, თითოეული მათგანი სახასიათო შტრიხებს ავლენს, უნიკალური და მხოლოდ კუთხის რელიგიური აზროვნების მახასიათებელია.

გლობალიზაციის პირობებში დღესასწაულებს არ დაუკარგავთ თავიანთი იდენტობა. შინაასობრივად მრავალფეროვანი, სიმბოლურად მდიდარი რელიგიური დღესასწაულები, კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, საგულდაგულო შესწავლას, დაცვას და მომავალი თაობებისათვის შენახვას ითხოვს. დღეობათა გამოკვეთილი პრაგმატული დანიშნულება სამომავლო ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთებასა და პერსპექტივის დასახვას გვკარნახობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია 1997: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი, 1997;
2. ალავერდაშვილი 2007: ალავერდაშვილი ქ., საკრალური გეომეტრია, თბილისი, 2007;
3. ალექსიძე 2011: ალექსიძე ზ., მანდილიონი და კერამიონი ძველ ქართულ მწერლობაში, I, თბილისი, 2011;
4. არაბული...2014: არაბული ა., თათარაიძე ე., პირმა დაგლოცასთ ღვთისამა, თბილისი, 2014;
5. აზიკური 1995: აზიკური კ., თუშური ჩანაწერები, თბილისი, 1995;
6. ბატონიშვილი ვახუშტი 1991: ვახუშტი ბატონიშვილი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლი, II, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, თბილისი,1991;
7. ბატონიშვილი თეიმურაზი 1848: თეიმურაზ ბატონიშვილი., ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა, თბილისი, 1848;
8. ბარდაველიძე 1938: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები, საქართველოს ეთნოგრაფიის მასალები, ტ. I, თბილისი, 1938;
9. ბარდაველიძე 1974: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ - საკულტო ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1974;
10. ბარდაველიძე 2006: ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 2006;
11. ბიბლია 2013: ბიბლია, წიგნი დაიბეჭდა უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II - ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2013;
12. ბოძაშვილი 1988: ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშავლები, თბილისი, 1988;
13. ბოჭორიძე 1993: ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბილისი, 1993;
14. ბუქურაული 1847: ბუქურაული ი., ტბათანიდან წოვათამდის, მოამბე, თბილისი, 1847, №8.

15. გაბური 2008: გაბური ლ., ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს - რწმუნებანი, თბილისი, 2008;
16. გედევანიშვილი 2014: გედევანიშვილი ე., პირი ღმრთისას ხატი თელავის ღვთაების მონასტრიდან, ალავერდი, 2014, № 3/6.
17. გვრიტიშვილი 1962: გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1962;
18. გიულდენშტედტი 1964: გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1964;
19. გიორგაძე 1987: გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბილისი, 1987;
20. გუჯეჯიანი 2008: გუჯეჯიანი რ., ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბილისი, 2008;
21. გუჯეჯიანი 2010: გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში, ეთნოლოგიური კრებული, II, თბილისი, 2010;
22. გუჯეჯიანი 2010: გუჯეჯიანი რ., ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან (რელიგიისა და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართება საქართველოს ტრადიციულ ყოფაში), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 2010;
23. დოლიძე 1958: დოლიძე ვ., გარბანი, თბილისი, 1958;
24. ერიაშვილი 1982: ერიაშვილი ჟ., უძველესი სოციალურ - რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთაში, თბილისი, 1982;
25. ერიაშვილი 1995: ერიაშვილი ჟ., ქართველთა ტრადიციული წეს - ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბილისი, 1995;
26. ვაჟა-ფშაველა 1937: ვაჟა-ფშაველა., ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1937;
27. თიეი, თსუ, ვ. ბარდაველიძის ფონდი, №232: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქმე №846;
28. თოფჩიშვილი 1984: თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში, თბილისი, 1984;

29. თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997;
30. თოფჩიშვილი 2008: თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბილისი, 2008;
31. თოფჩიშვილი 2012: თოფჩიშვილი რ., კავკასიის ეთნოლოგია, თბილისი, 2012;
32. ითონიშვილი 1960: ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960;
33. ითონიშვილი 1967: ითონიშვილი ვ., ხევი ძველად და ახლა, თბილისი,1967 ;
34. ითონიშვილი 1986: ითონიშვილი ვ., არაგვის ხეობა, თბილისი, 1986;
35. ითონიშვილი 1992: ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი,1992;
36. ითონიშვილი 2003: ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 2003;
37. ითონიშვილი 2006: ითონიშვილი ვ., ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი, 2006;
38. ითონიშვილი 2012: ითონიშვილი ვ., თუშეთი და თუშები, თბილისი, 2012;
39. ითონიშვილი 2015: ითონიშვილი., მოხევეების ყოფა - ცხოვრება, თბილისი, 2015;
40. კალმასობა 1991: იოანე ბატონიშვილი., კალმასობა, ტ. II, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1991;
41. კალანდია 2014: კალანდია გ., კურული - ძველი ქართული „კორიდა“?!, ჟურნალი ისტორიანი, თბილისი, 2014, №8(44).
42. კანდელაკი 2001: კანდელაკი მ., ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 2001;
43. კეკელიძე 1945: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945;
44. კეკელია 2006: კეკელია ჯ., საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბილისი, 2006;
45. კიკნაძე...1992: კიკნაძე ზ., მახაური ტ., ქართული ხალხური პოეზია, თბილისი, 1992;
46. კიკნაძე 1996: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, ქუთაისი,1996;

47. კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2008;
48. კიკნაძე 2009: კიკინაძე ზ., ანდრეზები, თბილისი, 2009;
49. კიკნაძე 2013: კიკნაძე ზ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2013;
50. კლარჯული მრავალთავი 1991: კლარჯული მრავალთავი., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი,1991;
51. კობაიძე 2012: კობაიძე ა., წერილები ხევიდან, თბილისი, 2012;
52. ლეკიაშვილი 1986: ლეკიაშვილი ა., კვირია - მაცხოვარი, მნათობი, თბილისი, 1986, №11.
53. ლომინაძე 2011: ლომინაძე ბ., სენიორიები, ტ. I, თბილისი, 2011;
54. ლომთათიძე 2013: ლომთათიძე თ., რელიგიური დანაშრევები შემოვლით რიტუალებში (აჭარის მაგალითზე), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2013;
55. მაისურაძე 1971: მაისურაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბილისი,1971;
56. მახაური 2005: მახაური ტ., ფოლკლორულ ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბილისი, 2005;
57. მაკალათია 1930: მაკალთია ს., მთიულეთი, თბილისი, 1930;
58. მაკალათია 1934: მაკალთია ს., ხევი, თბილისი,1934;
59. მაკალათია 1983: მაკალთია ს., თუშეთი, 1983;
60. მაკალათია 1984: მაკალთია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1984;
61. მაკალათია 1987: მაკალათია ს., მთის რაჭა, თბილისი,1987;
62. მაკალათია 1985: მაკალათია მ., მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1985;
63. მაყაშვილი 1991: მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი,1991;
64. მამისიმედაშვილი 2009: მამისიმედაშვილი ხ., ჯვარ - ხატები საკულტო ტექსტებში, თბილისი, 2009;

65. მინდაძე 1987: მინდაძე ნ., ქადაგობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბილისი, 1987;
66. მინდაძე 2013: მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბილისი, 2013;
67. ნადირაძე 2010: ნადირაძე ე., ქართული ლუდი, თბილისი, 2010;
68. ორბელიანი 2013: ორბელიანი გ., მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის, პოეზია, ტ. I, თბილისი, 2013;
69. ოჩიაური1980: ოჩიაური ა., სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბილისი,1980;
70. ოჩიაური 1988: ოჩიაური ა., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბილისი, 1988;
71. ოჩიაური 1991: ოჩიაური ა., ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფშავი, თბილისი, 1991;
72. ოჩიაური 1954: ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1954;
73. ოჩიაური 1967: ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967;
74. რობაქიძე 1955: რობაქიძე ა., ქართული ხალხური სპორტის შესახებ, თბილისი, 1955;
75. საბანისძე 2007: იოანე საბანისძე., წამება წმინდა მოწამე აბოსი, თბილისი, 2007;
76. სადიდებლები 1998: ჯვარ-ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ტრისტან მახაურმა, ხვთისო მამისიმედაშვილმა, თსუ, ფოლკლორისტიკის შრომები, 2, თბილისი,1998;
77. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1948;
78. სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, თბილისი, 2006;
79. სულხან-საბა 1991: სულხან-საბა ორბელიანი., ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991;
80. სულხან-საბა 1993: სულხან-საბა ორბელიანი., ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993;

81. სურგულაძე 2003: სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003;
82. სტრაბონი 1957: სტრაბონი, გეოგრაფია, თბილისი, 1957;
83. სძა 2004: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, თბილისი, 2004;
84. ქავთარაძე 1985: ქავთარაძე ი., დიალექტოლოგიური ლექსიკონი, თბილისი,1985;
85. ქართლის ცხოვრება 1906: ქართლის ცხოვრება., მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი,1906;
86. ქართლის ცხოვრება 2008: ქართლის ცხოვრება., თბილისი, 2008;
87. ქერაშვილი 2012: ქერაშვილი გ., ხევი და მოხევეები, თბილისი, 2012;
88. ქურდოვანიძე 2005: ქურდოვანიძე თ., მითური შვიდი ავი სული და საბადონი „იავ-ნანას“ შვიდი და-ძმა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 2005;
89. ქეშიკაშვილი 1990: ქეშიკაშვილი ი., ღმერთები, მითები, რიტუალები, თბილისი, 1990;
90. ღამბაშიძე 2004: ღამბაშიძე ნ., ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 2004;
91. ღამბაშიძე 2011: ღამბაშიძე ნ., ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები, თბილისი, 2011;
92. ღუდუშაური 2011: ღუდუშაური ი., მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2011;
93. ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ა., მოხევეები და იმათი ცხოვრება, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1950;
94. ყაზბეგი 1985: ყაზბეგი ა., თხზულებანი, თბილისი,1985;
95. ყაზბეგი 1896: ყაზბეგი ა., ყაზბეგის მთა, ივერია,1896, №197.
96. ყიფშიძე 1804: ყიფშიძე (ფრონელი) ა., მთიულეთი, თბილისი,1804;
97. შანიძე 1931: შანიძე ა., ხევსურული პოეზია, ტ. I, თბილისი, 1931;
98. ცოცანიძე 1987: ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბილისი, 1987;
99. ძეგლის დადება 1988: ძეგლის დადება, თბილისი,1988;
100. წითლანაძე 1976: წითლანაძე ლ., ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1976;

101. წითლანაძე 2004: წითლანაძე ლ., ხევის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბილისი, 2004;
102. წიკლაური 2012: წიკლაური ჯ., დარიალის დამცველნი, ყაზბეგი, 2012;
103. ჭავჭავაძე 1985: ჭავჭავაძე ი., განდეგილი, ტ. I., თბილისი, 1985;
104. ჭანტურიშვილი 1983: ჭანტურიშვილი ს., ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბილისი, 1983;
105. ხაზარაძე...2008: ხაზარაძე ნ., მინდაძე ნ., ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბილისი, 2008;
106. ხორნაული 2014: ხორნაული გ., ხევსურეთის ტოპონიმია, თბილისი, 2014;
107. ხუციშვილი 2008: ხუციშვილი ქ., ქართველთა ეთნიკური კულტურის საკითხები, თბილისი, 2008;
108. ჯავახიშვილი 2012: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 2012;
109. ჯანელიძე 1989: ჯანელიძე დ., ხევის სახილველი, თეატრალური მოამბე, ტფილისი, 1989, №1.
110. ჯაფარიძე 1996: ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1996;
111. ჯაფარიძე 2001: ჯაფარიძე გ., დარდისას გეტყვი, თბილისი, 2001;
112. ჯაყელი 1990: ჯაყელი თ., საუფლო ხე ალვა, ჯვარი ვაზისა, თბილისი, 1990, №2.
113. Абакелия 1987: Абакелия Н., Миф и ритуал в западной Грузии, Тбилиси, 1987;
114. Бардавелидзе 1957: Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрадовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957;
115. Гроссгейм 1878: Гроссгейм А. А., Грузинские Народные Праздники, Кавказ, 1878;
116. Дюркгейм 1998: Дюркгейм Э., Элементарные Формы Религиозной Жизни, 1998, (https://www.scribd.com). შემოწმებულია 9.10.2015.
117. Этциони: Этциони А., Праздники: забытая колыбелъ добродетели (http://magazines.russ.ru/nz/2015/2/3e.html). შემოწმებულია 9.10.2015.
118. Какабкдзе 1928: Какабкдзе С., О племени цанар, საისტორიო კრებული, III, ტფილისი, 1928;

119. Канделаки 1987: Канделаки М., Из общественного быта горцев Грузии (институт Аманатства), Тбилиси, 1987;
120. Кекелидзе 1912: Кекелидзе К., иерусалимскии канонар, VII, Тбилиси, 1912;
121. Пагирев 1913: Пагирев Д., Записки Кавказсково отдела Императорского Руского географического обшества, 30, 1913;
122. Переваленко 1853: Переваленко В., Осетинский Праздник в честъ Илии пророка, Кавказ, 1853, #39.
123. Тхостов 1868: Тхостов И., уац–илла, Тбилисский Вестник, 1868, #12 .
124. Brelich 1969: Brelich A., Symbol of a Symbol, In Eliade M., Miths and Symbols, Chicago-London, 1969;
125. Bayern 1885: Bayern Fr., Untersuchungen uber die altesten grabber und shatzfunde in kaukasien, Berlin, 1885;
126. Tallgren 1930: Tallgren A. M., Caucasian monuments.The Kazbek Treasure, Eurazia Septentrionalis antique, V, Helsinki, 1930;
127. Chatwynd 1986: Chatwynd T. A., dictionary of symbols, London, 1986;
128. theepicentre.com/spice/**galangal**/. შემოწმებულია 9.10.2015.

დანართი

დანართში წარმოდგენილია 2014-2015 წლებში საველე მუშაობის პირობებში გადაღებული ფოტოები

1. სოფ. გერგეტი. ახალწლის ნიში
2. სისხლით ნათლობის რიტუალი
3. სტეფანწმინდის ათენგენის ნიში
4. სნოს ათენგენის ნიში
5. საღვთო საკლავის დაკვლა. ყურის შეტრუსვის წესი
6. სალოცავში ქადის დაჭრის რიტუალი
7. საყოველთაო ნათლობა სნოსწყალში
8. სემხის სალოცავი
9. წმ. ილია თეზბიტელის სახელობის მონასტერი
10. ელიას ნიში
11. წითელი ეკლესია
12. ქუშენის წმ. გიორგის სალოცავი
13. ამაღლების სალოცავი
14. სიონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია
15. დარიალის წმ. მთავარანგელოზთა
16. ცდო. კვირეის ყოჩი
17. ახალციხე. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია
18. სოფ. ყანობი. წმ. მთავარანგელოზთა
19. კოჭაობა
20. ქუშაშვილების ამაღლების სახელობის ნიში
21. სოფ. გერგეტი. ხუციშვილების ღვთისმშობლის სახელობის საგვარეულო სალოცავი